

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის



მაცნე

75-1

1976

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

1 • 1976

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

2

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ

Handwritten signature or initials in red ink.



თბილისი
ТБИЛИСИ

1 • 1976

კ. შარვაშიას ს. ხ. საქ. სსრ
სახელმწიფო რ. სპეცბლოკ.
გისლირის თბილისი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

საკრედიტო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкრелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. გლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.3.1976; შეკვ. 3932; ანაწილის ზომა 7×11¹/₂;
ქალაქის ზომა 7×108⁷/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16,98; საალრიცხოვო-საგამომცემლო
თაბახი 15; უე 00686; ტირაჟი 1700.
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ა რ ი ლ ა ბ ი

ა. ბარამიძე, ავეტიქ ისააკიანის დაბადების 100 წლისთავი	5
მ. ონიანი, ვახტანგ VI-ის რუსთველოლოგიური ნააზრვეი	7
ლ. თეთრშაფვილი, ბუნების არსის (ღმერთის) გავებისათვის ვაჟა-ფშაველასა და ახალგაზრდა გოეთეს ფილოსოფიურ ლირიკაში	25
თ. შარდორვაანიძე, ქართული ჯადოსნური ზღაპრის პოეტაიკიდან	37
ფ. ზანდუქალი, ცხოველთა ებოსის სტრუქტურის საკითხები	53
ბ. პიკნაძე, რამდენიმე ძლისპირის წარმომავლობისათვის	71
ლ. კობიაშვილი, „არჩილიანის“ ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი	80
თ. სალარიძე, ეტიმოლოგიური დაკვირვებები	93
თ. ცხიტიანიძე, ძველი ქართული ენის ლექსიკიდან	99
ა. მარტიროსოვი, სუფიქსებით წარმოქმნილ სახელთა ერთი ჯგუფი ძველ ქართულში	102
ბ. ცოცანიძე, ბრევერების შე- და შა- დიალექტური ვარიანტების ისტორიული შემდგომადობის საკითხი	115
დ. ბრიჭოროვა, აბსოლუტურად მყარი სიტყვათგანლაგების შემთხვევები ქართულში	125
გ. შენგელაძე, სხვადასხვა დონის ენობრივ ერთეულთა ბინარული სტრუქტურა და მისი ასახვა სიღრმისეულ სტრუქტურებში	132

ც ნ ო ბ ა ბ ი და შ ე ნ ი შ ვ ნ ი ბ ი

ი. ტაბაღაძე, საფრანგეთის სააზიო საზოგადოება და მისი ორგანო „სააზიო ქურნალი“	137
გ. ზაუტაშვილი, ა. წერეთლის „შობის წინა დღე და შობა სერბიაში“	143
ლ. აკმეძე-ჯანოვა, ყაჯართა პერიოდის ორი ძველის შესახებ	154

პ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ა. ბარამიძე, ა. გვახარია, სინამდვილე თუ მისტიფიკაცია?	169
ა. ბაჭყალიანი, დაგვიანებული პასუხი	172

ქ რ ო ნ ი კ ა და ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ვეფსისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	187
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

А. БАРАМИДЗЕ, К столетию со дня рождения Аветика Исаакяна	5
Ш. ОНИАНИ, Руствелологические воззрения Вахтанга VI	7
Л. ТЕТРУАШВИЛИ, О сущности природы (бога) в философской лирике Важа-Пшавела и молодого Гёте	25
Т. КУРДОВАНИДЗЕ, Из поэтики грузинской волшебной сказки	37
П. ЗАНДУКЕЛИ, Вопросы структуры сказок о животных	53
Г. КИКНАДЗЕ, О происхождении некоторых ирмосов	71
Л. КОБИАШВИЛИ, Фонетико-морфологические особенности «Арчилиани»	80
Т. САЛАРИДЗЕ, Этимологические наблюдения	93
Т. ЦКТИШВИЛИ, Из древнегрузинской лексики	99
А. МАРТИРОСОВ, Одна группа имен суффиксального образования в древне- грузинском	102
Г. ЦОЦАНИДЗЕ, Вопрос о хронологической последовательности диалектных вариантов превербов ზო-(še) и ზა-(ša)	115
Д. ГРИКУРОВА, Случай с абсолютно фиксированным порядком слов в гру- зинском языке	125
Н. ШЕНГЕЛЯЯ, Бинарность единиц разных языковых уровней и ее отобра- жение в глубинных структурах	132

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

И. ТАБАГУА, Французское Азиатское общество и «Журнал Азиатик»	137
И. ЗАУТАШВИЛИ, «Бадний день и Божич в Сербии» А. Н. Церетели (Кн. А. Н. Церетелева)	143
Л. АХМЕДЗЯНОВА, О двух памятниках периода каджаров	154

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. БАРАМИДЗЕ, А. ГВАХАРИА, Действительность или мистификация?	169
А. ГАЦЕРЕЛИА, Запоздалый ответ	172

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

В комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	187
--	-----

პვეტიპ ისააკიანის დაბადების 100 წლისთავი

მომქ სომეხმა ხალხმა და მასთან ერთად მთელმა ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა თანამედროვეობის უდიდესი პოეტის ავეტიქ ისააკიანის (1875—1957) დაბადების 100 წლისთავი. ჰუმბარიტად სახალხო პოეტს მისმა ერმა სიცოცხლეშივე „ვარბეტი“ („დიდოსტატი“) უწოდა, რადგან ავეტიქ ისააკიანის პოეტური სული მზისკენ მიმავალ გზას უნათებდა მკითხველს, ბედნიერების ელვარე მზისკენ, რომლისკენაც ისწრაფის მარად „აბუ-ლაალა შაარის“ ქარაუანი, ნ. ბარათაშვილის მერნის კვალს გადევნებული, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული ეს პოემა პირველად თბილისში გამოქვეყნდა. ავეტიქ ისააკიანი დიდი და წრფელი მეგობარი იყო საქართველოსი, ქართული კულტურისა. ქართველი მწერლებისა, ეს სიყვარული აისახა მის შემოქმედებაში. ამ სიყვარულითვე უპასუხა ქართველმა ხალხმა დიდი პოეტს, საიუბილეო დღეებში გამოქვეყნდა ავეტიქ ისააკიანის პოეზიისა და პროზის ახალი თარგმანები, გამოკვლევები მისი შემოქმედების შესახებ, მის ხსოვნას მიეძღვნა სამეცნიერო სესიები. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა დიდი საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა, მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ქალაქის მშრომელებმა, სომეხი ხალხის წარმომადგენლებმა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ სიტყვას, რომელიც ამ საღამოზე წარმოთქვა შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა აკად. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა რ ა მ ი ძ ე მ.

ახალი სომხური პოეზიის დიდი ქურუმი, მისი საყოველთაოდ აღიარებული დედაბოძი და წინამძღვარი ავეტიქ ისააკიანი პირადად გავიცანი 1945 წლის სექტემბერში. ეს-ეს იყო დამთავრდა დიდი სამამულო ომი და ქვეყანა წყალულებს იშუშებდა, როცა სომეხმა ხალხმა მაშინდელი პირობების კვალობაზე სანაქებო ზეიმით აღნიშნა საიათნოვას დაბადების 150-ე წლისთავის იუბილე. სტუმრები ცოტანი იყვნენ. საქართველოს წარმომადგენლენ პოეტი იოსებ გრიშაშვილი, პროფესორი ლეონ მელიქსეთბეგი და ამ სიტყვის ავტორი. სწორედ საიათნოვას იუბილემ შემახვედრა სომეხთა სახელგანთქმული მგოსანთ მგოსანი.

ჩვენ საკუთარი თვალებით ვნახეთ და მოწამენი გავხდით იმისა, თუ რა სათუთი სიყვარულითა და თაყვანისცემის გრძნობით ეპყრობოდა მას მთელი სომხობა. დავესწარით ერთ სანადიმო თაყვარილობას. წვეულების მონაწილე რჩეული საზოგადოება (მწერლები, მეცნიერები, მუსიკოსები, მხატვრები, მოქანდაკენი, მსახიობნი, ხუროთმოძღვარნი), ყველა ნამდვილი კეთილმოწმუნე აღამიანის სასოებით, თავდახრილი უკოცნიდა პოეტს მარჯვენას. მასპინძლებს არც ჩვენ ჩამოვრჩით. ჩვენმა ამბორმა კი წამიერად თითქოს შეაკრთო მგოსანთ მთავარი, მაგრამ ანაზღვეულად მან თავისკენ მიგვიზიდა, ორივე მკლავი მოგვხვია და შუბლი დაგვიკოცნა. მე ასე მომეჩვენა — ორი მომქე ხალხი სიყვარულში გაუტყდა ერთიმეორეს და ნებისით თუ უნებლიეთ გამქლავებული ეს სიყვარული მხურვალე კოცნით დაავიროგვინა.



უფაქიზესი სულის პატრონი სომეხთა დიდი პოეტი-მოაზროვნე ექსტრემალური ნებულესი პოეტი-მოქალაქე, პოეტი-მამულიშვილი, რომლის უნატიფესი შემოქმედება უმხურვალესი პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ავეტიქ ისააკიანს გულს უსერავდა და სულს უმწარებდა სომეხი ხალხის ეროვნული და სოციალური წყლულის მძიმე სატკივარი. კაიკაცობისა და კაიპოეტობისათვის უღვთოდ დევნილი, უცხოეთში გარდაიხვეწა. ყარიბი და მიუსაფარი უკიდევანო ტანჯვით იტანდა სამშობლოს სევდის მოწოლილ ზაფრას.

აი, ასეთ კაცს და ასეთ პოეტს შეეძლო ნამდვილად ეგრძნო მისი ქვეყნისებრ მონობაში მყოფი სხვა ქვეყნის სიდუხჭირის საშინელება. ეროვნული და ინტერნაციონალური მომხიბლავი ბუნებრიობითა და უშუალობით არის შერწყმული ავეტიქ ისააკიანის ბრწყინვალე პოეზიაში. ამ პოეზიას ასბიოსნებს ხალხთა ძმობა-მეგობრობის დიდი რწმენა.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, ის არის სასიხარულო, რომ ავეტიქ ისააკიანი გულის კარნახით ქადაგებდა სომეხთა და ქართველთა ძმობის იდეას. თუანეს თუმანიანის მსგავსად იგიც მრავალგზის იმეორებდა, რომ ქართველებსა და სომეხებს კარის-კარ უცხოვრიათ ასეული წლების მანძილზე, ერთად უბრძოლიათ მოზღვავებული მტრების წინააღმდეგ, ერთად უტარებიათ ბარბაროსი აგრესორების კირთების ტვირთი და ერთადვე უგემებათ გამარჯვების საამო სიტკბოც. დიდი სომეხი პოეტი არ იფიწყებდა, რომ „გაჭირვების ყამს ქართველი ხალხი ძმურ დახმარებას უწევდა სომეხებს. მოძალებულ მტრებს გამოქცეული ლტოლვილი სომეხი მშრომელები თავშესაფარს პოულობდნენ საქართველოში“.

ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ ყარიბობიდან დაბრუნებული და საქართველოს გზით შინ მიმავალი პოეტის მდიდარმა შთაბეჭდილებამ შეაპირობა მისი ერთი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოების „ქართველი მგოსნის სიმღერის“ შექმნა. ამ მგზავრობის დროს ნახულითა და მოსმენილით მონუსხული პოეტის წარმოდგენებში გაცოცხლებულან გმირული სახეები შოთა რუსთველისა და ალექსანდრე ყაზბეგისა. მას გახსენებია „არწივისებური ყივილი ვაჟა-ფშაველასი“ და ბარათაშვილის ფაფარაშლილი მერნის ჭიხვიანი.

ავეტიქ ისააკიანს დიდ სიხარულს ჰგვრიდა მისი „აბუ-ლ-ალა-მარის“ ამეტყველება შოთას ენაზე. თვითონ ეს უბადლო შედეგით-შედეგით ხომ მისი უფროსი ქართველი პოეტი-მომძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შთავგონებამ დააწერინა. თბილი სიტყვებით იგონებდა ისააკიანი აკაკი წერეთლის სახელს. ფრიად შთაბეჭდავი, ღრმამინაარსიანი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა იგი ვეფხისტყაოსნის 750-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ფორუმზე 1937 წლის დეკემბერში (ამ სიტყვის ტექსტი გამოაქვეყნა მოსკოვის პრესამ). ავეტიქ ისააკიანმა ქართული პოეტური კულტურის ბევრი ჩინებული ძეგლი გადათარგმნა სომხურ ენაზე. ქართველობაც არ რჩება ვალში. ჩვენი ხალხი ღირსეულად აფასებს ისააკიანის მშვენიერ პოეზიას. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ რიგმა ჩვენმა სახელოვანმა საბჭოთა პოეტებმა ისააკიანის საკადრისი ძალით ააქლერეს ქართულ ენაზე მისი ლექსები.

ავეტიქ ისააკიანმა ზედამატებულად გამოხატა მისი მშობელი ხალხის წმინდა გულისთქმა და მსოფლიო პოეზიის საგანძურს საკუთარი წვლილი შემატა. მაღლიერი კაცობრიობა ვერ დავივიწყებს მის დიდებულ პოეტურ სიტყვას და საქმეს.

ვახტანგ VI-ის დაბადების 300 წლისთავი

შარვალიძე ონიანო

ვახტანგ VI-ის რუსთველოლოგიური ნააზრავი

„... მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია,
ერთი მე ასე მიგზვდი და მითქვამს...“

ვახტანგ VI

ვახტანგ VI ნიჭიერი მეფე-პოეტია, რომელმაც ჩვენი პოეზია გაამდიდრა ლირიკული შედევრებით. ამავე დროს ის იყო ქართული კულტურის დიდი მოღვაწე, სწავლული მეცნიერი და მოაზროვნე. 1703—1712 წლები, როდესაც ვახტანგი ქართლს განაგებდა, აღინიშნა ქართული კულტურის უჩვეულო აღმავლობით. ვახტანგის მიერ ჩამოყალიბებულმა სწავლულ კაცთა კომისიამ შეიმუშავა „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქცია. თვითონ მან გასწია დიდი საკოდფიკაციო მუშაობა. ასე შეიქმნა „ვახტანგის კანონები“, „დასტურ-ლამალი“. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ვახტანგ VI-ის მიერ თბილისში 1709 წელს დაარსებული პირველი ქართული სტამბა. სასულიერო ხასიათის წიგნებთან ერთად აქ დაიბეჭდა რუსთველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. ერთი სიტყვით, დროის მცირე მონაკვეთში ვახტანგ VI-მ ბევრი რამ შემატა ქართულ კულტურას, რომლის განვითარებაც შემდეგში მის მიერ გაკაფული გზით წარიმართა.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას, რაც მან განახორციელა 1712 წელს¹. ეს იყო ქართული კულტურის დიდი ზეიმი, რაც ასახულია ტექსტის ბოლოს მოთავსებულ ერთ ლექსში (გვ. სპვ):

დავსრულა ესე წიგნი ქორთიკონს უნსა სრულსა,
ყველაჟსა უხაროდა რიტორსა და კმა უსულსა.

გამოცემას ბოლოში ერთვის ვახტანგ მეფის მიერ დაწერილი „თარგმანი“ ანუ განმარტება „ვეფხისტყაოსნისა“. ეს არის პირველი მეცნიერული რუსთველოლოგიური ნაშრომი, რომელშიც ახლებურად არის გააზრებული თხზულების იდეური შინაარსი და განმარტებულია ცალკეული ადგილები სტროფების მიხედვით. თანამედროვენი მაღალი შეხედულებებისა ყოფილან ვახტანგის ნაშრომზე. „ეპიტაფიაში“ მისი ორიგინალური შემოქმედებიდან მხოლოდ „სამართლის წიგნი“ და „ვეფხისტყაოსნის თარგმანი“ დასახელებული:

„სამართლის წიგნი“ დავწერე, მსაჯულს არ უნდა ცილობა,
„ვეფხისტყაოსნის თარგმნობა“, სხვა წერილთ არ ვთქვა ცილობა².

¹ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა, აღდგენილი აკ. შანიძის მიერ, ტექსტი ციტირებულია ამ გამოცემით.

² ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის გამოცემა, 1947, გვ. 64. ელ. მეტრეველმა გიარკვია რომ ეს „ეპიტაფია“ ეყუთვნის არა თვითონ ვახტანგ VI-ს, არამედ გივი თუმანიშვილს (ელ. მეტრეველი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, თსუ შრომები, 43, 1951, გვ. 176—179).



„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა შესრულებულია მაღალ ტექსტოლოგიურ დონეზე. ის დღემდე ითვლება პოემის ერთ-ერთ საუკეთესო გამოცემად. ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ტექსტოლოგიური თვალსაზრისით მოწონებას იმსახურებს ვახტანგ მეფის „თარგმანიც“. „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ადგილები და სიტყვები მასში განმარტებულია კარგად. ა. შანიძე, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი, ერთგან პირდაპირ წერს: „ბევრი სიტყვა ვახტანგს ჩინებულად აქვს ახსნილი“³. ს. ცაიშვილის დაკვირვებით, ვახტანგის ნაშრომს გავლენა მოუხდენია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე⁴. ასე რომ, „თარგმანის“ ეს ღირსება ადრიდანვე ყოფილა შენიშნული და აღიარებული.

სხვა ვითარება გვაქვს საკუთრივ ვახტანგ VI-ის რუსთველოლოგიური ნააზრევის მიმართ. თარგმანის მიხედვით „ვეფხისტყაოსანი“ მიჩნეულია „საღმრთო და საერო“ ნაწარმოებად, რომელშიც „საღმრთო მიჯნურობა“ ასახული. ამით ის გათანაბრებულია სასულიერო ხასიათის ძეგლებთან. თავის დროზე ამას ძალიან აუღელვებია კლერიკალური საზოგადოება. უცდიათ პოემის ბეჭდური ცალების ფიზიკური განადგურებაც. მარი ბროსე არ იზიარებს ვახტანგ მეფის შეხედულებას და მის ნაშრომს ასეთ შეფასებას აძლევს: „... ვახტანგ მეფემ დააბეჭდვინა „ვეფხისტყაოსნის“ განმარტება, რომელიც ფრიად უშესაბამო და უხამსია. მავალ. სადაც რუსთველი ამიოკობას ჰსწერს, ვახტანგ მეფე თვისის განმარტებაში ამბობს რომ საღმრთო ტრფილებაზე უთქვამსო. ხოლო თვითელმა იცის რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზღაპარია და არა საღმრთო წერილი. აგრეთვე მრავლის მოქმედებასა ვეფხისტყაოსნისასა განჰმარტებს საღმრთოს წერილითა და სხვა“⁵. ასევე აკრიტიკებენ ვახტანგ VI-ის კონცეფციას ქრ. შარაშიძე⁶, ა. ბარამიძე⁷, ს. ყუბანეიშვილი⁸. ამასთან ერთად ისინი აღნიშნავენ ამ ხაზით ვახტანგის დიდ დამსახურებას და ცდილობენ სათანადო ახსნა მოუძებნონ მის შეხედულებას. ა. ბარამიძე წერს: „რასაკვირველია, ნაძალადევი და ხელოვნურია ვახტანგის „თარგმანის“ ძირითადი ხასიათი, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მაგრამ მხედველობიდან არ გამოგვეპაროს ის გარემოება, რომ ვახტანგს ამოძრავებდა კეთილშობილური სურვილი გადაერჩინა ვეფხისტყაოსანი კლერიკალურ-რეაქციული საზოგადოების დევნიდან“⁹.

ჩვენი აზრით, ვახტანგ მეფის რუსთველოლოგიური ნააზრევი ისევე თხოულობს დაკვირვებას. ამაზე სპეციალური ნაშრომი არ მოგვეპოვება. არ უარყოფთ ვახტანგის შეცდომებს, მაგრამ მასში პოზიტიური უფრო მეტია, რაც არ არის სათანადოდ აღნუსხული და დაფასებული. ვახტანგის ნაშრომი ახალი მოვლენაა „ვეფხისტყაოსნის“ შეფასებაში და მისი დამსახურება აქაც ისევე დიდია, როგორც თხზულების ტექსტის დადგენაში და კომენტირებაში. შევეცდებით ამის დასაბუთებას.

³ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი აკ. შანიძის მიერ, გვ. 367.

⁴ ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1966, გვ. 87—101.

⁵ ვეფხისტყაოსანი, 1941, სანკტ-პეტერბურლი, გვ. XII—XIII.

⁶ ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 143—148.

⁷ აღ. ბარამიძე, ნარკვევები, IV, 1964, გვ. 30—32.

⁸ ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 31—36.

⁹ აღ. ბარამიძე, დასახ. შრ., გვ. 32.

§ 1. ცალკეული რუსთველოლოგიური შეხედულებანი

„ეს ამბავი სპარსში არ არის“.

ვახტანგ VI

საინტერესოა ვახტანგ მეფის აზრი „ვეფხისტყაოსნის“ ამბის სადაურობაზე, აგრეთვე რუსთველისა და თამარის მიჯნურობაზე. განვიხილოთ ეს ორი საკითხი ცალ-ცალკე.

1. ამბის სადაურობა. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში რუსთველი ამბობს, რომ თხზულების ამბავი წარმოშობით სპარსულია (9,1—3)¹⁰:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
 ვით მარგალიტი ობოლი, ხელი-ხელ საგოგმანები,
 ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჰოგმანები.

ამასვე იმეორებენ ალორძინების ხანის მწერლებიც. თეიმურაზ I, „იოსებ-ზილიხანიანის“ შესავალში, გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს და აღნიშნავს, რომ ეს თხზულება რუსთველმა დაწერა თამარ მეფის ბრძანებით: „მეფეს ენება სპარსული თქმად ქართულისა ენითა“¹¹. რუსთველსაც სპარსული ამბავი გაუღეჭსავს: «იტყვის: „ვპოვეო ამბავი პირველ სპარსთაგან მბობითა“¹². ანალოგიური აზრი ჰქონია არჩილ მეფესაც. მისი სიტყვით, თეიმურაზ I და რუსთველი „სრულად იტყვიან უკლებად ამბავსა სპარსთა ნაქორსა“¹³; „ბევრი რამ თქვეს მათ ამბავი, გადალექსეს თარგმანებით“¹⁴.

განსხვავებული ვითარება ვაჟქვს ვახტანგ VI-სთან. ჩანს, სწავლული მეფე საგანგებოდ იყო დაინტერესებული „ვეფხისტყაოსნის“ ამბის პრობლემით, უძებნია ის კიდევ სპარსულ მწერლობაში. მისი აზრით, პოემის ამბავი არ არის სპარსული, არამედ ორიგინალურია, შეთხზული თვითონ რუსთველის მიერ. „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში ვახტანგ მეფე წერს: „ეს ამბავი სპარსში არ არის და სპართ კარგი მელექსეობა იცოდნენ და თამარ მეფე კარგი და ძალიანი კელმწიფე რომ იყო, ვითამ ეს მახედ მოინდომა: ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო, რომე ქართლშიაც არ იყოსო. და უბძანა მის მდივანს რუსთველს: ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო. აწ იმას ამბობს სპარსულის მიბაძვით, რადგან ათქმევინა თამარ მეფემ, რომ სპარსთაგან ვთარგმნეო. თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოვება. ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც იმისათვის უბნობს, რომ სპარსის ლექსის ბაძუდ რომ სთქვა სპარსული ამბავი ქართულად ვთარგმნეო“ (9, ივ, გვ. სყე-სყუ)¹⁵ სხვაგან: „... ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიცა“ (5, ე, გვა, სყა).

ვახტანგ მეფის მსჯელობა სავსებით ლოგიკურია და მეცნიერულად არგუმენტირებული: „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი სპარსულში არ დასტურდება. ამი-

¹⁰ ტექსტი ციტირებულია 1937 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით.

¹¹ თეიმურაზ I, თხზულებანი, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას გამოცემა, 1934, გვ. 62, სტრ. 20,1.

¹² იქვე, სტრ. 17,3.

¹³ არჩილიანი, II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, 1937, გვ. 5, სტრ. 37,4.

¹⁴ იქვე, გვ. 5, სტრ. 44,3.

¹⁵ პირველი ციფრი აკადემიური გამოცემის სტროფია, მეორე — ვახტანგის გამოცემისა.



ტომაც, ვახტანგის აზრით, არ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით გაგვიგონო რუსთველის სიტყვები: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“. სწავლული მეფე ცდილობს მას მოუძებნოს სათანადო ახსნა: რადგანაც „ვეფხისტყაოსანი“ სპარსული პოეზიის „მიბაძეითა“ შექმნილი, სპარსულ ყაიდაზეა დაწერილი, ამიტომაც განაცხადა რუსთველმა, ეს ამბავი სპარსულია, ქართულად თარგმნილი. სინამდვილეში პოემის ამბავი წარმოშობით ორიგინალურია და არა სპარსული. ეს შეხედულება ახალია და ვახტანგ მეფემდე არ გამოუთქვამს არავის ძველ ქართულ მწერლობაში.

ამისი აღნიშვნა საპიროდ მიგვაჩნია იმიტომაც, რომ არსებობს მ. მახათაძის სპეციალური ნაშრომი, რომელშიაც სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისია გატარებული. მისი აზრით, ვახტანგ VI-ს ახალი არაფერი უთქვამს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის ხაზით. ამგვარივე თვალსაზრისით ჰქონიათ აღორძინების ხანის სხვა მწერლებსაც¹⁶. ფაქტიური მონაცემები არ ამართლებენ ამას. მ. მახათაძე არ უწევს სათანადო ანგარიშს თეიმურაზ პირველისა და არჩილ მეფის პირდაპირ ცნობებს და უმთავრესად მსჯელობს სხვა მწერლებთან დაცულ ცნობებზე, რომლებშიც უშუალოდ „ვეფხისტყაოსნის“ ამბავზე არ არის საუბარი. ერთი წუთით დაუშვათ ასეთი ვითარება: როგორი იქნებოდა ჩვენს მაღლიერება თეიმურაზ პირველისა და არჩილის მიმართ, რომ მათ პირდაპირ ეთქვათ, „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი ორიგინალურია და სპარსულ მწერლობაში ის არ არის დაცული. ეს ბევრ გაუგებრობას ააცდენდა თავიდან რუსთველოლოგიას, რამდენადაც შემდეგში „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხი მტკივნეულ პრობლემად იქცა ჩვენს მეცნიერებაში. იყო ცდა ეს თხზულება სპარსული ენიდან თარგმნილ ნაწარმოებად გამოეცხადებინათ. ამის დასამტკიცებლად თეიმურაზ პირველისა და არჩილის ცნობებიც იყო გამოყენებული. ყველაფერი ეს კიდევ მეტ ფასს სძენს ვახტანგის ნააზრევს.

რამდენად დამაჯერებელია ვახტანგ VI-ის შეხედულება თანამედროვე რუსთველოლოგიის შუქზე? ნ. მარმა ერთ დროს სცადა დამტკიცებინა, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია სპარსული ენიდან. მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ის ეძებდა „ვეფხისტყაოსნის“ ამბავს სპარსულ მწერლობაში. მისმა შეიღმა იური მარმა ერთ-ერთ სპარსულ ჟურნალში დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი და სთხოვა მკითხველებს, ეცნობებინათ მსგავსი ამბავი თუ სადმე შეხვედრიათ მათ. პასუხი ერთი აღმოჩნდა მხოლოდ: „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი არ დასტურდება არც სპარსულ მწერლობაში და არც სპარსულ ზეპირსიტყვიერებაში. ყოველივე ამის გამო საესებით ბუნებრივია, რომ დღევანდელ რუსთველოლოგიაში არ არის გაზიარებული ნ. მარის თეორია. ა. ბარამიძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი შეუქმნია თვითონ შოთა რუსთველს. „სპარსული ამბის“ მომიზეზებით რუსთველმა გამოიყენა მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ხერხი — ს ი უ ე ტ უ რ ი შ ე ნ ი ლ ბ ვ ი ს ხ ე რ ხ ი, ს ი უ ე ტ ი ს ხ ე ლ ო ვ ე ნ უ რ ა დ გ ა უ ც ხ ო უ რ ე ბ ი ს ა თ უ გ ა უ ც ნ ა უ რ ე ბ ი ს ხ ე რ ხ ი¹⁷. ასეთია დღევანდელ რუსთველოლოგიაში დამკვიდრებული შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობაზე. ასე რომ.

16 მ. მახათაძე, ვახტანგის როლის განსაზღვრისათვის რუსთველმცოდნეობის ერთი საკითხის გაშუქებაში, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, 1955, XIV, გვ. 103—136.

17 აღ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, 1966, გვ. 68, ხაზგასმა ავტორისაა.

დღესაც შეგვიძლია გავიმეოროთ ვახტანგ მეფის სიტყვები: „ეს ამბავი ში არ არის...“, „ლექსიცი იმას გაუყვებია და ამბავიცა...“.

2. რუსთველისა და თამარ მეფის მიჯნურობა. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მიხედვით, რუსთველი გამიჯნურებული ყოფილა თამარ მეფეზე (8, 9, 10, 19). ამის შესახებ პირდაპირ ცნობებს გვაწვდიან ალორაქინების ხანის მწერლებიც. XV—XVI საუკუნის ავტორი, სერაპიონ საბაშვილი, „როსტომიანში“ ჩართულ ერთ „გაბაასებაში“ რუსთველს ათქმევინებს: „ამიკი ვარ თვალწარბისა ვინ სოფელი დააშენა“¹⁸. ამასვე გადმოგვცემს თეიმურაზ პირველიც. მისი სიტყვით, რუსთველს „სწვავდა სახმილი უშრეტი პირ-მზისა თამარ მეფისა“¹⁹. სხვაგან: „მიჯნური მიჯნურთ საქებრად დაჯდა, გლახ, ცრემლთა დენითა“²⁰.

რუსთველისა და თამარ მეფის მიჯნურობა ახლებურად გაუაზრებია ვახტანგ VI-ს. რუსთველი ამბობს (8):

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღ არი:
ვის შორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დავეუძღურდი მიჯნურთათვის კვლა წაშლი არსით არი,
ანუ მომცეს ჯანყურნება, ანუ მიწა მე სამარი.

ვახტანგ VI ასე განმარტავს ამ სტროფს: „ხამს ყმა პატრონის მიჯნური და ტრფიალი უნდა იყოს და სამსახურისათვის ასე ხელი უნდა იყოს, რომე მისის სამსახურისათვის თავს წასახდენად და სასიკვდილოდ არ ზარობდეს. აწ ამბობს მე რუსთველი ბატონის სამსახურისათვის რომ ხელი ვარ, იმან რომ უბრძანა ამის თქმას იმას ადებს, რომე ამისთვის ვიქ და ამისთვის არისო. თამარ მეფეს შორჩილებდა სპაცა და ჯარიცა და უბნობს იმის სამსახურისათვის ვხელობ და ვკვდებიო და მისის სამსახურის მიჯნურობით ესე ვერ გავმძღარვარ და ვერც რომელცა მმართველს ის მიმსახურებია და უმსახურობის უქლური ვარო. და წამალი არა მაქვს გავიკურნოო. ან ასრეთი სამსახური მიბრძანოს, რომე გამაძღოს იმ სამსახურმაო და ან მამკლასო. საჩივარსავით ასმენს და ამაში გავს რუსთველი შემძლე და კაი კაცი ყოფილა, რომე ძალიან სამსახურს სთხოვს“ (8, იე, გვ. სეფ).

ამგვარად, ვახტანგ VI-ის აზრით, რუსთველსა და თამარ მეფეს შორის რეალურ სიყვარულს არ ჰქონია ადგილი. დიდი პოეტი გამოხატავს მხოლოდ პატრონყმურ მოკრძალებასა და უსაზღვრო აღტაცებას თამარისადმი, რომელიც არ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით გავივით, როგორც რუსთველის სამიჯნურო გატაცება. ეს თვალსაზრისი ახალია და უპირისპირდება ალორაქინების ხანის ქართულ მწერლობაში გავრცელებულ შეხედულებას რუსთველისა და თამარის მიჯნურობის შესახებ. ასევე მსჯელობს თ. ბატონიშვილიც, რომელსაც აქ ეტყობა ვახტანგ VI-ის გავლენა: „რომელნიმე ვეფხისტყაოსნისა გამომძიებელნი იტყვიან და ჰგონებენ, რომელ რუსთველსა თამარ მეფისა მიჯნურობისა ვითომ სურვილი ჰქონია და არა თუ უპატიო მიჯნურობა და

¹⁸ შპ-ნამეს ქართული ვერსიები, II, სტრ. 3600.

¹⁹ თეიმურაზ I, თხზულებანი, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაქობიას გამოცემა, 1931, გვ. 62, სტრ. 19.

²⁰ იქვე, გვ. 62, სტრ. 20.



სურვილი, არამედ სურვილი ერთგულებისა, მონებისა და წმიდისა-სიყვარულისა და ამისთვის იტყვის ეს მიჯნურობა ძნელად მისაწვთომელი არისო²¹.

რუსთველისა და თამარ მეფის მიჯნურობის პრობლემა დღესაც სადავოა ჩვენს მეცნიერებაში და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვახტანგ VI-ის შეხედულება მართლდება თანამედროვე რუსთველოლოგიის მონაცემებითაც. ა. ბარამიძის სიტყვით. „ყოველად შეუძლებელია დავუშვათ, თითქო შოთა რუსთველი პროლოგში ლაპარაკობს, რეალურ მგრძობელობითს გატაცებაზე...“²²; შემდეგ: „ნამდვილად ეს არის პოეტის მზრით ამ პატრონის მიმართ გამოხატული დიდი მოკრძალება, თავიანთსემა და, მხოლოდ ამ კონტექსტით, დიდი სიყვარული“²³.

ჩვენი აზრით, ვახტანგ მეფის შეხედულებას რუსთველისა და თამარის მიჯნურობაზე ისეთივე ანგარიში უნდა გაეწიოს, როგორც მის მოსაზრებას ვეფხისტყაოსნის ამბის სადასტურობაზე.

§ 2. ვახტანგ მეფის „თარგმანი“ და „ვეფხისტყაოსნის“
ზნეობრივი მხარე

„სხვის ნათქვამს როგორც თარგმნით ყველა ეკადრება, მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გამოხს“.

ვახტანგ VI

კლერიკალური საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში ებრძოდა „ვეფხისტყაოსანს“, როგორც საერო ხასიათის ნაწარმოებს. ძველ ხელნაწერებში პოემას წამძღვარებული აქვს ერთი ნართაული სტროფი, რომელშიაც ის ასეა შეფასებული:

პირველ-თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
ვეფხობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ზორც-არსულად.
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად,
არას ვვარგებს საუკუნოს რა დღე იქნას აღსასრულად.

ჩვენი აზრით, ეს სტროფი წარმოშობით ძველია და დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით XIV საუკუნეში²⁴. შემდეგ საუკუნეებში „ვეფხისტყაოსანმა კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა, მაგრამ მის წინააღმდეგ იდეური ბრძოლა მაინც არ შეწყვეტილა. არჩილ მეფე თეიმურაზ პირველთან „გაბაასებაში“ რუსთველს ათქმევინებს: „თუმცა სჩხრეკენ ჩემს ლექსებსა, ვერ ჰპოვებენ ვერსად ნაყის“²⁵. აქედან ჩანს, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში იყვნენ ადამიანები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ ადგილებს საგანგებოდ „სჩხრეკდნენ“, რომ მასში ცუდი აზრები აღმოეჩინათ და ამით სახელი გაეტეხათ ნაწარმოებისათვის. ამგვარ საქმიანობას განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიუღია ვახტანგ მეფის დროს. მისი რუსთველოლოგიური ნაშრომი ამგვარი მწვავე იდეური ბრძოლის ატმოსფეროში შეიქმნა და მიმართუ-

21 თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის გამოცემა, 1960, გვ. 12.

22 ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, 1966, გვ. 55.

23 იქვე, გვ. 56.

24 შ. ო ნ ი ა ნ ი, ვეფხისტყაოსნის ერთი ნართაული სტროფის შესახებ, შოთა რუსთაველის საიუბილეო კრებული, 1966, გვ. 318—338.

25 არჩილიანი, II, სტრ. 200.

ლია „ვეფხისტყაოსნის“ გამყალბებელთა წინააღმდეგ. ამიტომ, სანამ უშუალოდ ვახტანგის ნაშრომის განხილვაზე გადავიდოდეთ, მანამ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გადმოვცეთ როგორი შეხედულება არსებობდა იმდროინდელ საზოგადოებაში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

ვახტანგ მეფე აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მანამდე სხვებსაც ჰქონიათ განმარტებული: „... მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია, ერთი მე ასე მიხვდი და მითქვამს“ (გვ. სპზ). ამ „თარგმანებს“ ჩვენს დრომდე არ მოუღწევიათ, მაგრამ ვახტანგის ნაშრომის მიხედვით შეგვიძლია ზოგადი წარმოდგენა შევიქმუთ მათზე. უპირველეს ყოვლისა ვახტანგი ტენდენციურობაში სდებს ბრალს წინა „მთარგმნელებს“. ისინი მხოლოდ ცუდს ეძებდნენ „ვეფხისტყაოსანში“ და კარგს ვერაფერს ვერ ამჩნევდნენ: „ზოგნი რაც კარგი და უწერიან, ამას არ უგდებთ ყურს და რაც გინდათ ისე თარგმნიან“ (1485, ჩუოე. გვ. ტნა); „ზოგიერთი რომ ავად თარგმნიოთ, რაც დაუწერია, ის დაისწავლოთ, ის სჯობს მრუდად თარგმნას“ (875, ყე, გვ. ტმდ). მაგრამ მთავარი მაინც ეს არ იყო. თხზულების „მრუდელ მთარგმნელებს“ ვეფხისტყაოსანი მდაბალი ზნეობის ნაწარმოებად მიუჩნევიათ და „სამეძაო“ გაუგიათ იგი. ვახტანგ მეფე ამას აღუშფოთებია და მისი შრომის შესავალიც ამით იწყება: „მე ვწერ ძმისწული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, გამგებელი ქართლისა, ვახტანგ, წიგნსა ამას ამისთვის: უცოდინართათა და სოფლის ნივთთა შემსქვალეითა სამეძაოდ სთარგმნიდნენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავევისა სამუშაოსა“ (გვ. სპვ). ვახტანგ მეფე არ აღნიშნავს სახელდებით ვინ იყვნენ „ვეფხისტყაოსნის“ ეს უღირსი „მთარგმნელები“, მაგრამ შეგვიძლია დავასკვნათ, ისინი კლერიკალურ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ. ეს საზოგადოება უპირისპირდებოდა ასე ნეგატიურად რუსთველს და თხზულებაში დადებითს არაფერს ხედავდა. ამგვარი თვალსაზრისია ასახული ნართალ სტროფში („პირველ თავი დასაწყისი...“). მის ავტორს რომ „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარები დაეწერა, ისიც ასეთივე შინაარსისა იქნებოდა.

ამგვარად, ვახტანგ მეფის დროს ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლას კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიუღია. მწერლობიდან მან მეცნიერებაში გადაინაცვლა. არსებობდა სპეციალური განმარტებანი თხზულებისა, რომლებშიც კლერიკალური თვალსაზრისი იყო გატარებული „ვეფხისტყაოსანზე“ და ის მიჩნეული იყო „სამეძაო“ ნაწარმოებად. საჭირო იყო ავტორიტეტული პიროვნება, რომელიც ბოლოს მოუღებდა ყოველივე ამას და მოახდენდა „ვეფხისტყაოსნის“ რეაბილიტაციას საზოგადოების თვალში. ასეთი პიროვნება აღმოჩნდა XVIII საუკუნის საქართველოში ვახტანგ VI-ის სახით, რომელიც მაშინ ქართლის გამგებელი იყო და უკვე მოპოვებული ჰქონდა საყოველთაო აღიარება.

როგორია ვახტანგ მეფის პოზიცია „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ და რით დაუპირისპირდა იგი კლერიკალურ თვალსაზრისს? ვახტანგის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ წმინდა ნაწარმოებია, „რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავევი“. მისთვის უეჭველია, რომ ბრძენი რუსთველი სულისათვის მავნე და „წარსაწყმედელ“ ნაწარმოებს არ დაწერდა: „აჲ მე ამისთვის დავშვერ, ეს ზომ ყოველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს, ესე ვითარი მეცნიერი კაცი არცა დაშვებოდა წარსაწყმედელად და რადგან ქრისტიანი იყო არცა აღუდგებოდა ესე ოდენსა ხანსა ამას წინ, რომელი იტყვის: „რომელმან

მიხედოს დედაკაცსა გულის თქმად“ და შემდგომითურთ“ (გვ. სპვ—სპზ). ვახტანგ მეფის მტკიცებით, თავისი ღრმა იდეური შინაარსით „ვეფხისტყაოსანი“ უტოლდება სასულიერო ხასიათის ძეგლებს. ამიტომაც მისი „სამეძაოდ თარგმნა“ დიდ მკრეხელობად უნდა ჩაითვალოს: „სხვის ნათქვამს როგორც სთარგმნით ყუელა ეკადრება, მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გამობს“ (გვ. სპზ). მკაცრად აკრიტიკებს ვახტანგი წინა „მთარგმნელებს“, რომელთაც „ვეფხისტყაოსნის“ სიღიადე ვერ შეუვნიათ თავიანთი „უტოლინარობით“. სწავლულ მეფეს თავის ზნეობრივ მოვალეობად მიუჩნევია „ვეფხისტყაოსნის“ დაცვა ასეთი უღირსი მთარგმნელებისაგან: „ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი გამს და ამად დაფვერ“ (გვ. სპვ). ამ მიზნით ვახტანგ VI-მ ბეჭდურად გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსანი“, დაურთო მას საკუთარი „თარგმანი“, რომელშიაც მეცნიერულად უარყოფილია კლერიკალური საზოგადოებას მიერ თხზულების მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება. ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ სრული რეაბილიტაცია.

ამგვარად, ვახტანგ მეფის მიდგომა „ვეფხისტყაოსნისადმი“ უაღრესად პოზიტიურია. ის არის მისთვის ყოველ მხრივ იდეალური ნაწარმოები. ეს მაშინ, როდესაც კლერიკალური საზოგადოება მასში „კარგს“ არაფერს ხედავდა და ის სულისათვის „არასასარგებლო“ თხზულებად მიიჩნდა. ამიტომაც ვახტანგ მეფის თვალსაზრისს „ვეფხისტყაოსანზე“ პირობითი შეიძლება საერთო თვალსაზრისი ვუწოდოთ, კლერიკალური თვალსაზრისის საპირისპიროდ. „ვეფხისტყაოსანი“ საერო ხასიათის ნაწარმოებია, ასახავს საერო პირთა ცხოვრებას, მათს იდეალებსა და მისწრაფებას. ამიტომაც ის საერო პირთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. თუ შეიძლება ასე ითქვას, ის მათთვის იქცა მეორე „სახარებად“. თუ ღრმად დავაკვირდებით ვახტანგის „თარგმანს“, დავრწმუნდებით, რომ მასში ამ შეხედულების თეორიული დასაბუთებაა მოცემული.

XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში ერთმანეთს მკვეთრად დაპირისპირებია „ვეფხისტყაოსანზე“ ორი თვალსაზრისი: კლერიკალური და საერო. ვახტანგ მეფის „თარგმანიც“ ამ იდეოლოგიური ბრძოლის ფონზე უნდა განვიხილოთ. მან განსაზღვრა „თარგმანის“ საერთო ხასიათი და მიზანდასახულობაც. სადავო იყო „ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსი და მისი რაობა: არის თუ არა ეს ნაწარმოები სასარგებლო და მისაღები ზნეობრივად და რელიგიური თვალსაზრისით? ამიტომაც არის რომ ვახტანგის ნაშრომში ეს საკითხებია წინა პლანზე წამოწეული. ტექსტის კომენტარებაც ამ ხაზითაა წარმართული. ის პოლემიკური ხასიათისაა, რამდენადაც იმდროინდელ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა იყო „ვეფხისტყაოსნის“ შეფასებაში. ყოველივე ამით ვახტანგის „თარგმანი“ განსხვავდება თეიმურაზ ბატონიშვილის ანალოგიური ნაშრომისაგან, რომელიც უფრო სრულია და შეიცავს პოემის მთელი ტექსტის განმარტებას²⁶. მისი მთავარი მიზანია ტექსტის გაგება-კომენტარება და არა „ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსის გარკვევა. გარდა ამისა თეიმურაზის კომენტარებში სრული აკადემიური სიმშვიდე სუფევს. ვახტანგ მეფის „თარგმანში“ პოლემიკის ქარიშხალია და ამითაც გვაგრძნობინებს, თუ რა მწვავედ იღვა „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები იმდროინდელ სა-

²⁶ თ. ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის გამოცემა, 1960.

ქართველოში. ეს ნაშრომი ამ მხრივაც საინტერესოა და იშვიათი მოვლენა ჩვენს მწერლობაში.

ვახტანგ მეფე თავის ნაშრომში საგანგებოდ ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ზნეობრივ მხარეს, რამდენადაც კლერიკალური საზოგადოება ამ თვალსაზრისით იწუნებდა მას. ვახტანგის აზრით, ეს თხზულება სასწავლო წიგნია და მაღალ ზნეობას ქადაგებს: „რუსთველის წიგნი სულ სასწავლებელი არის“... (247, სმე, გვ. ტკ). ეს რამდენიმეჯერ არის აღნიშნული. ავთანდილის ანდერძის განხილვისას ვახტანგი წერს: „აწ ამას იქით გასინჯეთ თუ ეს ანდერძი რა კაცის სასწავლოდ საღვთოდ თუ საეროდ როგორ თვითოს რიგით უსწავლებია და ეს საქმეები ზოგი საცოლქმროდ, ზოგი საკაცოდ, ზოგი სალაშქროდ და სანადიროდ ყოველი რიგები უსწავლებია“ (788, დე, გვ. ტლზ). „ვეფხისტყაოსანში“ ასახული წმინდა სიყვარული კლერიკალ „მთარგმნელებს“ „სამეძაოდ“ განუმარტავთ. ვახტანგ მეფე ამაზე აღშფოთებული შენიშნავს: „რუსთველის დროს ქალი ბატონობდა ამგვარი მეძაობის სიტყვა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწყენდა“ (გვ. სპზ). ამასთან დაკავშირებით ვახტანგს კომენტარებში საგანგებოდ აქვს განხილული ვეფხისტყაოსნის შესაფერისი ადგილები და დამაჯერებლად აქვს უარყოფილი ეს ბრალდება. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ფატმანი ავთანდილს უყვება ქაშნავიბრზე (1204, 3—4):

მე გლახ ვიყავ მისი ნეზეი, იგი იყო ჩემი ვატი.

კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნატი.

ვახტანგ მეფე ამას ურთავს ასეთ კომენტარს: „რუსთველისათვის ამ წიგნის დაწერა რომ საბოზრად დაგიწამებიათ, იმას საბოზრედ კი არ დაუწერია, ბოზებიცა და მისი მღევარიც ნამეტნავად გაულანძლავს, დედაკაცის ბოზობა სახელდობით დაუწერია და კაცის უგულობაც ისივ არის“ (1204, ჩრედ, გვ. ტმც). ვახტანგ მეფე საზგასმით აღნიშნავს ყველგან, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მაღალი ზნეობის ნაწარმოებია, რომელიც აგებულია ცოლ-ქმრულ სიყვარულზე: რუსთველი „ცოლ-ქმართ სიყვარულს ისწავლება“ (713, ლგ, გვ. ტლე); „რუსთველს ცოლ-ქმრობის სიყვარულზედ უთქვამს, არათუ მეძაობაზედ“ (1472, ჩუ ბ, გვ. ტნა); „ეს თავსაც დამოწერია და მოყვრობის რიგს და ცოლ-ქმრობის რიგებს ისწავლება. რაც რამ კარგი რამ არის, ყველგან მოუყვანია და ზნეობებს ისწავლება“ (139, რლც, გვ. ტბბ-ტიგ). ბევრგან არის ამაზე საუბარი და მაგალითების მოტანა ზედმეტად მიგვაჩნია.

შეგვიძლია დავასკვნათ: ვახტანგ მეფის თვალსაზრისი საცხებით დასაბუთებულია და უმკველი. „ვეფხისტყაოსანი“ მაღალი ზნეობის მატარებელი ნაწარმოებია. რუსთველი საგანგებოდ გვაფრთხილებს, რომ „მიჯნურობა“ და „სიძევა“ სხვადასხვაა, „შუა უძევეთ დიდი ზღვარი“ (24, 2—4). მათი „ერთმანეთში არევა“ არ შეიძლებოდა, მაგრამ კლერიკალ მთარგმნელებს ეს მაინც მოსეკლიათ. გასაგებია ვახტანგის აღშფოთებაც. ისმის კითხვა: რამდენად ახალია ვახტანგის შეხედულება თავისი დროისათვის? აქ ვახტანგი უპირისპირდება არა მარტო კლერიკალურ საზოგადოებას, არამედ რამდენადმე არჩილ მეფესაც.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს არჩილის ერთი განცხადება, რომელიც რამდენადმე მკრებელურია რუსთველის მიმართ. არჩილი მის მიერ გალექსილი „ვისრამიანის“ შესავალში ამბობს²⁷:

²⁷ არჩილიანი, I, გვ. 139, სტრ. 43.

რამინ სად ნახეს ჳაბუყთა ერთს სხვაზედ რომე კლებული?
 ან ვისს რით სჯობდა დარეჯან ზილიხან ეაბოზებული.

ა. ბარამიძე არჩილ მეფის სიტყვების გამო წერს: „... ყოველგვარი მოლოდინის წინააღმდეგ არჩილმა ერთ სიბრტყეზე დააყენა „ვისრამიანის“, „იოსებ-ზილიხანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები“²⁸. ჩვენ ეს გარემოება ამჯერად სხვა მხრივ გვინტერესებს: ვახტანგ მეფის შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ ზნეობრივ მხარეზე უფრო მაღალია, რაც აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში ვახტანგამდე არავის დაუსაბუთებია ასე მკვეთრად.

§ 3. ვიფხისტყაოსნის რაობა და იდეური შინაარსი

„... ზოგი ვინმე რომ იტყვის, რუსთველის ნათქვამში
 საღმრთო არა ურევია რა“, — მაშ ეს რა არის!.

ვახტანგ VI

რას წარმოადგენს ვეფხისტყაოსანი: ის საერო ხასიათის თხზულებაა მხოლოდ თუ ამასთან ერთად შეიცავს ღვთაებრივ სიბრძნესაც? ასე მღვარა ეს საკითხი ვახტანგ მეფის დროს. კლერიკალური საზოგადოების აზრით „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ საერო ძეგლია, მასში „საღმრთო არა ურევია რა“. ამიტომაც ის „არას გვარგებს საუკუნოს რა ღლე იქნას აღსასრულად“. ვახტანგ VI სხვანაირად სვამს „ვეფხისტყაოსნის“ რაობის პრობლემას. უპირველეს ყოვლისა ისიც აღიარებს თხზულების საერო ხასიათს. ამიტომაც აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მაღალი ამქვეყნიური იდეალების მატარებელია, ასახავს ცოლ-ქმრულ სიყვარულს. მაგრამ ეს ყველაფერი არ ამოწურავს თხზულების იდეურ შინაარსს. ამასთან ერთად ის შეიცავს ღვთაებრივ სიბრძნესაც, ღრმა რელიგიურ და ფილოსოფიურ აზრებს. ამის გამო „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგის ტერმინი რომ ეიხმართ, „საღმრთოც არის და საეროც“. განვიხილოთ უფრო კონკრეტულად ვახტანგის შეხედულება.

„ვეფხისტყაოსნის“ რაობის საკითხს ვახტანგ VI საგანგებოდ ეხება შრომის შესავალში. სწავლული მეფე ასე მსჯელობს: რუსთველი „ქრისტიანი“ იყო „ესე ვითარი მეცნიერი კაცი არცა დაშვრებოდა წარსაწყემდელად“ (გვ. სპვ). ამავე დროს ისიც თაქტია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არაა „ნათქვამი“ „წმიდათა წერილთაებრ“, განსხვავდება მათგან. რით უნდა ავხსნათ ეს? ვახტანგ მეფის აზრით, რუსთველმა ეს განგებ მოიმოქმედა, საერო თხზულება დაწერა იმისათვის, რომ მკითხველები უფრო დაეინტერესებინა. „უსწავლენი და უმეცარნი“ მასში მხოლოდ ქვეყნიურ ამბებს აღიქვამენ. რაც შეეხება „მეცნიერთ“, ისინი მას სხვანაირად შეხედავენ და მიხვდებიან, რომ სიმბოლურად მასში ღვთაებრივი სიბრძნეა ასახული. „თუ ცა ეთქუა წმიდათა წმიდათა წერილთაებრ, ვინ გაუშვებდა გრიგოლის და ოქროპირისა და სხვასა ესე ვითარსა და ამას შეიყვარებდა? აწ ამის მიზეზისათვის ესე თქვა: უსწავლელნი და უმეცარნი სოფლის საშუებულად სიბრძნედ შერაცხს და ამით სიხარულით შეიტკობს. ხოლო რომელნი არიან მეცნიერნი, სცნობენ ესრეთ ვითარ განიშარტვის და რომ არის სიბრძნისა და კეთილის ერთი დარგი და ამით ნამუშაკუარი სხვისებრ უქმად არ დარჩება“ (გვ. სპვ).

შესავლის ეს ადგილი ღრმა აზრის შემცველია. აქ არის ვახტანგ VI-ის ზოგადი შეხედულება „ვეფხისტყაოსანზე“ და მისი მეთოდით თხზულების გან-

²⁸ ალ. ბარამიძე, ნარკვევები, III, 1952, გვ. 21—22.

მარტებისა. ამიტომ აგრძელებს ის: „აწ ესე მისმინეთ, ვეფხისტყაოსანი მე ასე მითარგმნი ა...“. რას გულისხმობს ვახტანგ VI? თხზულებაში მარტო საერო ამბავი არ უნდა დაეინახოთ, მასში ჩვენ უნდა ამოვიკითხოთ ღრმა იდეური შინაარსი, ისეთივე ღვაებრივი სიბრძნე, როგორც სასულიერო ხასიათის ძეგლებშია. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიშველიოთ კომენტარებიც. „ვეფხისტყაოსნის“ ამბავთან დაკავშირებით ვახტანგი ამბობს: „რადგან საღმრთო ნახარომ არავინ კითხულობდა, სოფლიოს ზღაპარს უფრო წაიკითხავდნენ, სოფლიო ზღაპარი მოიგონა, მაგრამ ასეთი ზღაპარი არ უთქვამს რომ საცოდავი იყოს (32, ლბ, გვ. ტბ). ერთი სიტყვით, „სოფლიო ზღაპარი“ ანუ ამბავი ვეფხისტყაოსნისა მხოლოდ გარეგნული მხარეა მისი. მთავარია ამით გამოხატული სიბრძნე. ვახტანგ მეფის კომენტარებიც ამ პრინციპზეა აგებული: ის „ვეფხისტყაოსანში“ გამოყოფს „საერო“ სიბრძნეს და საღმრთო სიბრძნეს, თხზულების ორივე მხარეს ითვალისწინებს. „ვეფხისტყაოსანში“ ერთგან გადმოცემულია ავთანდილის გოდება თინათინის განშორების გამო (833—834). ვახტანგი ასეთ კომენტარს ურთავს: „ბევრჯერ მითქვამს, რუსთველს სადაც პირი მოუტრავს საღმრთო ყოფილა კარგი თუ საკაცო, ორივე დაუწერია: ზეით სასოწარკვეთილობა მოუყვანია, ახლა ისევ ზღაპარს მოყვა. ახლა ავთანდილს აჩივლებს სიყვარულობას. ასრე უთქვამს რუსთველს, გამსინჯველო კაცი გასინჯავს, თვარა გაუთინჯავს კაცს ცოლქმრობის საქმე ჰგონია“ (834, ყდ. გვ. ტმ3). ამგვარი მაგალითები ბევრია კომენტარებში, მხოლოდ ერთს დავიმოწმებთ. რუსთველი ავთანდილის პირით იძლევა მოყვრის იდეალს (703):

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
 გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად;
 კვლა მიჯნურსა მიჯნურობა, ჭირი უნდეს ჭირად ღიად,
 აჰა, მაქვსმეა უმისოსა ღზინი არმად, თავი ფლიდად.

ვახტანგ მეფე ასეთ კომენტარს ურთავს „კულავაც დამიწვრია ტარიელ და ავთანდილ ამბად უთქვამს თვარა მოყვრობას და ყოვლს სასწავლის ისწავლება. ეს საღმრთოთაც ითარგმნება და საეროთაც ასრე არის“ (103, ქვგ, გვ. გლდ).

ყოველივე ამაზე დამყარებით შეგვიძლია დავასკვნათ: ვახტანგ VI-ს აზრით „ვეფხისტყაოსანი“ არ არის მხოლოდ საერო ნაწარმოები, არამედ „საღმრთოც და საეროც“, ორივე ერთად. სწავლული მეფე-კომენტატორის ეს აზრი კარგად ამოუცვნია „ვეფხისტყაოსნის“ დამბეჭდავს „მესტამბე“ მიქელ დეკანოზიშვილს. გამოცემის ბოლოში დართულ ლექსში ის თხზულებას ასე ახასიათებს (გვ. სპე):


საღმრთოა და საეროცა ვისია აქვს სმენა ეულსა,
 უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს გონიერსა გულს
 უსრულსა.

როგორც ა. ბარამიძემ აღნიშნა, აქ მიქელი ემყარება ვახტანგის კომენტარებს²⁹.

რა შეიძლება ითქვას ვახტანგის კონცეფციასთან დაკავშირებით? ამჯერად არა გვაქვს საშუალება ის დაწვრილებით განვიხილოთ. ვეცდებით მოკ-

²⁹ ალ. ბარამიძე, ნარკვევები, 1964, IV, გვ. 22.

2. მაკენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 1



ლედ ზოგად ხაზებში წარმოვადგინოთ მისი ავ-კარგი. უპირველეს, ეს არის ორიგინალური თვალსაზრისი, დამყარებული „ვეფხისტყაოსნის“ ღრმა იდეურ შესწავლაზე. ვახტანგ მეფე მოგვიწოდებს — არ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ თხზულების ამბით, დავაკვირდეთ მის ძირითად იდეურ შინაარსს. რუსთველი საერო ამბის საშუალებით გვაწვდის დიდ რელიგიურ და ფალოსოფიურ სიბრძნეს, რაც თხზულების ალეგორიულ შინაარსშია და ცალკეულ აფორიზმებსა თუ ბრძნულ გამონათქვამებშია თავმოყრილი. ასე, მაგალითად, მოქმედება მაჰმადიანურ სამყაროშია, მაგრამ პოემაში აშკარად შეინიშნება ქრისტიანული რეალიები. ქრისტე „ვეფხისტყაოსანში“ არაა პირდაპირ დასახელებული, მაგრამ იგულისხმება. ამ ხაზით ვახტანგ მეფის კომენტარების ერთი ნაწილი უთუოდ მოწონებას იმსახურებს და დღესაც გაზიარებულია. დავიმოწმოთ რამდენიმე შემთხვევა:

1. ტარიელი ყვება (552, 1—2):

მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა,
 მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგევანდა არს აღვსებოდა.

ვახტანგი კომენტარში წერს: „აღვსება აღდგომა არის, ქართველის კაცის გულსათვის უთქვამს“ (552, ფმე, გვ. ტლა);

2. ავთანდილი მზეს ასე მიმართავს (836):

იტყვი: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
 ერთ-არსებისა ერთისა, მის უქამოსა ქამისად;
 ვის გმორჩილებენ ციერნი, ერთის იოტის წამისად,
 ბელსა ნუ მიცევი, მიაჯე შეყრამდის ჩემად და მისად!.

ვახტანგ მეფე წერს: „ერთ-არსებისაგან ერთი ხომ ქრისტე არის და ქრისტეს ეხვეწება და აქებს, ვისაც ციერნი ერთის წამის ყოფით გმორჩილებსო, მე ბელს ნუ მიქცეო და ჩემს ცოლს შემყარეო. აბა ქრისტიანი ფილოსოფოსი საბოზვრად ქრისტეს შეახვეწებს კელი მოუმართეო“ (836, ყკვ, გვ. ტმგ). ანალოგიური ვითარება გვაქვს სხვაგანაც. ავთანდილი განაგრძობს (837, 1—2):

ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი,
 მენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა ჯაჭვნი მამიან რკინანი.

ვახტანგ მეფე ასე განმარტავს: „ღვთის ხატად წინასწარ მეტყველნი და ფილოსოფოსნი ქრისტეს იტყვიან, იმას ახვეწებს ავთანდილს, რომე მიშველე რამეო და თინათინისა და იმის მოშორებებს შესჩივის. მე ხომ ამას ზევით ესეც საღმრთო მგონია, მაგრამ ყველას ამიტომ აღარ გამოვეკიდე, რომე ეგება ზოგიერთ კაცს ავად ჩამოერთმია“ (837, ყკვ, გვ. ტმგ). მანანა გიგინეი-შვილმა სპეციალურად შეისწავლა ეს ადგილები და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ რუსთველი აქ ქრისტეს გულისხმობს და იცნობს სპეციალურ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ შრომებს, რომლებშიც ქრისტე ვაიგივებულია მზესთან³⁰.

ამგვარი ქრისტიანული რეალიები შეიძლებოდა კიდევ მოგვეყვანა ვახტანგის კომენტარებიდან, მაგრამ არ მიგვაჩნია საჭიროდ. ვახტანგ მეფისა არ იყოს „ყველას... აღარ გამოვეკიდეთ“, არ გვინდა ეს ვინმემ ჩამოგვართვას

³⁰ მ. გიგინეი-შვილი, „მზიანი ღამე“ ვეფხისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, 1958, III, გვ. 40—65.

ტენდენციურობაში და ვახტანგ მეფისადმი მიკერძოებაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ ხაზით ვახტანგს მოეპოვება არა სწორი განმარტებანი, რომლებიც გაკრიტიკებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ მთაზე ამჯერად აღარ შევჩერდებით.

ცალკე უნდა განვიხილოთ ვახტანგ მეფის თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგზე. პროლოგი თეორიული ხასიათისაა, სადაც რუსთველი გადმოგვცემს თავის შეხედულებას ღმერთზე, პოეზიასა და მიჯნურობაზე. ამიტომაც „ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსის გასარკვევად პროლოგს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქ მოცემული ძირითადი თეორიული დებულებანი მხატვრულად არის ხორციშესხმული თვითონ პოემაში. ვახტანგ VI ამის გამო პროლოგით საგანგებოდ დაინტერესებულა, განუმარტავს ყველა, თანაც შედარებით უფრო ვრცლად და მეტი გულმოდგინებით. მისი აზრით, პროლოგი მთლიანად „საღმრთოა“, მასში რუსთველის მიერ განვითარებული მიჯნურობის თეორიაც მხოლოდ ღვთაებრივ სიყვარულს გულისხმობს. წარსულშიც და ახლაც ვახტანგის ეს შეხედულება კრიტიკის საგანი იყო ყოველთვის და არ იზიარებდნენ. სანამ უშუალოდ მის განხილვაზე გადავიდოდეთ, მანამ გვინდა წარმოვაჩინოთ: რა არის პოზიტიური ვახტანგ მეფის ნაზრები? სამეცნიერო ლიტერატურაში ამას არ აღნიშნავენ ხოლმე, კმაყოფილდებიან ვახტანგის თეორიის კრიტიკით.

ჩვენი აზრით, ვახტანგი ღრმად ჩასწვდა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის არსს. კერძოდ მან ახლებურად განმარტა „ვეფხისტყაოსნის“ ამბის სადასურობა, ავრეთვე რუსთველისა და თამარის მიჯნურობა. ამაზე უკვე გვქონდა საუბარი. ასევე გასაზიარებელია ვახტანგის კომენტარი შესავლის პირველ ორ სტროფზე, რომლებშიც ღმერთზე და ქვეყნის შექმნაზეა საუბარი. ვახტანგის ტერმინი რომ ვიხმაროთ, ეს ორი სტროფი „საღმრთოა“, დამყარებული ბიბლიურ წიგნებზე (1, 2, ა, ბ, გვ. სპე—სპთ). რუსთველი ღმერთს მიმართავს: „მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდილამდე გასატანისა“. აქ უთუოდ ღვთაებრივი სიყვარული იგულისხმება და ვახტანგის კომენტარი სავსებით მეცნიერულია. გარდა ამისა პროლოგში რუსთველი ერთგან აშკარად ღვთაებრივ სიყვარულზე ლაპარაკობს. ესენია: „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართ ზენათა“ (20); „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხედებიან“ (21). ვახტანგისეული განმარტება ამ სტროფებისა მისაღებია. ეს სტროფებიც „საღმრთოა“ (20—21, კზ—კც, გვ. ტ). დასასრულ რუსთველი პროლოგში იძლევა პოეზიის ღვთაებრივ გავებას (12, 1—2):

შიაობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,

საღმრთო საღმრთოდ გასავანი მსმენელთათვის დიდი მარგი.

ვახტანგის კომენტარი აქაც სწორია და დამაჯერებელი. მას სამართლიანად აქვს წინა პლანზე წამოწეული მისი „საღმრთო“ ხასიათი (12, ით, გვ. სუხ).

თავისი დროისათვის ყველაფერი ეს ახალი იყო და ძალზე მნიშვნელოვანიც. გავიხსენოთ ნართაული სტროფი კლერიალი ავტორისა („პირველ თავი დასაწყისი“). მისი პოლემიკური მახვილი უმთავრესად პროლოგისადმი მიმართული: ისაა „ნათქვამი სპარსულად“, არის „საერო“ ხასიათისა და „არას გვარგებს საუკუნოს“. ვახტანგის წინა მთარგმნელების აზრითაც თურმე „რუსთველის ნათქვამში საღმრთო არა ურევი არა“. ყოველივე ამას უპირისპირდება ვახტანგის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც პროლოგში ხაკ-

მაოდ ბევრია „საღმრთო“. ვახტანგი აქ მთელი თავით მალა დგას „ვეფხისტყაოსნის“ კლერიკალ „მთარგმნელებზე“, რომლებიც თხზულებაში ვერ ამხნევდნენ ვერაფერს კარგსა და „საღმრთოს“, თელიდნენ მას ანტიქრისტიანულ ნაწარმოებად. პროლოგის ეს სტროფები ასეა გაგებული დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაშიც და აქ ვახტანგ VI-ის დამსახურება უეჭველია. ამის აღნიშვნა საჭიროა და აუცილებელი.

ამავე დროს ვახტანგს არა სწორედ აქვს განმარტებული პროლოგის მთელი რიგი სტროფები, რომლებიც მიჯნურობის საკითხს შეეხება. დაეიმოწმოთ რამდენიმე. რუსთველი ჩამოთვლის რა უნდა ახასიათებდეს ნამდვილ მიჯნურს (23), ტექსტში აშკარად ამქვეყნიურ სიყვარულზეა საუბარი. ვახტანგის აზრით, ეს რუსთველს „...ს ა ე რ ო დ არ უთქვამს, ს ა მ დ დ ე ლ ო ს კ ა ც ზ ე დ უ თქვამს. ასე რომ, სამდღელო კაცი წირვის იარაღების გაწყობითა სულიერად ქცევითა და მადლით ერის კაცს ასრე უნდა ეჩვენოს, ტურფად და მზეებერ გაბრწყინვებული და სასუფეველის მიჯნურნიც ხომ სამღვდელონი არიან...“ (23, ც, გვ. სჟა—სებ); რუსთველი ამბობს (26. 1—2):

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:

დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა.

ვახტანგის განმარტებით „ე ს ე ც ს ა მ დ დ ე ლ ო ს ი ა“. ამ საქმეს მიჯნური მიჯნურობას ნუ უძახით, დღეს რომ სასუფეველის მიჯნური შეიქნათ ხვალ სოფლისა, და სოფლის სიყუარულით ხვალ მისი გაყრა დათმოთ...“ (26, ია, გვ. სჟვ). სინამდვილეში ყველაფერი ეს „საეროდ“ არის ნათქვამი და არა „სამღვდელოდ“, გულისხმობს ერისკაცებს და ამ ქვეყნიურ სიყვარულს. ვახტანგ VI ამტიკებს თითქოს აქაც ღვთაებრივ მიჯნურობაზეა საუბარი.

ვახტანგ VI-ეს ასევე აქვს განმარტებული „ვეფხისტყაოსნის“ მთელი რიგი სტროფები, რომლებშიც ამქვეყნიურ სიყვარულზეა საუბარი. კომენტატორი ცდილობს მათშიც ღვთაებრივი მიჯნურობა ამოიკითხოს. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა.

ვახტანგ VI-ის ეს განმარტებანი არ არის გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში. მათი კითხვისას უნებლიეთ გახსენდებათ თვითონ ვახტანგის სიტყვები: „მაგრამ თუ უნდა ესეც არ იყოს და ისე იყოს, თ ა რ გ მ ა ნ ი ზ ო მ ა ს რ ე ს ჯ ო ბ ს“ (გვ. სპვ). ჩანს, კლერიკალურ საზოგადოებას „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი და სამიჯნურო სტროფები ჰქონდა განსაკუთრებით ნიშანში ამოღებული და ამის მიხედვით ცდილობდა ის გამოეცხადებინა „სამეძაო“ ნაწარმოებად. ამიტომაც ვახტანგს მათ მიმართ განსაკუთრებული გულმოდგინება გამოუჩინია და ყველაფერი „საღმრთოდ“ განუმარტავს. ვინ იცის, შეიძლება იმ დროისათვის მართლაც ასეთი „თარგმანი სჯობდა“. ყოველ შემთხვევაში დღეს ამას სპეციალისტები უარყოფენ და ვახტანგს საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებენ.

ჩვენი აზრით, ვახტანგის კომენტარები ამ ხაზით ისევ თხოულობს სპეციალურ შესწავლას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კ. კეკელიძის ერთი დაკვირვება: აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში მან შენიშნა სუფისტური პოეზიის გავლენა, რომელშიაც ფიგურირებს ღვთაებრივი სიყვარულის იდეა: პოეტები ამქვეყნიურ სიყვარულს უმდერიან, მაგრამ ალევგორიულად ღვთაებრივ სიყვარულს გულისხმობენ. ვახტანგ მეფესაც მოეპოვება ამგვარი ლექსები. კ. კეკელიძე წერს: «Вахтанг до того был поглощен тео-

рий „аллегорической любви суфизма, что в своих достопримечательных комментариях, приложенных к первому (1712 года) изданию поэмы „Вепхвис-ткаосани“ это знаменитое произведение он провозгласил гимном „божественной любви“»³¹. ეს საკითხი უფრო ვრცლად აქვს განხილული ს. ცაიშვილს, რომელიც იზიარებს კ. კეკელიძის შეხედულებას³². ეს ფაქტი მხედველობაშია მისაღები. აქედან ჩანს, რომ ვახტანგ მეფის შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ ლეოთებრივ მიჯნურობაზე არ არის შედეგი მხოლოდ პოემის რეაბილიტაციისა. ამგვარი ვაგება მიჯნურობისა არსებობდა ვახტანგ მეფის დროის პოეზიაში. იმდროინდელი საზოგადოებისათვის ეს მისაღებიც იყო და მეცნიერულიც. ეს არის მთავარი და არსებითი. ვახტანგ მეფის თეორიამ პოზიტიური როლი შეასრულა თავისი დროისათვის და დღესაც ანგარიშგასაწევია.

რა შეიძლება ითქვას საბოლოოდ ვახტანგ მეფის რუსთველოლოგიურ კონცეფციის შესახებ? ვახტანგის „თარგმანი“ პოლემიკური ხასიათის ნაშრომია, რომელშიაც „ვეფხისტყაოსანზე“ კლერიკალური თვალსაზრისის საპირისპიროდ საგანგებოდ არის წინა პლანზე წამოწეული თხზულების „საღმრთო“ ხასიათი. ამ ხაზით მისი ზოგერთი განმარტება თუ ცალკეული შეხედულებანი ტენდენციურობის ბეჭედს ატარებს. და არ არის გასაზიარებელი. „ვეფხისტყაოსანი“ მთელი თავისი იდეური მიზანდასახულობითა და შინაარსით საერო ხასიათის ნაწარმოებია. მას ვერ გავუთანაბრებთ სასულიერო ძეგლებს, სასულიერო პირთათვის, ანუ „სამღვდელთათვის“, ის არაა განკუთვნილი. ეს უეჭველია. თვითონ ვახტანგ მეფეც ხაზგასმით აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ საერო ბუნებას. ჩვენი აზრით, ვახტანგის რუსთველოლოგიური კონცეფციის შეფასებისას ეს მაინც არ არის მთავარი. ვახტანგ მეფემ თავისი კომენტარებით დამაჩერებლად დაასაბუთა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ღრმა რელიგიური და ფილოსოფიური აზრების შემცველი ნაწარმოებია. მისი ავტორი „ქრისტიანი ფილოსოფოსია“, ქრისტიანული სარწმუნოების ნიადაგზე დგას და ქრისტიანულად აზროვნებს. თხზულებაში ვახტანგმა საკმაოდ გამოავლინა ქრისტიანული რეალიები, მის ცალკეულ ადგილებს პარალელები დაუძებნა ბიბლიურ წიგნებში თუ სხვა ქრისტიანულ ძეგლებში. ასე რომ, ვახტანგ მეფის კონცეფციით „ვეფხისტყაოსანი“ ზნეობრივადაც მისაღებია და რელიგიურადაც. ორივე შემთხვევაში ის ქრისტიანობის ნიადაგზე დგას და სასარგებლოა სულიერადაც და ხორციელადაც. შეიძლება ვედავით ვახტანგ მეფეს, მაგრამ ეს თვალსაზრისი სავსებით ლოგიკურია და მეცნიერული. თავისი დროის კვალობაზე მან ეს კარგად დაასაბუთა. ამავე დროს აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში ეს ახალი სიტყვა იყო. ვახტანგ მეფემდე „ვეფხისტყაოსნის“ რელიგიურ და ფილოსოფიურ მხარეს არ ექცეოდა ყურადღება. ის მიაჩნდა საერო ნაწარმოებად, რომელშიაც „საღმრთო“ ძალიან ცოტა რამ იყო. აქ ისევ არჩილ მეფე უნდა გავიხსენოთ. „გაბაასებაში“ თეიმურაზ I ასე მიმართავს რუსთველს: „ს ა ღ მ რ თ ო სწავლით ვერ ამიხვალ, საეროვე მოინახე“³³, „საღმრთოდ მაშინც უეჭველად შემიძლია შენი დანთქმა“³⁴. ამას რუსთველიც იზიარებს თავის პასუხში: „ს ა ღ მ რ თ ო შენთვის დაიჭირე და სა ე რ ო მე

31 კ. კეკელიძე, ეტიუდები, 1945, II, გვ. 285.

32 ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1966, გვ. 59—72.

33 არჩილიანი, II, სტრ. 131.

34 იქვე, სტრ. 146.



მიბოძე³⁵. ამგვარად, არჩილის მიხედვით, თეიმურაზ პირველის პოქსის-სტრო „სალმართო“, ვიდრე რუსთველისა. ვახტანგ მეფის თვალსაზრისი განსხვავებულია: მისთვის რუსთველი უაღრესად „სალმართო“ პოეტია. „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს ღრმა რელიგიურ და ფილოსოფიურ აზრებს.

ვახტანგ მეფის შეხედულებას არც ჩვენს დროში დაუკარგავს მნიშვნელობა. „ვეფხისტყაოსნის“ რელიგიურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა. სხვადასხვა დროს რუსთველი გამოაცხადეს მაჰმადიანად, მანიქეველად, სოლარული პაგანიზმის მიმდევრად და წარმართდაც. ეს თეორიები დაწვრილებით აქვს განხილული კ. კეკელიძეს. მისი სიტყვით: „აქ რალაც ვაუგებრობასთან უნდა გვქონდეს საქმე. თუ საქართველოს იმ დროინდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ და თან არ მოვიხილომეთ პოეტი რეალურ მშობლიურ ნიადავს მოვგლიჯოთ, კატეგორიულად უნდა ვთქვათ, რომ ის არ არის არც მაჰმადიანობის, არც მანიქეზმის, არც სოლარული პაგანიზმის მიმდევარი. ის ქრისტიანია“³⁶. ამის დასამტკიცებლად მას უხედა მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ პარალელები ბიბლიურ წიგნებთან“.

კ. კეკელიძე აქ აგრძელებს ვახტანგ მეფის ტრადიციას. თავის დროზე მანაც დამაჯერებლად დაასაბუთა „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანული ხასიათი.

§ 4. ვახტანგ მეფის ადგილი რუსთველოლოგიაში

ვახტანგ მეფე ახალი მოვლენაა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ისტორიაში. ვახტანგამდე რუსთველის შესახებ ცნობებს ეპოქობით მხოლოდ მხატვრულ მწერლობაში. ადგილი აქვს ტრადიციული ცნობების განმეორებას, გვხვდება ვეფხისტყაოსანზე ცალკეული აზრები და შეფასებანი. ვახტანგ VI არის პირველი, რომელმაც სპეციალური რუსთველოლოგიურა ნაშრომი დაგვიწერა და მთლიანად განიხილა ეს ნაწარმოები. ამით ვახტანგმა საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიურ მეცნიერებას, რუსთველი მხატვრული მწერლობიდან შემოიყვანა მეცნიერებაში. დღესაც სანიმუშოა ვახტანგის მიდგომა ტრადიციული ცნობებისადმი: ის კრიტიკულად უდგება მათ, ამოწმებს ფაქტებს და გამოთქვამს თავის დასაბუთებულ მოსაზრებებს. ასე გადაწყვიტა მან „ვეფხისტყაოსნის“ ამბის სადაურობის პრობლემა, რუსთველისა და თამარის მიჯნურობის საკითხი. ვახტანგ მეფე ახლის მაძიებელი მეცნიერია, უშუალოდ სწავლობს „ვეფხისტყაოსანს“, უარყოფს თამამად ტრადიციულ შეხედულებებს, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მათ. ერთი სიტყვით, ჩვენ წინაშეა ნამდვილი მეცნიერი-მკვლევარი, პირველი მეცნიერი-რუსთველოლოგი, რომელმაც ახალი გზები გახსნა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ხაზით და კეთილი მიმართულება მისცა მას.

ვახტანგ მეფემდე ძველ ქართულ მწერლობაში გასავალი ჰქონდა კლერიკალურ შეხედულებას „ვეფხისტყაოსანზე“. მოსწონდათ და აფასებდნენ მას, როგორც დიდ პოეტურ ქმნილებას, პოეზიის სწორუპოვარ ნიმუშს, მაგრამ შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ზნეობრივ მხარეს, თვითონ მის იდეურ შინაარსს. მიაჩნდათ რომ ის, როგორც საერო ნაწარმოები, სულისათვის უსარგებლო იყო. ეპიკვემ დაუყენებიათ „ვეფხისტ-

³⁵ არჩილიანი, II, 146.

³⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 194—195, ხაზგასმა ავტორისაა.

ტყაოსნის“ ზნეობრივი მხარეც და იმდენად გაკადნიერებულან, რომ ფრანკულ ბაში ასახული წმინდა სიყვარული „სამეძაოდ უთარგმნიათ“. ვახტანგ მეფე არის ერთადერთი და პირველი ძველ საქართველოში, რომელიც ენერგიულად აღუდგა წინ კლერიკალურ საზოგადოებას და მათ თვალსაზრისს დაუპირისპირა თავისი საერო თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსანზე“. თუ შეიძლება ასე ითქვას, მან მოწინააღმდეგე მისივე იარაღით დაამარცხა: „ვეფხისტყაოსანი“ შეისწავლა რელიგიური თვალსაზრისით და დაუმტკიცა მათ, რომ ის თავისი იდეური შინაარსით ღრმად ქრისტიანული ნაწარმოებია, ზნეობრივად წმინდა და მისაღები. მან იქმთ შეუტია კლერიკალ „მთარგმნელებს“, უწოდა მათ „უცოდინარნი“ და „უმეცარნი“. ერთი სიტყვით, ვახტანგმა „შეძლო მოეხდინა „ვეფხისტყაოსნის“ რეაბილიტაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა მისი ბეჭდურად გამოქვეყნება. თავისი დროისათვის ეს იყო დიდი მეცნიერული გმირობა. ვახტანგ მეფე აქ ნამდვილი რაინდია, განმარტოებით დგას, რომლის გვერდითაც ჩვენ ვერ დავაყენებთ მისი დროის ვერც ერთ მოღვაწეს. ვახტანგის „თარგმანს“ დიდი საზოგადოებრივი და მორალური მნიშვნელობა ჰქონდა XVIII საუკუნის საქართველოში.

ყველაფერი ეს საფუძველს ვეძლევეს დავასვენათ, რომ ვახტანგ მეფის რუსთველოლოგიური ნაზრევი ქართული მეცნიერული აზროვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე გამოვლინებაა. ამიტომაც ვერ გავიზიარებთ მ. ბროსეს მკაცრ შეფასებას. მისი სიტყვით, ვახტანგის ნაშრომი: „... ფრიად უშესაბამო და უხამსია“. სინამდვილეში ეს ნაშრომი თავისი დროისათვის „ფრიად შესაბამისი“ და კარგი იყო, მნიშვნელოვანი მოვლენა და ახალი სიტყვა რუსთველოლოგიაში. დღეს რუსთველოლოგია ახალ საფეხებზეა ასული. ამიტომაც გვაქვს უფლება დავუპირისპირდეთ ვახტანგ VI-ს, ვედაოთ და ვეკამათოთ რუსთველოლოგიურ საკითხებში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ამ ხაზით მისი დიდი დამსახურება. საჭიროა ვახტანგის ნაშრომის პოზიტიური მხარე წინა პლანზე იქნეს წამოწეული. ჩვენი ნაშრომიც ამას ისახავდა მიზნად.

„ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად ვახტანგ VI-ის რუსთველოლოგიური ნაზრევიც ცხარე პოლემიკისა და იდეური ბრძოლის საგნად ქცეულა ძველ საქართველოში. კლერიკალურმა საზოგადოებამ არ აპატია ვახტანგს მის წინააღმდეგ გამოლაშქრება და „ვეფხისტყაოსნის“ გათანაბრება სასულიერო ხასიათის წიგნებთან. მთავარეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილის პირით მან ასეთი მსჯავრი დასდო რუსთველს და მის პირველ მეცნიერ-კომენტატორს ვახტანგ VI-ს: რუსთველი „იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდის წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩუენსა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“³⁷. აქ უუკველად ვახტანგ VI იგულისხმება, რამდენადაც მას ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ „საღმრთოდ თარგმნა“. თვითონ ტიმოთე იმათი შემკვიდრეა, რომლებიც, ვახტანგ მეფის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „სამეძაოდ თარგმნიდნენ“ რუსთველის უკვდავ ქმნილებას, მასში „კარგს“ ვერაფერს ამჩნევდნენ და „მრუდედ“ ესმოდათ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი. კლერიკალური საზოგადოება არც ამით დაკმაყოფილებულა. მას უცდია ფიზიკურად გაენადგურებინა მთელი გამოცემა, რის გამოც „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ცა-

³⁷ ტ. გაბაშვილი, შიშოსვლა, ელ. მეტრეველის გამოცემა, 1956, გვ. 80.



ლებმა მცირე რაოდენობით მოაღწიეს. ზოგიერთ მათგანს აკლია კომენტარები. ასე რომ, იდეური ბრძოლის ნაკვალევი მათზეც არის აღბეჭდილი.

საბოლოო ჯამში ვახტანგ VI-მ ეს იდეური ბრძოლა მოიგო. იგი გამარჯვებული წარსდგა ისტორიის სამსჯავროს წინაშე. უკვალოდ გაქრნენ „ვეფხისტყაოსნის“ ავად მოსაგონარი „თარგმანები“, რომელთა გასაბათილებლადაც დაიწერა ვახტანგის ნაშრომი. ვერც შემდეგში გაბედა ვინმემ ამგვარი „უკადრარი“ რამ ეკადრებინა „ვეფხისტყაოსნისათვის“. ეს ვახტანგ VI-ის დიდი დამსახურებაა. მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება ვახტანგის მხარეს დადგა. გამოცემის ბოლოში მოთავსებული ლექსით „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა ნამდვილი ზეიმი იყო ქართული კულტურისა: „ყველაყასა უხაროდა რიტორსა და კმა უსრულსა“. ვახტანგ მეფის რუსთველოლოგიური ნააზრევი მთლიანად გაიზიარეს მამუკა ბარათაშვილმა, თეიმურაზ II-მ და დავით გურამიშვილმა. ასე, მაგალითად, მამუკა ბარათაშვილი პოეზიაზე მსჯელობის დროს რუსთველს საგანგებოდ გამოყოფს, იმეორებს ვახტანგის შეხედულებას: „... რუსთველს ცოლ-ქმრობის სიყვარულზე უთქვამს და სხვა მრავალი საღმრთოდ საერო სწავლება მოუყვანია, რომელსა მისი თარგმანი მეფეს რომ უბრძანებია, ის გამოაცხადებს“³⁸. ყოველივე ამის ფონზე შეიძლება დავიწყებას მივცეთ ტომოთე გაბაშვილის გაბოროტებული ნათქვამი.

ვახტანგ VI-ის „თარგმანი“ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ამასთან დაკავშირებით სიმბოლურია ერთი ფაქტი: 1937 წელს რუსთველის იუბილეს დღეებში ხელახლა დაიბეჭდა აღდგენილი სახით „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა. ეს საშვილიშვილო საქმე შეასრულა ა. შანიძემ. ამით ჩვენმა მეცნიერებამ მოახდინა ვახტანგისეული გამოცემის სრული რეაბილიტაცია. ეს ეხება არა მარტო მის ტექსტოლოგიურ მხარეს, არამედ საკუთრივ რუსთველოლოგიურ ნააზრევსაც, რომლის გამოც კლერიკალურმა საზოგადოებამ სცადა გამოცემის ფიზიკური განადგურება. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა მიეძღვნა რუსთველის იუბილეს. ამავე დროს ეს დაემთხვა ვახტანგ მეფის გარდაცვალების 200 წლისთავს, რომელიც ოფიციალურად არ აღნიშნულა. ჩვენი აზრით, ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენილი გამოცემა იყო ვახტანგ მეფის საიუბილეო საჩუქარიც. დღესაც, ვახტანგ VI-ის დაბადების 300 წლისთავზე, არ შეიძლება მადლიერებით არ მოვიხსენიოთ სწავლული მეფე-პოეტის დიდი დეაწლი რუსთველოლოგიის წინაშე.

³⁸ შ. ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გ. მიქაძის გამოცემა, 1969, გვ. 124.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
შ. რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტმა)

ლიელა თეთრუაშვილი

ბუნების არსის (ღმერთის) გაგებისათვის
ვაჟა-ფშაველასა და ახალგაზრდა გოეთეს ფილოსოფიურ
ლირიკაში

ბუნებისა თუ ღმერთის საკითხი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთი უძირითადესი პრობლემათაგანია, რითაც ქართველი გენიოსი ვ. ი. გოეთეს ენათესაება.

გოეთეს შემოქმედებაში, კერძოდ, მის ახალგაზრდობის დროინდელ ფილოსოფიურ ლირიკაში, მკვეთრად ვლინდება ჰაბუჯი გენიოსის მსოფლმხედველობრივი მრწამსი „hen kai pan“ („ერთია ყოველი“), რომელიც პოეტს სპინოზას, ხოლო თუ უფრო „შორს“ წაეალო, შუასაუკუნეობრივი ერესისა და ანტიკური, წარმართული ხანის მსოფლალქმის შემოქმედებით მიმდევრად გვივლენს: სპინოზას ცნობილი პანთეისტური დებულება „ბუნება ანუ ღმერთი“ გოეთეს პოეზიაში ორი ასპექტით იჩენს თავს: 1. ბუნება-ღვთაების ტოლსწორობის პრინციპად და 2. ღვთაება-ადამიანის სწორფრობის ტენდენციად.

სპინოზას პანთეისტური მოძღვრების არსებითი ნაკლოვანება ისაა, რომ ამ მოძღვრებაში ღვთაებასთან წილნაყარი, ნებისმიერი „მოდუსის“ (სულიერისა და უსულიოსიც, მათ შორის, რაც მთავარია, — ადამიანის) არსი გაუფასურებულია და „ინდივიდუალობის“ გრძნობა არ გააჩნია, ხოლო მისი სუბსტანცია, იგივე ღმერთი-ბუნება ერთ გაქვავებულ, „უსულ-უგულო“, უემოციო რამედაა წარმოდგენილი. გოეთეს შემოქმედებაში კი იგი (ეს „სუბსტანცია“) განხსნილია ლაიბნიცის მონადის „ნერვული“ თუ „მართოლვარე“ ხასიათით, შევსებულია მისთვის (მონადისათვის) დამახასიათებელი ე. წ. „ძალის პრინციპით“¹. და ამიტომაცაა, რომ ერთი მხრივ, გოეთეს ერესი იმით აღემატება სპინოზასას, რომ იგი ფილოსოფოსისაგან განსხვავებით ბუნება-ღვთაების სწორფრობით არ იზღუდება მხოლოდ და ღვთაება-ადამიანის ტოლსწორობასაც აღიარებს²; ხოლო, მეორე მხრივ, პოეტის ღვთაება „გონიერიკაა“ და „მგრძნობელიც“, სამყაროს კანონზომიერების მაორგანიზებელ-განმსახიერებელი უმკაცრესი ტირანიცა და გულმოწყალე, შორსმჭვრეტელი ტოლერანტიც.

თუ გოეთეს პანთეისტობა დღეს უკვე აღიარებულ მოვლენადაა ქცეული, ხოლო პოეტის აშკარად გამოკვეთილი სპინოზიზმი გოეთელოგიაში ერთ-ერთ

¹ Goethe, Dichtung und Wahrheit, Goethes Werke in 10 Bänden, II B, Weimar, 1962, გვ. 156.

² H. Lindner, Das Problem des Spinozismus im Schaffen Goethes und Herders Weimar, 1960, გვ. 129.

³ იხ. ჩვენი შრომა „სწორფრობისა“ და „მიმეზისის“ იდეისათვის გოეთეს „პრომეთეში“, თსუ შრომები, ტ. 8—9, თბილისი, 1974.



საფუძვლიან, არგუმენტირებულ ტენდენციადაა მიჩნეული, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში თან დაკავშირებით განსხვავებული ვითარებაა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში პანთეიზმის გაგებისათვის დღემდე ჩატარებული მუშაობის შესახებ ყველაზე საყუარდებო მოსაზრება გამოითქვა პროფ. გ. კიკნაძის⁴ და, მის კვალზედ, პროფ. ჯ. ჭუმბურიძის მიერ, თანაც ისე, რომ ამ მოსაზრების რადიკალური ხასიათი ვაჟას პანთეისტობის კატეგორიულ უარყოფაში შეღავნდება. ვაჟას თვალსაჩინო მკვლევრებმა პოეტის პანთეისტობის მომხრეთაგან 3 ძირითადი საკითხის გარკვევა-დასაბუთება მიიჩნიეს საჭიროდ.

პროფ. ჯ. ჭუმბურიძის აზრით (გ. კიკნაძის კვალზედ), „ამჟამად უკვე გარკვეულია, რომ ვაჟა არ არის პანთეისტი... ვინც ვაჟას პანთეისტობას აღიარებდა, მას უნდა დაესაბუთებინა“: 1. პიროვნული ღმერთის არსებობა ვაჟასთან, 2. ეთიკური პრობლემების უარყოფა მწერლის მიერ, რადგანაც ზემოთ ხსენებული მკვლევარნი მიიჩნევენ, რომ პანთეიზმისათვის, ვაჟასაგან განსხვავებით, მორალური კატეგორიები უცნობია (მისთვის კეთილ — ბოროტის ცნებები არ არსებობენ), 3. ინდივიდუალური სახის არარსებობა ვაჟასთან, რადგანაც მკვლევართა აზრით, „პანთეიზმი გულისხმობს, რომ ... ყოველი ცალკეული დაკარგულია ერთ მთლიანში, ... პანთეიზმისთვის საბედისწერო საკითხია, თუ როგორ არის შესაძლებელი საერთოდ ინდივიდუალური სახის არსებობა“⁵.

ვაჟას ცნობილ მკვლევართა ერთგვარი „ამხედრება“ პოეტის პანთეისტად გამოცხადების წინააღმდეგ მართებულად იმდენად გვესახება, რამდენადაც პანთეიზმის ისეთი გაგება, როგორც ვაჟა-ფშაველასთან დაკავშირებით გამოითქვა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში, მიაბიტურია და ვაჟასათვის შეუსაბამოც; ხოლო მკვლევართა კატეგორიული ტონი — ვაჟა-ფშაველას პანთეისტობის უარყოფისა ვფიქრობთ, მომდინარეობს პანთეიზმის იმ შეზღუდული, დუნე გაგებიდან, რომელიც არა მხოლოდ ჩვენს ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას ახასიათებს, არამედ უფრო ფართო „მასშტაბებისაა“, პოპულარული ხასიათისა უფროა, ვინემ შემოქმედებით-აკადემიური და ვაჟა-ფშაველასთან მისი „დაკავშირება“, მართლაცდა, ვერაფერი საქმეა. მაგრამ არსებობს პანთეიზმის სხვა გაგება, რომელსაც ერეტიკული თუ ფიზიომონისტური პანთეიზმი ითვალისწინებს და რომელიც გენიალურ შემოქმედთა „მრავალსულს აახლოებს“. მე-18 საუკუნეში იგი გამოვლინდა „გოეთესებურ პანთეიზმად“, რომელიც, ასე რომ ვთქვათ, „მომხადდა“ წარმართულ-ბერძნული მსოფლგაგების, შუასაუკუნეების ერეტიკოს-მისტიკოსთა შეხედულებებისა და სპინოზა-ლაიბნიცის ნაზრევთა შემოქმედებითი გარდაქმნა-გარდასახვით.

ფიზიომონისტურ-ერეტიკული პანთეიზმი, რომლის „დამფუძნებელი“ გერმანულ განმანათლებლურ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ აზროვნებაში ვ. ე. ლესინგი, ხოლო შემდგომ მის კვალზედ — ჰერდერ-გოეთე გახლდნენ, სწორედაც რომ ღრმა, მრავალსახოვანია და ვაჟასათვის შესაბამისიც, ისეთ პანთეიზმ-

⁴ გ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბილისი, 1957, გვ. 140.

⁵ ჯ. ჭუმბურიძე, ვაჟა რევოლუციამდელ ქართულ კრიტიკაში, ვაჟას კრებული, თბილისი, 1970, გვ. 18.



ისაგან განსხვავებით, რომელიც ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში ვაჟასთან დაკავშირებით.

რასაკვირველია, ვაჟას შემოქმედების წარმართულ-ერეტიკულ ხასიათზე თუ პანთეიზმზეც შეიძლება ლაპარაკი და მისტიკურობაზეც, მეტადრე ამ უკანასკნელზე ღირს ყურადღების გამახვილება, რაც ეგზომ შემტევი ტონით გაისმა ამ ბოლო ხანებში როგორც „გველის მკამელის“ ავტორთან მიმართებით, ისე „ფაუსტისა“ და „დივანის“ გენიალურ შემოქმედთან დაკავშირებით, მაგრამ ვაჟას „წარმართობა“ „პირველყოფილობას“ არ უნდა გულისხმობდეს, ერეტიკოსობა — ღვთაების ყოველგვარი გაგების უგულვებლყოფას, პანთეიზმი — ზნეობრივი „მე“-ს ანდა ინდივიდუალობის უარყოფას, ხოლო მისტიკა — მისტიციზმს, ანდა მარტოოდენ სულის გამოცხადებას ღვთაებრივად მატერიის საპირისპიროდ და მათ შორის იმგვარ შეუტირებელ, მტრულ დამოკიდებულებას, როგორც ეს სპირიტუალისტებსა თუ, გოეთეს გამოქმით, „სიტყვით განსწავლულებს“ (Wortgelehrten-ს) ესახებათ.

ამ თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველაზე შეიძლება იგივე ითქვას, რაც ო. ჯინორიამ თქვა გოეთეს მიმართ: „გოეთე უბრწყინვალესი წარმომადგენელია ე. წ. ფიზიომონისტური პანთეიზმისა, რომელიც თეომონისტურის საწინააღმდეგოდ, ღმერთში კი არ აქრობს სამყაროს თვითარსობას, არამედ, პირიქით, ბუნებაში „ხსნის“ ღმერთს; ღმერთად წოდებული ბუნების შემოქმედებით უნარსა თუ სასიცოცხლო ძალას აღიარებს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ მოვლენათა ერთიან სუბსტანციად“⁶.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ იმაში გვმართებს შეთანხმება, რომ ვაჟა-ფშაველას, ვითარცა ჭეშმარიტ ჰუმანისტს, შეუძლებელია პიროვნულ-ტრანსცენდენტური, — თუ დოგმატური რელიგიის, — ღმერთი სწამდეს, რამეთუ „ყოველი რელიგიის ერთი უმთავრესი, როგორც ანტიესთეტიკური, ისე პირველ რიგში ანტიჰუმანური, მანკი ისაა, რომ, როგორც ფრ. ენგელსმა აღნიშნა, მის „საკუთარ არსს ართმევს ადამიანს“, ანუ ღვთის თვისებად და კუთვნილებად აცხადებს იმ ჭეშმარიტად ადამიანურ შინაარსს, იმ იდეალურ სულისკვეთებებსა და უნარს, რომელნიც კაცობრიობას მის რეალურ-სოციალურ ყოფაში შებლაღვია თუ დაჰკლებია“⁸.

სამყარო-ბუნებაა ერთადერთი რეალობა, რომელიც ვაჟას „სწამს“ თავისი საილუმო „თავ-ბოლოთი“, „წესითა და რიგით“; თუ ღვთაება მიაჩნია „ღამბაღებლად“, „ციდამ ცა-ქვეყნის გამგელ“, მის მსგავსად და „ტოლ-სწო-

⁶ მხედველობაში გვაქვს ს. დანელიას წიგნის „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“ ძირითადი დებულება ვაჟას პანთეისტობის შესახებ და მის შემდეგ გამოქმეული მოსაზრებები, ოღონდ მ. კვესელავას გამოკლებით, რადგან იგი, ჩვენი აზრით, არსებითად სწორად წარმოვედგენს ვაჟას პანთეიზმის არსს. მ. კვესელავა, აღნიშნავს რა იმ ფაქტს, რომ რელიგიური შინაარსისაგან განთავისუფლებული ანუ სპინოზისტური პანთეიზმი ვაჟასა და გოეთეს მსოფლმხედვას მიესადაგება, ფაქტობრივად ჩვენში პირველია, რომელიც „გოეთესებულ პანთეიზმს“ შემოქმედებით მიმდევრად წარმოგვიდგენს ვაჟას. მაგრამ, ვფიქრობო, ერთგვარად იმასაც სჭირდება დაზუსტება, თუ თვით „რელიგიური შინაარსისაგან განთავისუფლებულ პანთეიზმსაი“ კი (ვთქვათ, სპინოზიზმს) რით განეხსენავა გოეთესა და მისი შემოქმედებითი თანამოაზრის — ვაჟას პანთეიზმი.

⁷ იხ. ო. ჯინორიას კომენტარი ე. ი. გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის საკუთარ თარგმანზე, ჟურნ. „ციცყარი“, 1974, № 9, გვ. 85.

⁸ იხ. ო. ჯინორიას შესავალი ნარკვევი წიგნში: დანტე ალიგიერი, ახალი ცხოვრება, თბილისი, 1967, გვ. 7. რა თქმა უნდა, ჩვენ საესეებით ვემბრობით პროფ. გ. კიყნაძის აზრს.



რად“ ესახება ბუნებაც, რომელიც გოეთეს ღვთაება-ბუნებისა თუ „სუბსტანციის“ მსგავსად „თავისთავს თუ სთხოვს, /სხვამ ან ვინ/ უნდა მიართვას ძღვენი“ და რომლისთვისაც „საყულო ჭერ არვის დაუჭერია“ (იხ. ლექსი „ქებათა-ქება“). აქ გავიხსენოთ გოეთეს გამონათქვამი იმაზე, რომ „ბუნებას თავისი არსებობა მისსავე თავში აქვს დაფუძნებული“; ანდა: სპინოზა სუბსტანციას უწოდებს „causa sui“-ს — „მიზეზს თავისი თავისას“. ვაჟა ქვეყნის დამდგენის წყალობად“ მიიჩნევს გაზაფხულის „ჩამოდგომას“ (ლექსი „ერთი რამ მინდა სათქმელად“); ამავე დროს „მთელი ბუნების ზნედ“ ესახება მას „გაზაფხულით ცვლა ზამთრისა“ (ლექსი „შემოდგომა“). ასევე: „დარჩომა ანუ სიკვდილი ეს ხომ ღვთიური წესია“ — წერს ერთი მხრივ ვაჟა¹⁰, ხოლო მეორე მხრივ „სოფლის წესად მიიჩნევს „სიცოცხლის გასაკვებად“ გაჩენილ სიკვდილს და ეს „ღვთიური წესი“ კი სხვაგან (ლექსი „რატომ მალეღვე არ მოკვდი“) ბუნების ზნედ, მის „უმსგავს-უბრალებელ“ კანონად ესახება მას.

ვაჟა თავის ლირიკაში, ისევე, როგორც მთელს შემოქმედებაში, აიგივებს და ერთურთს შეუნაცვლებს, ერთმანეთის მაგივრად „გამოიყენებს“ „ღვთიური წესის“, ღვთის „ნების“ ან „შეძლების“, „ქვეყნის დამდგენის წყალობისა“ და „ბუნების ზნის“, მისი „აუკარგის“ ცნებებს. სხვაგვარად, აქ გამოკვეთილია ბუნების თავისთავადობის აღიარება, „განგებისა“ თუ „ღვთაების“ ვაჟასეული გავებით ბუნების ცნების გამსჭვალვა, ანუ ბუნების ღმერთად მიჩნევა (იხ. მაგალითად, ლექსი „ქებათა-ქება“)¹¹. ვაჟა, თუმცა აღიარებს სამყარო-ბუნების ღვთაებისაგან გაჩენას, მაგრამ იგი იმგვარი შეუვალი, თავისთავადი ხასიათით აღბეჭდავს ბუნების არსს, რომ ძნელი სათქმელია, თითქოს გადაულახავ ზღვარს სდებდეს „გამჩენსა“ და „გაჩენილს“ შორის, ანდა ერთურთისაგან თვისობრივად განსხვავებულ ფენომენებად ესახებოდეს მას ღმერთი და ბუნება (ლექსი „ვიცანი, ღმერთო, სამყარო“).

ვაჟა წერს: „ამის მეტს ვერ თუ შესძლებდა, /ღმერთმა ინება იმითა, / დაგვლალოს, ოფლი გვადინოს, /მერე გაგვადლოს ძილითა, /რომ ბოლოს სიტკბო ვიგემოთ/ გამსჭვალულებმა ჰირითა“. მაგრამ ღვთაება-განგების ეს „ნება“ თუ,

იმის თაობაზე, რომ ვაჟა არც ანიმიზმისა და არც ანთროპომორფიზმის მიმდევარად არ შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო თუ საიდან იღებს სათავეს მისი შემოქმედების მიმართ ამგვარი „იზმების“ მიწერის შეცდომა, ამაზე მ. კვესელავს „ფაუსტურ პარადიგმებშიცაა“ აღნიშნული და აქ სიტყვას აღარ ვავაგრძელებთ.

¹⁰ ვ ა ჟ ა-უ შ ა ვ ე ლ ა, 5-ტომეული, ტ. I, 1961, გვ. 226.

¹¹ პროფ. ვ. კენაძის მიხედვით — „მართალია, ხანდახან ვაჟას შემოქმედებაშიც გამოდის ბუნება ისეთ შინაარსად, რომელიც ადვილად მიუთითებს იმაზე, რამაც ის თითქოს (!?—ლ. თ.) შექმნა, მაგრამ შექმნილის არსებობას ვაჟასთვის უკვე თავისი გამართლება გაანინია. რაკი ბუნება არსებობს, იგი არსებობს, როგორც შექმნილისაგან განსხვავებული საკუთარი შინაარსის მქონე სამყარო და ყოველ მის სახეს თავისთავადი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული“ (იხ. გ. კ. ი. ა. ძ. დ., დსახ. წიგნი, გვ. 114). ამ ნათქვამიდან ის მკლავდება, რომ ვაჟას შემოქმედების, მისი მსოფლმხედველობის „თავის პირველ, წმინდა უფლებებში აღდგენისათვის“ მკაცრად მებრძოლი მეცნიერი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტად „უხალისოდ იჭერს საქმეს ღმერთთან“, აშკარადაა „ბუნების მხარეზე“. ოღონდ, ვფიქრობთ, ის კია საჭირო, გაიკრევეს, თუ, ჭერ ერთი, რა არის ეს „უზენაესი“ ვაჟასთან, რამაც ბუნება „თითქოს შექმნა“, როგორია მიჯნის ხარისხი, დონე ამ „უზენაესსა“ და ბუნებას შორის; და, მეორეც, „განიხსნება“ თუ არა ვაჟას მსოფლმხედველობრივი არსი ბუნების მისეულ ცნებაში..

როგორც პოეტი ლექსის მომდევნო სტრიქონებში ამბობს, „სიწმინდის ჭურჭლის პირიდან წარმოდგენილი“ ეს ზნე ვაჟას „ამ წუთისოფლის თვისებად“ მიიჩნია; განიკდის რა კოსმოსურ უბედურებად სიკვდილსა თუ ნებისმიერ განადგურებას, „ღარაბაზთა და სრა-სასახლეების ნგრევას“, „ტურფად ნავები ბალების ვავერანებას“. „დღეს მოლხინარი ბალებების ცრემლთა ფრქვევას“, ერთი სიტყვით, წარმავლობას, ვაჟა იქვე დასძენს: „ასეა, ვიცი თუ კარგადა/ამ წუთისოფლის თვისება“. ხოლო ლექსში „მიწამ რა იცის“ ისეთივე შეფუთვობას ანიჭებს ვაჟა მიწის „ცოდნას“ თუ კანონს, როგორც „განგებისა“ და „ღმერთის“ ნებას, ანდა „წუთისოფლის თვისებას“. თანაც ამ ლექსის ფინალში გამოხატული საყვედური მიწის მიმართ ისეთივე ტონისაა, როგორცაც „ბუნების წესის“ ან ღვთის „ნების“ მიმართ იჩენს ვაჟა (იხ. ლექსის „ვიცანი, ღმერთო, სამყარო“, დასაწყისი) არცთუ შინაგანი ირონიისაგან თავისუფალი, „ჭირით გამსჭვალული“ ხმით... აქ ვაჟა იზიარებს ბუნების გოეთესეულ გაგებას. ბუნების არსი, გოეთეს მიხედვით, „ათასნაირ ტერმინსა და სახელწმინა შეფარული და მუდამ ერთი და იგივეა“¹²; „მიწის სულის“ არსი ისევე შენაცვლებია „ფაუსტში“ ღმერთისა თუ ბუნების არსს, როგორც ვაჟას ლექსებში წარმოგვიდგება „განგების ნება“ და „მისი თამაში“ ბუნების „უცვლელ-უბრალებელ წესად“, მიწის კანონად ანდა „ამ წუთისოფლის თვისებად“.

ამრიგად, ვაჟას ლირიკაში, ისევე როგორც მთელს შემოქმედებაში, გოეთეს პოეტური შემეკიდრეობის დარად, მართალია, სიტყვა „ღმერთი“ („უზენაესი“, „განგება“, „ქვეყნის დამდგენი“) მრავალჯერ იჩენს თავს, მაგრამ მის შინაარსად გვევლინება ბუნება-სამყარო, მისი „წესი და რიგი“, მკაცრად ობიექტური კანონზომიერება, ხოლო პიროვნული ღმერთისთვის ვაჟასთან ადგილი აღარ რჩება.

ამავე დროს ვაჟას ლირიკული გმირი ისევე აცხადებს ბუნების „თავ-ბოლოს“, „წესს“ „საიდუმლოებად“ („შენი წესი და თავ-ბოლო/საიდუმლობა მთელია“), როგორც მთავარ-ანგელოსი რაფაელი მიიჩნევს „ფაუსტში“ ღმერთისა თუ მზის ილუმალებას შეუცნობლად, როგორც ახალგაზრდა გოეთეს ლირიკულ გმირს ესახება ბუნების საიდუმლოთა „წაქითვა“ შეუძლებლად (იხ. ლექსი „მგზავრი“). მაგრამ ვაჟა, ისევე, როგორც გოეთე, რაკი ბუნება-ღმერთის ილუმალებას აღიარებს ანდა ბუნების, „ყოვლადობის“ (All), აღმნიშვნელ ტერმინად „ღმერთს“ გამოიყენებს, მისტიციზმის წარმომადგენლად როდი შეიძლება გამოცხადდეს ასე ხელალებით. აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ორივე შემოქმედი იზიარებს ცნობილი მისტიკოს-პანთეისტის — ი. ბოემეს ბედს, რომელზეც ასე თქვა ლ. ფოიერბახმა: „ბოემე მისტიკოსია, მაგრამ ისეთი მისტიკოსი, რომელიც ფხიზლად მისდევს გონებას, მისტიკოს-საზღვრებშივე ებრძვის მისტიციზმს. ბევრს იგი მარტოოდენ მისტიკოსად მიაჩნია და, ასე გასინჯეთ, რელიგიურ მეოცნებელად. ამიტომაცაა, რომ იგი ისეთი ადამიანების ხელში ხვდება, რომლებსაც ყველაზე ნაკლებ სურთ აზროვნებასთან დაიჭირონ საქმე და ბოემესაც თავიანთ თანასწორად წარმოადგენენ, რამეთუ არ ძალუძთ განასხვავონ შინაარსისაგან ფორმა, შინა-

¹² Goethe, Dië Natur, Goethes werke in zehn Bänden, B. 4; Weimar, 1862, გვ. 277.

განისაგან გარეგანი, მწერლის ნამდვილი არსისაგან მისი თავისებურება“ (შე-
მოქმედის მანერა — ლ. თ.)¹³.

ხოლო იქ, სადაც ვაჟა გვეუბნება, რომ იგი „ლაპარაკობდა ღმერთთანა“,
ქრისტესადმი, გოეთე რომ იტყოდა, „მოწიწებულ თაყვანებას“ იჩენს ან „სუ-
ლის უნარისადმი“, მისი უქცდავებისადმი რწმენითაა გამსჭვალული და „სამე-
ბას“ კი კეთილგანწყობით ასხენებს, ქართველი პოეტის თითქოსდა რელიგი-
ური შეხედულებანი მოგვაგონებენ ვ. ე. ლესინგის ფილოსოფიურ მემკვიდ-
რეობას, რომელშიც პ. რილას მართებული თქმით (და ეს ნათქვამი გოეთესაც
მეისადავება), „ჭეშმარიტი ქრისტიანობისათვის ზრუნვა მხოლოდ საბაბს წარ-
მოადგენს, რომლის უკან ჭეშმარიტი ფილოსოფიისათვის ზრუნვა იმალება“¹⁴.
ვაჟა ლესინგისა და გოეთეს მსგავსად სდებს თავს ქრისტიანობისა თუ მისი
ღმერთის სახელით ზნეობრივ იდეალებზე; მისთვის ღმერთი „რელიგიურ ხა-
ტად“ კი არაა აღსაქმელი, არამედ — მორალურ იდეადაა ქცეული და, ამდე-
ნად, ეთიკის, ფილოსოფიის სავანს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ორგზის
საგულისხმოა გოეთეს ნათქვამი ეკერმანთან 1832 წლის 11 მარტს. აქ აშკარაა,
რომ, ჯერ ერთი, ქრისტე პოეტის „მოწიწებულ თაყვანებას“ საგანია იმდენად,
რამდენადაც იგი მისთვის „ზნეობრიობის უმაღლესი პრინციპის ღვთაებრივი
განცხადებაა“, ხოლო, მეორეც, ამგვარ „თაყვანებას“ გოეთე, ვითარცა ჭეშმა-
რიტი წარმართი (ქრისტიანულ-დოგმატური რელიგიის მრწმენის საპირისპი-
როდ), ამჟღავნებს მზისადმიც, როგორც „წარმომქმენელი“ ძალისა თუ სიცოცხ-
ლის, ქმედების „ღვთაებრივი“ წყაროს მიმართ¹⁵.

პროფ. ვ. ჭუმბურიძის მიხედვით, ვაჟას პანთეისტად „გამოცხადებას“
ისიც უშლის ხელს, რომ პანთეიზმში ზნეობრივი პრინციპებია უარყოფილი.
ჩვენი აზრით კი, ამ დებულებას თუნდაც ის გარემოება ხდის დასაზუსტებელს,
რომ სპინოზას პანთეისტურ თხზულებას „ეთიკა“ ეწოდება, ხოლო ლესინგისა
და გოეთეს პანთეისტურად განწყობილი გმირები უაღრესად ეთიკურნი არიან
(ნათან ბრძენი და მისი შვილობილი რეჰა, ფაუსტი და ჰატემი). რა თქმა უნდა,
ეჭვის შეტანაც კი გაძნელებდა ვაჟას ლირიკულ გმირთა ზნეობრივ ამაღლე-
ბულობაში, მაგრამ ეს გარემოება კი არ გამორიცხავს, არამედ აძლიერებს ვა-
ჟას პანთეისტობას; თუკი რამ მოსწონდა გოეთეს სპინოზას „ეთიკიდან“ — ეს,
პირველ რიგში, ე. წ. „უანგარობის“ მკაცრად ზნეობრივი პრინციპი იყო, რო-
მელმაც „ღვთაებისადმი ინტელექტუალური სიყვარულის“ თეზისში იჩინა
თავი და რაც, ასე ვასინჯეთ, კანტის კატეგორიული იმპერატივის ცნებაზე მაღ-
ლაც კი დგას. ალბათ, ამ პრინციპის უღრმესად ეთიკური ხასიათი ჰქონდა
მხედველობაში ჭაბუკ გენიოსს, როცა კნებელს მისწერა: „ქ-ნ ფონ შტაინთან
ერთად სპინოზას „ეთიკას“ ვკითხულობ და ვგრძნობ, რომ მისი სული ჩემსაზე
ღრმაცაა და წმინდაც“. ხოლო „პოეზიასა და სიმართლეში“ ხომ პირდაპირ
წერს იგი: „არაჩვეულებრივი აღამიანი, რომელმაც ეგზომ დიდი გავლენა მო-
ახდინა ჩემზე და იმოქმედა ჩემი აზროვნების მანერაზე, სპინოზა იყო. ამაოდ
ვიცქირებოდი ირგვლივ, ჩემი უცნაური არსების განვითარების საშუალებათა
მძებნელი, როცა ბოლოს და ბოლოს ხელთ ჩამივარდა სპინოზას „ეთიკა“. რაც

¹³ Л. Фейербах. История философии, собр. соч. в 3 томах. т. 1. Москва, 1974, 83. 180.

¹⁴ P. Rilla. Lessing und sein Zeitalter. Berlin, 1960, 83. 357.

¹⁵ „Goethes Gespräche mit Eckermann“. Berlin, 1955, 83. 661.



მე იქიდან ამოვიკითხე, ან შიგ ჩავუმატე საკუთარი არსებიდან, ამისი ანგარიშის მიცემას ვერ შევიძლებდი საკუთარი თავისადმი, მაგრამ ვიგრძენი, რომ მასში ვპოვე ჩემთა ვნებათა დამამშვიდებელი რამ და ჩემს წინაშე გადაიშალა ახალი, ნათელი, დიდი სანახაობა გრძნობიერი და ზნეობრივი სამყაროსი¹⁶.

ხოლო რაც შეეხება პროფ. ჯ. ჭუმბურიძის აზრს იმის შესახებ, რომ პანთეიზმისთვის „კეთილისა და ბოროტის ცნებები არ არსებობენ“ და ამდენად არც ვაჟა მიიჩნევა პანთეისტად, აქ ასე ვიტყვოდით: ჯერ ერთი, ი. ბოემეს ფილოსოფიურ მოძღვრებაშიც კი აშკარაა კეთილ-ბოროტის ცნებათა არსებობაც და მათი გამიჯნვაც¹⁷; მეორეც და რაც მთავარია, გამიჯნვაცა და გამიჯნვაც. ვფიქრობთ, ვაჟა გოეთესებურად გამიჯნავს ამ კეთილ-ბოროტს: გოეთეს მსგავსად, მას სამყაროსა თუ ბუნების „მამოძრავებელ“ ორ პოლუსად მიაჩნია დაპირისპირებული ძალები და წარმოუდგენლად ესახება სიცოცხლისა და სიკვდილის, სიკეთისა და ბოროტების, „ავისა და კარგის“, „ავსულისა“ და „კაი ყმის“ უერთმანეთად არსებობა. და ამ დაპირისპირებულობაში ხედავს ქართული გენიოსი „ბუნების ზნესა“ თუ „ქვეყნის დამდგენის წყალობას“ ანდა „ღვთიურ წესს“. სათნოება ვაჟასთან მეტად რელატიური ცნებაა ანუ იგი ბუნება-ღვთაების „ზნის“ ისეთივე დამოუკიდებელი „აქტიუბუტია“, როგორც ბოროტება და ამავე დროს ეს არც ერთ შემთხვევაში იმას არ ნიშნავს, თითქმის პოეტის სწრაფვა სიკეთისაკენ არ იყოს მიმართული, ანდა კაი ყმის აპოლოგეტი არ იყოს იგი... პირიქით, ვაჟას მორალურ „მე“-ს თავისივე განცხადება გამოხატავს, რაც გენიალური შემოქმედის მრწამსადაც გვევლინება: „სანამ ცოცხალ ვარ/გულში მაქვს, კეთილსა ვყვანდე ზიარად“. ოღონდ ესეცა: ვაჟას ამ „სიკეთის“ მიმპულსირებელ ძალად ესახება ბოროტება, იგია მისთვის ბიძგი თუ ერთგვარად „გამომწვევი“ ფენომენი, რათა მასთან ჭიდილში დიხაც უფრო აფხიზლოს გონება და გამობრძმედოს თავისი „კაი ყმობა“. ის კი არადა, ვაჟას ლირიკული გმირი თავს ბედნიერად მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა „შეძრწუნებულ-შეწუნებულთა“ (იხ. ლექსი „ჩემი ვედრება“ — „გულს დარდი გამიღიადე/იმ სანეტარო საგანზე“ და ა. შ.). გოეთეს მიაჩნია, რომ ბუნება „უფსკრულს თხრის ყველა არსებას შორის და აი, ყველას სწადია, ერთ-ერთს გადაეჭდოს, მან ყოველივე განაცალკევა, რათა ისევ ერთად შეეკრა“. ვაჟასთან ბუნება „საცა პირიშუეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა“... სამყაროში „ღვთიან გრძნობად“ გაღვრილ სიყვარულს ყოველივე ერთმანეთთან დაუკავშირებია, ერთმანეთზე გაუბატონებია თუ ერთმანეთისთვის დაუმონებია (ლექსი „ღამე მთაში“ — „ხევი მთას ჰმონებს/მთა-ხევისა“ და ა. შ.). ახალგაზრდა გოეთეს მიაჩნია, რომ „სიკვდილი ფანდია ბუნებისა, რათა სიცოცხლე ამრავლოს“. ასევე წერს ვაჟაც: „სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს/ეს მიტომ დადვა წესადა/სიკვდილი გაუჩენია/მას თავის გასაკვებადა“ („სოფლისა წესი

16 Dichtung und Wahrheit (იხ. გოეთეს 10 ტომეულიდან ზემოთ ციტირებული II ტ., გვ. 180).

17 ასე მაგალითად, ბოემე წერს: „საჭიროა ყოველმა კაცმა იცოდეს, რომ თითოეული საგანი შედგება „კი“ და „არასაგან“ — ღვთაებრივნი არიან ისინი, ეშმაკეულნი, მიწისანი თუ სხვათა. „კი“ — წმინდა ძალაა და სიცოცხლე. იგია ქეშმარტება ღვთისა თუ თავად ღმერთი. მაგრამ იგი შეუმეცნებელი დარჩებოდა და მნიშვნელობას იქნებოდა მოკლებული „არას“ გარეშე. „ეშმაკი“ ბუნების მართლია, ურომლისოდაც ყველაფერი უკემურ ფაფას დაემსგავსებოდა“ ამავე დროს, ასეთ თავისთავადობას რომ მიაწერს ბოროტებას პრინციპს, ბოემე იმასაც აღნიშნავს, რომ ღმერთსა თუ ბუნებაში ბოროტების პრინციპი სიკეთის პრინციპად იქცევა, რამეთუ ბოროტება სიცოცხლისა და სინათლის მიზეზიაო.

ასეა“); ანდა: „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო/სიცოცხლე ჰშვენობს შენითა/და შენც, სიკვდილო, ფასი გძე/სიცოცხლის ნაწყენობითა“. ახალგაზრდა გოეთე წერს: „იგი (ბუნება. — ლ. თ.) მტკიცეა, მისი ნაბიჯი კანონზომიერია, გამო-ნაკლისი — უიშვიათესი, კანონი — უცვლელი... მან ჩამაყენა ცხოვრებას შუა-გულში და ის გამიტანს, მას ვენდობი და მან მიბრძანოს“. ვაჟას იმგვარ „მბრძანებლად“ მიაჩნია ბუნება, რომელიც საკუთარსავე კანონებს მონებს, იგია შავი და თეთრი საქმის ერთობიად მტვირთველობის საფანე, „სიკეთის მხვეპელიც“ და „ავის მქმნელიც“ („ღამე მთაში“), ვაჟასაც გოეთეს დარად ესახება, რომ „ბუნებას თავის წესი აქვს/ყველა მას დაემონება“ („ვაზაფხულის სურათები“). იგი მუდმივი წინააღმდეგობის ასპარეზად მიიჩნევს სამყაროს და გარ-დუვალად თვლის დაპირისპირებულ ძალთა არსებობას. „მანცდამაინც ბუ-ნებას ხომ სიკვდილ-სიცოცხლე ერთნაირად უყვარს და ორივე მის ხელთ არის“, — წერს პოეტი; ასევე: „მადლსა მადლდა ვინ მიიჩნევდა/რომ არ გვაქ-ლევედეს პირად ზიანსა“ (ლექსი „ვიწვები, გარსა ცეცხლი მარტყია“); ანდა: „სიტყბოს რა დალევს ქვეყანა/მანამა სუფევს მწარია“ და ა. შ. (ლექსი „ქე-ბათა-ქება“). გოეთესთან ბუნება ვერაგია, მაგრამ „კეთილი მიზნისკენა მისი ვერაგობა მიმართული“. იგია ნგრევა-ქმნადობის ასპარეზი, მაგრამ მისი სი-დიადეც სწორედ მისივე პრინციპშია. ამიტომ წერს გოეთე: „დიდება მას (ბუ-ნებას. — ლ. თ.) ყველა მისი ქმნილების სახით“. ვაჟაც მსგავსად აღნიშნავს: „რასაც კი აწყობს, ან ჰპლის ბუნება/ყველა კარგია, ყველა ტურფაა“. და ამავე დროს ბუნებაში არსებული კანონზომიერების შემგარჩნობი, იგი მადლს აღავლენს ღვთაებისადმი: „მადლი შენ, ყველა ერთმანეთს/უფალო, დაუმონ-ვია“. გოეთესათვის ბუნება-ღვთაება დაუსაბამოა და „მარად-აღმოცენებადი“ (ewig keimende); ასევე არა აქვს ვაჟას ღვთაებას ბოლო, არც დასასრული, მთების უსაზღვრო, დაუსაბამო ლოდინის დარად... გოეთე „ბუნების დაუშრე-ტელ ნაყოფიერებას“ უწოდებს „თავის ღმერთს“. ვაჟას მათებს „ღვთიანი გრძნობა“ უდღუღთ გულში, ხოლო ბუნების ძუძუ-მკერდს არც როდის „ელევა რძე“ (ლექსი „ქებათა-ქება“ — „ბუნებავ, მინდა, რომ ვითხრა/არ ახალია, ძე-ლია“ და ა. შ.). აქ ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ე. წ. „სიკეთის განმართლების“ მეტაფიზიკური იდეა, რომელიც ვაჟას შემოქმედებაში ბუნების „იდეალურ პერსპექტივად“ იქნა მიჩნეული, თუ პოეტის მსოფლმხედველობის დიალექ-ტიკურ ხასიათს მივიღებთ მხედველობაში, ისევე არ შეიძლება რაღაც „სას-რულად“, „საბოლოო მიზნად“ მივიჩნიოთ, როგორც არც გოეთეს „მშვენიერი წამია“ სამყაროს არსებობის „ბოლო-მომენტად“ გასააზრებელი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ აღარც გოეთეს შემოქმედებითი მრწამსი იქნებოდა „დაპირის-პირება და ზეადსვლა („Polarität und Steigerung“) და აღარც ვაჟა მიიჩნე-და ბუნების „უცვლელ-უბრალებელ წესად“ სიცოცხლის სიკვდილით ცვლას. ხოლო რაც შეეხება განცხადებას, რომ „ბუნების ფიზიკური არსებობა, ბუნე-ბის კანონთა ერთობლიობა“ არ წარმოადგენს ვაჟასათვის „ქეშმარიტ ყო-ფას“¹⁸, იგი პოეტისათვის ღრმად უცხოდ გვესახება. ეს რომ ასე იყოს და ვაჟას თავად ბუნების ავ-კარგი არ ესახებოდეს „ქეშმარიტ ყოფად“ და მისა-ლებად, თვით მის პრინციპს არ მიიჩნევდეს ტრაგიკულად და ე. ი. ამაღლებუ-ლადაც, მაშინ ვერც ასე იტყოდა: „მონა ვარ, მონა ბუნების/თავი არა მაქვს დავისა“; ანდა: „რაც უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კა-

18 ზ. გამსახურდიას, პერსი ბიში შელის ლირია, „ცისკარი“, 1973, № 2, გვ. 140.

ცობრიობის ცხოვრებამ, მასში მაინც უნდა ჩანდეს ისევ ბუნება სწორედ... ჩვენ ბუნებაში ვართ და იგი ჩვენშია. საიდან, როგორ შეგვიძლია იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავეჭვოვებთ, დავემალნეთ? ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიც... .. მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს“. ხოლო ამ „წესად და რიგად“ პოეტს სწორედ ის „უბრალებელ-უცვლელი“ კანონი ესახება, რომლის ძალითაც, ვაჟას პერიფრაზით თუ ვიტყვი, ბუნება „სხვას ვერაფერს შეიძენს/მის მეტს, რაც შეუძენია/; რაც აბადია, მხოლოდ მის/უნდა უცვალოს ფერია“ („ქებათა-ქება“). ხოლო როცა ზ. გამსახურდია აღნიშნავს, რომ „ეს ყოველივე (ბუნების ფიზიკური არსებობა, ბუნების კანონთა ერთობლიობა და მათი მოქმედების სფერო“. — ლ. თ.) ვაჟასთან საფარია ბუნების იდეალური პერსპექტივისა, რომელიც სულიდან მომდინარე კანონებითაა განპირობებული, ეს არის სულის სამყარო, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს მთელი ბუნებისმიერი და ადამიანური ყოფა“, მას ფაქტიურად უპასუხოდ რჩება კითხვა: თუ კი ბუნებას თავისი კანონები აქვს, რატომღა უნდა ისწრაფოდეს ის „სულის სამყაროსკენ“, ანდა: რა მიმართებაა, რაა საერთო ბუნების „ფიზიკურ არსებობასა“ და მის „იდეალურ პერსპექტივას“ შორის?

... ვაჟა-ფშაველას ლირიკაში უდიდესი როლი ენიჭება ლირიკული გმირის ინდივიდუალობას, თავისთავადობას. ეს გარემოება თითქოს აბრკოლებს პოეტის მსოფლგაგების პანთეისტურად მიჩნევას, რადგანაც ცნობილია, რომ პანთეიზმში ინდივიდის აღიარება გამორიცხებულია და იქ ყოველივე ბუნებაშია „გაბჭვებული“, „ერთია ყოველი“, — წერს სპინოზა. მართლაცდა საგანგებოდაა ხაზგასმული გოეთელოგიაში ცალკეულის, ინდივიდის თუ „მოდუსის“ როლის უსასობის აღიარება სპინოზას მიერ. მაგრამ აქ ისაა გასათვალისწინებელი, რომ თუ სპინოზას პანთეისტურ მოძღვრებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ინდივიდუალობის“ მომენტი არ ჩანს, ადამიანის როლი საოცრადაა გაუფასურებული, გოეთეს პანთეიზმში, ლაიბნიცის მონადის თვისების — ინდივიდუალობის „წყალობით“ უკვე აშკარაა ღვთაებისაგან მხოლოდ ოდენობრივად განსხვავებული და „საკუთარ ინდივიდუალურ სრულყოფილებათა თანახმად“ მოქმედი სუბიექტის სწრაფვა ბუნების ყოველისმომცველ ქმნადობაში საკუთარი წვდომის შეტანისაკენ თუ ბუნების შემოქმედებითი პრინციპის „სამოქმედო მაქსიმად“ ქცევისაკენ. ვაჟას მსოფლმხედველობას არც სპინოზა „ამზადებს“ და არც ლაიბნიცი, მაგრამ თუ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სამყაროს ობიექტური კანონზომიერება „საყოველთაოა“, „ერთია“, ხოლო გენიალურ შემოქმედთა წვდომის უნარი ერთდროულადაა მსგავსიცა და ერთმანეთისაგან განსხვავებულიც, ვეჭვობთ, ის გახდეს საცილო, ვაჟას რომ ზემოაღნიშნულ ფილოსოფოსთა და თვით გოეთეს გარეშეც შეეძლო ყოფილიყო „გოეთესებური“ თუ „ერეტიკული პანთეიზმის“ თანამოაზრე, ისევე, როგორც გოეთეს შემოქმედებაში ორივე ფილოსოფოსმა, შესაძლოა, მხოლოდ დაჩქარა ან უფრო გამოკვეთა ის, რაც ვაჟა-ფშაველასთან ასე სხვა სახელთაგან დამოუკიდებლად იშვა. ვფიქრობთ, არც იმას ჰირდება „მტკიცება“, რომ ეს გარემოება არც ვაჟას განადიდებს და არც გოეთეს ამცირებს, ანდა პირიქით. ხოლო ჩვენ, როცა ვაჟას პანთეისტობისა ვგვერა, უშუალოდ და იმდენად სპინოზას ან, გნებავთ, ნებისმიერი პანთეისტი ფილოსოფოსის მოძღვრებიდან კი არ „გამოვღვივართ“, არამედ — ადამიანისა და ბუნება-ღვთაების სწორფრობის ერეტიკული გაგებიდან, რომელიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაა

ორგანული როგორც ვაჟა-ფშაველასათვის, ასევე გოეთესათვის. და რადგანაც პანთეიზმის უმნიშვნელოვანეს ერეტიკულ იდეად ადამიანისა და ღვთაების სწორფრობა გვესახება, აღარც იქ ვხედავთ წინააღმდეგობას, რომ პანთეისტი ვუწოდოთ ვაჟას და ინდივიდუალობის მხნე მესვეურიც არ მივჩქმალთ მასში. ის კი არაა, ეს „ინდივიდუალობა“ ან, როგორც ჯ. ჭუმბურიძე ამბობს, „ინდივიდუალური სახის“, „ცალკეულის“, „ყოველი მოვლენის“ თავისთავადობა ყოველად აუცილებელ პირობადაც კი გვესახება საიმისოდ, რომ „გოეთესებური პანთეიზმის“ თანამოაზრედ მივიჩნიოთ ვაჟა, რამეთუ ბუნებისმიერი სიმტკიცე-დაუქვემდებარებლობა, „თავისი ბუნების ყმაობა“ თუ „ინდივიდუალურ შესაძლებლობათა სრულყოფილების თანახმად მოქცევა“. „თავისი წესის უმტყუყუნელობა“ ანდა „რჯულის დაუკარგველობა“ მიგვაჩნია სწორედ ვაჟას გმირების ინდივიდუალობის უზოგადეს, თვისობრივ ნიშნად. ვაჟა წერს: „ამ პატარა არსებას — ადამიანს, თითქოს მთელი ბუნება თავის ვინაობაში მოუთავსებია... მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე ადამიანის გონიერებას ბევრად აღემატებაო“ და იქვე დასძენს: „ყველა დიდებული ადამიანი თვით ბუნებას ჰგავს ღირსებითა და ნაკლითაო“. გოეთესაც მიაჩნია, რომ ბუნება „მის შვილებში ცოცხლობს“, ოღონდ ისე, რომ თავის ყოველ „გამოვლენას“ სხვა დანარჩენში კი არ „თქვეფს“ ბუნება, არამედ გარკვეულ ინდივიდუალობასაც მიჰმადლებს თითოეულ მათგანს. „ნურც ერთი ნურვის დაემგვანება/ყველა ემსგავსოს ოღონდ უმაღლესს/. ეს ვით შვევილოთ?/ სრულქმნას ყველამ თავისი თავი“, — წერს იგი. ხოლო სრულქმნილებისაკენ მიდრეკილი „მშვენიერი ადამიანის“ გოეთესეული იდეალი თავისი არსით ვაჟას „დიდებული ადამიანის“ ბადალია. ვაჟა იმზომ ამალღებული მისწრაფებებო „ილაზმავს“ სამყაროს მიმართ სიყვარულით გამსჭვალულ თავის ადამიანურ იდეალს — „კაი ყმას“, რომ გოეთეს „მშვენიერი ადამიანის“ მსგავსად, კაი ყმასა და ბუნება-ღმერთს შორის მხოლოდ ოდენობრივი განსხვავება თუღა. კაი ყმისათვის დამახასიათებელია, როგორც იტყვიან ხოლმე, ჩაგრულის დახმარებისა და მოქმის შველის წყურვილი ანუ გრძნობა, რაც ფილოსოფიურ ასპექტში სხვა არა არის რა, თუ არა ბუნებაში მოქმედი ურთიერთმონების, „თანარსებობის“, თანამყოფობის პრინციპი თუ მაღლი. ვაჟასთან ყოველი გამოვლენა ბუნებისა, თვით იმითაც კი, რომ ეს მოვლენები დაპირისპირებულნი არიან, იმ განწყობილებითაა გამსჭვალული, რომ „ერთურთს ვშველთ, ერთურთსა ვმონებთ/პირნათლად, ჩამოხატულად“ (იხ. ლექსი „მთა და მთავარი“).

ვაჟას ლირიკული გმირის განწყობილებას, მის ინდივიდუალობას გამსჭვალავს პრომეთესდარი შეუვალობა, ჰირთა მტვირთველობის აუცილებლობის შვეგრძნება. გოეთეს სხვა ლირიკულ გმირთაგან განსხვავებით, პრომეთე თავისი არსებობის მიზანს ხედავს ენერგიულ საქმიანობაში — საკუთარი თავის მსგავს ადამიანთა შექმნასა თუ კაცთა გაღვთიურებაში. ასევე, „კრონოსის“ ლირიკული გმირი ბუნებასთან ნეტარი ერთქმნის წადილს კი არ მოუცავს მარტოოდენ, არამედ მას საკუთარი ენერჯის, სიცოცხლის „ხარჯვის“ წილ ესახება „მისაღწევად“ უკვდავება. ხოლო როცა ვაჟასა და გოეთეს ლირიკული გმირების სულეირ ნათესაობაზე ვლაპარაკობთ, აქ მარტოოდენ სწრაფვის მიზნები კი არა გვაქვს მხედველობაში, არამედ ამ სწრაფვის სასიათიც, იდეალისაკენ გმირთა ლტოლვის მოდელიც. გოეთეს ლირიკული გმირი ღვთაებად მოაზრებულ კლდეს შესთხოვს, მწედ ექმნეს მის ტრფობას, გაიმიჯნუროს თავდაპირველი ლტოლვილი („სიმღერა კლდის კურთხევისა“), განიმიდი არანაი-



რად არ დათმობს შეუვალ წადილს ბუნება-ღმერთთან ერთქმნისას („განიმედი“)... ესენი ისევე არიან თავიანთ ნდომა-წადილში გაუტეხელნი, როგორც ვაჟას გმირია „ცა-ქვეყნის შუა ქედმოუღრეკელ სვეტად“ დამდგარი; „წარბ-შეუხრელად ვყუდივარ/ჩემთა წადილთა ბედადაო“, ამბობს იგი; ანდა: „მალ-ლიდამ შავი ღრუბელი/თავს დამწოლია მქეხარი,/რაცა სწადია, ისა ქმნას,/ქეს-როლოს მეხი, მედგარი,/მე ვარ და არ შევუღრეკები/გაკაჟებული მხედარიო“ (ლექსი „სიცოცხლემ შხამი მასშია“). თუ გოეთეს პრომეთეს თვით ზევსთან — ამ „სამყაროს დესპოტთან“ — შებრძოლებაც კი აზარად უჩანს და დროისა და ბედისწერისაგან გამობრძმედლო „წმინდად მოგიზგიზე გულს“ ყოფიერების სიავეს არ დაუმონებს, თავი უკვდავად მიაჩნია, „რაკი არსებობს“ („ich bin ewig, denn ich bin“), ხოლო არსებობა კი სპინოზასეული სუბსტანციის სიმტკიცითა და შეუვალობით განპირობებულა მისი მოქმედების მაქსიმუმი და თავი ღმერთად მიაჩნია, ვაჟას გმირი აცხადებს: „მორჩა, ვერავინ შემმუსრავეს,/რაც უნდა ეცადოს მეტად/და თუნდა მთელი ქვეყანა/დამატყდეს უროზვედადა,/წარბ-შეუხრელად ვყუდივარ/ჩემთა წადილთა ბედადა“ და ა. შ. („ცხოვრებამ არ შამიბრალო“).

გოეთეს შემოქმედების პანთეისტური ხასიათი, როგორც კორფი წერს, ორ მთავარ ფენომენში იჩენს თავს: ბუნების გრძნობასა და ამაჟვეყნის მიმართ „ჰო“-ს თქმის ანუ სამყაროსადმი მიმდობლობის ტენდენციას¹⁹. ამ უკანასკნელის განწყობილებითაა აღბეჭდილი ახალგაზრდა გოეთეს გმირის — პრომეთეს მოქმედება, რომლის არსებობის მაქსიმა ასე გამოიხატა: „ცხოვრება, სიცოცხლე, როგორც არ უნდა იყოს იგი, კარგია“...

სივას ლირიკული გმირი „შეუძლებელის ფიქრის მღევარია“, „მალაო მთის მკვლევარია“. ამავე დროს მისი „შეუღრეკეი გულის-თქმა“ არ ძაბუნდება „ჭირიანი ცხოვრებისა“ თუ, როგორც გოეთე იტყვოდა, „უხეში სამყაროს“ წინაშე. მისი, — ვითარცა სამყაროს ავ-კარგის მცნობის, — ზნეობრივი „მე“, ინდივიდუალობა, სიკეთისაკენ ლალ ლტოლვაშიც მცლავნდება, რაც ერთგვარად ჭირთამთენობის „ეკლიან სავალზე“ გადის და „ონერი, მოძულეებული წუთისოფლის“ სიყვარულშია გაცხადებული: „მიყვარდეს მოძულეებული, ონერი წუთისოფელიო“, — ამბობს იგი. სამყაროს მიმართ ტოტალური სიყვარული ვაჟას ფილოსოფიის ქვაკუთხედი, მრწამსისადმი ერთგულება და კაცურ-კაცობის ტვირთის ზიდვის აუცილებლობის შეგრძნება — მისი გმირის ინდივიდუალობისა თუ ზნეობრივი „მე“-ს უძირითადესი თვისებაა.

ვაჟას ლირიკული გმირის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ლალი სიჭიუტე“, რაც, ვთქვათ, ამ შემთხვევაში (ლექსში „დამსეტყვე, ცაო“) რჩეულისადმი ტრფობასა და მტრისადმი სიძულვილში მცლავნდება, ხოლო „პრინციპში“ საერთოდაა მისთვის დამახასიათებელი, გოეთეს ლირიკულ გმირთა უკიათობის ბადალია („მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი/გულ-მყვარდზე დაიწეროდი/ბარო, წარბნი და წამწამნი/იმ სიტყვით დაიკეროდი/²⁰... იგივე მიყვარს, იგივე/ვისაც ამ სოფლად ვრჩეობდი/იმის მტერი ვარ, იმისა/ვისაც დღესნამდე ვმტერობდი“ და ა. შ.).

¹⁹ H. Korff. Goethe im Bildwandel seiner Lyrik. B. II, Leipzig, 1958, გვ. 274.

²⁰ მსგავსად, ახალგაზრდა გოეთეს ლირიკული გმირი შეუვალი სიმტკიცით ილტვის კლდისაკენ თუ ლეოთავად მოაზრებული მიჯნურისაკენ და თვისტომივით სთხოვს მას: „შუბლზე დაიწერე ჩემი სახელი /იყავი ჩემთვის წმიდათაწმიდა/ და მექმენ სატრფოდ“. ამ ლექსში ვაჟასა და გოეთეს ლირიკულ გმირთა წადილის ხასიათზე მეტად თავად ამ წადილის აღსრულებისაკენ სწრაფვის მანერაა ერთნაირი.

... ვაქას ლირიკულ გმირს „ღმერთთან ლაპარაკის“, მასთან სიახლოვის მთავარ პირობად, ვითარცა ჭეშმარიტ ერეტყოსს, ღმერთისადმი მონური მორჩილება კი არ ესახება მართლმორწმუნე ორთოდოქს-ქრისტიანის მსგავსად, არამედ იდეალურ მისწრაფებათათვის ბრძოლა, ან „ქვეყნის საკეთილდღეოდ“ სიცოცხლე-სიკვდილის „რჭულად დაღება“²¹.

ვაქასთან გოეთეს მსგავსად, დოგმატური რელიგიის საპირისპიროდ, ღვთაებისადმი შიშს ენაცვლება მის მიმართ სიყვარული, ნათესაური, მიმდობლური განწყობილება (იხ. ლექსი „მთას ვიყავ“). ვაქას ლირიკულა გმირისათვის ისევე იმანენტურია ღვთაებასთან სიახლოვის შეგრძნება საკუთარი სულის სიმტკიცისა და ამაღლებულ მისწრაფებათა წილ, როგორც ახალგაზრდა გოეთეს ლირიკული გმირისთვისა იგი ორგანული, რამეთუ გულში „ყოვლად უწმინდესს“ (das Allerheiligste) გრძნობს იგი. (ლექსი „Künstlers Abendlied“).

ვაქას ლირიკული გმირი ხშირად ამბობს ხოლმე, რომ „შავად დავიწყე ცხოვრება და მითავდება შავადაო“, ანდა: „ასეთ ყოფაში შთენილსა/მითენდება და ღამდება/სულ ავდარია ჩემს თავზე/როდისღა გამიძარდება“, „არც დაბრუნვა ჩანს, არც წინვლაო“, „ეკლის ლოგინი დავიგეო“, მაკრამ, ჭერ ერთი, ეს „ჩივილი“ წუწუნში არასოდეს „გადადის“ და მინც ვაქაცკური სულისკვეთებითაა აღბეჭდილი, ხოლო, მეორეც და რაც მთავარია, მასში უფრო რწმენის გაუდრეგლობა ჩანს, ვინემ „ჭირიან ცხოვრებასთან“ შეგუება, „ოხერი წუთისოფლის“ მიმართ სიყვარული, ვინემ მისკან განდგომილის მღურვა: „არ ვულაღტებ სიცოცხლით/გზას ჩემს ეკლიანს სავალსაო“ ამბობს ვაქა; და, რაც მთავარია: „შამირცხვა, ვინაც სიცოცხლე/უმიადლოდ გააჩანჩალა/მწუადის, სიცოცხლეს ვმსახურო/თუმც ბევრი მასვა სამსალა/ვერ მომკლა უგუხურთ ძრახვამ/ვერც გრძნობათაგან დამცალაო“.

ვაქას ლირიკული გმირის ხასიათში უმაღლეს რანგშია ატანილი ერეტყული სულის თვისება — ღვთაება-ბუნებისა თუ კაი-ყმისადმი რწმენისა და მეტრფეობისათვის „ვარმის მორენის“ აუცილებლობის შეგრძნება და საამისოდ საკუთარსავე თავში „მიგნებული“ „ღვთაებრივი“ გამძლეობის უნარი, ანდა: „კარგის საქმისად“ თავგადადების გარდუვალად შერაცხვა თუ, როგორც ვაქა თვითონვე იტყვის, „ვარმის წყურვილი“ (იხ. ლექსი „ვერას დამაკლებ ვარამო“ — „მიყვარხარ, გულზე მწოლარი/ობლის საფლავის ქვებურა/დაგლეე და დაგლეე, ვარამო,/ცივი მთის წყაროს წყლებურა“ და ა. შ.).

ამრიგად, ვაქას ლირიკული გმირისათვის ე. წ. „ინდივიდუალობა“ ზნეობრივ პრინციპთანაა მჭიდროდ დაკავშირებული და თავისი კონკრეტული შინაარსით პანთეიზმის უმაღლესი მწვერვალის — ადამიანისა და ღმერთის სწორფრობის უცილობელ „ატრიბუტად“ გვევლინება, ხოლო ამის შედეგად ბუნება თუ ღვთაება ზოგჯერ „გაჯიბრების“ საგანიც კია ვაქას ლირიკული გმირისათვის ისევე, როგორც გოეთეს ახალგაზრდობისდროინდელ ლირიკაშია აშკარა გმირის „დაპირისპირება“ ბუნებასთან...

²¹ ხოლო „ტიალად თავის გაბღობა“ ვაქას გმირს მაშინ „ეწყება“, როცა „მადლიდამ დაბლა ჩამოდის“, „იმ მთას თავს ანებებს“, რაც მისთვის „ტანჯვის ფილად“ ქვეყნზე უმჭიმისია: „იმ მთას თავს რისთვის ვანებებ/თუნდ ვიქვე ტანჯვის ფილადაო“, ამბობს პოეტი.

თეიმურაზ ქუარყვანიძე

ქართული ჯადოსნური ზღაპრის კომტიკიდან

ქართული ჯადოსნური ზღაპარი¹, ხალხური პროზის სხვა ქართულ სახესხვაობათა შორის, ყურადღებას იქცევს დახვეწილი ფორმით, სტრუქტურის სირთულითა და გამომსახველობითი საშუალებების მრავალფეროვნებით. ჯადოსნურმა ზღაპარმა იმ იდეების მხატვრულად ხორცშესხმისათვის, რომელსაც ის ამკვიდრებს, საუკუნეების განმავლობაში გამოიმუშავა და შემდგომ უკვე ტრადიციულად აქცია კომპოზიციური და სტილისტური ზღაპრები, რომელთა მიგნება და თავისად ქცევა განპირობებული ჩანს მისივე ქართული სპეციფიკით.

თავისებური და განუმეორებელია ჯადოსნურ ზღაპარში წარმოდგენილი სამყარო მასში მოქმედი პერსონაჟებითა და ფანტასტიკური გარემოთი. ეს არის სამყარო, რომელშიც მოქმედებს დაუწერელ კანონთა მთელი სისტემა. ეს არის სამყარო, რომელშიც იბრძვიან და აუცილებლად იმარჯვებენ. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ჯადოსნური ზღაპრის სამყარო, ბედნიერი სამყარო.

ამ სამყაროში დამკვიდრებული სინამდვილე განსაკუთრებული ხასიათის ნატარებელია. იგი ერთი შეხედვით აბსოლუტურად დაცილებულია ისტორიულ სინამდვილეს, თუმცა ნამდვილად კი შეიცავს კაცობრიობის მიერ განვლილ ეპოქათა ისტორიული სინამდვილის ელემენტებს². ჯადოსნური ზღაპრის სინამდვილის ისტორიული სინამდვილისაგან განსხვავება განპირობებულია ზღაპრის იდეურ-მხატვრული მიზანდასახულობით. საზღაპრო ეპოსში ამ ამოცანის გადაწყვეტა ხორციელდება სინამდვილეს მიმსგავსებული გამონაგონის მეშვეობით. საქმე გვაქვს ნაწარმოებთან, რომელიც დაფუძნებულია მხატვრულ ფანტასტიკაზე, სადაც ყოველივე დაცილებულია რეალურ სინამდვილეს. ზღაპარში დადასტურებული შეგნებული მხატვრული გამონაგონი მოქმედებისა და

¹ ცნობილი ფინელი ფოლკლორისტი ანტი აარნეს კლასიფიკაციისა და „ზღაპართა ტიპების საძიებლის“ თანახმად ჯადოსნურ ზღაპრად მიჩნეულია 300—749 ნომრებში მოთავსებული სიუჟეტური ტიპები. აარნეს კატალოგის შევსებული და მასალის მასშტაბურობის თვალსაზრისით შეუდარებლად გაზრდილი ს. ტომპსონის სისტემატური საძიებლის („The types of the folktale a classification and bibliography Antti Aarnes „Verzeichnis der märchentypen“ Translated and enlarged by Stith Thompson“, Second Revision, FFC No 184, Helsinki, 1964) მიხედვით ჩატარებულმა სამუშაომ გამოავლინა, რომ საქართველოში გავრცელებულია საერთაშორისო ფოლკლორში ცნობილი 91 სიუჟეტი (მოტივი) და 18 ორიგინალური სიუჟეტი (მოტივი). იხ. Т. Д. Курдованидзе, Сюжеты и мотивы грузинских волшебных сказок (систематический указатель по Аарне—Томпсону), კრ. ლიტერატურული ურთიერთობანი, ტ. VI, 1976. ქართული ჯადოსნური ზღაპრის ტიპოლოგიურ სიუჟეტთა შეფასებისას სახელმძღვანელოდ რჩება ვ. ჟირმუსკის თვალსაზრისი. იხ. Б. М. Жирмуский. Эпическое творчество славянских народов и проблемы сравнительного изучения эпоса, М., 1958, გვ. 15, 24, 50.

² В. Я. Пропп. Фольклор и действительность. „Русская литература“, 1963, №3, გვ. 64. Э. В. Померанцева, Судьбы русской сказки, М., 1965, გვ. 20.



იდეათა განვითარების განუსაზღვრელ შესაძლებლობას იძლევა. ფანტასტიკა, გამონაგონი არის ის საშუალება, რომელიც ხსნის გზას რეალურ ყრფეში გადასაღწერელ კონფლიქტთა „გადასაჭრელად“. ადამიანთა აზროვნება „ხელახლა ქმნის“ სამყაროს, არარეალურს, განუმეორებელს, რომელშიც მოქმედებენ ის სამყაროსავით მომხიბვლელი, სიკეთისა და სიმართლის გამარჯვებისათვის მებრძოლი გმირები. აქ ეძლევათ მათ საშუალება ფრთა შეასხან თავიანთ ცხოვრებისეულ ოცნებებს.

ამ ოცნებების დამამკვიდრებელი მთავარი გმირი ზღაპრისა გვევლინება არა მარტო სიუჟეტის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის განმხორციელებლად, არამედ მისი კომპოზიციური მდინარების შემქმნელად. მთავარი გმირის ხასიათზე, მის მიერ განსახორციელებელი საქმეების ხასიათზეა დამოკიდებული ნიქემლის მიერ ზღაპრის გამომსახველობითი საშუალებების შერჩევა, მთელი ნაწარმოების ხასიათისა და ტონის განსაზღვრა. ზღაპრის გმირის ფუნქციებს შორის ძირითადია მის მიერ გარკვეული იდეის რეალიზაცია. ჩვეულებრივ, გმირის მხატვრული სახე დაქვემდებარებულია ხოლმე ამ წინასწარ შემუშავებული იდეისადმი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული სახე გაცილებით უფრო ღრმა და ფართოა, ვიდრე ის იდეა, რომლის განსახორციელებლადაც გმირი იღვწის.

ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიცია წარმოადგენს რთულ მთელს, რომელიც წარმოიქმნება მრავალ ელემენტთა შინაგანი ურთიერთკავშირის საფუძველზე. შინაარსითა და დანიშნულებით ერთმანეთისაგან განსხვავებულ ამ ელემენტებს შორის მრავალმხრივი კავშირი დასტურდება. ცალკე აღებულ ელემენტებს, შედარებითი დამოუკიდებლობა ახასიათებთ, მაგრამ მოკლებულნი არიან მთელის შექმნის უნარს. მთელს ქმნის მათი თანმიმდევრული წყობა და ურთიერთკავშირი. რაც შეეხება კომპოზიციის შინაარსობრიობას, იგი წარმოქმნება ელემენტთა ურთიერთმოქმედებით.

ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიციის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მოქმედება. მეზღაპრე, როგორც წესი, სიუჟეტის განვითარების დროს მთავარ ყურადღებას პერსონაჟთა მოქმედების ხატვაზე აჩერებს. მისთვის მოქმედება არის წყარო განუწყვეტელი მოძრაობისა, სიუჟეტური ცვლილებებისა. მოქმედების ხატვისას მთავარი დატვირთვა მოდის ხმნაზე, რომელთა ცვლა განსაზღვრავს სიუჟეტური მოქმედების განვითარების ხარისხს. სწორედ საზღაპრო მოქმედება (ერთი პუნქტიდან მეორეში გადაადგილება, ხშირად სივრცობრივი, ბრძოლა, შეჭიბრი, ქცევადობა და სხვ.) არის წყარო ზღაპრის სიუჟეტის საოცარი დინამიკურობისა. ზღაპრისათვის ნიშანდობლივი განუწყვეტელი მოძრაობა, მოვლენათა ხშირი ცვლა, პერსონაჟთა და საგანთა მოქმედებაში ხატვა ხდის ფანტასტიკურ მოთხრობას ხილვადს. არაჩვეულებრივი სამყაროს ამბავი არა მარტო მოსასმენადაა საამო, არამედ ფანტაზიის, ინდივიდუალური წარმოსახვისთვისაც იძლევა საკვებს. მოქმედების და მხოლოდ მოქმედების აუცილებლობით არის გამართლებული ის ფაქტი, რომ ზღაპარში ვერ ვხვდებით ზედმეტ დეტალებს. ოსტატი მთქმელი არასოდეს არ ასახელებს საგანს, რომელიც არ მოქმედებს³.

³ მსგავსი მდგომარეობა დასტურდება ჯერ კიდევ პომპროსთან. ლესინგის დაკვირვებათ „Гомер не изображает ничего, кроме последовательных действий, и все отдельные предметы он рисует лишь в меру участия их в действии...“. См.: Г. Э. Лессинг. „Ла-окоон, или о границах живописи и поэзии“. М., 1957, с. 189, 102.

ზღაპრის სიუჟეტის შემქმნელი კომპონენტები — მოქმედება-აქტები მთლიანად სიუჟეტში (სიუჟეტის მთლიანობა წარმოიქმნება იმ იდეის რეალიზაციის შედეგად, რომელსაც ეს სიუჟეტი თავისი ატარებს) მჭიდრო კავშირით ერთობას ამჟღავნებენ. ძირითად საზღაპრო მოქმედებებში დატულია მოქმედების განვითარების ლოგიკური თანმიმდევრობა — ერთი ამბავი დასაბამს აძლევს მეორეს, მეორეს ასევე ლოგიკურად მოსდევს მესამე და ა. შ. თანმიმდევრობა და ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დატულია მოქმედება-აქტების უფრო მცირე ერთეულების — მოტივების განლაგებაში⁴. მოტივები თავიანთი შინაარსობრივი მონაცემებით საშუალებას იძლევიან განხილულ იქნენ ე. პრობისეულ მოქმედ პირთა ფუნქციების დონეზე. პრობის ფუნქციების თანმიმდევრობა კი აბსოლუტურად შეეფერება სიუჟეტში განვითარებული მოქმედების მდინარეებს. ამავე დროს, რასაკვირველია, დასაშვებია გარკვეული გადახვევა (სხვადასხვა სიუჟეტში ზოგიერთი ფუნქციის ჩავარდნა ყოველთვის არ ხდება მიზეზი სიუჟეტის მთლიანობის დაზღვევისა). ქართული ჯადოსნური ზღაპრის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ტიპის სიუჟეტები ზოგჯერ არა მარტო თანხვედნილი არიან პრობის ფუნქციათა თანმიმდევრობას, არამედ მათ რაოდენობასაც კი იცავენ. ზოგიერთ ზღაპარში ადგილი აქვს ფუნქციათა რაოდენობისა და რიგის დაზღვევის ფაქტებს. ორსავე შემთხვევაში სიუჟეტის მთლიანობის დადგენისას ამოსავალი ხდება ზღაპრის ძირითადი იდეის რეალიზაციის შესაძლებლობა. სავალდებულოა, რომ საზღაპრო იდეის ხორც-შესხმის მოქმედის მიერ არჩეული გზა ლოგიკურად, თანმიმდევრულად იყოს დაკავშირებული საზღაპრო მოქმედებასთან, რომ მოქმედება თავისი რეზულტატით ამკვიდრებდეს ამ იდეას.

საზღაპრო ეპოსში ტიპოლოგიური სიუჟეტური ტიპების არსებობა გარკვეულად ზღუდავს მოქმედის ინდივიდუალურ შემოქმედებას, კეტავს მას ტრადიციის ჩარჩოებში. ფაქტიურად ტრადიციული ზღაპრის ყველაზე ნიჭიერი მოქმედის შესაძლებლობაც კი ვერ სცილდება კომბინაციის ფარგლებს. თუკი მოქმედს არ სურს დაარღვიოს ტრადიციული ზღაპრის ჩარჩოები, არ დაუკარგოს ამ ნაწარმოებს უანსრული და სიუჟეტური თვისებები, მტკიცედ უნდა მისდიოს საუკუნეებით დამკვიდრებულ ტრადიციას, ისარგებლოს საზღაპრო ეპოსის იმ მარაგით, რომელშიც შემონახულია სხვადასხვა დანიშნულების მრავალეფროვანი მასალა. ამ მასალიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ტრადიციული მზა-ფორმულები, აქსესორული (თავისუფალი) მოტივები და ტიპობრივი ჯადოსნური მოქმედებანი, რომლებიც ქმნიან ზღაპრის „საერთო ადგილებს“.

აქსესორული მოტივები წარმოადგენენ ჯადოსნური ზღაპრის იმ მზა, სტაბილურ ფორმისა და შინაარსის მასალას, რომელსაც აქვს უნარი მიესადაგოს თემისა და იდეის მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სიუჟეტებს. აქსესორული მოტივები ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიციაში სხვადასხვა დანიშნულებას ამჟღავნებენ. მოტივთა ერთი ჯგუფი („გმირის სასწაულებრივი დაბადება“, „ჯადოსნური ყვავილი“, „ფრინველი გოგონები“, „ქალი-ბაყაყი“, „ცხოვე-

⁴ ამ საკითხზე იხ. В. Я. Пропп, Морфология сказки, М., 1969, стр. 29-60. Е. М. Мелетинский, С. Ю. Неклюдов, Е. С. Новик, Д. М. Сегал, Проблемы структурного описания волшебной сказки, Ученые записки Тартуского гос. университета, вып. 236, т. IV, Тарту, 1969. В. П. Аникин, „Волшебная сказка „Царевна-лягушка“. В кн.: Фольклор как искусство слова, М., 1966, стр. 33-35.



ლი სიძეები“ „მამის საფლავზე ყარაულობა“ და სხვ.) ზღაპრის პრეკომპლუნი გვხვდება. „გმირის სასწაულებრივი დაბადების“ მოტივი სახს უსვამს გმირის არჩევულებრივობას და მოტივირებულს ხდის მის შემდგომ საგმირო საქმეებს. „ჯადოსნური ყვავილის“ მოტივი, „ბავშვების წინასწარი გაყიდვის“, „ეოკის გატეხისა“ და „დედის ძუძუს მოთხოვნის“ მოტივების მსგავსად, ნიდაცს აწვადებს კვანძის შესაკვრელად. „ფრინველი გოგონების“, „ქალი-ბაყაყის“, „ცხოველი სიძეების“, „მამის საფლავზე ყარაულობის“ მოტივებში ისეთ განვითარებას იღებს მოქმედება, რომ გმირი იძენს დამხმარეს. მოტივთა მეორე ჯგუფიდან — „გზაჯვარედინის“, „კარგი ცოლის“, „სასწაულებრივი ოსტატების“, „მოტყუებული დევების“ მოტივები საზღაპრო მოქმედების განვითარების პროცესში ჩნდებიან. პირველი ორი მოტივი მამიებელ გმირს საჭირო ინფორმაციას აწვდის, დანარჩენი გმირის ჯადოსნური დამხმარით (სავნით) მომარაგების შესახებ გვაუწყებენ. აქსესორული მოტივი „სასწაულებრივი გაქცევა (წინააღმდეგობათა გადაღობვით ან ქცევადობით) მოთხრობის კულმინაციურ ეტაპზე ჩნდება. რაც შეეხება „გმირისა და დევის ბრძოლის“ მოტივს, იგი ორგვარი ფუნქციითაა წარმოდგენილი. როცა ეს მოტივი უშუალოდ არის დაკავშირებული საზღაპრო კონფლიქტთან, მაშინ კულმინაციის დროს ჩნდება. ზოგჯერ კი იგი ჩართული ეპიზოდია და სიუჟეტის სავმირო თემის გაღრმავებისთვისაა მოწოდებული.

აქსესორული მოტივების ერთი სიუჟეტიდან მეორეში თავისუფლად გადასვლისას ძირითადად შენარჩუნებულია მოტივთა კომპოზიციურა და შინაარსობრივი მთლიანობა. სიტყვიერი ტექსტის ვარიაციულობა გამართლებულია, რადგან საქმე გვაქვს სხვადასხვა ინდივიდუალობისა და მსატერული გემოვნების მოქმედებთან.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში დასტურდება ორი ტიპის დასაწყისი მზა ფორმულები⁵. ერთია ზღაპრის თავი ფორმულა, რომელიც თავისი შინაარსით არ ამქდავენებს კავშირს ზღაპრის შინაარსთან და განკუთვნილია მსმენელთა ყურადღების მოზილიზაციის, საჭირო განწყობილებების შექმნასა და მეზღაპრის ოსტატების ჩვენებისათვის. მეორე — ორგანულად ერწყმის სიუჟეტს და დასაბამს აძლევს მოთხრობას, ასახელებს მოქმედების დროს, ადგილსა და გმირს. ზღაპრის დასაწყისი ფორმულა, ზღაპრის თავისაგან განსხვავებით, არის მარტავი და რთული. მარტივი დასაწყისი ფორმულები რეალისტურ ხასიათს ატარებენ. მათში დაცულია მითითება გამონაგონზე, რომლის შემდეგ პირდაპირ დასახელებულია გმირი. რთულ დასაწყის ფორმულებში მეზღაპრეს საშუალება ეძლევა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ზღაპრისადმი — როგორც გამონაგონისადმი, მიუთითოს ღმერთის უპირველესობაზე, გაგვახსენოს თავისი თავი და ზღაპრის მოყოლის ტრადიციული დრო, დალოცოს მსმენელები, დაასახელოს პერსონაჟი. ზოგჯერ მოქმელი დამატებით გვაცნობს პერსონაჟთა სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას, პროფესიასა და წლოვანებას, მოქმე-

⁵ იხ. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 366—373. ე. ვირსალაძე, ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, თბ., 1960, გვ. 398. ქს. სიხარულიძე, ზღაპრის მზა ფორმულები (ზღაპრისათვის, დასასრული), „ა. ბარამიძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“, თბ., 1974, გვ. 196—210.

დების დროსა და ადვილს. დასაწყისი ფორმულებისათვის დამაბასიათქმულ რიტმულობა.

ზღაპრის ტექსტში არსებული ტრადიციული ფორმულების ერთი ნაწილი კომპოზიციური დანიშნულებისაა — ერთმანეთთან აკავშირებს ეპიზოდებს, მიგვითითებს პერსონაჟთა ნოქმედებაზე (გადაადგილებაზე). ზღაპრის პერსონაჟთა მოქმედების პარალელურად განვითარების დროს მთქმელი მსმენელს აუწყებს ხოლმე ერთი ეპიზოდის დამთავრების, ერთი გმირის თავგადასავლის შეწყვეტის და მეორე ეპიზოდის, მეორე გმირის ამბის დაწყების შესახებ. ეს თხრობის რთული წესია და მხოლოდ ისტატ მეზღაპრეებთან დასტურდება. მაგ.: „აქ მათ თავი დავანებოთ და გადავიდეთ იმ ქალთან, დედინაცვალმა რომ სახლიდან გაავდო. წავიდა ეს ქალი და დაიწყო მოხოვრობა...“. ამ და მსგავსი ფორმულების გამოყენებით მეზღაპრე მობილიზაციას უკეთებს მსმენელის ყურადღებას, აფროხილებს მას, რომ ახალ ეპიზოდში უფრო მეტ საინტერესოს მოისმენს. მათი დახმარებით მთქმელი საზღაპრო მოქმედების ადვილის შეცვლის შემდეგ ადვილად განავრძობს ზღაპარს. საზღაპრო მოქმედების განვითარებისა და ზღაპრის კომპოზიციური მთლიანობისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე პერსონაჟთა ერთი პუნქტიდან მეორეში გადაადგილების საჩვენებლად შექმნილი ფორმულები. მათი საშუალებით მიიღწევა გმირის მოქმედების, მის მიერ გრძეული გზის გავლის ჩვენება. ძირითადი დატვირთვა ამ ფორმულებში მოდის ზმნაზე, რომლის გამოერება ქმნის გზას სივრცის შთაბეჭდილებას. ამჟვარ ფორმულათა ერთ ჯგუფს მეზღაპრე დადასტურებით ხასიათს ანიჭებს. მეორე — მეზღაპრის პირადი დადასტურების გარეშეა წარმოდგენილი.

დასასრული ფორმულების საშუალებით მეზღაპრე ანერჩებს თავისი მოთხრობისათვის არა მხოლოდ წერტილის დასმას, არამედ ზღაპრისადმი თავისი დამოკიდებულების გამომვლავნებასაც. აგებულების მხრივ დასასრული ფორმულები მარტივი და რთულია. მარტივ ფორმულებში (ისინი ნოველისტურ ზღაპრებში და ცხოველთა ეპოსშიც გვხვდება) მსმენელთა დალოცვას თან ახლავს იმ სამყაროს წყევლაც, სადაც, ალბათ, საზღაპრო კონფლიქტი წყდება. საზღაპრო სიუჟეტის „ქვეშაირიტებისადმი“ მეზღაპრის დამოკიდებულება ორგვარად ვლინდება. ფორმულათა ერთ ტიპში იგი ცდილობს ამბავი სინამდვილიდან აღებულ ისტორიად დაგვანახოს, თუმცა თითონ ამბის მონაწილედ არ მოჩანს. მეორე ტიპში მეზღაპრე პერსონაჟთა საქორწილო ღზინის მონაწილედ იხსენიებს თავს. დასასრულ ფორმულებში ზოგჯერ მითითებულია ზღაპრის მხატვრულ გამონაგონობაზე. უფრო ხშირია ლაპარაკი ზღაპრის მოთხრობის ტრადიციებზე, მის დროსა და ადვილზე, მეზღაპრის დასაჩუქრების აუცილებლობაზე. იუმორი დასასრულ ფორმულებში ქალზედ გავრცელებული მოვლენაა. დასაწყისი და დასასრული ფორმულები ქმნიან იმ ჩარჩოს, რომელშიც მოთავსებულია ფანტასტიკური ხასიათის მოთხრობა სიკეთის გამარჯვებისა ბოროტზე.

ჯადოსნურ ზღაპარში ქარბად წარმოდგენილი სასწაულებრივი გარდაქმნები ჯადოსნური საგნების გამოყენებით ხორციელდება. მთქმელთა მიერ ჯადოსნური საშუალებების სულიერად წარმოდგენა, მათ მიერ შესრულებული მოქმედების პერსონაჟთა მოქმედებასთან გათანაბრება — ამ მოქმედებათა კომპოზიციური დანიშნულებაზე მიგვანიშნებს. თუ არა ტიპობრივი ჯადოსნური მოქმედებანი, შეუძლებელი იქნებოდა პერსონაჟთა დასახული მიზნის მიღწევა და ვერც ჯადოსნური ზღაპრის ფაბულა ჩამოყალიბდებოდა.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში ყველაზე მეტად გაგრძელებულია ჯადოსნულობის მოქმედებანი: პერსონაჟის მოკვლა, გაჭვავება, დაძინება, გაცოცხლება, სხეულის გამთელება, განაყოფიერება, ქცევადობა, გადაადგილება, მშენებლობა, მდევრისათვის წინაღმდეგობის გადაღობვა, საჭმელ-სასმელის გაჩენა. თითოეულ ამ მოქმედებას ზღაპარში არსებითი კომპოზიციური დატვირთვა აქვს.

„საერთო ადგილების“ გარდა ერთი სიუჟეტიდან მეორეში თავისუფლად გადასვლის უნარით ხასიათდებიან აგრეთვე, ე. წ. მოტივთა კომპლექსები, რომლებსაც ჩვენ დაუსრულებელ სიუჟეტებს ვუწოდებთ. ესენია AT 310 („ხელმწიფის ასულის განთავსულობა“) და AT 302 („დევის სულის სადგომის ვაგება“). დაუსრულებელი სიუჟეტები რთული შედგენილობისანი არიან, ახასიათებთ იდეურ-მხატვრული მთლიანობა, აქვთ საკონფლიქტო მოტივი, რომელიც ვითარდება და სრულდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი დამოუკიდებელ სიუჟეტებად ვერ ყალიბდებიან, რადგან დარღვეულია სიუჟეტის შემადგენელ ელემენტთა შორის სავალდებულო კავშირ-ურთიერთობა. ისინი წარმოადგენენ ძველი, დაშლილი სისტემის ნაწილებს. სწორედ ამ მიზეზით არიან ეს დაუსრულებელი სიუჟეტები სხვა სიუჟეტებთან მიყვადებულად ქცეულნი⁶.

ჯადოსნური ზღაპრისთვის ნიშანდობლივი კომპოზიციურ-სტილისტური საშუალება ეპიკური განმეორებების, ანუ რეტარდაციის, რამდენიმე ფუნქციას ავლენს. რეტარდაცია, ისევე, როგორც სამმაგობა და ეფექტის ზრდა, დამახასიათებელია არა მთელი საზღაპრო სიუჟეტის, არამედ მისი სხვადასხვა ნაწილისათვის. რეტარდაციის გამოყენებით ხორციელდება მოქმედების შეჩვენება, გაჭიანურება, კვანძის გახსნის ხელოვნურად გადაწევა, მსმენელთა მოთბრობისადმი ინტერესის გაზრდა⁷. ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში ეპიკური განმეორებების ნიშნებს იძლევა შემდეგი ეპიზოდები: 1. პერსონაჟის მიერ თავისი თავგადასავლის მოყოლა; 2. პერსონაჟის შეხვედრა დამხმარესთან (დამსახურებელთან); დამხმარის მიერ რჩევა-დარიგების მიცემა, რომელიც შემდგომ უკვე მოქმედებაში ხორციელდება და მოქმედების განხორციელების შემდეგ ამავე ამბის მოთხრობა.

პირველი ეპიზოდი ძირითადად ჩნდება ზღაპრის ფინალის წინ და კვანძის გახსნის ხელოვნურად გადაწევის დანიშნულებისაა. დანარჩენი ეპიზოდების ადგილი კვანძის შეკვრის შემდეგაა. პერსონაჟის მიერ თავგადასავლიანი ამბის მოყოლა გამიზნულია დაზარალებული გმირის შესაცნობად, როდესაც ამბის მოხდენიდან დიდი დროა გასული ან სიმართლის გასარკვევად. ზღაპარში მომხდარი მოქმედება ორი სახით გადმოიციემა: ზოგჯერ მთქმელი გმირს თავგადასავალს დაწვრილებით მოათხრობინებს, ზოგჯერ კი მხოლოდ ძირითად სიტუაციებს იხსენებენ. ეპიკური განმეორებების, როგორც მოქმედების გაჭიანურების, ხერხის გამოყენება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. ეგზეგება შემთხვევები, როცა ახლადგაცნობილი გმარები ერთმანეთს უყვებიან თავიანთ თავგადასავალს, მაგრამ უპირატესწილად უკვე განხორციელებული

⁶ თ. ქ უ რ დ ო ვ ა ნ ი ძ ე, საერთო ადგილების როლი ქართული ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიციისაში, „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1972, № 4, გვ. 92—88.

⁷ P. M. Волков. Сказка. Разыскания по сюжетосложению народной сказки, I, Одесса, 1924, გვ. 12. Ю. М. Соколов. Сказки, Русский фольклор, М., 1941, გვ. 330. Е. Б. Вирсаладзе. Сказка, Грузинское народное поэтическое творчество, Тб., 1972, გვ. 259.

ბელი მოქმედებიდან განმეორებით იმ ამბავს მოგვითხრობენ მეზღაპრე რომელიც ჭერ არ ვიცით. ასეთ შემთხვევებში ეპიკური განმეორებების დანიშნულება მსმენლისათვის პერსონაჟზე ინფორმაციის მიწოდებაში მდგომარეობს. ყურადღებას იმსახურებს ეპიკური განმეორებების ის შემთხვევებიც, როცა ერთ სიუჟეტში ცალ-ცალკე მოქმედი პერსონაჟება ერთად შეიყრებიან და ერთმანეთს უყვებიან თავიანთ ამბებს, რომელთა შესახებაც მსმენელმა უკვე იცის საზღაპრო მოქმედებიდან. ამ დროს მკაცრად არის განსაზღვრული სიუჟეტში ეპიკური განმეორებების ადგილი. ჭერ ვიკებთ ამბავს პერსონაჟის შესახებ, შემდეგ იგივე ამბავი მოქმედებაში ხორციელდება და ბოლოს თვით პერსონაჟი მოგვითხრობს თავისი მოქმედების შესახებ. ზოგიერთი მოქმედი გაუბრბის ეპიკურ განმეორებებს. მეზღაპრენი დაწვრლებით აღწერენ გმირთა თავგადასავალს მოქმედებაში და შემდეგ, როცა ზღაპარში მოსალოდნელია მათი განმეორება, ამბობენ: „უამბო თავისი თავგადასავალი“. ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს საზღაპრო სიუჟეტის გამარტივების ტენდენციასთან, რაც ახალ ჩანაწერებში აშკარად შეიმჩნევა.

მსმენელთა ინტერესის გაღვივებისა და გმირის წინაშე მდგარი ამოცანის სრულულის ხატვის ფუნქცია აკისრიათ იმ ეპიკურ განმეორებებს, რომლებშიც მეზღაპრე დაწვრილებით აღწერს გმირის მოგზაურობას და შეხვედრას ჭერ უფროს, შემდეგ შუათანა და ბოლოს უმცროს ძმა-დამხმარესთან.

ეპიკური განმეორებები ძირითადად სამმაგობის პრინციპზეა აგებული. ქართულ ზღაპარში სამმაგობა ისევეა წარმოდგენილი, როგორც ეს გვხვდება ევროპულ და სლავურ საზღაპრო ეპოსში. სამმაგობის კომპოზიციური არსის გასარკვევად საჭიროა ზღაპარში მოქმედი პერსონაჟები და საგნები ერთმანეთისაგან განსხვავდეს მათი დანიშნულების მიხედვით. ქართულ მასალაზე დაკვირვება ავლენს, რომ ზოგიერთი საგანი, რაოდენობით სამი, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. ზოგჯერ კი, სამივე საგანი (ან მოქმედება) ერთი დანიშნულებისაა. ზოგან დასახელებული სამი საგანი მხოლოდ ფორმალური გამოქანხლია ტრადიციისა. ზღაპრის კომპოზიციისათვის სამმაგობას მაშინ აქვს აზრი, როცა სამი პერსონაჟიდან (სავანიდან) თითოეული ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქციის მატარებელია. ჯალღონურ ზღაპარში პოპულარული სამი ძმიდან, ჩვეულებრივ, ორი უფროსი ჭკვიანად არის მიჩნეული, მესამე — სულელად. ამ ინფორმაციას ზღაპრის პრეამბულაშივე ვიღებთ. საზღაპრო სიუჟეტში მოქმედების შემდგომი განვითარება ცელის ბევრს წარმოდგენას მათზე და აღმოჩნდება ხოლმე, რომ გმირი სწორედ სულელად მიჩნეული ძმა ყრფილა. ორი უფროსი ძმა კი ან უარყოფითად ხასიათდება, ან უმცროსთან შედარებას ვერ უძლებს. ძმების თვისებებისა და უნარის გამოვლენა ზღაპარში ხდება ურთიერთდაპირისპირებულების მხატვრულა საშუალების გამოყენებით. სწორედ გმირთა ურთიერთდაპირისპირებულება ავლენს, რომ საქმე გვაქვს ორი ტიპის გმირთა კონტრასტთან. სამმაგობიდან ორმაგობამდე ჩამოკდივართ.

ჯალღონური ზღაპრის კომპოზიციისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გმირის სამ დამხმარეს (ბელტიყლაპია, ზღვისხვრეპია, ფეხდოლაბა; ძაღლი, კატა, თავვი; ცხოველი სიძეები — არწივი, ძველი. ჰუ), როცა ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოქმედებას ასრულებენ. ამავე რიგში დგას სამი ბედისმწერელი, სამი საგანი და სხვ.



სამშაგობას თან ახლავს ეფექტის ზრდა, რომელიც ორი ფორმისაა: მისი მოდგენილი. საგანთა რაოდენობრივი ზრდა (დევნი 3-თავიანი, 6-თავიანი, 9-თავიანი) ეფექტის მექანიკურ ზრდას იძლევა. შემოქმედებითა ეფექტის ზრდა, როცა იგი მომდინარეობს მოქმედების შინაგანი ხასიათიდან, როცა საქმე გვაქვს ლოგიკურად მოტივირებულ ეფექტთან. სამშაგობის დროს ეფექტის ზრდა მიიღწევა მარტივიდან რთულისაკენ სელის პრინციპის გამოყენებითა და დაპირისპირებულ გმირთა მოქმედების ხატვით. მარტივიდან რთულისაკენ სელის ხერხის გამოყენებით ეფექტის ზრდა მიიღწევა. 1. გმირის სხვა პერსონაჟებთან (მაგ.: სამი დევნი და სხვ.) შეხვედრისა და 2. მესამე (ფინალური) ელემენტის — დავალების, ბრძოლის სირთულე, პასუხის სიმართლე, დევნი-საგან თავდახსნის რეზულტატურობა — დახასიათებისას. ამ დროს, ჩვეულებრივ, მესამე ელემენტი არის ზღვარი, რომლის წინა ორთან დაპირისპირება იძლევა ეფექტის ზრდას. რაც შეეხება დაპირისპირებულ გმირთა მოქმედების ხატვის გზით ეფექტის ზრდის მიღწევას, აქ მასალას იძლევა გმირისა და მისი მოწინააღმდეგის შეჯიბრი, სიუჟეტის დასაწყისში წარმოადგენილი ნაყოფობის (გასაქირის) ლიკვიდაცია სიუჟეტის დასასრულში ეფექტის ზრდის დანიშნულებათა აუდიტორიის დაინტერესება, შთაბეჭდილებების მოხდენა.

ზეპირისტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული მხატვრული საშუალება — კონტამინაცია ჯადოსნურ ზღაპარში რაც თავისებურებებს ავლენს⁸. კონტამინაციის წყალობით მიიღწევა ჯადოსნური ზღაპრის ტრადიციული სიუჟეტის გამრავალფეროვნება, მასში განვითარებულ მოქმედების განვითარება. სიუჟეტების შერწყმა ტრადიციული მასალის გამრავალფეროვნების მიზნით განვირობებულა პირველ რიგში ნიჟიერი მოქმედებას სწრაფვით, რაც შეიქმნება მეტი ინტერესი აღუქრას მსმენელს საზღაპრო გმირის თავგადასავლისადმი, ახალ-ახალი ფათერაკებით წარმოადგინოს მისი ურთიერთობა გარე სამყაროსთან, ტრადიციული მასალიდან იმპროვიზაციით შექმნას მოულოდნელი კომბინაციები. ნიჟიერ მოქმედება მიერ ტრადიციული სიუჟეტების შემოქმედებითად გადაშუშავების შედეგად მიიღება, ასე ვთქვათ, ახალი ნაწარმოები, რომელსაც ვაჩნია იდეური და მხატვრული ფუნქცია. ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში ყველაზე გავრცელებულია თემატკური კონტამინაცია, რაც ხშირად განვირობებულა აგრეთვე საზღაპრო სიუჟეტების პერსონაჟთა მსგავსებით. სიუჟეტური ტიპები, რომლებიც პერსონაჟთა მხატვრულ სახეების შერწყმის საშუალებას იძლევიან, ეხმარებიან მეზღაპრეს, ერთი მხრივ, კონტამინაციის ესთეტიკური პრინციპების უმნიშვნელოვანესი მოთხოვნების დაცვაში, ზოლო, მეორე მხრივ, საზღაპრო მოქმედების ლოგიკურად მოტივირებასა და მის სწორხაზოვნად განვითარებაში თემატკური მსგავსება განპირობებს ისეთი სიუჟეტური ტიპების კონტამინაციას, როგორებიცაა AT 480 და AT 510A, AT 510A და 403D; AT 510A და 412; AT 333 და AT 412. ქართულ მასალაში დასტურდება აგრეთვე კონტამინაცია მსგავსი კონფლიქტით გამართულ სიუჟეტურ ტიპებს შორის (მაგ.: 460Q + AT 707 + AT 315 და სხვ.). თემატკურად დაახლოებული სიუჟეტები, რომლებშიც ხელშეხახე-

⁸ А. Н. Веселовский, Собр. соч., т. 16, М.—Л., 1938, гл. 110. Его же, Поэтика сюжетов, Историческая поэтика, Л., 1940, гл. 500. М. К. Азадовский, Статьи о литературе и фольклоре, М.—Л., 1960, гл. 28-50. Н. М. Ведерникова, Контаминация как творческий прием в волшебной сказке, Русский фольклор, т. XIII, Л., 1972, гл. 160—166.

ბია მთავარ პერსონაჟთა და მათ დამხმარეთა მსგავსება, ზოგჯერ ასოციაციით უკავშირდებიან ერთმანეთს. ამგვარი კონტამინაციის საუკეთესო ნიმუშია ტიპების AT 530A და AT 532 შერწყმა. კონტამინაციის ეს შემთხვევა არის თვალსაჩინო ნიმუში საზღაპრო სიუჟეტების გავრცობის იმ ტენდენციისა, რასაც საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, სიუჟეტისათვის გრანდიოზულობის მინიჭების, ხოლო, მეორე მხრივ, მთავარი პერსონაჟის გმირული ბუნებისა და საფუძვლად საკმაოდ უფრო მეტად წარმოჩენის სურვილი.

სიუჟეტური ტიპების ერთმანეთთან ორგანული შერწყმისას სავალდებულოა შენარჩუნებულ იქნეს ნაწარმოების იდეურ-მხატვრული და კომპოზიციური მთლიანობა. კონტამინირებული ზღაპრის მთლიანობას ხელს უწყობს მთავარი პერსონაჟის ხასიათის ბოლომდე გახსნა, სპეციფიკური საზღაპრო მოქმედების ადგილისა და დროის დაცვა, სიუჟეტის ერთი დასაწყისისა და ერთი დასასრულის აუცილებლობის გათვალისწინება, მოქმედების თანმიმდევრული მდინარება და ერთი თემის განვითარება. კონტამინირებულ ზღაპარში გვაქვს ერთი ძირითადი და ერთი ან რამდენიმე დამხმარე სიუჟეტი. მეზღაპრე დამხმარე სიუჟეტიდან იღებს მხოლოდ საკონფლიქტო მოტივს.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში კონტამინაციის წყალობით წარმოდგენილია ხოლმე ორი თაობის ცხოვრების ისტორია. ორგანული კონტამინაციის შედეგად შექმნილი ნაწარმოებები თავიანთი მხატვრულობასა და მათში გადნიშვნილი ამბისადმი ინტერესის წყალობით ზოგჯერ ტრადიციულად გადაიქცევიან. კონტამინაციის მიზნებისათვის მთქმელები ხშირად მიმართავენ დაუსრულებელ სიუჟეტებს — AT 300 და AT 302. კონტამინაცია, როგორც მხატვრული საშუალება, ხელს უწყობს ტრადიციული ზღაპრის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას.

ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიციური მთლიანობისათვის აუცილებელია სახეზე გვექნოდეს საერთოდ მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის მთლიანობისათვის სავალდებულო ძირითადი ნაწილები: პრეამბულა, კვანძი, მოქმედების განვითარება, კონფლიქტის გადაჭრა და ბოლო ამბავი. ამთ გარდა, ჯადოსნურ ზღაპარში გვხვდება აგრეთვე ჩართული და დამატებითი ეპიზოდები, რომლებიც ზოგჯერ სიუჟეტიკურ კომპოზიციურ დახიშნულებას ასრულებენ, ზოგან კი მექანიკურად უკავშირდებიან მას.

პრეამბულაში გაერთიანებული მასალა მოწოდებულია კვანძის შეკვრისათვის პირობების მომზადებისა და მისი წარმოშობის მიზეზების დახასიათებისათვის. ზღაპარში კონფლიქტი წარმოიქმნება მავნებლობით, მაგრამ ვიდრე მავნებელი გამოჩნდება და თავისი მიზნის განსორცხვლებას შეუდგება, მეზღაპრეები ამზადებენ ნიადაგს მისი მოქმედებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. ეს პირობები იქმნება მშობლების სახლიდან წასვლით (სიკვდილით), მშობლების აკრძალვის ღარღვევით. აკრძალვის დარღვევა ხშირად ხდება მიზეზი კონფლიქტის შექმნის მეორე საშუალების — ნაკლებობის გამოვლინებისათვის.

მკვლევარები ხშირად მიუთითებენ ზღაპრის პრეამბულაში გამოყენებული მასალის მრავალფეროვნებასა და ნაკლებად ტრადიციულობაზე. ამ მოტივთა ტრადიციისადმი ნაკლები ერთგულება გამოწვეულია მათი ხშირი გადაშლამდობით.

საყოფიერო ზღაპრისაგან განსხვავებით, რომლის პრეამბულაში უკვე შეკრულია ხოლმე კვანძი⁹, ჯადოსნური ზღაპრის პრეამბულაში ზოგჯერ არ მზადდება ნიადაგი მომავალი საზღაპრო კონფლიქტის შესაქმნელად. მასში მოთხრობილია სხვა, სიუჟეტში გადმოცემული ისტორიისაგან განსხვავებული ამბები.

ხშირად ჯადოსნური ზღაპრის პრეამბულაში გმირი უკვე ახერხებს ხოლმე დამხმარის შეძენას, თუმცა ზღაპრის კომპოზიციისათვის არ არის საეალღუბლო ამ მნიშვნელოვანი მომენტის სწორედ პრეამბულაში გაფორმება.

მაგნებლის. როგორც გმირისადმი დაპირისპირებული პერსონაჟის გამოჩენა და მისთვის ვნების მიყენების ცდა ქმნის „ზღაპრის მოძრაობას“ (ვ. პროპი), რომელიც მოთხრობის ორგანიზაციის საფუძველია, სიუჟეტის წარმოქმნის წყაროა. მაგრამ მხოლოდ მოქმედება არ ახასიათებს ზღაპარს. მის გვერდით ზღაპარში გვხვდება სტატიკური ელემენტებიც (საზღაპრო სიტუაციებში აღწერილი გმირთა დასაწყისი და საბოლოო მდგომარეობა, მოთხრობის დანარჩენ ნაწილებში გადმოცემული მდგომარეობა პერსონაჟებისა). ეს სტატიკური ელემენტები უპირისპირდებიან დინამიკურ ელემენტებს — მოქმედებას, სიუჟეტური ამბების მოძრაობას, — რომელთა დახმარებითაც ყალიბდებიან მოტივი, ეპიზოდი, სიუჟეტი. სტატიკური და დინამიკური ელემენტების ურთიერთდაპირისპირებულება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურის განსაზღვრაში.

ჯადოსნურ ზღაპარში კონფლიქტის ჩასახვა ზორციელდება იმ სიტუაციათა და ვითარებათა დახატვით, რომელშიც იბადებიან და ერთმანეთს უპირისპირდებიან ორი პერსონაჟი — გმირისა და მისი მოწინააღმდეგის — ინტერესი. კვანძის შეკვრისათვის ისეთი მოქმედება საჭირო, რომელიც გარკვეულ გარდატეხას შეიტანს საზღაპრო პერსონაჟთა ჩვეულებრივ ცხოვრებაში. ვ. პროპის მართებული დასკვნით, საზღაპრო კონფლიქტი, რაოდენობრივი მრავალრიცხოვნების მიუხედავად, იქმნება „მავნებლობით“ ან „ნაკლებობით“. ზღაპრის აგების კანონის თანახმად, მავნებლობა ან ნაკლებობის გამოყვანილებას მოსდევს გმირის სახლიდან წასვლა, პირველ შემთხვევაში მავნებლის უვნებლყოფისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში — საძიებო ობიექტის მოსაპოვებლად. ზღაპარში გმირის სახლიდან წასვლამდე ჩნდება ეპიზოდები, რომლებშიც მოტივირებულია გმირის მოქმედება. ჯადოსნურ ზღაპარში, ნოველისტური ზღაპრისაგან განსხვავებით, კონფლიქტი მწვავე ხასიათს ატარებს განსაკუთრებით მისი მავნებლობით დაწყების შემთხვევაში. ნაკლებობით დაწყებულ ზღაპრებში კონფლიქტის სიმწვავე უთუოდ შესუსტებულია მავნებლობით დაფორმებულთან შედარებით, თუმცა ეს არ უშლის ხელს მუზღაპრეს დაძაბულად წარმართოს შემდგომი მოქმედება.

კვანძის შეკვრა ზღაპარში ყოველთვის აყენებს განსაზღვრულ ამოცანებს. ძირითადი კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის მოწოდებული გმირი მოქმედების განვითარების ლოგიკის თანახმად პირდაპირ თავისი მიზნის განხორციელებისაკენ უნდა ისწრაფოდეს, მაგრამ ჯადოსნურ ზღაპარში გმირის ძირითად მავნებელთან შეხვედრამდე ხშირად ჩნდება ეპიზოდები, რომლებიც ერთი შეხედვით არავითარ საერთოს არ ამჟღავნებენ ძირითად სიუჟეტურ ხაზ-

⁹ ა. ლონტი, ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1963, გვ. 10.

თან. ესენია ჯადოსნური ან საგმირო ხასიათის ეპიზოდები. მათ ზოგჯერ მექანიკურად ჩართავენ ხოლმე მეზღაპრეები სიუჟეტში, ზოგჯერ კი ისინი წამყვანი კონფლიქტის განვითარება-გადაწყვეტაში მონაწილეობენ¹⁰.

ზღაპარში მეორეხარისხოვანი სიუჟეტური ხაზის გამოჩენა იშვიათი მოვლენა არ არის. მეორეხარისხოვანი სიუჟეტური ხაზის ცენტრალურთან შერწყმა ოსტატი მეზღაპრისათვის საძნელო საქმეს არ წარმოადგენს. იგი ხორციელდება ძირითადი სიუჟეტის გმირის ხელშეწყობით, რომელთანაც არის ხოლმე დაკავშირებული დამატებითი ისტორია. ჩვეულებრივ, მეორეხარისხოვანი მოტივებში (ზოგჯერ შეიძლება მთელი სიუჟეტიც შეგვხვდეს) გადმოცემულია გმირის ბრძოლაზე გველშაპებთან, დევებთან, რომელთა დამარცხებაც აძლიერებს ჩვენს წარმოდგენას გმირის შესაძლებლობაზე, დამაჯერებელს ხდას იბრითადი სიუჟეტის მოწინააღმდეგეზე მის გამარჯვებას.

რაც შეეხება ცენტრალური სიუჟეტური ხაზისა და მეორეხარისხოვანის შეფარდებას, ეს უკანასკნელი ყოველთვის დამოკიდებულის როლს ასრულებენ. ისინი შეიძლება არც გაჩნდნენ სიუჟეტში, ან ისე შეიცვალონ სხვა, მსგავსი ეპიზოდებით, რომ სიუჟეტს ამით არაფერი დააკლდეს.

ორი სხვადასხვა სიუჟეტური ხაზის ქრონოლოგიური შეუთავსებლობა ზღაპრის კომპოზიციის ძირითადი პრინციპია და ამ პრინციპს თათქმის არასოდეს არ ღალატობენ მეზღაპრეები, თუმცა ვხვდებით შემთხვევები მის დარღვევისა, რაც იწვევს ერთი ეპიზოდის მეორეზე დაღებას. როგორც წესა, მეორეხარისხოვანი სიუჟეტური ხაზის გამოჩენისას დროებით, მის დასრულებამდე, შეჩერდება ხოლმე სიუჟეტის ცენტრალური ხაზის განვითარება.

ზღაპრის კომპოზიციის ძირითადი ელემენტის — მოქმედების განვითარების დასაბამს გვაძლევს გმირის სახლიდან წასვლა საძიებო ობიექტის განსათავისუფლებლად ან ჯადოსნური საგნის მოსაპოვებლად.

ჯადოსნური ზღაპრის ესთეტიკა მოითხოვს გმირის აუცილებელ გამარჯვებას. ზღაპარი ყოველთვის იმისაკენ არის მიმართული, რომ წარმატებით გადაიჭრას ეს მოლოვნა. მრავალფეროვანია გმირის მიერ წარმატების მოპოვების გზები, მრავალფეროვნად ვითარდება თვით საზღაპრო მოქმედებაც. თუ საძიებო ობიექტი (საგანი) სხვა სამეფოში იმყოფება, მაშინ გმირის მიზანიც სხვა სამეფოში მოხვედრა ხდება. აქ ხდება გმირი მავნებელს ან საძიებო საგნის მფლობელს.

გმირისა და მისი მოწინააღმდეგის უშუალო ბრძოლა სიუჟეტში იწყებს კულმინაციური მომენტის გაფორმებას. მავნებელთან ბრძოლაში (შეჯიბრში) გმირს ეხმარება სასწაულებრივი დამხმარე ან თავისივე ჯადოსნური ცოდნა (უნარი). მხოლოდ ამ გზით მიიღწევა ჯადოსნურ ზღაპარში გმირის გამარჯვება თავის მოწინააღმდეგეზე, სასწაულებრივ ძალთა დახმარებაც განაპირობებს გმირის მიერ რთულ დავალებათა წარმატებით შესრულებას, მის ვაცოცხლებას, მოჯადოებისაგან განთავისუფლებას და სხვ.

მავნებლის დამარცხებით (საძიებო ობიექტის ან საგნის მოპოვებით) ლიკვიდირებულია ხოლმე ზღაპრის დასაწყისში არსებული ნაკლებობა ან უბედურება და, მამასაღამე, კვანძის გახსნის აუცილებლობაც დგება, მაგრამ ჯა-

¹⁰ ე. ტუდოროვსკაია მათ ჩართულ ეპიზოდებს უწოდებს. იხ. Е. А. Тудоровская.

დოსნურ ზღაპარში, ნოველისტური ზღაპრისაგან განსხვავებით, მოქმედების განვითარება ზოგჯერ სხვაგვარად წარიმართება, კერძოდ, ჩნდება ეპიზოდები, რომლებიც გადაადგილებენ კვანძის გახსნის მომენტს. ეს ეპიზოდები ერთი შეხედვით არ არის აუცილებელი, მაგრამ დაკვირვება ავლენს, რომ ისინი კანონზომიერად ჩნდებიან სიუჟეტში, აკისრიათ გარკვეული ფუნქციის შესრულება.

ეს მოტივები მოწოდებულია იმისათვის, რომ გმირი დაამკვიდროს თავის ფაქტიურ სტატუსში, რაც მან დაიმსახურა თავისი საგმირო საქმეებით, თავისი უნარით. ამ მოტივებში საბოლოოდ ხორციელდება მანებლას უვნებლუყოფა, რითაც აქცენტირებულია ბოროტზე კეთილის გამარჯვების თვალსაზრისი.

ამ დამატებითი ეპიზოდების წმინდა კომპოზიციური დანიშნულება ზღაპრის გავრცობაა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისინი იძენენ სიუჟეტის საერთო ხასიათის განსაზღვრის დროს. მათი შემწეობით მოთხრობა სიკეთის ბოროტებასთან ბრძოლაზე საინტერესო, სისხლსავეს ხდება.

კვანძის გახსნით ფაქტიურად მთავრდება საზღაპრო მოქმედება. ტრადიციულ ჯადოსნურ ზღაპარში მოთხრობის დასრულების საშუალებები მრავალფეროვანია, მიუხედავად იმისა, რომ ზღაპარი ყოველთვის კეთილად სრულდება, რასაც მისი ესთეტიკური პრინციპები განაპირობებს.

კვანძის გახსნას ზღაპრის დასასრული ფორმულა მოსდევს.

ამგვარ კომპოზიციურ ჩარჩოში გაერთიანებული მასალა, რომელიც შეკრულია ერთი იდეით, იძლევა საფუძველს ზღაპარი იყოს კომპოზიციურად მთლიანი.

ჯადოსნური ზღაპრის სტილის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებათაგან გვევლინება ის ფაქტი, რომ მასში თითქმის უარყოფილია თხრობის ეპიკური სტილის გამოყენება. მიუხედავად მოთხრობის ფანტასტიკური ხასიათისა და გმირების გამოგონილ, პირობით სამყაროში მოქმედებისა, ამბავ თხრობა ისევე ზღაპარში მიმდინარეობს, თითქოს მოგვითხრობენ ცოცხალ, ახლობელ და ნაცნობ ადამიანებზე. ზღაპრის ფანტასტიკურ სამყაროზე მოთხრობა თითქოს უნდა საქირობდეს განსაკუთრებულ სტილს, როგორც ეს გვაქვს, მაგალითად, სავირო ეპოსში, სადაც სტილით, ტონითა და სახეთა ხასიათით ხაზგასმულია მათი სინამდვილისაგან დაცილებულება. ჯადოსნურ ზღაპარში თხრობა მიმდინარეობს „რეალისტურ-საყოფაცხოვრებო“ სტილში, მას აშკარად ეტყობა პირობითი ხასიათი. ეს გარკვეულად ავლენს შეუსაბამობას მონათხრობსა და მოთხრობის მანერას შორის. ჯადოსნური ზღაპრის გადმოცემისას ჩვეულებრივი სალაპარაკო მეტყველების დამკვიდრება, რაც ჩვენს დროში უთუოდ ვიზარდა, განპირობებულია ფოლკლორში მიმდინარე საერთო პროცესებით. გარდა ამისა, ზღაპარში ყველა პერსონაჟი ერთი და იმავე ენით ლაპარაკობს. მათ თითქოს არც კი აქვთ უფლება თავის პირად სიტყვაზე, მთელი ზღაპარი მთქმელის ენით არის გადმოცემული. ზღაპრის მოთხრობისას ჩვეულებრივი სალაპარაკო მეტყველების როლი თვალნათლივ ჩანს დიალოგის აკვების მაგალითებზე, რომელიც თავისი სტრუქტურითა და მანერით ძალზედ ახლოს დგას საყოფაცხოვრებო საუბართან. ზღაპრის თხრობისას ჩვეულებრივი სალაპარაკო მეტყველების გამოყენება განპირობებულია მეზღაპრეთა შესაძლებლობებითა და მსმენელთა მოთხოვნილებებით.

ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანი გახდება ჯაღოსნური ზღაპრის ენობრივი სტილის ან, როგორც ბ. ტომაშევსკი ამბობს, „ენობრივი გამოთქმების“ თავისებურებების¹¹ ანალიზი. ხალხური მეტყველება, როგორც მხატვრული, ისე სალაპარაკო, ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სილამაზით, ელერადობით, განსაკუთრებული ძალითა და გამომსახველობით. ხალხური შემოქმედების მკვლევართა მიერ მრავალჯის არის აღნიშნული ზღაპარში ტროპის, სხვადასხვა ფიგურათა და გამომსახველობის სხვა საშუალებათა ფართო გამოყენების ფაქტი. ეს საშუალებები უთუოდ განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ხალხური პროზის სტილის შექმნაში, მაგრამ მარტო ტრადიციული ეპიკური ფორმულები და ფიგურები არ უყრიან საფუძველს მის სტილს. ჯაღოსნური ზღაპრის ენობრივი სტილის შექმნას ხელს უწყობს ფრაზათა და ტექსტის ნაწილთა რიტმულობა, ზღაპარში ჩართული მოკლე ლექსები და მრავალი სხვ.

ჯაღოსნური ზღაპრის ტექსტში დასტურდება ისეთი მზა ფორმულები, რომლებიც სტილის შექმნაში მონაწილეობენ, მხატვრულ მთლიანობას ანიჭებენ ფანტასტიკურ მითხრობას. შინაგან ფორმულათა ერთი ჯგუფი პერსონაჟთა გარეგნობის ხატვისთვისაა მოწოდებული. ფორმულათა მეორე რიგში გაერთიანდებიან საზღაპრო სიუჟეტში განვითარებული მოქმედებისაგან დამოუკიდებელი ფრაზები, რომლებითაც ცალკეული მეზღაპრენი კომენტარს უკეთებენ შექმნილ საზღაპრო ვითარებას და რომლებიც გამიზნულია მსმენელებთან კონტაქტის შეუწყვეტლობისათვის. ფორმულათა მესამე ჯგუფს წარმოადგენს ცალკეულ პერსონაჟებთან დაკავშირებული ტიპობრივი გამოთქმები.

პერსონაჟთა გარეგნობის, ძალისა და სწრაფი ზრდის გადმოცემა ჯაღოსნურ ზღაპარში ტრადიციულა ფორმულებით მიიღწევა. ჯაღოსნური ზღაპარი საერთოდ არ იცნობს პერსონაჟთა გარეგნობის დაწვრილებით აღწერას. მეზღაპრენი თითქმის არასოდეს არ არღვევენ ამ ტრადიციას და ეპითეტის ან შედარების გამოყენებით ქმნიან რომელიმე სასურველი პერსონაჟის პორტრეტს. ამ საქმეში მათ დიდად ეხმარება ტრადიციულ კლიშეთა არსებობა, რომელთა საყოველთაო გავრცელება აადვილებს პერსონაჟთა გარეგნობის წარმოდგენას. „ქალი ისეთი ლამაზია, რომ უფრო მშვენიერს ვერც ნახავს კაცის თვალი და ვერც ინატრებს“; „ქალი ისეთი ლამაზია, რომ მზეს შემუტრდება იმისი სილამაზე“.

მზეთუნახავთან შედარებით ძუნწად არის ხოლმე წარმოდგენილი ვაჟის გარეგნობა. მეზღაპრენი ძირითადად მისი სწრაფი ზრდის, ძალისა და მოქმედებას შესახებ მითითებით კმაყოფილდებიან, რადგან ტრადიციულად გმირის ძალა და მოქმედება არის მისი როგორც გარეგნული პორტრეტის წარმოსახვის, ასევე შინაგანი სამყაროს დახასიათების ძირითადი საშუალება¹². დევის გარეგნობას მეზღაპრე მის სიძლიერესთან კავშირში წარმოადგენს. ამ სიძლიერეზე კი მისი თავების რაოდენობა მიგვანიშნებს. გარდა ამისა, დევის თავების რაოდენობა აკონკრეტებს მის პორტრეტს. დევის გარეგნობისა და მოქმედების ამსახველი ფორმულები, გველემშათან დაკავშირებულ ფორმულათა მსგავსად, ყოველთვის პიპერბოლითაა გაწყობილი. დევის ღედის გარეგნობაში დაჭერილი ერთი ღეტალი („ერთი კბილი ქვესენელში ჰქონდა ჩაშვებულ და

¹¹ Б. В. Томашевский, *Стилистика и стихосложение*, Л., 1959, стр. 9, 12
¹² ე. ვირსალაძე, *დასახ. შრ.*, გვ. 403.

4. მაღნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 1

ერთიც ცაში ჰქონდა მიბჭენილი“ და მისი მოქმედება („ჰადარივით ტარი ეჭირა ხელში და ზედ დოლაბი ჰქონდა კვირისტავად“) აღარ საჭიროებს მრავალსიტყვაობას.

მსმენელებთან კონტაქტის განახლებისა და ზღაპრის თხრობის გაქიანურების თავიდან ასაცილებლად მეზღაპრენი ხშირად იშველაებენ ტრადიციულ გამოთქმა-ფორმულებს, რომელთა პირველი ნაწილი უპირატესწილად ბოდიშის მოხდას ითვალისწინებს („თავი რომ არ მოგაწყინოთ“), მეორე ნაწილში კი საზღაპრო მოქმედება გრძელდება („ეს სახლი ააშენეს დევებმა და შევარდნენ უკან ქულში“).

ზოგიერთი ფორმულა სიუჟეტთან კავშირს არ ამქლავნებს, მაგრამ გამოყენებულია ან მსმენელთა დალოცვის ან მათთან კონტაქტის განახლებისათვის. მოქმელთა კომენტარებში ჩანს მათი დამოკიდებულება ზღაპრის მთავარი პერსონაჟებისადმი.

ქართული ჯადოსნური ზღაპრის ტექსტთა დიდი უმრავლესობა ბუნებრივი რიტმით არის წარმოდგენილი. ბუნებრივი რიტმით გამართული პროზაული ტექსტის რიტმულად მოწესრიგებაში დიდი წვლილი შეიტანა რეფრენმა¹³ (ან წინ ფუნქციაში შესულმა კითხვა-პასუხმა). ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში რიტმული პროზით გამართულია არა მარტო პროზაული მეტყველების უმადლესი ერთეულები — ფრაზა-ფორმულები, არამედ უფრო რთული რიტმული ერთობლიობანი — აბზაცები. გვხვდება რიტმული დიალოგიც. ამას გარდა შესაძლებელი ხდება თვალის გადევნება იმ გარდამავალი საფეხურისათვის, როდესაც ბუნებრივი რიტმით გაფორმებულ საზღაპრო ტექსტში უკვე ჩნდება შერთმვის ტენდენცია, როდესაც ვგრძნობთ მოთხოვნილებას რიტმულად ავღერდეს ტექსტის ესა თუ ის მონაკვეთი. ჯადოსნურ ზღაპარში პროზის რიტმულობა მიიღწევა სხვადასხვა საშუალებით, მაგრამ ძირითადად მიანიჭ გამოყენებულია ხოლმე სინტაქსური პარალელიზმი, ფიქსირებული ფორმის განმეორება, სიტყვათა მარცვლობრივი შესატყვისობა და გარკვეული განლაგება¹⁴.

ჯადოსნურ ზღაპარში რიტმული ორგანიზაციისათვის მოქმელები გამოყოფენ იმ ადგილებს, ტექსტის იმ მონაკვეთებს, რომლებზედაც შინაარსობრივი თვალსაზრისით აუცილებელია აქცენტირება. მოქმელთა ყურადღების მობილიზება და, მასასადამე, მსმენელისაც ხდება ჯადოსნური საგნების თვისებების, მათი მოქმედების უნარის დახასიათებაზე, მათი როლისა და მნიშვნელობის გახაზვაზე, პერსონაჟთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის ჩვენებაზე. საერთო თხრობის მდინარებიდან გამოყოფილია ხოლმე მიმართვები ვინმეს ან რაიმესადმი. აქცენტირებულია ფანტასტიკური სამყაროს განსაკუთრებულობა. ხალხურ პროზაში რიტმულად გამართული მთელი ნაწარმოები არ გვხვდება. პროზაული ტექსტის რიტმულად ორგანიზების მიზანია განსაკუთრებული ყდერადობა მიანიჭონ, საერთო თხრობისაგან გამოაცალკონ რომელიმე, მოქმელთა თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დეტალი ნაწარმოებისა. ჩვეულებრივი თხრობითი რიტმით გადმოცემულ ზღაპარში რიტმუ-

¹³ იქვე, გვ. 407

¹⁴ თეორიული თვალსაზრისი რიტმულ პროზაზე მოცემულია შრომებში: გ. კვიციანი, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 57—59. В. М. Жирмунский, О ритмической прозе, Русская литература, 1966, № 4, გვ. 105—106.

ლად აქლერებული მონაკვეთის გამოკრთომა ხელს უწყობს ემოციის ხარისხის ზრდას. უფრო მეტიც, ეს მონაკვეთი განსაკუთრებულ ტონს სძენს ნაწარმოებს.

ჯადოსნურ ზღაპარში ჩართული მოკლე ლექსები კონკრეტულ ამოცანებს ასრულებენ სიუჟეტში. ზღაპრებში „თხუნია“, „მეფე და სკვინჩა“, „სამი და“ ჩართული ლექსები სიმართლის გამოაშკარავების დანიშნულებისაა. ზოგ ლექსს მინიჭებული აქვს ფუნქცია ეპიზოდში განვითარებული ამბის ძირითადი არსის გაცხადვისა, სიტუაციის არაჩვეულებრიობაზე მინიშნებისა (ზღაპარი „სამი და“ — ლექსი „დაო, დაო, ძუძუ ძაღლო...“), განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნომენტის გამოყოფისა („ცხრა ძმა“). დიალოგით გაწყობილი ლექსები ძირითადად ინფორმაციის ხასიათისაა და განკუთვნილია მიჩქმალული საზღაპრო კონფლიქტის გასახსნელად (ზღ. „სამი და“ — ლექსი „მე დედამენი გშავდები, შენ ჩემი შვილი ბრძანდები!“) ან სიუჟეტში ფსიქოლოგიური დაძაბულობის შეტანისა და კვანძის გასახსნელად ნიადაგის შემზადებისათვის (ზღ. „ცხრა ძმა“ — ლექსი „წადი უთხარ ხელმწიფესა...“). ზოგ ზღაპარში ჩართული ლექსის მნიშვნელობა გაზრდილია სიუჟეტის დედააზრის გამოხატვის ფუნქციამდე (ზღ. „სიზნარა“).

მიმართვა-თხოვნის ხასიათის ლექსები, რომლებიც გარკვეულად უახლოვდებიან ჯადოსნურ საგნებთან დაკავშირებულ ტრადიციულ ფორმულებს, ზშირად („ანანა“, „კბილსავარცხელა“, „უბედური ხელმწიფის ზღაპარი“) სიუჟეტის კულმინაციურ მომენტში ჩნდებიან და მოწოდებულნი არიან ძირითადი თხრობისაგან გამოყონ, აქცენტი გაუკეთონ მნიშვნელოვან და გადამწყვეტ მომენტს, რომლის შემდეგაც სახე უნდა ეცვალოს შექმნილ ვითარებას, ახლებურად უნდა წარიმართოს მოქმედება. ამა თუ იმ სიუჟეტური მომენტის აქცენტირებაში მეზღაპრებს დიდ დახმარებას უწევს ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე განმეორება.

ჯადოსნურ ზღაპარში ლექსის გამოჩენა თვითმიზნური კი არ არის, არაზედ აუცილებელია, რადგან მისი საშუალებით ძირითადად გადმოიცემა ის მონაკვეთი სიუჟეტისა, რომელიც პროზით გადმოცემული, მოკლებული იქნებოდა აქცენტირების შესაბამის ხარისხს. პროზაულ ტექსტში ლექსითი ჩანართის გაჩენის უპირველესი ფუნქცია მსმენელის ინტერესის გაზრდაა. ჩვეულებრივი თხრობიდან გამოყოფილი მონაკვეთი ლექსის სახით ძაბავს მსმენელის ყურადღებას, ამზადებს აუდიტორიას გმირთა თავგადასავლის ახლებურად წარმართვისათვის, საუკეტში მოსალოდნელი გარდაქმნისათვის.

ზღაპარში მუდმივი ეპითეტებით გამოიხატება პერსონაჟის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა, ასაკი, გარეგნობა, სილამაზე; საუნის თვისება-რაობა, ფერი, რაოდენობა, სიგრძე, სიმაღლე, სიდიდე და მასალა. მუდმივი ეპითეტების სიმყარე, მათი „გაქვავებული ფორმა“ სინამდვილეში გარკვეულა თვალსაზრისით „მოჩვენებითა“. მიზეზი ამისა მდგომარეობს ცალკეულ მოქმელთა შესაძლებლობაში — მიუსადაგონ არსებით სახელებს სხვადასხვა ზედსართავეზი. ამ გზით ახალი ეპითეტების გაჩენა საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ მუდმივსა და ცვალებად ეპითეტებზე. ეს უკანასკნელნი ჩნდებიან კონკრეტულ შემთხვევაში და ხსნიან სიტუაციიდან გამომდინარე გარკვეულ თემას, დაკავშირებულს ამა თუ იმ პერსონაჟთან. ეპითეტი მარტო მხატვრული სამკაული კი არ არის, არამედ იგი საგანს ანიჭებს ახლებურ ქლერადობას, ხდის მას უფრო ხილულს. იგი მაშინ იხმარება, როცა აუცილებელია საგანში შეინიშნოს

ის ნიშანი, რომელიც ამ ეპიზოდში წარმოდგენილი უნდა იყოს გამოკვეთილად.

ინდივიდუალური განსაზღვრება-ეპითეტი წარმოადგენს პირადი შთაბეჭდილების შედეგად წარმოქმნილ განსაზღვრებას. ასეთი ეპითეტების შექმნის ახსნა ხერხდება მხოლოდ და მხოლოდ ზღაპრის შემქმნელთა შემფასებლობითი კრიტერიუმის ახსნით. მიქმელის გმირისადმი დამოკიდებულება ხშირად ინდივიდუალურ ეპითეტებში ვლინდება ხოლმე.

ჯადოსნურ ზღაპარში შედარება ძირითადად აგებულია შესადარებელ ობიექტთა გარეგნულ მსგავსებაზე, რაც მიზნად ისახავს დაკვირვების საგნის თვალსაჩინოდ ქცევას. ყველაზე მეტად გავრცელებულია მარტივი შედარებები, რომლებშიც სახეზე გვაქვს შედარებულ-შესადარებელ საგანთა წყვილი. რთულ შედარებაში ერთი საგანი შედარებულია მეორესთან, მაგრამ შთაბეჭდილების გაძლიერებისა თუ ცხადყოფის მიზნით პირველ შედარებას თან ახლავს მეორეც. გავრცელებულია ანტონიმებით გაწყობილი შედარებების ნიმუშებიც. ზოგიერთ ფრაზაში დასახელებულია შესადარებელი საგანი, მაგრამ ჩაეარდნილია ის საგანი, რომელსაც უნდა შეუდარდეს აგი, თუმცა ფრაზა ისეა აწყობილი, რომ გამოტოვებული საგანი ან აუცილებლად იგულისხმება, ანდა რაიმე საშუალებით მიგვანიშნებენ მასზე.

ჰიპერბოლა ჯადოსნურ ზღაპარში ფანტასტიკის შექმნის ერთ-ერთი მხატვრული საშუალებაა. მის ძირითად ფუნქციად გმირისა და მასთან დაპირისპირებულ ძალთა გაზვიადება ვგვევლინება, რაც ზრდის პერსონაჟის მათთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის ხარისხს. ჯადოსნურ ზღაპარში ძირითადად ჰიპერბოლიზებულია პერსონაჟთა სილაშაზე, ასაკი, სიმდიდრე, შესაძლებლობები, სიდიდე, ფიზიკური ძალა, მადა, საცხოვრებელი და სხვ. პერსონაჟის თვისებების გაზვიადებისას მიქმელები კონკრეტულ, მაგრამ საზღაპრო კანონზომიერებას დაქვემდებარებულ ამოცანებს ისახავენ. ლიტოტესის ხმარება ჰიპერბოლასთან შედარებით შეზღუდულია, რაც აიხსნება ფანტასტიკური მოთხრობის სპეციფიკური თავისებურებებით. ჯადოსნურ ზღაპარში ჰიპერბოლისა და ლიტოტესის ერთად გამოყენება განპირობებულია საერთოდ ზღაპარში მოქმედ ძალთა ურთიერთდაპირისპირებულობით. მეზღაპრეები პოეტიზირებული ბრძოლის ასახვისაღ სიტუაციის შესაბამისად აზვიადებენ ან ამცირებენ ხოლმე ამ ძალთა თანაფარდობას.

ჯადოსნური ზღაპრის პოეტიკის პრობლემა დღევანდელი ზღაპარმცოდნეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. საზღაპრო ეპოსის ამ სახეობაში გამოვლენილი მხატვრული აზროვნებისა და პოეტიკის საშუალებები, გარკვეულად განსხვავებული როგორც საგმირო ეპოსის, ასევე საყოფიერო-ნოველისტური ზღაპრისა და ცხოველთა ეპოსისაგან, საუკეთესო მასალას იძლევა საერთოდ მხატვრული შემოქმედების სათავეებისა და ერას პოეტური ნაზრკვის შესწავლისათვის.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
 ისტორიის ინსტიტუტმა)

ფიქრია ზანდუქელი

ცხოველთა ეპოსის სტრუქტურის საკითხები¹

მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურის შესწავლა არ გულისხმობს მხოლოდ გარეგნული ელემენტებისა და მომენტების დამუშავებას. სტრუქტურა წარმოადგენს იმ რთულ ფენომენს, რომელიც ითვალისწინებს გარეგნული და შინაგანი ელემენტების მყარ ერთიანობასაც. სტრუქტურა ეს არის შემოქმედის იდეური ჩანაფიქრის მხატვრულად გამოსახვის ფორმა. მას ასახულისა და ამსახველის საშუალებათა ერთიანობად აღიარებენ. მაშასადამე, ქართული ცხოველთა ეპოსის სტრუქტურის, კომპოზიციის შესწავლა გულისხმობს ფორმა-შინაარსის დიალექტიკური ერთიანობის გარკვევასაც.

ფორმა არ არსებობს თვითმიზნურად. იგი ჩანაფიქრის გამეღვანების საუკეთესო გზაა. კონკრეტული ფორმით ყველაზე უკეთ გამოიხატება კონკრეტული შინაარსი. ერთი შეხედვით, ძალზე მარტივია ცხოველთა შესახებ ზღაპრების კომპოზიცია. ამ ნაწარმოებთა სადა ფორმა, ნათლად მოწოდებულ იდეა, სიუჟეტის გაშლის პირდაპირი გზები თითქოს ნაკლებ საინტერესოს ხდის მათ სტრუქტურას, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს პირველი შთაბეჭდილება სრულიადაც არ მართლდება. პირუკუ, ცხოველთა შესახებ ზღაპრებში იგრძნობა შემოქმედთა ძალზე ორიგინალური ხელწერა და მკაფიო, ნათელ შინაარსს დამორჩილებული ადეკვატური ფორმა, ფორმა-შინაარსის ადეკვატურობა კი ხალხის დიდი პოეტური გემოვნებისა და მხატვრული ოსტატობის გამოვლენაა.

ცხადია, კომპოზიცია ფართო გაგებით გულისხმობს არა მარტო სიუჟეტის განვითარების ცალკეულ ელემენტთა დახასიათებას, არამედ, ამასთანავე, სტროფიკის, მხატვრული ხერხების, ცალკეული მოვლენებისა და პოეტურ გაღვებათა აღნუსხვა-შეფასებას. ამჯერად ასე ფართო მიზანს არ ვისახავთ. ჩვენ შევეცდებით მივუთითოთ იმ სპეციფიკურ თავისებურებებზე, რითაც ქართული ხალხური ზღაპრები განსხვავდებიან სხვა სახის ლიტერატურული ძეგლებისაგან. ამასთანავე, რამდენადმე შევეცდებით ცხოველთა შესახებ ზღაპრების სტრუქტურულ სპეციფიკაზე გავამახვილოთ განსაკუთრებით ყურადღება.

ცხოველთა ეპოსის კომპოზიციურ ელემენტთაგან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ზღაპართა სათაურები. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოდ გვეჩვენება შემდეგი საკითხი — დასათაურება რამდენად შეესატყვისება ნაწარმოების შინაარსს. საინტერესოა, სათაურები დამკვიდრებულ

¹ ცხოველთა ეპოსის მხატვრული კომპოზიციის საკითხს სპეციალურად ეხებიან: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, 1938 წ.; ე. ვირსალაძე, ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. I, 1960 წ.



სახით არსებობს, თუ იგი ნიუანსურ ცვლილებებს განიცდის მთქმელის, ჩამწერის ან გამომცემლის მხრივ. ეს საკითხი მით უფრო პრობლემურია, რომ ჩვენ ვხვდებით ერთსა და იმავე ზღაპარს განსხვავებული სათაურებით. ამჯერად ძნელი დასადგენია, თუ ვარიაციული სხვაობა საიდან მოდის. გამორიცხული არ არის, რომ აქ მწიგნობრის ხელი იგრძნობოდეს, მაგრამ, ასეა თუ ისე, ფიქსირებული ზღაპრების სათაურები, რომლებიც უკვე ტრადიციულად დამკვიდრებულია, უნდა გახდეს ჩვენი მსჯელობის საგანი.

საერთოდ, მხატვრულ ლიტერატურაში სათაური სრულიადაც არ წარმოადგენს კატალოგურ ელემენტს, რომლითაც ხდება ნაწარმოების ნაწარმოებისაგან განსხვავება. სათაურს უზარმაზარი ფუნქცია ეკისრება. უმეტეს შემთხვევაში იგი ნაწარმოების შინაარსის, იდეური პოზიციის და მწერლის განწყობილებათა გამომხატველია. ამდენად, სათაური წარმოადგენს ნაწარმოების ორიგინალურ და ბუნებრივ ნაწილს, რომლის შეცვლა-გადახალისება უთუოდ ნაწარმოების ანალოგიური ტრანსფორმაციით უნდა იყოს გამოწვეული და არა ვინმეს ნებელობით.

რა მდგომარეობაა ქართულ ხალხურ ზღაპრებში, კერძოდ ცხოველთა ეპოსში?

წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ ცხოველთა შესახებ ზღაპრების სათაურები არ გამოირჩევიან დიდი შინაგანი დატვირთვითა და ქვეტექსტური ელემენტებით. აქ დამაინტერესებლობის შემცველი მომენტებიც თითქმის უგულებელყოფილია. სათაურთა უმრავლესობა ინფორმაციული ხასიათისაა, მათში ნაკლებ ჩანს ტენდენცია და იდეური ჩანაფიქრი. ასეთი სათაურები, როგორც წესი, აგებულია პერსონაჟთა სახელებზე, მაგალითად „მელია და დათვი“, „ლომი და მელია“, „კაცი, ტურა, მელია, კატა, ლომი და მგელი“ და ა. შ. ასეთი სათაურებიდან ჩვენ მხოლოდ იმას ვიკვებთ, თუ ვისზე იქნება საუბარი ნაწარმოებში, ვინ არიან ზღაპრის პერსონაჟები. სხვა მხრივ, ხსენებული სათაურები უტყვია. მაშასადამე, ისინი არსებითად ერთდატვირთვიანია და ამდენად მოიკოჭლებენ კიდევ. ხაზს ვუსვამთ სიტყვას — არსებითად, რადგანაც ზოგიერთმა შეიძლება ასეთ სათაურებში, რამდენადაც ისინი შინაარსს არ ამქლავებენ, აღმოაჩინოს დამაინტერესებლობის მომენტი. მართლაც, ზღაპრის სათაური — „კაცი, ტურა, მელია, კატა, დათვი და მგელი“ რამდენადმე აღვივებს ინტერესს იმის გამო, თუ რატომ არის სათაურში თავმოყრილი ესოდენ ბევრი სახელი, რა ურთიერთობაა მათ შორის, როგორი უნდა იყოს სიტუაციებში მათი როლი და ა. შ. ამრიგად, შეიძლება ნაწილობრივ ანალოგიური სათაურები ხელს უწყობდეს ინტერესის გაღვივებას და ნაწარმოების წაკითხვისადმი მიდრეკილებას. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ზღაპარში დარღვეულია წესი, ე. ი. სათაურში მოხსენიებული პერსონაჟები არ წარმოადგენენ ზღაპრის მთავარ გმირებს. ნაწარმოების დასაწყისში ისინი თუმცა გარკვეულად ჩნდებიან, მაგრამ შემდეგ ზღაპარი გადაირთვება და სულ სხვა პიროვნება იჭერს მთავარ ადგილს. ასეთია, მაგალითად, „შაშვი და მელია“, რომლის დასაწყისშია მხოლოდ აღნიშნული, რომ მელიამ შაშვს შევლები მოსთხოვა, შაშვი უარი უთხრა. ეს უარი გახდა საბაბი ორფეხებსა და ოთხფეხებს შორის დიდი ბრძოლისა. გაიმარჯვეს ორფეხებმა. ამ ბრძოლაში დაჭრილი კაცი სვავს გადაეყრება, რომელიც წაიყვანს დაჭრილს და უწამლებს. და აი, ზღაპრის ცენტრალურ ადგილს იკავებს ეს კაცი. მას ჯადოსნური ზღაპარული აქილდობები, შემდეგ ჯადოსნურ ხმალსა და სუფრასაც ჩაიგდებს ხელ-

ში და ა. შ. ერთი სიტყვით, სათაური მოხსენიებული ზღაპრისა არ არის წინაარსის ადევკატორი და ვერ გამოხატავს ნაწარმოების შინაგან სამყაროსა და ტენდენციებს, ვერ მიუთითებს მთავარ მოქმედებასა და პერსონაჟებზე.

ცხოველთა შესახებ ზღაპრებისათვის დამახასიათებელია ორწევრიანი სათაურები, და კავშირით გაერთიანებულნი. ამ შემთხვევაში თითქოს მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სათაურ-სინტაგმის შემადგენელ ნაწილთა ადგილს. როდესაც მოქმედები თუ ავტორმოქმედები გამოყოფენ მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებს, როდესაც სიმპათიურ თუ ანტიპათიურ დამოკიდებულებას იჩენენ ამ პერსონაჟებისადმი, ეს გამოხატულებას პოულობს სათაურში. მაგრამ ცხოველთა ეპოსში ასეთი მახვილი და მგრძობიარე დამოკიდებულება ყოველთვის არ შეინიშნება. ერთ შემთხვევაში ზღაპარი ასეა დასათაურებული: „მელა და დათვი“, მეორე შემთხვევაში კი პირუკუ — „დათვი და მელა“. პირველ ზღაპარში სათაურის პირველი წევრი მართლაც წამყვანი, მთავარი პერსონაჟია, უფრო მნიშვნელოვანი და ამიტომაც მას ასახელებენ პირველ ადგილზე. მელია ასეთივე მოქმედი და ცენტრალური მეორე ზღაპარშიც, მაგრამ იგი პირველ ადგილზე როდია მოხსენიებული. მაშასადამე, რამდენადმე დარღვეულია უფრო მნიშვნელოვანის გამოყოფის წესი. გვხვდება აგრეთვე მეორე ტიპის სათაურები, რომლებიც ფაქტიურად პირველი ჯგუფის სათაურთა გავრცობილ ვარიანტებს წარმოადგენენ. ასეთებია: „მელიისა და დათვის ამბავი“, „კურდღლისა და ბაჭიების თავგადასავალი“, „ზღაპარი ღორისა, მისი ხუთი გოჭისა და მელიისა“ და სხვა. ეს სათაურებიც ფაქტიურად ინფორმაციული ხასიათისაა. მხოლოდ მოქმედ პერსონაჟებზე მივვანიშნებ, რაც შეეხება სინტაგმის დამატებით ნაწილს („ამბავი“, „თავგადასავალი“, „ზღაპარი“), სრულიადაც არ აღიქვება პირდაპირი მნიშვნელობით. რატომ უნდა, ბოლო სათაურში „ზღაპარი“ არა იმდენად ქანრის სპეციფიკის განსაზღვრას ემსახურება, ისევე როგორც პირველში, არამედ განზოგადებულად თხრობას გულისხმობს. ამაში კიდევ უფრო გეარწმუნებს სათაური — „კურდღლისა და მისი ბაჭიების თავგადასავალი“, რომელშიც ფაქტიურად თავგადასავალი კი არა, ერთი ეპიზოდია მოთხრობილი. მაშასადამე, ეს გავრცობილი ინფორმაციული სათაურები ფაქტიურად არ განსხვავდებიან პირველი ტიპის სათაურებისაგან და მათ მხოლოდ ურთიერთისაგან, ზღაპრის ზღაპრისაგან გამიჯვნის ფუნქცია ეკისრებათ.

ცხოველთა ეპოსში გამოიყოფა კიდევ ერთი რიგის სათაურები, რომელთაც შეიძლება პირობითად შინაარსის გამმყლავნებელი სათაურები ეწოდოს. ისინი იმით არიან საყურადღებონი, რომ უფრო აკონკრეტებენ ზღაპრის შინაარსს, ძირითად ამბებზე მივვანიშნებენ. ასეთებია: „მგლის ბერად შედგომა“, „ვეფხვი კატის მოსარჩლე“, „მელიას თავის კულზე ჯავრი მოსლიდა“ და სხვა. ეს სათაურები, როგორც ვხედავთ, მივეითითებენ იმაზე, თუ რაზე იქნება საუბარი ნაწარმოებში. ამდენად, უფრო მეტყველნი არიან, ვიდრე ადრე განხილული ტიპის სათაურები. მაგრამ ანალოგიური დასათაურებანი შედარებით ნაკლებია.

ცხადია, უკანასკნელი ტიპის, ე. წ. შინაარსის გამმყლავნებელი სათაურები ვაცილებით შთამბეჭდავია და ინტერესსაც მეტად ძაბავს. აქ უკვე რამდენადმე მაინც მინიშნებულია ძირითად ხაზზე და, ამრიგად, მსმენელის თუ მკითხველის ამორფული წარმოსახვა-შთაბეჭდილებანი შედარებით ვიწრო კალაპოტით მიემართება.



განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ სათაურთა იმ წყებაზე, მთხრობელთა ტენდენციის უფრო მკაფიო გამომჟღავნებას ითვალისწინებს. ასეთად მიგვაჩნია „სამმტევან ჭაბუკიშვილი“². შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს სათაური ფაქტიურად პირველი ტიპისაა, რამდენადაც იგი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზღაპრის მთავარ პერსონაჟს სამმტევან ჭაბუკიშვილი წარმოადგენს. მაგრამ სინამდვილეში მათ შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. თუ პირველი ტიპის ინფორმაციულ სათაურებში პერსონაჟის დასახელება ტენდენციის გამჟღავნების ადეკვატური არ იყო, უკანასკნელ შემთხვევაში განსხვავებულ მომენტთან გვაქვს საქმე. აქ უკვე ცნება „ჭაბუკიშვილი“ მიგვანიშნებს თავისთავად მოქმედლის დამოკიდებულებაზე პერსონაჟთან; ამასთანავე, „სამმტევანიც“ გარკვეული ცნობისმოყვარეობის აღმძვრელია, რატომ წარმოდგება ეს სახელი სამი მტევნისაგან და ა. შ. როგორც ჩანს, ეს სათაური სამგანზომილებიანია. ჭერ ერთი, მიუთითებს მთავარ მოქმედ პირზე, მეორეც, გამოხატავს ტენდენციას და, მესამეც, ძაბავს მსმენელისა თუ მკითხველის ყურადღებას და ტექსტთან უფრო აახლოებს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ანალოგიური სათაურები გაცილებით ღრმა და შთამბეჭდავია. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ სათაური მაშინაა ძლიერი, როდესაც იგი ტექსტის შესატყვისია. სათაური რამდენადმე სიუჟეტის განმსაზღვრელი კომპონენტიცაა და მასა და ტექსტს შორის ალოგიურობა არ უნდა იგრძნობოდეს. ეს კი აშკარაა „სამმტევან ჭაბუკიშვილში“. სიტყვა ჭაბუკიშვილი გარკვეულ სიმათიებს აღძრავს მსმენელსა თუ მკითხველში. პერსონაჟი ქველ, ვაჟკაც, მომხიბვლელ პიროვნებად წარმოგვიდგება. სათაურიდან გამოყოფილ ამ პირველ შთაბეჭდილებას არ ამართლებს ტექსტი, სადაც „სამმტევანა“ სულ სხვაგვარადაა დახატული. იგი რამდენადმე მხდალია, ახალი ამბის გაგონებაზე წელი სწყდება და ლულულეებს. მაშასადამე, სათაურსა და ტექსტს შორის თვალსაჩინო სხვაობა შეინიშნება. მაგრამ ასეთი გამოჩაყლისები შედარებით ნაკლებია. სათაური და შინაარსი ხალხურ ეპოსში უმეტესად ურთიერთშესატყვისია. და ეს ნაწილობრივ იმიტაც უნდა აიხსნას, რომ სახელწოდების ზოგადობა ტექსტისა და სათაურის დაპირისპირების საფუძველს ნაკლებ იძლევა.

ამრიგად, ცხოველთა ეპოსის სათაურებთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მათთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის სათაურები, რომელთაგანაც ყველაზე ნიშანდობლივია ინფორმაციული სათაურები. სათაურის ამგვარი ხასიათი შეიძლება იმით აიხსნას, რომ, ჭერ ერთი, ტექსტში მთხრობელის ტენდენცია აშკარად ნაკლებად, ან საერთოდ არ ვლინდება და ამდენად ტენდენციის შეფარვითი გამჟღავნება, ერთგვარი ობიექტური საფანელი მოითხოვს სათაურის შესაბამის წყობასაც; მეორე მხრივ, ეს მარტივი სათაურები ზღაპართა თემატიკით და სიუჟეტის განვითარების სწორხაზოვნობით, სისადავით აიხსნება. მხედველობაში მისილება, აგრეთვე, პერსონაჟთა სიმცირეც.

ამრიგად, ცხოველთა ეპოსის ნიმუშებისათვის ნიშანდობლივად უნდა ჩაითვალოს ინფორმაციული ტიპის სათაურები.

რამდენადაც საუბარი საერთოდ სახელწოდებებზე ჩამოვარდა, აქვე მოკლედ შევეხებით პერსონაჟთა სახელებების შერჩევასაც. ცხო-

² ქართული ხალხური ზღაპრები, I, შემდგენელი მიხ. ჩიქოვანი, 1938. ამავე კრებულით ვსარგებლობთ ნაწილობრივ წყაროს მითითების გარეშე გამოყენებული ზღაპრების დასახელებისას.



ველთა შესახებ ზღაპრებში აშკარად იგრძნობა პერსონაჟებისთვის სახელების შეურქმევლობა, რითაც იგი საგრძნობლად განსხვავდება, მაგალითად, რუსული ზღაპრებისაგან, სადაც მთქმელთა განმარტებებითა და ეპითეტებით სხვადასხვა ცხოველთა ტიპური სახეებია მოცემული. ასე, მაგალითად, მელია მონათლულია როგორც „хитрая лиса“, „лиса Патрикеевна“, „лиса краса“, „лисица красавица“, „кумушка“ და სხვ. ასევე მგელი მოიხსენიება, როგორც „волк дурен“, „глупый, старый волк“, „серый дурак“ და ა. შ. დათვი — „лесной дурак“, „мужик-серячок“ და სხვ.³

ქართულ ზღაპრებში იშვიათად დაიძებნება შემთხვევა იმისა, რომ მელია, მგელი, დათვი, კურდღელი თუ სხვა ცხოველი მოხსენიებულ იყოს სათანადო ეპითეტებითა და სხვა ტროპებით. ეროვნულ ებოსში ყოველთვის იგრძნობა მელაკუდას მოხერხებულობა, ეშმაკობა თუ ცბიერება, მგლის სისულელე, გაუმადლობა და მოუსაზრებლობა, დათვის გულუბრყვილობა და ა. შ. მაგრამ მათი ბუნების გახსნაში ძირითადად ზღაპრის მთელი შინაარსი ღებულობის მონაწილეობას, მოქმედება განსაზღვრავს ამ პერსონაჟთა ხასიათს და არა პოეტურ-გამომსახველობითი სამკაულები. ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებული ქართული ზღაპრებისათვის აღნიშნული გარემოება სპეციფიკური ჩანს. ასევე განსხვავდება ისინი სახელების შერქმევის მხრივ ლატერატურული ზღაპრებისაგანაც. მოვიგონოთ ლ. ტოლსტოის, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა ცხოველი პერსონაჟების სახელები: Михаил Иванович, Настася Петровна (ლ. ტოლსტოი), ქეთევანი, ზაქარია, თომა (ვაჟა-ფშაველა) და სხვა. ამ ფაქტს ობიექტური ახსნა უნდა მოეძებნოს. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მისაღებია კოლექტიური ავტორობა და ფორმირების ხანგრძლივი პროცესი, რაც, ბუნებრივია, ზოგადი სახელწოდების გაბატონებას აკანონებს. ქართულ ხალხურ ზღაპრებში მელია — მელიაა, დათვი — დათვია, მგელი — მგელია, უფრო მეტიც, შემფასებლური სიტყვები ეპითეტებისა და მეტაფორების სახით, როგორც ახლახან შევნიშნეთ, ნაკლებად აქვთ დართული. ამით ერთგვარი ობიექტურობის შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მთხრობელი მიუკერძოებელია პერსონაჟებისადმი და ამიტომაც საბოლოო შედეგი დამარწმუნებლად უნდა იქნეს მიჩნეული. ერთი სიტყვით, ზოგადი პერსონაჟის გამოყვანა, ხასიათის ზოგადობა ხელს უწყობს კონკრეტული სახელწოდებისაგან თავდაღწევას.

ცხოველთა ებოსის კომპოზიციურ ელემენტთა შორის მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ეკისრება ზღაპრის დასაწყისს. ცხოველთა შესახებ ზღაპრებისათვის ნიშანდობლივ დასაწყისებზე დაკვირვებამ გარკვეულ დასკვნებამდე მიგვიყვანა. შეინიშნება ერთგვარი კანონზომიერება. უმეტეს შემთხვევაში ზღაპარი იწყება პროლოგის და, არცთუ იშვიათად, ექსპოზიციის გარეშე. ხშირია, როდესაც ზღაპარი უშუალოდ კვანძის შეკვრით იწყება. მაგალითად: „დათვი და მელა დამძობილდნენ, გაუყვნენ ზვას და მიდიან. ვავილენ ერთ სწორ მინდორზე. დათვმა დაინახა ცხვრის ფარა და მელას უთხრა: მელიკო, თუ შეგიძლია ერთი ცხვარი მომიყვანე...“⁴. სხვაგან: „ტურამ ერთ დედაბერს ქათამი მოსტაცა და ტყისაკენ გაიქცა“... ან კიდევ — „მელია ქალაქში დასუნსულებდა და ერთ სამღებროში ჩავარდა...“⁵ და ა. შ. ამგვარ დასაწყისებს

³ Ю. М. Соколов, Русский фольклор, 1941, стр. 333.

⁴ ქართული ხალხური ზღაპრები, I, შემდგენელი მიხ. ჩიქოვანი, 1938, გვ. 13.

⁵ იქვე, გვ. 22, 25.



ერთგვარი უპირატესობა გააჩნია. მოქმედების უშუალო დაწყებამ შექმნა დინამიკურობა, შეკუმშულობა და მკითხველსა თუ მსმენელს ნაკლებ ელის მომბეზრებლობის საფრთხე. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტის სწორხაზობრივი განვითარება ნაკლებ მოითხოვს ვრცელ ექსპოზიციას, შინაარსი განსაზღვრავს მოქმედების სწრაფ დაწყებას და ზღაპარიც ინტერესით იკითხება.

ცხოველთა სამყაროსადმი მიძღვნილი ზღაპრები, რა თქმა უნდა, მოკლებული არ არის თავისებურ ექსპოზიციასაც, მაგრამ ეს შესავალი ნაწილი ძალზე მოკლეა და გარკვეულ შემთხვევაში ფორმულის სახეს იღებს. ტექსტების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ცხოველთა ეპოსში ექსპოზიციის განსხვავებული ხასიათი ნაკლებ არის მოტივირებული თვით ნაწარმოებების ტექსტთა ხასიათით. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში ზღაპართა დასაწყისი შემდეგნაირია: „იყო ერთი მელია...“, „იყო ერთი ღორი...“, „იყო ერთი კაცი...“ და ა. შ.

დასაწყისი „იყო...“, როგორც ცნობილია, ნოველისტური ტიპის ზღაპრებისათვის არის დამახასიათებელი და მათში გამჟღავნებულია საზოგადოებრივი შეხედულებანი და მიდრეკილებები. მოტანილი ტიპის დასაწყისს პროფ. მის. ჩიქოვანი სპეციალურად განიხილავს ცხოველთა ეპოსის მხატვრული კომპოზიციის საკითხებზე მსჯელობისას და მას „რეალისტური ტიპის თხრობით-კონკრეტულ დასაწყისს უწოდებს“⁶. მეორე მხრივ, ცხოველთა შესახებ ზღაპრებში მოშველიებულია ფორმულა — „იყო და არა იყო რა“. ამგვარ დასაწყისს იგივე ავტორი რეალისტური ტიპის თხრობითი აბსტრაქტული სახელით მოიხსენიებს⁷. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი ტიპის დასაწყისი ძირითადად ჯადოსნური ზღაპრებისათვისაა დამახასიათებელი. ჩვენ გვაინტერესებს, თუ რომელ შემთხვევაში იყენებენ მოქმედები განსხვავებულ დასაწყისებს და რით არის მოტივირებული მათი მოშველიება. ირკვევა, რომ აქ კონკრეტული, მყარი წესი არ არსებობს. ერთი და იმავე ტიპისა და ხასიათის ზღაპარი იწყება როგორც პირველით, ასევე მეორეთი. ნოველისტურ და ჯადოსნურ ზღაპრებში დასაწყისის ამგვარი კლასიფიკაცია მყარ საფუძველს ეყრდნობა. ნოველისტურისათვის ნიშანდობლივია პირველი რიგის, ე. წ. რეალისტური ტიპის თხრობითი კონკრეტული დასაწყისი, ხოლო ჯადოსნური ზღაპრებისათვის, — მეორე რიგის, ე. წ. რეალისტური ტიპის თხრობითი აბსტრაქტული დასაწყისი. ცხოველთა შესახებ ზღაპრები თავიანთი ბუნებითა და ხასიათით ემსგავსებიან როგორც ნოველისტურ, ასევე ჯადოსნურ ზღაპრებსაც და ამიტომაც მოსალოდნელია ასეთი გავრცელება. ეს რომ ასეა, საუკეთესოდ მტკიცდება ზღაპრით „სამშტევან ჭაბუკიშვილი“, რომელშიც ჯადოსნური ზღაპრის ელემენტები და თვისებები მეტად მკაფიოდაა გამჟღავნებული და ზღაპრის დასაწყისიც — „იყო და არა იყო რა“ ამ ნაწარმოებისთვის სრულიად ბუნებრივი ჩანს. თუ მათემატიკურ სიზუსტეზე მიდგება საქმე, მაშინ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ცხოველთა შესახებ ზღაპრებისათვის ძირითადად დამახასიათებელია დასაწყისი „იყო...“, ეს კი, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, უმეტესად მოტივირებულია ზღაპართა რეალისტური ნოველისაგან მიახლოების ტენდენციით.

⁶ მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 367.

⁷ იქვე.



ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ცხოველთა ეპოსისათვის დამახასიათებელი ბელია მოკლე შესავალი, ან საერთოდ კვანძის შეკვრით მოქმედების დაწყება. ეს მეტად ნიშანდობლივი მომენტი და ამ ნიშნით შეიძლება მათა სხვა სახის ნაწარმოებებისაგან განსხვავება.

ცხოველთა ზღაპრების დასაწყისისათვის ნიშანდობლივად უნდა მივიჩნიოთ ის ვარემოება, რომ პერსონაჟები პირველსავე აბზაცში ჩანან. ამდენად, მათზე ყურადღების გამახვილება თავიდანვე ხდება. ზღაპრებში პერსონაჟთა ამგვარი შემოყვანა სიუჟეტის განვითარების ერთხაზოვნებით და ფაქტის სისადავით განისაზღვრება. ცხოველთა ეპოსში ჩვენ არ გვხვდება სიუჟეტური შენაკადები. უეცარი გადახლართვები, არც კვანძის მოულოდნელი გახსნა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ფონი, როგორც განწყობილების შექმნის ერთგვარი გზა და სიუჟეტის განვითარების ერთგვარი წინაპირობა, ზღაპრებში გამორიცხულია. ნაწარმოები მოქმედების უშუალო ჩვენებით იწყება. ეს კი მრავალმხრივ მომგებიანია პატარა მოცულობის ზღაპრებისათვის.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მთელ რიგ ზღაპრებში თავისებურად ხდება პერსონაჟების შემოყვანა და განლაგება. ამ მხრივ ზღაპარი ფრად გამორჩეულია და სპეციალური ყურადღების ღირსია. მთავარი მოქმედი პერსონაჟები ნაწარმოებში ხშირად თანდათანობით, საფეხურებრივად ჩნდებიან. ამ შემთხვევაში განმეორების თავისებურ ხერხს იყენებს კოლექტიური ავტორი. მაგალითისათვის ავიღოთ „იერუსალიმს მიმავალი მელა“. ნაწარმოების პირველსავე აბზაცში აღნიშნულია, რომ მელა იერუსალიმს გაემგზავრა, თავდაპირველად მას ხედება მამალი, რომელიც მისალმებისა და ურთიერთგაცნობის შემდეგ მელას მიჰყვება. შემდეგ მელა ბატს გადაეყრება. აქაც იგივე მისალმება და გაცნობა, ბატიც მელას გაჰყვება. შემდეგ ძეგრას ხედებიან, იგივე მოქმედება... და ბოლოს ოფოფიც ასევე ამთავრებს მათთან შეხვედრას. ანალოგიური ხერხი ნიშანდობლივია ქართული და სხვა ხალხთა ზღაპრებისთვისაც. ეს გზა შეხვედრებისა გარკვეული თვალსაზრისითაა ზღაპრებში მოშველიებული. იგი, ჯერ ერთი, გამოყოფისა და გამკაფიოების საშუალებაა, მეორეც, ინტერესის დაძაბვისა და მოქმედების თავისებური გახანგრძლივების საშუალება. რაც მთავარია, ასეთი თანდათანობითი შემოყვანა პერსონაჟებისა ნაწარმოებში მოტფირებულია მოქმედების შემდგომი ჩვენების თანმიმდევრობითაც. როგორც ცნობილია, საანალიზო ზღაპარში მელა ასევე თანმიმდევრულად, სათითაოდ ბრალს დებს სოროში შემწყვდეულ თანამგზავრებს და სიცოცხლეს ასალმებს.

რა არის მიღწეული სიუჟეტის ამგვარი განვითარებით? როგორც აღვნიშნეთ, ბუნებრივი სახე ეძლევა მოქმედების განვითარებას. ეს ერთგვარი დეტალიზაცია, გამოყოფა მეტ უტყუარობას ანიჭებს მონათხრობს და, რაც მთავარია, ხელს უწყობს მთავარი პერსონაჟის — მელის ხასიათისა თუ მოქმედების გამოკვეთას. ვიმეორებთ, პერსონაჟთა ანალოგიური შემოყვანა მხოლოდ ერთი ჯგუფის ნაწარმოებებისათვის არის დამახასიათებელი, და განსაკუთრებით იმ ჯგუფის ზღაპრებისათვის, რომლებშიც სამზე მეტი პერსონაჟი მოქმედებს. როდესაც ზღაპარში მხოლოდ ორი ან სამი მოქმედი პერსონაჟია, მათი გაცნობა ძირითადად თავიდანვე ხდება. მაგალითად — „დათვი, მგელი და მელი“ შეხვედრენ ერთმანეთს და შესჩივლეს, რომ ხშირად დიდის ხნობით შიმშილით კუჭი გვიხმებაო, მოდი დავეძობილდეთ და ამიერიდან რაც მოვინადიროთ, ძმურად გავიყოთ ხოლმეო. დამძობილდნენ და შეჰვიცეს ერთმანეთი-



სათვის არ ელატნათ...⁸. საზოგადოდ, შეხვედრის მოტივი, რაც ქართულ და კავკასიურ ფოლკლორში გაშინაარსებულია გმირთა დაძმობილებით⁹, ცხოველთა ეპოსის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი კომპოზიციური ელემენტია.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ცხოველთა შესახებ ზღაპრები უმეტესად მოქმედების ჩვენებით იწყება და შემდეგ სიუჟეტური ხაზი თანდათანობით ვითარდება. ეს სიუჟეტური ხაზი ჩვენთვის საინტერესო ზღაპრებში, სხვათა შორის, მეტად თავისებურად არის წარმოდგენილი. ხშირად ცალკეული პასაჟები, ილუსტრაციები მაგალითების ფუნქციას ასრულებენ და თანაც ამ პასაჟების წყობა მეტად თავისებურია. პირველი შედარებით ნაკლები სიმძაფრისა, მეორე მაგალითში მდგომარეობა უფრო მწვავედ, შესამეში, ვთქვათ, კულმინაციას აღწევს და ა. შ. ამგვარი დალაგება შემთხვევებისა, პასაჟების მოტივირებულია მოქმედების დაძმების, სიუჟეტის დამინტერესებლობის და, რაც მთავარია, ძირითადი იდეის სრულყოფილი გახსნის ნიშნით. დავესხნოთ ერთ მაგალითს „მელიას ეშმაკობიდან“. მელიამ ფეტვის თავთავები აკრიფა, ილიაში ამოიღო და გზას გაუდგა, საღამოზე ერთ ოჯახს მიადგა, ღამე გაათე-ვინეს. მელიამ თავთავების შენახვა მოსთხოვა მასპინძელს. შუალამისას მელა საქათმეში შეიპარა და თავთავები წითელ მამალს დაუდო ცხვირწინ. მეორედღეს გამოკენცილი თავთავების სანაცვლოდ მელიამ მასპინძელს მამალი გამოძალა. ეს უკვე ერთი ეპიზოდი, თავისთავად დასრულებული ეპიზოდი — მელამ მამალში ერკემალი წაართვა სხვას. შემდეგ მესამე ეპიზოდი ჩნდება. ჩვეული ხერხით მელამ ერკემალი ხარზე გაცვალა. მეოთხე ეპიზოდი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია — ხარში ღამაში ქალი წაიყვანა მელამ. ასეთივე გზა მოშვლებულია სხვა ზღაპრებშიც და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ეს მაგალითები, ცალკეული პასაჟები უცილობლად ლოგიკური მომენტით ბოლოვდება.

მამასადამე, ცხოველთა ეპოსისათვის ნიშანდობლივია სიუჟეტის თანდა-თანობითი, საფეხურებობრივი განვითარება. ეს არ არის რთული გზა. ამით წინასწარვე მზადდება ნიადაგი კვანძის გახსნისათვის და ფინალიც ლოგიკურად აღიქვება. მაგრამ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ სიუჟეტის ამგვარი განვითარებით თითქოს ფინალის ეფექტი მცირდება. სინამდვილეში ასე არ არის. ამას ქვემოთ დავინახავთ, სადაც აშკარად ჩანს, რომ ზღაპრის იდეური ჩანაფიქრი, მკაფიო მორალური ქვეტექსტი, კეთილისაგან ბოროტის ძლევასეთ დაბოლოებას მოითხოვს.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ მეტად საინტერესო გარემოებაზე; ეს არის დ ი ა ლ ო გ ი ს ფ უ ნ ქ ც ი ა ზღაპარში.

როგორც ცნობილია, ღიალოგი სრულიადაც არ წარმოადგენს თვით-მიზანს. იგი ხშირად ხასიათის გამოკვეთის ან სიუჟეტის განვითარების, მოქმედების შემპირობებელი ფაქტორია. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ცხოველთა ეპოსის ნიმუშებში? მთელ რიგ ზღაპრებში დიალოგს მოქმედების განვითარების წინაპირობის ფუნქცია აკისრია. ამ შემთხვევაში გასაუბრება წარმოადგენს ერთგვარ შეთანხმებას, რომელიც მოქმედებით უნდა დასრულდეს. იგი, როგორც წესი, წინ უსწრებს მოქმედებას. მაგალითისათვის გადავხედოთ ზღაპრებს: „თვალთ ნანახი და ყურით გაგონილი“, „გვრიტი“, „მგლის ბერად შედ-

⁸ ქართული ხალხური ზღაპრები, I, შემდგ. მიხ. ჩიჭოვანი, 1938, გვ. 15.

⁹ იხ. იქვე, გვ. XLV.

გომა“, „კაცი, ტურა, მელია, კატა, დათვი და მგელი“, „იერუსალიმს მიმავალი მელა“ და სხვა მრავალი. მათში ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად საინტერესო გარემოება, ესაა დიალოგთა ნაწილობრივი განმეორება და ამ განმეორებით, ერთი მხრივ, დინამიკის მოდუნება, მეორე მხრივ კი — არსებითის გამახვილება. გვხვდება ისეთი დიალოგები, რომლებიც განსხვავებულია სხვა დიალოგებისაგან და მხოლოდ ერთ პასაჟში არსებობენ.

ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ დიალოგი ცხოველთა შესახებ ზღაპრებში ძალიან გავრცელებულია და მისი ფუნქცია თავისებურია. იგი მეტად ტევადია, ერთ შემთხვევაში მოქმედების ჩაღწევის საბაბს წარმოადგენს, სხვა შემთხვევაში კი პერსონაჟთა ხასიათების გახსნას, ჩვენებას ემსახურება. რაც მთავარია, ცხოველთა ეპოსის ნიმუშებში თითქმის არ ვხვდებით ისეთ დიალოგებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ფუნქცია არ ეკისრებოდეს. ძალზე მცირეა ისეთი ზღაპრების რაოდენობა, რომლებსთვისაც დიალოგი არ იყოს დამახასიათებელი. ასეთია, მაგალითად, „მელა და მისი კული“. ის გარემოება, რომ დიალოგი ცხოველთა ეპოსის მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენს, შემთხვევითი არაა. მას ზემოთ მითითებული ფუნქციების გარდა ისიც აქისრია, რომ მოსაწყენი ერთფეროვნებისაგან დააზღვიოს ნაწარმოები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დიალოგი ზღაპარში ძირითადად მოქმედების წინაპირობაა და ნაკლებ მოქმედების შედეგი. ეს ზღაპართა სპეციფიკად უნდა ჩაითვალოს.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, „ცხოველთა სამკაროსთან დაკავშირებული ზღაპრებისათვის დამახასიათებელია ე. წ. კუმულატიური ტიპი თხრობისა, აკინძვა ერთმანეთთან გადაჯაჭვული ეპიზოდებისა ტიპური განმეორებებით“¹⁰. პოპულარული ზღაპრები: „რწყილი და ქიანჭველა“, „თხა და ვენახი“ ამ თხრობის ბრწყინვალე ნიმუშებია. ისინი ლექსის ფორმით არიან გავრცელებულნი, მაგრამ კუმულატიური ტიპის ზღაპრები პროზის ფორმითაც ხშირად გვხვდება. ნიმუშისათვის გამოგვადგება ზღაპარი „ღამურა და ბალახი“¹¹.

სიუჟეტის მდინარებაში სხვადასხვა ელემენტს ვხვდებით და თითოეული მეტად საყურადღებოა. ამჯერად ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ჩანართ ფორმულებზე. ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი სინტაგმები, რომლებიც ნაწარმოების ზღაპრულ ხასიათს უსვამს ხაზს და, ამასთანავე, შეფარვით კარგად ამჟღავნებს ავტორის ჩანაფიქრს. ზღაპარში „ვეფხვი კატის მოსარჩლე“ გვითხულობთ: „გლუხმა ხეზე მიბმულ ვეფხვს სახრე გადაუჭირა“. შემდეგ მთქმელი გვიამბობს: „სიმწრით ვეფხვი სულ მალლა, მალლა ხტოდა და მისი საცოდაობით სულ ცა და ქვეყანა იწვოდა...“. ანალოგიურ ფრაზას, მის ვარიაციებს სხვაგანაც ვხვდებით. ეს ერთგვარი, გაბატონებული ფორმულაა და, ვიმეორებთ, მისი მიზანია კონკრეტულ შემთხვევაში გამოხატვა იმისა, რომ: 1. ზღაპართან გვაქვს საქმე, 2. ძალზე დიდხანს სცემა კაცმა ვეფხვს და 3. ხსენებული ფორმულა ერთგვარად მსმენელთან შეხმიანებაა და მის ჩათრევას უწყობს ხელს. ამდენად, ნაწარმოებს უშუალოდ იერი ეძლევა და უფრო მეტად აინტერესებს მსმენელსა თუ მკითხველს. მამე-

¹⁰ ე. ვირსალაძე, ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. I, გვ. 384—385.

¹¹ რჩეული ქართული ზღაპრები, შემდგენელი ე. ვირსალაძე, ტ. I, 1949.

ნელთან შეხმიანების ეს ხერხი, როგორც ცნობილია, გამოცოცხლების ფუნქციით გამოირჩევა.

ანალოგიური ფორმულები საკმაოდ ხშირად გვხვდება ზღაპრებში. მაგალითად: „დათვი და ტურა ვზას გაუდგნენ, ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთგან ველი შემოთყარათ...“ („კატის ამბავი“)¹². აქვე ქვემოთ ვკითხულობთ: „ბევრი ირბინეს თუ ცოტა ირბინეს, დაიღალნენ და შეისვენეს“. ესეც ცნობილი ფორმულაა, რომელიც არა მარტო ქართულისათვის, არამედ მსოფლიო ეპოსისათვისაა ნიშანდობლივი. ამგვარი ჩანართები გარკვეული დატვირთვით გამოირჩევიან. ისინი ზღაპრული ელემენტის ხაზგასმას ემსახურებიან და რაოდენობრივი სიდიდის გამომატველადაც ჩნდებიან, მოკლებულნი არიან გარკვეულ კონკრეტულობას და ამით სიდიადის, სიმრავლის ეფექტს უფრო აღწევენ. საყურადღებოა ზღაპრებში შემდეგი ჩანართიც: ... ერთ ადგილზე ვზაო რად იყო ფოდა, ერთი ვზა მარჯვნივ მიდოდა, მეორე მარცხნივ...“ („მამალი და ძაღლი“)¹³. ფრაზა თავისებური ვარიაციაა იმ ცნობილი გამოთქმისა, რომელიც ჯადოსნურ ზღაპრებში ხშირად გვხვდება. ამ ფორმულასაც კონკრეტული გამიზნულება გააჩნია. აქაც არის მინიშნება ნაწარმოების ზღაპრულ ხასიათზე, გამონაგონზე და მეორე მხრივ, მას მოქმედების გამძაფრების და დამინტერესებლობის გაძლიერების ფუნქცია აქისრია. ამგვარი ჩანართები, როგორც ვთქვით, უფრო დამახასიათებელია ჯადოსნური ზღაპრებისათვის და თუ მათ შიგადაშიგ ვხვდებით ცხოველთა ეპოსში, ეს იმით აიხსნება, რომ ჯადოსნურ და ცხოველთა ზღაპრებს შორის გადაულახავი ბარიერები არ არსებობს, ზღაპარი საკმაოდ მოძრავია და ერთთა ელემენტების შეჭრა მეორეში კანონზომიერი ჩანს. ამგვარი ჩანართები ცხოველთა ეპოსის ნიმუშებში უმეტესად ზღაპართა ფანტასტიკურ-ჯადოსნური ნირით აიხსნება. რადგანაც ჩანართებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე შევნიშნავთ, რომ ცხოველთა ეპოსში ხშირია ლექსი ჩანართები¹⁴. ზოგიერთ ზღაპარში ამ ლექს-ჩანართებს ძალზე დიდი ადგილი უკავია. თითქმის ლექსადაა დაწერილი „ჩიტი და მელია“, „რწყილი და ქიანჭველა“ და სხვა.

ჩვენთვის საინტერესოა, რამდენად გამართლებულია ასეთი ჩანართების აღმოჩენა ნაწარმოებში და რას აღწევს მათი მოშველიებით მთქმელი? დაკვირვება ნათელყოფს, რომ ანალოგიური ლექს-ჩანართები, უბირველეს ყოვლისა. ცვლიან ზღაპრის რიტმს და ახალ ელფერს ანიჭებენ თხზულებას. ერთი რიტმიდან მეორეზე გადასვლა თავისთავად განწყობილების გადახალისებას იწვევს და მომპაზურებლობისაგან იცავს ნაწარმოებს. მეორე მხრივ, ამგვარ ჩანართებს ის ფუნქცია ეკისრებათ, რომ ისინი შეკუმშულად, ფორმულის სახით გამოხატავენ აზრს და ხშირ შემთხვევაში აფორისტული აზროვნების ნიმუშებადაც შეიძლება იქნენ აღიარებულნი. ამასთანავე, ზოგჯერ ეს ჩართული ლექსები წარმოადგენენ სიუჟეტის გარკვეული ნაწილის ერთგვარ შეფასებას და მომავალი მოქმედების თავისებურ წინაპირობას —

ფეტვი გავყიდე მამლადა,
 მამალი — ერკემალადა,

¹² ლაზური ზღაპრები, შემდგენელი ზ. თანდილავა, 1970.

¹³ იქვე.

¹⁴ იხ. აგრეთვე: ე. ვირსალაძე, ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. I, გვ. 404.

ერკმალი — ხარადა,

ხარაი — ლამაზ ქალადა („მელის ეშმაკობა“).

ამ შემთხვევაში ლექსი დასრულებული მოქმედების გააზრების შემცველია და ამდენად ერთგვარ მხატვრულ განმეორებად გვევლინება, რომელშიც, რა თქმა უნდა, ახალი მომენტებიც შეიცნობა. სხვა შემთხვევაში ლექს-ჩანართს სხვაგვარი ფუნქცია გააჩნია. იგი უკვე ნათქვამის თუ გააზრებულის სხვა ფორმით ფიქსირებას კი არ წარმოადგენს, არამედ — ახალ საფეხურს სიუჟეტის განვითარებაში და თავისთავად მომდევნო პასაჟს. მაგალითად — „წყუელმა მელამ ბუღეს მიაგნო, ხის ძირში მიცუნცულდა და ჩიორას შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო,

— რაო, ბატონო მელაო.

— ერთი ბარტყი გადმომიგდე

თორემ შავ დღეს დაგაყენებ:

ცულს მოვიტან, ცუნცულასა,

ხელჩოსა, წალღუხასა,

ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,

შენც შეგჭამ და შენს შეილსაცა“ (ჩიტი და

მელა“).

აქ უკვე, როგორც ვხედავთ, ჩანართი ლოგიკური გაგრძელებაა წინა ამბის და აღიქვება როგორც სიუჟეტის აუცილებელი ნაწილი. ასეთივე ფუნქცია ენიჭება ლექსს „რწყილსა და ჭიანჭველაში“.

ლექსი-ჩანართები სხვა შემთხვევაში მოშველიებულია, როგორც პაროლი, გარკვეული სხარტი გამონათქვამი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ადრესატი იგებს. მაგალითად, ზღაპარში „დათვი და მელა“ მელა ასე მიმართავს თავის ბეკეკას:

ბეკეკო, კარი გაიღე,

მე დედაშენი ვარია,

პირში ბალახი მიჭირავს,

ძუჭუჭებში რაჟე არია.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ბეკეკა კარს უღებს თავის დედობილს — მელიას. ცალკე უნდა გამოიყოს კიდევ ერთი ტიპი ჩანართებისა, რომლებიც ბოლო ვარიანტს უახლოვდებიან თავისი გააზრებულობით და ერთგვარ გამოცანა-გაფრთხილებას წარმოადგენენ. ზღაპარში „გლეხი, დათვი და მელია“ დათვი ასე მიმართავს სამუშაოდ გამოსულ გლეხს:

ადრე გამოხნავ, ადრე გამოგხრავ,

გვიან გამოხნავ, გვიან გამოგხრავ.

ამჯერად ჩვენ სიტყვას არ ვაგრძელებთ ლექსად მოწოდებულ დაბოლოებებზე. რომლებიც ერთ შემთხვევაში ზღაპრის ცნობილ ფორმულებს წარმოადგენენ, ხოლო სხვა შემთხვევაში კი — დიდაქტიკის შემცველ შეგონებებს (ამაზე ქვემოთ).

რა შეიძლება საერთოდ ითქვას ახლახან განხილული ჩანართი ლექსების შესახებ? სწორი არ იქნებოდა თუ მათ უზაად პოეტურ გამონათქვამებად მივიჩნევდით. არა, ისინი არ ბრწყინავენ პოეტური თვალსაზრისით. უფრო მეტიც, გარკვეულ შემთხვევაში შეინიშნება ჩამუხლებებიც, რითმა სუსტია, განმეორებები — ხშირი, ფრაზა ზოგჯერ ამოვარდნილის შთაბეჭდილებასაც ტოვებს, მაგრამ, რაც მთავარია, ისინი ორგანულად სხედან ნაწარმოებში და ხელს უწყობენ მის სრულყოფას. აფორისტული ელფერი, შეცვლილი რიტმი, დიდაქტიკური ელემენტი, — ყოველივე ეს საყურადღებოს ხდის ამ ლექს-ჩანართებს.



ლექსებთან დაკავშირებით უნდა მივუთითოთ, რომ მთელ რიგ სტატიებში ხდება ლექს-ჩანართების განმეორება, ერთ შემთხვევაში ზუსტი, მეორე შემთხვევაში კი — დამატებების სახით. პირველის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ზღაპარი „მგელი, დათვი და მელია“, მეორისა კი — „რწყილი და ჭიანჭველა“. ჩართულ ლექსებთან დაკავშირებით ჩვენ იმასაც ვკულისხმობთ, რომ ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებულ ზღაპრებში მათი სიჭარბე, რაც საყოველთაოდ აღიარებულია, „აიხსნება ზოგჯერ ტექსტის არქაულობით, უფრო ხშირად კი იმ გარემოებით, რომ ცხოველთა შესახებ ზღაპარი დღეს უმთავრესად საბავშვო ფოლკლორის შერჩა და ძირითადად ბავშვთა გასართობ ქანარად იქცა“¹⁵.

როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ცხოველთა ზღაპრების ერთ-ერთ ძირითად კომპოზიციურ ხერხს განმეორება წარმოადგენს. განმეორება გარკვეული მიზნით ხდება. გავიხსენოთ „იერუსალიმს მიმავალი მელა“, რომელშიც არა მარტო მისალმებები მეორდება, არამედ — მთელი დიალოგები, ე. ი. მოქმედების მიზნის აღნუსხვაც და შეთანხმებებიც, მხოლოდ რამდენადმე ტრანსფორმირებული სახით.

შემხვედრ პერსონაჟებთან დაკავშირებით საანალიზო ზღაპარში განმეორება დიალოგებისა 5—6-ჯერ ხდება. რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ განმეორებას? ჯერ ერთი, ვფიქრობთ, იგი დინამიკის გაძლიერებას უწყობს ხელს; მეორე, ხაზი ესმევა მთავარი პერსონაჟის ხასიათის გამოვლენას; მესამე, ერთგვარი რიტმი იქმნება და, მეოთხე, ამდენი განმეორებებით თითქოს კანონიზებული სახე ეძლევა მელიის გადაწყვეტილებებს და სხვათა შეთანხმებაც თითქოს ბუნებრივია. რაც მთავარია, ეს განმეორებები პერსონაჟთა შეხვედრების და ურთიერთგაცნობის მიზნით ხდება და ამიტომაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპოზიციურ ხერხს.

საყურადღებოა ერთი გარემოება. განმეორება პირველ ეტაპზე რამდენადმე განსხვავდება განმეორებისაგან მეორე ეტაპზე და თავისთავად წარმოადგენს პირველი ეტაპი მეორე ეტაპის გამომწვევ მიზეზს. მხედველობაში გვაქვს იგივე ზღაპარი. პირველ ეტაპზე განმეორება ურთიერთგაცნობისა და ერთად გამგზავრების საფუძველია. მეორე, მესამე, მეოთხე... ეტაპებზე განმეორება იმავე საფუძველით ხდება და ბოლოს ფრინველთა დასჯით მთავრდება. ამ შემთხვევაში ერთგვარი წრიული ხერხია გამოყენებული და ეფექტიც საგრძნობია. რა თქმა უნდა, განმეორება, როგორც კომპოზიციური ხერხი, მხოლოდ ცხოველთა ეპოსის ნიმუშებისთვის არ არის ნიშანდობლივი. იგი გვხვდება როგორც ჯადოსნურ, ისე ნოველისტური ტიპის ზღაპრებშიც. განმეორებანი ფუნქციურად ყველა სახის ზღაპარში არსებითად მსგავსნი არიან, თუმც მათ შორის სხვაობაც შეიძლება დაიძებნოს. ჯადოსნურ ზღაპრებში გმირი იმეორებს თავის თავგადასავალს ერთგვან, მეორეგვან, მესამეგვან... და ეს გამოწვეულია იმით, რომ უკეთ გააცნოს თავისი თავი შემხვედრებს, ე. ი. ამ უკანასკნელში განმეორება რამდენადმე უფრო ნაკლებ როლს ასრულებს მოქმედების განვითარებაში, ვიდრე ცხოველთა ეპოსში, სადაც არა იმდენად გაცნობის ფუნქციითაა მხოლოდ დატვირთული განმეორება, რამდენადაც ერთად მოქმედების სურვილით. შეიძლება ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნას, რომ ცხოველთა ზღაპ-

¹⁵ ე. ვირსალაძე, ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. I, გვ. 385.

რები მოცულობით საკმაოდ პატარაა და ფართო განტოტების საშუალებას არ იძლევა.

როგორც ცნობილია, განმეორებათა წარმოშობა რამდენადმე განსახლებულია ზღაპრის სპეციფიკით, მისი ზეპირი გზით გავრცელებით. მოხრობელი, რომელიც გარკვეულად ეჭვობს მსმენელთაგან ნაწარმოების დეტალთა სრულ აღქმას, იმეორებს ცალკეულ პასაჟებსა და ფორმულებს, რათა უფრო ადვილად დაამახსოვროს აუდიტორიას გადმონაცემი, უკეთ ჩაუბეჭდოს გონებაში არსებითი¹⁶.

ამრიგად, განმეორებას ზღაპრის სტილისტურ თავისებურებათა შორის მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება და იგი ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებული ნაწარმოებებისათვის ნიშანდობლივ ერთეულად მიიჩნევა.

ცხოველთა ეპოსისათვის დამახასიათებელი არ არის ვრცელი ჩანართები, გარემოს დეტალური აღწერა, გმირთა ფსიქოლოგიის ჩვენება და ა. შ. საერთოდ, იგი განტვირთულია დეტალებისაგან და ძირითად ამბავს შეკუმშულად გადმოსცემს. აქ უმეტესად ნაჩვენებია მოქმედება და მოქმედების შედეგი. განზრახვას დაუყოვნებლივ მოსდევს მისი რეალიზაცია. ფაქტი მსწრაფლ ფასდება და ყოველივე ეს ლაკონიზმს უწყობს ხელს. ცხოველთა შესახებ ზღაპრები გამოირჩევიან მოკლე წინადადებებით. რომელთა აგებულება მეტად სინტერესოა, მეტაფორები, ეპითეტები და, საერთოდ, ტროპის სახეები ამ ზღაპრებში ნაკლებად გვხვდება. ეს, როგორც მიერთოეთ, გარკვეული მოსაზრებით აიხსნება. ჯერ ერთი, ვასათვალისწინებელია ოხრომის პრინციპი, მეორეც, — ნაწარმოების მოცულობა და მესამე, რაც მთავარია, — აღქმის თავისებურება. როდესაც საერთოდ საქმე გვაქვს რთულ გავრცობილ წინადადებებთან, რომლებშიაც ზედსართავეები უხვადაა წარმოდგენილი, ძნელდება არსებითის გამოკვეთა, გამახვილება: მსმენელთა თუ მკითხველთა ყურადღება იფანტება და ძირითადი მიზნის შესრულებაც კირს. მეზღაპრე კი მიისწრაფვის, რაც შეიძლება დასამახსოვრებელი გახადოს ამბავი, რაც შეიძლება მეტი მოქმედება ჩაატოს პატარა მოცულობის ნაწარმოებში. ამიტომაც იგი მოკლე წინადადებებს მიმართავს და ზმნას აბატონებს. თავისთავად ეს ხერხი დინამიკურობის გამომწვევია და ნაწარმოები ამ მხრივაც იგებს.

მასადაამე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ხალხური ზღაპრები ცხოველთა შესახებ სიუჟეტური თვალსაზრისით საკმაოდ დახვეწილი, მკაცრი და მონოლითურია. გართულებებსა და გვერდით სიუჟეტურ ხაზებს აქ ადვილი არა აქვს, ან ნაკლებად აქვს. ნაწარმოები მოქმედების ჩვენებით იწყება, მოქმედება სწორზხოვნად მიმართება და შესაბამისი დასკვნაც სახეზეა.

ზღაპრის არქიტექტონიკაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დასასრულს. განსაკუთრებით გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ცხოველთა ეპოსისათვის ნიშანდობლივ კომპოზიციურ დასასრულზე.

საერთოდ, ურთიერთისაგან უნდა გავმიჯნოთ ზღაპრის კომპოზიციური და არაკომპოზიციური დასასრული; კომპოზიციური დასასრულის ნიმუშად მიგვაჩნია მოქმედების უკანასკნელი აკორდი თუ შეფასება, რომელიც უშუალოდ სიუჟეტის განვითარებასთან არის დაკავშირებული, ლოგიკურად ერწყმის ფაბულას. არაკომპოზიციურ დასასრულად უნდა ჩაითვალოს გავრცელებული

¹⁶ ე. ვირსალაძე, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. I, გვ. 399—400.



ფორმულები, რომლებიც ნაწარმოების შინაგანი კანონზომიერებით კი არ არის ნაკარნახევი, არამედ მთქმელისა და აუდიტორიის ურთიერთობის აღმნიშვნელადაა მოხმობილი და, გარკვეულ შემთხვევაში, ზღაპართქმის, როგორც გარკვეული პროცესის რიტუალურ დასასრულად გვევლინება.

კომპოზიციური დასასრული ცხოველთა ებოსის ნიშანდობლივ დასასრულს წარმოადგენს. როგორია ეს დასასრული? ერთ შემთხვევაში ზღაპარი მოქმედებით მთავრდება — „... მელიას ფერი ეცვალა, შეეხვეწა: ჯერ ნუ გამოუშვებ, წავიდეო და გაპკურცხლა“ („დათვი, კურდღელი და გლეხი“). აქ უკვე ყველაფერია ნათქვამი და საბოლოო შეფასებას არ მოითხოვს. გვხვდება ისეთი დასასრულიც, რომელიც ზემოხსენებული ტიპისაგან განსხვავდება. აქ მოქმედების უკანასკნელი აკორდი კი არაა ნაჩვენები, არამედ გააზრებულ-შეფასებულაა ზღაპრის მთელი შინაარსი და მოქმედების უკანასკნელი რეზულტატი გვეძლევა. მაგალითისათვის ავიღოთ ასეთი დასასრული „... ასე გადაურჩა ღორი მგლის კბილებს“ („ზღაპარი ღორისა, მისი ხუთი გოჭისა და მგლისა“). ეს უკვე დასასრული-შეფასებაა, ტიპობრივად გამიჯნული სხვა დასასრულებისაგან. ან კიდევ, — „... მეფემ მოიწონა ღომის გონიერება და ტუსადი და ღომი ორივე გაანთავისუფლა“ („ღომის ერთგულება“). ე. ი. აქ საქმე გვაქვს მოქმედების ლოგიკურ დასასრულთან, შემდგომი დასასრულისა და გარკვეული ეპილოგის გარეშე. მაგრამ ზოგჯერ ზღაპარი მოქმედების უკანასკნელი აკორდით არ მთავრდება, არამედ ხდება ერთგვარი შეფასება მომხდარისა. მაგალითად: „... ეს სიკეთე უყო მელიამ ჩვენ მეწისქვილეს. რახრახ მეწისქვილე განადა დიდებული ხელმწიფის სიძე, უშოვა ამ მეწისქვილეს კარგა სახლ-კარი, დააბინავა და შემდეგ მოკვდა. ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“ („სამმეტევან ჰაბუკიშვილი“).

აქ უკვე თავისებურ ეპილოგთან გვაქვს საქმე. იგი ძირითადი ამბის ერთგვარ დამატებას წარმოადგენს. საერთოდ, ანალოგიური ტიპის დასასრულები უფრო ნიშანდობლივია ჯაღოსნური ზღაპრებისათვის. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კომპოზიციური დასასრულის არაკომპოზიციური ეპილოგით დამთავრებასთან; არაკომპოზიციური ეპილოგები ძირითადად ცნობილი ფორმულებით არის გამოხატული:

ჭირი იქა, ლხინი აქა,	ან	— ელსა, მელსა,
ქატო იქა, ფქვილი აქა,		ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთას ურემი ავაგორე,		მთქმელსა და გამგონებელსა
წამოვიდა გორებითა, —		თითო სტაქანი ყველასა,
იფსენით ქონებითა,		ჭირი იქა, ლხინი აქა,
ჰკუთია და გონებითა.		ქატო იქა, ფქვილი აქა... და სხვ.

ამ ფორმულებში ზღაპრის სპეციფიკას ესმება ხაზი, ერთგვარ დაჯილდოებასაც მოითხოვს მთქმელი, საზოგადოებასთან (აუდიტორიასთან) გამოშვიდობებასაც ახდენს და, საერთოდ, ამგვარი ფორმულა-დასასრულის ძირითადი ნიშანია მსმენელთა ერთგვარი გამოფხიზლება, მათი ერთხელ კიდევ დარწმუნება იმაში, რომ ისინი ზღაპარს, არარეალურ ამბავს ისმენენ. ამ ფორმულებში, რომლებიც სხვადასხვა ვარიაციით გვხვდება¹⁷, იგრძნობა არქაულობა და საერთოდ ავტორმთქმელის მიდრეკილებებიც: დალოცვა, კეთილი სურვილები საზოგადოებისადმი და ა. შ.

¹⁷ იხ. ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ნარკვევები, 1958, გვ. 254, 261—263; მ ი ს ი ე ე, ზღაპრის მზა ფორმები, საიუბილეო კრებული, 1974, გვ. 206—210.

ცხოველთა ეპოსის ზოგიერთი ნიმუშის დასასრული აფორისტული რაოდენობისაა. ეს არის დიდაქტიკური ხასიათის შემეცნებითი მნიშვნელობის დასკვნები. გავისენოთ ლაზური ზღაპრის „ბეგი და ვირის“ დასასრული: „... ვირი ვირიბიდან მაინც არ გამოვა, გინდა ბრილიანტის ქუდი დახურო“¹⁸. ასეთად უნდა ჩაითვალოს „მელია და მწყერჩიტას“ დასასრულიც — „საცა შენი დაიკვებო, იქ ჩემიცა სთქვიო“ და სხვა.

ყურადღებას იქცევს ზღაპრის დაბოლოებათა ის კატეგორია, რომელიც ყველა შემთხვევაში მოხსენიებული დასასრულებისაგან განსხვავებულია როგორც ფორმით, ასევე გააზრებულით. მაგალითად, ზღაპარი „მგლის ბერად შედგომა“ შემდეგნაირად მთავრდება: „... ეს ზღაპარი მამასახლისმა იმ მგლისაგან გაიგონა, იმან მე მიაპბო და მე თქვენ“ — ასეთი დასასრულის ფუნქცია საკმაოდ საინტერესოა. ჯერ ერთი, ავტორმთქმელი ზღაპრის სიმართლეში დასაბუთებულად მოწმეს იშველიებს და ამით ერთგვარად უტყუარობის ილუზიას ქმნის. ასეთი ტიპის დასასრულები გავრცელებული ჩანს. ჩვენ ისინი ვაცდლებით მიმზიდველად მიგვაჩნია, რადგან საგრძნობლად აცხოველებენ წარმოსახვას. საგულისხმოა დამოწმების გზა: მთხრობელი იმას კი არ ამბობს, რომ ეს ამბავი მგლისაგან თავად გაიგონა, არამედ მგლისაგან მამასახლისმა გაიგონა და მამასახლისისაგან კი მთქმელმა. ამით არა მარტო უტყუარობის შთაბეჭდილებას ქმნის, არამედ პასუხისმგებლობისაგან ერთგვარ თავდაღწევასაც ახდენს.

ცხოველთა ზღაპრებში ერთი ტიპის დასასრულიც შეინიშნება. პერსონაჟის შესახებ მთქმელი ზღაპრის დასასრულს გვიამბობს: „ახლაც ცოცხალია და წუთისოფელს ჭამს“ („შაში და მელია“). ანალოგიური დასასრული დოკუმენტალობის ილუზიისათვის არის გამიზნული, რომ იგი თითქოს გამოგონებული, ძველი ამბავი კი არ არის, არამედ ცოცხალი, მის თვალწინ მომხდარი. ასეთი დასასრულები დიდად უწყობენ ხელს ზღაპრის შინაარსის, იდეის ახსნას, უფრო შთაბეჭდავსა და დასამახსოვრებელს ზღიან ნაწარმოებს.

ცხოველთა ზღაპრებში გვხვდება ისეთებიც, რომელთა სიუჟეტის განვითარება თავისებური ხაზით მიმდინარეობს. მათში მთავარი ადგილი უკავია დასკვნა-აფორიზმს თუ სათაურის გამართლებას. უფრო სწორად, ზღაპარი მნიშვნელოვნად ატარებს თქმულებათა იერს და სიუჟეტიც შესაბამისად ვითარდება. მაგალითად, ზღაპარში „ჭინჭრაქა და ჭრიჭინობელა“ მოთხრობილია, თუ რატომ იმალება ღობე-ღობე ჭინჭრაქა, როცა ჭრიჭინობელა ჭრიჭინებს. ანალოგიური ნაწარმოებები თავისი მოცულობით ძალზე პატარაა და რამდენადმე განსხვავებულიც ზღაპრის კლასიკური ფორმისაგან. აქედან გამომდინარე, სიუჟეტიც თავისებურად ვითარდება. აქ თხრობა-ახსნას უკავია მთავარი ადგილი და დილოგები გამორიცხულია. საყურადღებოა ლაზური ზღაპარი — „რატომ ეშინია ბუს“. ამ უკანასკნელში ძალზე ბევრი ელემენტია თქმულებისა (თუნდაც სათაური, დასკვნა), მაგრამ არსებითად მაინც ზღაპრისაკენ იხრება; სიუჟეტიც იმგვარად ვითარდება, რომ გაამართლოს სათაურში დასმული კითხვა და, მართლაც, დასკვნით ნაწილში ნათელი ეფინება სათაურს. როგორც ჩანს, თქმულებასა და ზღაპარს შორის საკმაოდ მჭიდრო კონტაქტი იგრძნობა და ცალკეული ნიმუში მათ შორის გარდამავალ საფეხურზე დგას.

18 ლაზური ზღაპრები, შემდგენელი ზ. თანდილაია, 1970.



საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებულ ზღაპრებთან მიმართებით სპეციალურად უნდა შევჩერდეთ იმგვარ ნაწარმოებებზე, რომლებიც რამდენადმე ნაკვეთის, ანექლოტის ფორმას ატარებს. ასეთებია მაგალითად: „ნადირთა ძმობა“, „ლომი და მელია“ და სხვ. ამ ზღაპრებში აქცენტი გადატანილია დასკვნაზე, რომელიც მახვილსიტყვაობის ნიმუშადაც ჩაითვლება და ერთგვარ მორალურ-დიდაქტიკურ ელფერსაც გადაიკრავს. „ლომსა და მელიას“ მოთხრობილია, თუ როგორ გაჭორა და გაიციხა მგელმა მელია. მელამ მოხერხებულად დააღწია თავი ლომის რისხვას და სამაგიერო მიუზღო მგელს. მგელი დაისაჯა. დასკვნა ასეთია: „წითელჩექმეზიანო, საით მიბრძანდები, როდესაც სიტყვას ამბობ, დაფიქრდი და სხვას ორმოს ნუ უთხრი, — ეუბნება მელია მგელს“. „ნადირთა ძმობაშიც“ ანალოგიური მდგომარეობაა — აქცენტი გადატანილია ბოლო ფრაზაზე, რომელიც ფაქტიურად წინა პასაჟების და მოქმედების ლოგიკურ დანასკვს წარმოადგენს. დათვი, მელა და მგელი დამშობილდნენ. ხელთ ირმის ნუკრი იღდეს და დათვმა მგელს დაავალა მისი გაყოფა. მგელმა თავი დათვს არგუნა, ფეხები — მელიას, შუატანი კი თავად დაიტოვა. ასეთი განაწილებით უკმაყოფილო დათვმა მგელს ისე ღონიერად ჩაპკრა თავში წინა თათი, რომ მგლის ყმუილს მთებმაც მისცეს ბანი. ჭერი მელიაზე მიდგა, მან მოწიწებით წარმოთქვა:

„... თავი შენ, ვითარცა ჩვენს მეფეს, შუა ტანიც შენ, რადგანაც შენ ჩვენზე მუდამ მამობრივად ზრუნავ, და ფეხებიც შენ, ვინაიდან ჩვენდა საკეთილდღეოდ არიან წარმართულნი სვლანნი შენნიო.

— ბარაქალა, ჩემო მელიავ, ვინ გასწავლა ეგეთი ჭკვიანური გაყოფაო, — ჰკითხა მას დათვმა.

მელიამ მიუგო: — შენ რომ წელან ასე ძალიან ჩაარტყი მგელს თავში, ქკუსა როგორ ვერ ვისწავლიდიო!“ („ნადირთა ძმობა“).

ასეთი ნაწარმოებები ძალზე მოკლეა. მათში, როგორც ითქვა, შეკუმშულად არის გადმოცემული ძირითადი შინაარსი, რომელიც დასკვნა-აფორიზმის გახსნას ემსახურება. ყველაფერი ამ ურთი მიზნისკენაა მიმართული და ნაწარმოებიც განტვირთულია ზედმეტი შენაკადებისაგან.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა სახის ზღაპრებს შორის ზღვარი ადვილად შესამჩნევია, მაგრამ მსგავსებაც თვალსაჩინოა. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ერთი სახის ზღაპრისათვის ნიშანდობლივი მომენტები გადადის მეორე სახის ზღაპრებში. ამჯერად ჩვენ მხედველობაში გვაქვს ცხოველთა ეპოსში ჯადოსნური ელემენტების შეჭრა-დამკვიდრების ფაქტი.

ზღაპარში „შაში და მელია“ ჯადოსნურ ელემენტებს დიდი ადგილი უკავიათ. უფრო მეტიც, ისინი წარმოადგენენ სიუჟეტის განვითარების და ხასიათის გამოკვეთის მთავარ ფაქტორებს. აქ კაცს სვავის დედ-მამა აჯილდოვებს ჯადოსნური ხელსაფეხავით, რომელიც ოქროსა და ვერცხლის თვლებს ფეხავს. აქვე გარკვეული ფუნქცია აქისრია ჯადოსნურ ხმალს, რომელიც მაგიური სიტყვების — „ამოდი ვერცხლადა, /დაენტე ცეცხლადა, /წადი და იმ კაცს თავი მოსჭერ, /მოდი და ისევ ჩაეგ“ — წარმოთქმისთანავე სასწაულმოქმედად მოქმედებს. კაცი ამ ჯადოსნურ ხმალსაც მოიპოვებს. შემდეგ იგი ხელში ჩაიგდებს აგრეთვე ჯადოსნურ სუფრას, რომელიც ნუგბარ საქმელ-სასმელებს და ძვირფას სახლ-კარს აჩენს. ზღაპარში მოთხრობილია, თუ როგორ ჩაიგდებს ხელში კაცი ჯადოსნურ ნივთებს და როგორ ტკბილად იწყებს ცხოვრებას.

ერთი სიტყვით, ამ ზღაპარში ჯადოსნური ელემენტების ფუნქცია საკმაოდ დიდია და ერთი შეხედვით ზღაპარი ჯადოსნურ სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე ცხოველთა ეპოსს. იგივე ითქმის „სამტევან ჭაბუკიშვილზე“, რომელიც წარმოშობით ცხოველთა ეპოსის ნაწარმოებია, მაგრამ მასში შეჭრილი ფანტასტიკური ელემენტების წყალობით მას ხშირად ჯადოსნურ ზღაპრად მიიჩნევენ¹⁹.

როგორც აჩაერთავის ითქვა, ცხოველთა ზღაპრებში ძალზე ობიექტურად მიმდინარეობს სიუჟეტის მსვლელობა. ისინი განტვირთულია ლირიკული გადახვევებისაგან, სხვადასხვაგვარი ჩანართებისაგან. მთქმელი ცდილობს დინჯი, მემატინის პოზა შეინარჩუნოს და ისე გადმოგვეცეს ამბავი, რომ მსმენელმა თუ მკითხველმა ნაკლებ იგრძნოს მისი დამინტერესებლობა, პუბლიცისტურად გამოხატული ანტიპათია-სიმპათიები, მაგრამ ყოველთვის არ ხერხდება ამგვარი პოზიციის შენარჩუნება და მთელ რიგ ზღაპრებში გვხვდება ჩანართები, რომლებიც გარკვეული დატვირთვით გამოირჩევიან. მაგალითად, ცხოველთა ეპოსის ნიმუშში — „ზღაპარი ღორისა, მისი ხუთი გოჭისა და მგლისა“ გვხვდება ასეთი ჩანართი: „ღორი მინდორში დაიარებოდა, სთხრიდა მიწას, პოულობდა და ჭამდა ძირღვენას, მაჩიტას, თერის ძირს და კიდევ ბევრი სხვა ბალახის ძირებს, რაც თვითონ უყვარდა და მე კი არ ვიცი მისი სახელი“. სხვა ზღაპარში ასეთი ჩანართი გვხვდება: „... უცებ ხვრელიდან, ჯვარი აქაურობას, უშუალებელი გველი ამოძვრა, ვინ იცის ვისგან და რა მიზეზით ჩაქოლილი“ („მელა მსაჯული“), ან კიდევ: „... სიმწრით ვეფხვი სულ მალა-მალა ხტოდა. იმისი საცოდაობით სულ ცა და ქვეყანა იქცოდა, იმდენხანს სცემა, სანამ მე და შენ მივე შევლებოდი თ“ („ვეფხვი კატის მოსარჩლე“). ან კიდევ სხვაგან: „... აბა რა ხეირს დააყრიდნენ მწევრები მელიას, კარგად მიხვდებით“ („იერუსალიმს მიმავალი მელა“) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ასეთ ჩანართებში მთქმელის მეა გამქდაცნებული. ისინი ნაწარმოების საერთო სხეულის ორგანულ, მაგრამ ოდნავ ამობურცულ ადგილებს წარმოადგენენ. მათ განსხვავებული ფუნქციები აკისრიათ. ერთ შემთხვევაში ისინი მკითხველთან, მსმენელთა შეხშიანების როლით არიან აღჭურვილნი. მთქმელი უშუალოდ აუდიტორიას მიმართავს და კონტაქტის გაძლიერებას უწყობს ხელს. უშუალო მიმართვა აცხოველებს ყურადღებას და ერთგვარ თანამონაწილედ ხდის მსმენელს თხრობისას. დამოწმება, ამ შემთხვევაში, რამდენადმე მთქმელის პოზიციაზე გადაყვანასაც გულისხმობს. ჩანართების ერთ ნაწილს სხვა ფუნქციაც აკისრია. ეს არის მოქმედების ხანგრძლივობის ჩვენება და, ამასთანავე, ნაწარმოების მხატვრული ბუნების გამქდაცნება. ასეთად უნდა მივიჩნიოთ „ვეფხვი კატის მოსარჩლეში“ ფიქსირებული ჩანართი. რაც შეეხება „მელა მსაჯულის“ ჩანართს („ჯვარი აქაურობას“), იგი უკვე განსხვავებული ხასიათისაა. აქ უშუალო მიმართვა არაა მსმენელისადმი, თუმც ამ უკანასკნელის გარკვეულ გამოთიშვასაც გულისხმობს. გამოთქმა „ჯვარი აქაურობას“ მსმენელის აქტივიზაციას არ მოითხოვს იმგვარად, როგორც ამას სხვა ჩანართები გულისხმობენ. ერთი სიტყვით, მთქმელისეულ ჩანართებს გარკვეული როლი ეკისრება სიუჟეტის განვითარებაში. ისინი ხელს უწყობენ ინტერესის გაცხოველებას და ნაწარმოების სწორად აღქმას.

¹⁹ ხალხური სიბრძნე, I, 1963, გვ. 61—64.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტენდენცია ცხოველთა ზღაპრებში ყოველთვის შეფარვით მქლავნდება: მოქმელი, ავტორმოქმელი უმეტესად თავს იკავებს თავისი შეხედულებების პუბლიცისტური გზით გამქლავებისაგან. იგი მოქმედებაში სიტუაციების ხატვით გვამცნობს თავის დამოკიდებულებას, მაგრამ ზოგჯერ ბოლომდე ვერ ინარჩუნებს ამ ობიექტურ პოზიციას და სხვადასხვაგვარი განსაზღვრებით ავლენს პერსონაჟთა ხასიათს თუ ბუნებას („კოსალი და მელაი“)²⁰. ანალოგიურ შემთხვევებში აშკარად იგრძნობა მოგვიანო პერიოდის გავლენა.

ამრიგად, ქართული ცხოველთა ეპოსის შესწავლამ დაგვანახვა, რომ ზღაპრები ცხოველთა შესახებ არქიტექტონიკული თვალსაზრისით სადა და გამჭვირვალეა. ზღაპარი ძლიერ შეკუმშულია, განტვირთულია გვერდითი შენაკადებისა და ლირიკული გადახვევებისაგან. მათში თითოეულ დეტალს, თითოეულ პასაჟს რამდენიმე ფუნქცია ეკისრება და ეს ქმნის შინაგან სიღრმეს. ყოველი ელემენტი ცხოველთა ზღაპრებში მოშველებულია იმისათვის, რომ უფრო ნათლად აღვიქვათ შინაარსი ნაწარმოებისა და უფრო ზუსტად გავერკვეთ მოქმელის ძირითად მიზანდასახულობასა.

ქართული ზღაპრები ცხოველთა შესახებ საკმაოდ მძლავრად ავლენენ ამბის რეალისტური გადმოცემის თვისებებს და მრავალმხრივ იპყრობენ ყურადღებას. მათი სტრუქტურა უთუოდ სრულყოფილი და მოსაწონია.

²⁰ ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 182.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის
 ქართული ლიტერატურის ისტორიის
 ინსტიტუტმა)

გულნაზ კიხნაძე

რამდენიმე ძლისპირის წარმომავლობისათვის

I. ქართული ძლისპირების ისტორია განიხილება ბერძნულ ირმოლოგიონებთან უმჭიდროეს კავშირში, ისინი სათავეს ბერძნულიდან იღებენ. დღეს უკვე გარკვეულია ძლისპირთა პირველი რედაქციის მომდინარეობა ბერძნულიდან¹.

გასარკვევია სხვა რედაქციების ძლისპირთა ორიგინალობის საკითხი. ეს კვლავ ამოსავალ წინაპირობად გულისხმობს ბერძნულთან მიმართების გარკვევას, ბერძნული ირმოლოგიონებისა და ქართული ძლისპირების შედარებით შესწავლას. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბერძნული წყაროების სრულყოფილად გამოყენებას. ყოველი ახალი წყარო ყურადსაღები და ანგარიშგასაწევია იმდენად, რამდენადაც შეიძლება საინტერესო ცნობები მოგვაწოდოს ჩვენი წინაპრების მთარგმნელობითი პროდუქციის შესახებ. არ არის გამორიცხული, რომ იქ დადასტურდეს იმ ძლისპირთა დედნები, რომელთა ბერძნული ფარდი ჯერჯერობით დაძებნილი არ არის. ნათქვამი ეხება პირველი რედაქციის იმ ძლისპირებსაც, რომელთა ბერძნული შესატყვისების მიგნება ვერ მოხერხდა. ასეთი ძლისპირი 19-ია, მათგან 14-ს აქვს მითითება ბერძნულ დედანზე (ქართულ ძლისპირებს ახლავს ბერძნული ძლისპირის დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით). ამის შესახებ გამოცემაში ვკითხულობთ: „ქართულ ძლისპირთა დასაწყისების შედარებამ ბერძნულ ძლისპირთა ტრანსკრიფციებთან აშკარა გახადა, რომ ამ შემთხვევაშიც ქართული ძლისპირები ბერძნულის თარგმანებს ან შესატყვისებს უნდა წარმოადგენდნენ, და თუ ჩვენ ვერ მივაკვლიეთ მათ დედნებს ჩვენთვის ხელმისაწვდომ გამოქვეყნებულ ბერძნულ ირმოლოგიონებში, ეს მოწმობს მხოლოდ იმას, რომ ირმოლოგიონის ეს გამოცემები, დამყარებული XI—XIII საუკუნეების ხელნაწერებზე, არ ამოწურავენ ბერძნულ ძლისპირთა მთელ რეპერტუარს და, შესაძლებელია, საძიებელი 14 ქართული ძლისპირის ბერძნული დედნები ირმოლოგიონთა ნაკლებად შესწავლილ ხელნაწერებში აღმოჩნდეს“².

¹ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ძლისპირთა კრებულების (OdO ტიპის) 3 ძირითადი რედაქცია (ვრცლად იხ. პ. ინგოროყვა, თხზულებანი, ტომი III, თბილისი, 1965, გვ. 79—92). I რედაქციაში გაერთიანებულია კრებულები Sin. 1, Sin. 14, Sin. 59, Sin. 65 და იელის იადგარი. ამ რედაქციის ძლისპირების ბერძნულ დედნებსა და შესატყვისებს მიაკვლია და ქართული ტექსტი ბერძნული პარალელებით და ვრცელი გამოკვლევით გაიოსცა ე. მეტრეველმა (ძლისპირანი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით გაიოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბილისი, 1971).

² II რედაქციას მიაკუთვნებენ მიქაელ მოდრეკილის ცნობილ იადგარს (S—425), III, ყველაზე სრულ რედაქციას ქმნის A—603, რომელიც X საუკუნის დამლევით და XI ს. დასაწყისით არის დათარიღებული და აღნიშნულია C ლიტერით.

³ ძლისპირანი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 028—029.



შევნიშნავთ, რომ ბერძნულ ირმოლოგიონთა საბოლოოდ დაღწეული მეცნიერული გამოცემა ჯერ არ არსებობს. ჩვენთვის ხელმისაწვდომი იყო ირმოლოგიონის ერთ-ერთი შედარებით სრული გამოცემა, რომელიც განახორციელა ს. ევსტრატიადისმა (Εὐσταθίου ἐπισημάνσεων ὑπὸ Μυρσιπολίτου Λεοντοπάτρου Σαφροῦσις Ἐπιστρατεύου. Chennevières-sur-Marne, 1932) და საერთაშორისო აკადემიური სერიის Monumenta Musicae Byzantinae (M. M. B.)-ს სანი ფოტოტიპიური პუბლიკაცია:

1. Hirmologium Athoum, ed. Carsten Höeg, Codex monasterii Hibernorum 470. Phototypice depictus, M. M. B. II, Copenhagen, 1938.
2. Hirmologium Cryptense, ed. L. Tardo, M. M. B. III, Roma, 1951.
3. Hirmologium Sabbaiticum ed. I. Raasted, Codex monasterii S. Sabbae 83. Phototypice depictus, Paris, Prima, M. M. B. 8.2.1. 1968 (მოიცავს მხოლოდ პირველი ოთხი ხმის მასალას)³.

ჩვენთვის საინტერესოა ეს უკანასკნელი (აღნიშნულია S ლიტერით).

საბაწმიდური ირმოლოგიონი (ისევე როგორც ჩვენთვის ხელმისაწვდომი სხვა ირმოლოგიონები) სტრუქტურულად სხვაობს ქართულ ძლისპირთა კრებულებისაგან. ძლისპირები ბერძნულ ირმოლოგიონში ხმის ფარგლებში კანონების (აკოლუთების) სახით არის წარმოდგენილი და მიეკუთვნება იმ ტიპს, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში KaO ლიტერით არის აღნიშნული. ქართულში კი ძლისპირები თითოეული ხმის ფარგლებში დაშლილად, გალობების (ოდების) სახით არის შესული, ანუ OdO ტიპისა არიან⁴. ეს იმას ნიშნავს, რომ I ხმის I გალობა KaO ტიპში მოიძებნება I ხმის ყველა აკოლუთიაში, OdO წყობის კრებულში კი ეს ძლისპირები (I გალობისა) თავმოყრილი იქნება ერთად I ხმის I გალობის რიგში, რომელსაც შემდეგ მოჰყვება II გალობის ძლისპირები და ა. შ. თანმიმდევრობით.

საბაწმიდური ირმოლოგიონი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ამსახველია ბერძნული ირმოლოგიონის განვითარების ადრეული საფეხურისა. მ. ველიმიროვიჩმა ვრცლად მიმოიხილა რა ბერძნულ ირმოლოგიონთა ხელნაწერები და დააჯუჯა ისინი ძლისპირთა კანონების შედგენილობისა და თანმიმდევრობის მიხედვით, ეს ხელნაწერი დაათარიღა XI საუკუნით და მიაკუთვნა იგი ირმოლოგიონთა ქრონოლოგიურად ძველ და იმავდროულად ვრცელ ვერსიათა ჯგუფს. მისი აზრით, ეს ვერსია ხასიათდება კანონთა და ირმოსთა სიმრავლით⁵.

მართლაც, საკვლევი ირმოლოგიონის შეპირისპირებამ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ბერძნულ ირმოლოგიონებთან გამოავლინა შემდეგი: S განსხვავ-

³ ეს ირმოლოგიონი ლოს-ანჯელოსიდან მიიღო ე. მეტრეველმა პროფ. ვ. ჯომაძის დახმარებით. მაგრამ მისი გამოყენება ძლისპირთა პირველი რედაქციის გამოცემაში ვერ მოხერხდა; რადგან წიგნის აწყობა უკვე დამთავრებული იყო. ე. მეტრეველმა ეს გამოცემა ჩვენ დაგვიტომო სარგებლობისათვის, რისთვისაც მადლობას მოვასწავებთ.

⁴ ამ ტიპის კრებულთა გენეზისს და ურთიერთმიმართებას უძღვენეს ვრცელი ნაშრომები ე. კოშმიდერმა, მ. ველიმიროვიჩმა: Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente, herausgegeben von Erwin Koschmieder, Zweite Lieferung, München, 1955; M. Velimirovic', Byzantine Elements in Early Slavic Chant, Copenhagen, 1960. ამ შრომათა მიმოხილვა იხ. ე. მეტრეველის გამოკვლევაში (ძლისპირნი და ლმრთისმშობლისანი, 090—099).

⁵ მასალა ამოღებული გვაქვს ე. მეტრეველის დასახელებული გამოკვლევიდან: ძლისპირნი და ლმრთისმშობლისანი, გვ. 090.

დება შესადარებელი კრებულებისაგან როგორც აკოლუთიათა რაოდენობისა და რიგის; ისე აკოლუთიაში გაერთიანებული ირმოსების თვალსაზრისითაც. საბაწმიდურში დადასტურებული აკოლუთიების ნაწილი სრულიად უცნობია სხვა გამოცემებისათვის. ასეთი აკოლუთია დაახლოებით 22-ია. ნათქვამი ეხება აკოლუთიებს, როგორც მთლიან ერთეულებს, თორემ, თუ სხვადასხვა აკოლუთიაში გაერთიანებულ სხვა გამოცემებისათვის უცნობ ირმოსებსაც გავითვალისწინებთ, მივიღებთ განსხვავებულ ირმოსთა საკმაოდ დიდ რიცხვს.

საბაწმიდური ირმოლოგიონის სწორედ ამ განსხვავებულ მასალაში დადასტურდა ორი ქართული ძლისპირის დედანი.

1. საბაწმიდური ირმოლოგიონის მიხედვით დედანი დაეძებნა I ხმის IX ოდის („ადიდებდითსას“) ერთ-ერთ ძლისპირს დასაწყისით „შენ ყოლად ქებულო და დიდებულო“. ეს ძლისპირი მიეკუთვნება I რედაქციის იმ ძლისპირთა რიგს, რომელთაც არ ახლავთ ბერძნული დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით. ძლისპირთა ყველაზე სრულ კრებულში A—603-ში იგი არ დასტურდება მხოლოდ იმის გამო, რომ ხელნაწერის შესაბამისი ნაწილი ჩვენამდე მოღწეული არ არის. მოგვყავს ტექსტები პარალელურად:

შენ ყოლად ქებულო
და დიდებულო ღმრთისმშობელო,
რომელი შემდგომად მეორედ

ეზოა ტაძრისაჲ ხარ,
რომელსა პრქჳან წმიდაჲ წმიდათაჲ,
გალობით გადიდებთ (გამოც. გვ. 60).

Σὲ τῆν πανήγητον καὶ ἔνδοξον Θεοτόκον,
τῆν μετὰ τὸν δεύτερον καταπέτασμα σκηναίῃ,
τῆν λεγομένην ἄγρια ἄγρια
ἐν ἡμαίσις μεγάλιστομεν.

როგორც შეპირისპირება გვიჩვენებს, ქართული ტექსტი ზუსტად მისდევს ბერძნულს, სიტყვისიტყვით იმეორებს მას. მაგრამ მასალის სპეციფიკურობა მოითხოვს სხვა მხარის გათვალისწინებასაც. რაკი ძლისპირები გალობით სრულდებოდა, მთარგმნელი ვალდებული იყო დედნის კილოსთან შეფარდებით ვადმოეცა მისი რიტმული სტრუქტურაც. ეს კი გულისხმობდა რამდენიმე პირობის შესრულებას, მათ შორის: მარცვალთა საერთო რაოდენობისა და ტაეპთა (რიტმულ მონაკვეთთა) რაოდენობის, ტაეპებში მარცვალთა თანაფარდობის დაცვას, რაც სანოტო ნიშნებთან ერთად მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო ბერძნული კილოს მელოდიური ფრაზებისა⁶.

წარმოვადგენთ რიტმული დაყოფის სქემებს (რიტმული განკვეთის ნიშნებად ხელნაწერებში, ჩვეულებრივ, წერტილებია გამოყენებული):

ბერძნ. 14. 14. 10. 8.

ქართ. 6. 9. 6. 9. 10. 6.

მარცვალთა საერთო რაოდენობის მხრივ აქ ზუსტი თანხვედრაა (46 მარცვალი). სხვაობაა მხოლოდ ტექსტის ტაეპებად განაწილებაში შეფარდებით 4:6. ქართულში ბერძნულის პირველი ორი ტაეპი დანაწევრებულია. ბერძნული დედნის ორ დასაწყის 14-14-მარცვლიან მონაკვეთს ქართულმა შეუწყო უფრო მკირე რიტმიკული ერთეულები (9 . 6 6 . 9), ოღონდ ისე, რომ მარცვალთა საერთო რაოდენობაში ცვლილება არ მომხდარა; ეს კი მოხდა ბოლო ტაეპის მარცვალთა შემცილების ხარჯზე.

⁶ ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 78.

მსგავსი ოპერაციები სრულიად დასაშვებია იყო ძლისპირების თარგმნის პროცესში. ტაეპთა გაყოფისა და დანაწევრების (ისევე როგორც ტაეპთა გაერთიანების) მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება ძლისპირთა სხვა თარგმანებიდანაც⁷.

აქ ვერ გამოვრიცხავთ მსგავსი რიტმული ვარიანტის მქონე ბერძნული დედნის არსებობასაც, რადგან რიტმული დაყოფის თვალსაზრისით ერთფეროვნება არც თვით ბერძნულ ირმოლოგიონთა ხელნაწერებში შეინიშნება⁸. ყოველ შემთხვევაში, აქ არავითარი დაბრკოლება არ არის იმისათვის, რომ ძლისპირი დასაწყისით: „შენ ყოლად ქებულო და დიდებულო...“ ბერძნულიდან თარგმნილ ძლისპირად გამოვაცხადოთ.

2. IV ხმის VIII გალობის („აკურთხედი თასას“) ძლისპირი დასაწყისით „ღმრთისმშობელო, ჩუენ ყოველნი გიცნობთ შენ“ გამოქვეყნებულია. Sin. 65-ში მას ახლავს ბერძნული დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით: „თოტოკონ კე“. ამ დასაწყისის მქონე ბერძნული ირმოსი დადასტურდა სწორედ ზემოხსენებულ საბაწმიდურ ირმოლოგიონში (გვ. 116r) IV ხმის IX (ფ) გალობაში.

ღმრთისმშობელო, ჩუენ
 ყოველნი გიცნობთ შენ
 დედაღ ღმრთისა ჩუენისა,
 ყოლად ღირსო, გიღალადებთ:
 გიხაროდენ შენ, ქალწულო,
 შენგან შობილსა ღმერთსა უფროსად
 ავამალღებთ უკუნისამღ⁹.

Θεοτόκην σε πάντας γινώσκουσιν,
 παναγία παρθένε
 και χαίρει σοι, βίμημην,
 τῷ ἐκ σοῦ τέχθειντι Θεῷ
 μισοφάντορας ἡμῶν ἀναμείλωντες
 εἰς πάντας τοὺς αἰῶνας.

აქ ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე მომენტს, კერძოდ, ტრანსკრიფციის სიზუსტეს, თარგმანის შინაარსობრივ და მეტრულ დამოკიდებულებას დედანთან და ოდის (გალობის) რიგს ძლისპირთა აკოლუთიაში.

ქართული ძლისპირის ბერძნულ ზედწარწერაში სიზუსტე დარღვეულია. უნდა იყოს ხე ნაცვლად კე-სი, რაც ხ და კ-ს გრაფიკული აღრევის შედეგია.

ქართული თარგმანი ისეთი პედანტური სიზუსტით არ მისდევს დედანს, როგორც ზემოთ განხილული ძლისპირი. მაგრამ აზრობრივი დაშორებაც არ არის. რიტმული თანაფარდობის სურათი კი ასეთია:

ბერძნ. 11. 7. 7. 8. 12. 7=52.

ქართ. 5. 6. 7. 8. 8. 19=53

ბერძნული და ქართული ძლისპირების მარცვალთა რაოდენობა თითქმის ერთხვევა ერთმანეთს (სხვაობაა ერთადერთ მარცვალში), თანხედრათა რიტმულ მონაკვეთთა სილაბიკის თვალსაზრისითაც, ოღონდ ქართულში ადგილი აქვს, ერთი მხრივ, რიტმულ ერთეულთა დანაწევრებას (დედნის დასაწყის 11-მარცვლიან ტაეპს შეესაბამება ორი ტაეპი მარცვალთა შეფარდებით 5:6), მეორე მხრივ კი — ამ ერთეულთა შერწყმას (ქართულში გაერთიანებულია ბოლო ორი ტაეპი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერთა ერთ ნაწილში (Sin. 65, A—59) ბოლო ორი ტაეპი იცავს ბერძნულისებურ დანაწევრებას, ოღონდ იქ

⁷ იქვე, გვ. 082—083.

⁸ ამ სიკრელის ახსნის ცდები აქვთ მოცემული კ. ჰიუგას და მ. სტორს. ამის შესახებ იხ. ე. მეტრეველის დასახ. გამოკვლევა, გვ. 079—080.

⁹ მოგვიავს A—603-ის მიხედვით (გვ. 80r).

გადახრაა ტუაპობრივ შეფარდებაში (6:7). რა უდევს საფუძვლად ამ რიტმული ვარიანტების გაჩენას, ბერძნული დედანი, კილოს ტექსტთან შეწყობის ამოცანა, თუ სხვა რამ, დღესდღეობით ძნელი სათქმელია.

ბერძნული და ქართული ძლისპირები შინაარსობრივი და რიტმული თვალსაზრისით ერთმანეთს ფარავენ, მაგრამ მათ შორის სხვაობაა გალობის ადგილის მიხედვით.

საანალიზო ბერძნული ძლისპირი დაიძებნა ისეთ აკოლუთიაში, რომელსაც არ იცნობენ სხვა გამოცემები. ღეთისმშობლისადმი მიძღვნილი IX (მ) გალობა ორი ძლისპირით არის წარმოდგენილი: ძირითადით და ალოსით¹⁰. ქართული ძლისპირი ბერძნული ალოსის თარგმანია. მამასადამე, ქართულში IV ხმის VIII გალობის („აჟურთხევედითსა“) ძლისპირით გადმოცემულია ის, რაც ბერძნულში ამავე ხმის IX გალობის ირმოსია¹¹. ეს სხვაობა ქართველი მთარგმნელის ინიციატივას არ უნდა მიეწეროს; სეარაუდებელია, რომ მას ხელთ ჰქონდა ისეთი ბერძნული ხელნაწერი, სადაც საკვლევი ირმოსი სწორედ VIII გალობაში იყო მოთავსებული. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ძლისპირთა ადგილმონაცვლეობის შემთხვევები, საერთოდ, უცხო არ არის თვით ბერძნული ირმოლოგიონებისათვის. მსგავსი მავალითები დავადასტურეთ საანალიზო გამოცემების მიხედვითაც.

საბაწმიდური ირმოლოგიონის იმ აკოლუთიაში, რომელიც შეესაბამება ს. ევსტრატიადისის გამოცემის № 145 კანონს, მეხუთე (ე) ოდაში დასტურდება ირმოსი, რომელიც ს. ევსტრატიადისის გამოცემაში იმავე 145-ე აკოლუთიის მ გალობის ძლისპირის ალოსია.

S-ის ერთ-ერთ აკოლუთიაში, რომელიც აღნაგობით ემთხვევა ს. ევსტრატიადისის № 173 აკოლუთიას, მ-დ მიღის ირმოსი, რომელიც იმავე ევსტრატიადისთან № 151 აკოლუთიის პირველი (ა) გალობისაა. ეს უკანასკნელი IX (მ-ს) ირმოსად შეტანილია კრიბტენსის ირმოლოგიონშიც და სხვ.

ეს ფაქტი გალობათა მონაცვლეობისა დამაბრკოლებელი გარემოებაა ქართული ძლისპირების ბერძნული დედნების ძიების პროცესში. როცა ძიება მიმდინარეობს აკოლუთიებში გალობის რიგის მიხედვით, ადგილგადანაცვლებისას ძნელდება დედნის მიგნება. ზემოთგანხილულ შემთხვევაში დედნის მიგნება ვაკვიადვილა ქართული ძლისპირის ბერძნულმა ზედწარწერამ.

ამრიგად, ორი ქართული ძლისპირი დასაწყისებით: „შენ ყოლად ქებულო და დიდებულო“, „ღმრთისმშობელო, ჩუენ ყოველნი გიცნობთ შენ“. ბერძნული წარმომავლობისაა, მათი დედნები ფიქსირებულია საბაწმიდური ირმოლოგიონის ფოტოტიპიურ გამოცემაში. ჩვენთვის ხელმისაწვდომ სხვა ბერძნული ირმოლოგიონებში ეს ირმოსები დავადასტურებული არ არის.

საბაწმიდური ირმოლოგიონი XI საუკუნისაა და ასახავს ბერძნული ირმოლოგიონის განვითარების ადრეულ სტადიას (მ. ველიმიროვიჩი). ქართული

¹⁰ ბერძნულ ირმოლოგიონთა პრაქტიკაში ხშირია ძირითადი ძლისპირის შემდეგ ერთი ან ორი ძლისპირის არსებობა, რასაც *εἰρηκὸς ἄλλος* ან *εἰρηκὸς ἕτερος* ეწოდება. ეს უპირატესად ძირითადი ძლისპირის რიტმსა და კილოზე დაწერილი ახალი ძლისპირია, თუმცა ზოგჯერ განსხვავდება ძირითადისაგან როგორც შინაარსით, ისე რიტმით და მელოდით (იხ. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 068).

¹¹ საპირისპირო შემთხვევა დადასტურებულია ძლისპირთა I რედაქციის გამოცემაშიც. № 54 ძლისპირის კომენტარში მითითებულია, რომ ქართული IX გალობის დასაწყისი „ო ტონ ანო ბთონ ტის თია“ აღმოჩნდა ათონის ირმოლოგიონში VIII გალობის ძლისპირში, თუმცა იქ შინაარსობრივ დიდი სხვაობებია.

თარგმანები X საუკუნის ხელნაწერებშია (ყოველ შემთხვევაში მათი ქრონოლოგიური მიჯნა XI საუკუნის დამდეგს არ სცილდება). ეს ხაზს უსვამს ბერძნული ირმოლოგიონის სიძველესაც, რაც საინტერესოა ბერძნული ჰიმნოგრაფიის მეკლევართათვისაც.

საბაწმიდურ ირმოლოგიონში ქართულ ძლისპირთა დედნების დადასტურება გამოხატულება უნდა იყოს იმ მკიდრო შემოქმედებითი კონტაქტისა, რომელიც ჰქონდათ ქართველ მოღვაწეებს საბაწმიდის ჰიმნოგრაფიულ სკოლასთან. იგივე ფაქტი გახაზავს ძლისპირთა ბერძნული დედნების ძიების პროცესში ბერძნული ხელნაწერების სრულად გამოყენების აუცილებლობას, რასაც ჩვენ მოკლებული ვართ.

II. გარკვევა იმისა, თუ რომელია ძლისპირთა ზღვა მასალაში ნათარგმნი და რომელი ორიგინალური ქართული — ჩვენი ძირითადი ამოცანაა. მაგრამ ბერძნულ-ქართული მასალის პარალელურ შესწავლას ძლისპირთა ბერძნული დედნების გამოვლენასთან ერთად სხვა ასპექტიც შეიძლება ჰქონდეს. შესაძლოა, ქართულმა ძლისპირებმა ზოგ შემთხვევაში თვით მოჰფინონ შუქი ბერძნული ირმოლოგიონის ტექსტის საკითხებს.

როგორც ცნობილია, ბერძნულ ირმოლოგიონთა ხელნაწერები X საუკუნეზე ადრინდელი შემორჩენილი არ არის. და ისინიც არ არიან ამსახველი თავდაპირველი ვითარებისა. ირმოლოგიონი მანამდეც იყო სხვადასხვაგვარი გადამუშავებისა თუ შევსება-შემოკლების ობიექტი. უდავოა, სხვადასხვა გარემოებათა გამო ზოგი რამ ჩვენამდე მოღწეული არ არის. ამიტომ ქართულ ძლისპირებს (ისევე როგორც სხვა ენებზე დაცულ თარგმანებს) შეუძლიათ გარკვეული სამსახური გაუწიონ ბერძნული ირმოლოგიონის ტექსტის რეკონსტრუქციის საქმეს. მოულოდნელი არ არის, რომ მათ შემოენახათ ისეთი მასალა, რაც ბერძნულში დაცული აღარ არის.

ამ მხრივ ერთ-ერთ საინტერესო ჩვენებას გვაწვდის ძლისპირთა კრებული A—603. ეს „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ სამეცნიერო ლიტერატურაში „იორდანეს კრებულის“ სახელწოდებით არის ცნობილი. იგი ძლისპირთა ყველაზე სრული და რედაქციული აღნაგობის მხრივ მეტად საინტერესო კრებულია — ერთგვარი შეჯამებაა ჰიმნოგრაფიული მონაპოვრებისა X საუკუნის დამლევაამდე.

A—603 შეიცავს 900-მდე ძლისპირს. პ. ინგოროყვა ვრცლად მიმოიხილავს რა ამ კრებულს, მასში გამოყოფს სამ რედაქციულ ჯგუფს და III რედაქციულ ფენას მხოლოდ ამ ხელნაწერის კუთვნილებად მიიჩნევს¹².

ჩვენი დაკვირვებით, II და III რედაქციის ძლისპირთა გარკვეული ნაწილიც ბერძნული წარმომავლობისაა. ამ საკითხს შევეხებით სხვაგან. ამჯერად კი ჩვენთვის საინტერესოა ერთი ძლისპირი, რომელიც დაუტავს ამ ხელნაწერს (157v) VIII (დ გ“) ხმის V ვალობაში („ღამითგანსა“) დასაწყისით — „ვნებათა ნისლისაგან მე ვითარცა ღამისაგან ღრმისა...“. ამ ძლისპირის დედანს ვერ მივაკვლიეთ ვერცერთ ხელმისაწვდომ ბერძნულ წყაროში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ძლისპირი მაინც ბერძნული წარმომავლობისაა. ამას ადასტურებს სლავური ირმოლოგიონი, რომელიც XII საუკუნის ნოვგოროდულ ხელნაწე-

¹² პ. ინგოროყვა, *ოხულებანი*, ტ. III, გვ. 82.

რის ფრაგმენტების მიხედვით პარალელური ბერძნული ტექსტით, საძიებლეთა და გამოკვლევით გამოაქვეყნა ე. კოშმიდერმა¹³.

ე. კოშმიდერს გამოქვეყნებული და საგანგებოდ აღნიშნული აქვს 7 ძლისპირი, რომელთა ბერძნული დედნების მიგნება მან ვერ მოახერხა. საანალიზო ქართული ძლისპირი შინაარსობრივად დაემთხვა ერთ-ერთ მათგანს.

მოგვყავს ტექსტები პარალელურად:

ვნებათა ნისლისაგან

მე ვითარცა ღამისაგან ღრმისა გამოქსნილი
 აღმსობად შენდა ღირს-ყავ სული ჩემი,
 გვედრებო,

ღღისა ნათელსა ბრძანებათა შენთასა,

ქრისტე.

Страстные мя меглы.

яко ото глубокія ноши избавляя,

утреневати сподоби.

духо мой молю ся во свете денин.

веленин твоихо Христе¹⁴.

ქართული და სლავური ტექსტების შინაარსობრივი იდენტურობა ცხადყოფს მათს ბერძნულ წარმომავლობას. ორიგინალი ამ საგალობლისა დაკარგულია ან დღეისათვის გამოვლენილი არ არის. ქართული და სლავური ცალ-ცალკე, ერთმანეთის დამოუკიდებლად შესრულებული თარგმანებია — ქართულ-სლავური ლიტერატურული კონტაქტები ამ ეპოქისათვის დასაშვებები არ არის. სლავური თარგმანი XII საუკუნის ხელნაწერშია დაცული, ქართული თითქმის ორი საუკუნით უსწრებს მას, ეს უკანასკნელი კი წინსწევს ბერძნული ირმოსის ქრონოლოგიურ ზღვარს. იგი ბერძნულში არსებობდა არა უგვიანეს X საუკუნისა.

ქართული და სლავური ძლისპირების შინაარსობრივი მხარე ზუსტ შესაბამისობაში აღმოჩნდა. მასალის სპეციფიკურობა კი მოითხოვს რიტმული მხარის გათვალისწინებასაც. ჩვენ არ მოგვეპოვება ბერძნული დედანი, რომ ვთქვათ — რამდენად ზუსტად ასახავს ქართული თარგმანი ბერძნული ირმოსის რიტმულ სტრუქტურას. სლავურ თარგმანთან შეპირისპირების საშუალება კი გვაქვს.

როგორც სლავური, ისე ქართული ხელნაწერი ნევემირებულია (აქვს სანოტო ნიშნები) და ახლავს მეტრული პუნქტუაცია. რიტმული განკვეთის ნიშნებად სლავურში გამოყენებულია ერთი წერტილი, ქართულში — ორი: წითელი და შავი — სტრიქონის ზემოთ და ქვემოთ (ქართულში იშვიათად გვხვდება გამონაკლისები ამ წესისა). საანალიზო შემთხვევაშიც გამონაკლისთან გვაქვს საქმე. ძლისპირი ნევემირებული არ არის. რიტმული განკვეთის ნიშნებად აქ მხოლოდ შავი წერტილებია გამოყენებული. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, შავი წერტილები იწერებოდა ტექსტის გადაწერის პროცესში, წითელი წერტილები — ნევემირებისას. შავი და წითელი წერტილები ძირითადად ემთხვეოდა ერთმანეთს. ნევემირების პროცესში წითელი წერტილების დასმა ზოგჯერ ცვლიდა ტექსტის თავდაპირველ რიტმულ დეყოფას¹⁵. წარმოვადგენთ რიტმული დაყოფის სქემებს:

¹³ Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente, herausgegeben von Erwin Koschieder, München, 1952.

¹⁴ იქვე, გვ. 280₁₂—282₁.

¹⁵ ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 081.

სლავერი: 7.14 · 8 · 13 · 9 = 51.

ქართ. 7.14 · 11 · 4 · 14 = 50.

შეპირისპირება ნათელყოფს, რომ ზუსტად ემთხვევა ქართული და სლავური ძლისპირების ტაეპთა რაოდენობა. თითქმის თანხვედრაა მარცვალთა საერთო რაოდენობაში, მსგავსია პირველი ორი რიტმული მონაკვეთის აღნაგობაც. ერთადერთი, რაც მათ განასხვავებს, არის ტაეპებში მარცვალთა განაწილების მდგომარეობა. მაგრამ ეს არ არის დიდი დაბრკოლება. ანალოგიური ვითარება შეინიშნება ბერძნულით თარგმნილ სხვა ძლისპირებშიც. მსგავსი მაგალითები უცნობი არ არის ძლისპირთა და გალობათა სლავური თარგმანებისთვისაც¹⁶.

განხილული სლავური და ქართული ძლისპირებიდან რომელში პოვა უფრო ზუსტი გამოხატულება დედნისეულმა რიტმიკამ, კვლევის ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია. აქ უდავოა მხოლოდ ის, რომ ეს ტექსტები (ქართულიც და სლავურიც), მომდინარეობენ რა ბერძნულიდან, ერთმანეთის ზუსტ შინაარსობრივ ეკვივალენტებს წარმოადგენენ.

A — 603, როგორც აღინიშნა, სამი რედაქციული ფენისაგან შედგება. რომელ მათგანს მიეკუთვნება ძლისპირი „ვნებათა ნისლისაგან“? გარკვეულია, რომ ძლისპირთა რიგში ასახულია მათი რედაქციული და ქრონოლოგიური მემართება. პირველ რიგში მიდის უძველესი რედაქციული ფენის ძლისპირები, შემდეგ კი — მეორე და მესამე რედაქციებისა. ეს უკანასკნელი პირველისაგან გამოყოფილი არიან საგანგებო ტექნიკური ნიშნითაც. ამ სიახლის მაჩვენებლად მიიჩნევენ ტერმინს „უცხონი“, რომელსაც ზოგიერთი ხმის ფარგლებში ერთგვარად ენაცვლება ტერმინი „მორთულნიც“¹⁷.

განხილული ძლისპირი მოდის „ღამითვანსას“ ბოლო, მე-15 ძლისპირად. მას არ იცნობს I რედაქცია, არ დასტურდება არც მიქაელ მოდრეკილის იადგარში. იგი მოგვიანო, მესამე რედაქციული ფენის კუთვნილებაა.

„ძლისპირი „ვნებათა ნისლისაგან“ მიეკუთვნება იმ წყებას, რომელიც გამოყოფილია სახელწოდებით „მორთულნი“ (სინგურით შესრულებული ეს ტერმინი წამძღვარებული აქვს № 8 ძლისპირს და იგი უნდა ვრცელდებოდეს მომდევნო ძლისპირებზეც).

ბუნება და რაობა ძლისპირთა იმ რივისა, რომელიც აღნიშნულია სახელწოდებით „მორთულნი“, სხვადასხვაგვარად არის განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. პ. ინგოროყვას აზრით, იგი ასახავს დიდი ფორმის საგალობელში („გალობაში“) სტროფულ-ტაეპობრივ შეფარდებათა ცვლილებას (9 გალობისაგან შემდგარ „გალობაში“ 9 მუსიკალურ კომპოზიციას შეფარდება არა 9, არამედ, 5, ზოგჯერ 7 სტროფულ-ტაეპობრივი საზომი¹⁸. მანვე ტერმინი „მორთული“ გააიგივა სიტყვასთან „მოკაზმული“ — საუცხოო¹⁹.

ე. მეტრეველის მოსაზრებით, რაკილა „მორთულნი“ და „უცხონი“ C ხელნაწერის ფარგლებში ენაცვლებიან ერთმანეთს და ტექნიკურ ნიშანთან ერ-

¹⁶ ძლისპირნი და ღმთისმშობლისანი, გვ. 084.

¹⁷ იქვე, გვ. 073.

¹⁸ პ. ინგოროყვა, დასახ. შრ., გვ. 131, 136.

¹⁹ იქვე, გვ. 137. ც. ჭღამიას ვარაუდით ტერმინი „მოკაზმული“ ძველი თარგმანის გადაკეთება-გადამუშავებაა და ძლისპირის მიხედვით მისი ზუსტი გამართვა; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1972, გვ. 11.

თად გამოყოფენ ძლისპირთა ახალ ფენას, ისინი მნიშვნელობითაც არიან. „მორთული“ უნდა იყოს იგივე, რაც ბერძნული *εἰρηὰς ἀλλοθ-ი*, ე. ი. სხვა ძლისპირის რიტმსა და კილოზე დაწერილი ახალი ძლისპირი. მისი აზრით, სწორედ ამ მომენტს (რაიმე ქარგის, მოდელის მიხედვით შემზადებას) უნდა უსვამდეს ხაზს ტერმინი „მორთული“, რაც ნიშნავს შეწყობილს, მიხსვავსებულს, აწყობილს რაიმეს მიხედვით²⁰.

„მორთულნი“ კვლავ გამოწულივითი შესწავლის ღირსია როგორც ქართულ მასალაზე, ისე ბერძნულთან მიმართების თვალსაზრისითაც. როგორც ვნახეთ, ძლისპირი „ვნებათა ნისლისაგან“, რომელიც „მორთულის“ სახელწოდებითაა აღნიშნული, ბერძნულიდან მომდინარეობს. დასტურდება თუ არა ამ წყებაში სხვა ბერძნული წარმომავლობის ძლისპირები? ჯერჯერობით ჩვენ მივაგენით კიდევ ერთი „მორთულის“ დედანს.

იმავე VIII სმის V ვალობაში A—603 ხელნაწერში მეცხრე ნომრად დასტურდება შემდეგი ძლისპირი:

ნათლითა შენითა განაათლე

რაათა დამითგან აღვიძსთო შენდამი

გონებაა ჩემი, ქრისტე,

და უგალობდე

გვედრები შენ,

დიდსა სახიერებასა შენსა (156r).

იგი ზუსტი შინაარსობრივი ბადალი აღმოჩნდა იოანე დამასკელის № 315 აკოლუთიის (ეესტრატიადისის გამოცემის მიხედვით) 8 ოდის ირმოსისა:

Тѣ сѣ φωτι

Ἦνα τῆς πικρῆς σου ἡμῶν

აწყაძათ ყათ ძენ ყთვ

ἐκ σαρκὸς ἱερῆς αἰχμητῆτα.

ბ მხედ მესამაი თა

მაგრამ დიდი სხვაობაა მარცვალთა რაოდენობაში და რიტმულ-ტაქტობრივ წყობაში:

ბერძნ. 4.6.7.9.11=37

ქართ. 6.11.5.11.5.10=47.

რიტმიკა განსხვავებულია, შინაარსი — შესატყვისი.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არის ორი ძლისპირი დასაწყისებით: „ვნებათა ნისლისაგან“ და „ნათლითა შენითა“, რომლებიც გაერთიანებული არიან სახელწოდების ქვეშ „მორთულნი“. ორივე ბერძნულის თარგმანია. თარგმნისას შინაარსობრივი მხარე ცვლილებებს არ განიცდის. მეტ-ნაკლები გადახრა ან ვანსხვავება თავს იჩენს რიტმიკაში. მაშასადამე, წყება „მორთულთა“ არ არის შემოფარგლული მხოლოდ ორიგინალური ქართული ძლისპირებით. როგორც წარმომავლობა, ისე თარგმნის ხასიათი არ არის „მორთულთა“ ჯგუფის ცალკე გამოყოფის საფუძველი. ეს საფუძველი, მართლაც ძლისპირებს მეტრულ მხარეშია საძიებელი, რაც სავანებო ძიების ობიექტია. ამ ორი ფაქტის მიხედვით სხვა დასკვნის გამოტანა გვიჭირს.

ამჯერად ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა, რომ ძლისპირი „ვნებათა ნისლისაგან“ მომდინარეობს ბერძნულიდან. ეს დასკვნა ეყრდნობა სლავური ირმოლოგიონის მასალას, სადაც დადასტურებულია ანალოგიური შინაარსის ძლისპირი. ბერძნული დედანი ამ საგალობლისა შემორჩენილი ან დღეისთვის მიგნებული არ არის. ამ ფაქტს გარკვეული მნიშვნელობა აქვს როგორც ქართული ძლისპირების ისტორიის, ისე ბერძნული ირმოლოგიონის ტექსტის კვლევისათვის.

²⁰ ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 073—074.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა ე. მეტრეველმა)

ლალი კობიაშვილი

„არჩილიანის“ ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურება

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების უწყვეტი ჯაჭვის ერთი რგოლი უძველესად არის XVII საუკუნის მეფე-პოეტის — არჩილის (1647—1713) მხატვრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა. დამახურობულ ყურადღებას ითხოვს მისი თხზულებების ენობრივი მხარე, რამდენადაც არჩილი უშუალო წინამორბედა სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის ხაზითაც. სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილისა, რომელთა შემოქმედებაშიც მწვერვალს მიაღწია კლასიკური ქართული სალიტერატურო ენის განვითარებამ, თუნდაც როგორც საშუალო ქართულისამ.

ჩვენი მიზანია არჩილის თხზულებების ენის ფონეტიკურ-გრამატიკული, სტილისტიკური და ლექსიკური დახასიათება. ამჯერად წარმოვადგენთ ამ ენის მხოლოდ მცირე ფონეტიკურ-მორფოლოგიურ მიმოხილვას ძირითადი კატეგორიების მიხედვით. ამ მიმოხილვის დროს ვეყრდნობით „არჩილიანის“ ორტომეულს (გამოცემულს ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1936—1937 წწ.), აგრეთვე საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერებს. შრომაში საილუსტრაციო ფორმები დამოწმებულია ხსენებული ორტომეულიდან, საქირო შემთხვევებში მივუთითებთ ვარიანტულ წაკითხვებზეც ხელნაწერებიდან.

„არჩილიანის“ ო რ თ ო გ რ ა ფ ი ა. არჩილის ნაწერებში, ბუნებრივია, აისახა საშუალო ქართულისათვის დამახასიათებელი ორთოგრაფიული მერყეობა. რაც, როგორც ცნობილია, გაპირობებული იყო ძველი სამწერლობო ნორმების გაგლეჩითა და დიალექტური სხვაობებით. კერძოდ, ინტერესს იწვევს შ, ა, ჯ, ჯ და ჰ გრაფემების გამოყენების შემთხვევები არჩილის თხზულებების შემცველ მეტ-ნაკლებად დასაყრდენ ხელნაწერებში (S424, S2663). ამ გრაფემათაგან შ, რომელიც ძველ ქართულში უმეტესად ემ დიფთონგს გადმოსცემდა (ზოგი მოსაზრებით, შ-ს რაიმე სპეციალური ფუნქცია არ ჰქონია და ის შემოღებული იყო ბერძნული H-ის შესატყვისად!), სრულიად არ იხმარება არჩილის თხზულებათა ადრეულ ხელნაწერებში. შ ფართოდ გამოიყენება მოგვიანო პერიოდის ხელნაწერებში (XVIII ს. 20-იანი წლების შემდგომ).

ასევე არ იხმარება ადრინდელ ხელნაწერებში არც ჯ, რომელიც ძველ ქართულში უი დიფთონგს გადმოსცემდა. ჯ-ს, როგორც ცნობილია, „ზოგჯერ უმარცვლო უ-ს მნიშვნელობა ჰქონდა და ზოგჯერ (უფრო ხშირად) უ-სა და ი-ს შუა მდებარე ხმოვნისა“¹. ფაქტად არის მიჩნეული, რომ ჯ და უ ბრჭველ გრაფემებით „რეალურად განსხვავებული ბგერები გადმოიცემოდა“². ჯ დასტურდება

¹ გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 36.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1, თბ., 1953, გვ. 18.

³ ა. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერადინულში: „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 2—3, გვ. 85.

მხოლოდ H2116 და სხვა გვიანდელ ხელნაწერებში, ძველ ხელნაწერებში სათანადო შემთხვევებში გამოყენებულია უ ი || ვ ი ჯგუფი. რაც შეეხება უმარცვლო უ-ს, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო საშუალო ქართულში და ძველი ტრადიციით უ-თი გადმოიცემოდა, იგი S424 და S2663 ხელნაწერებში უმეტესად უ გრაფემითაა გამოხატული (ზოგჯერ ვ-თიც), გვიანდელ ხელნაწერებში კი (ანტონ I-ის ორთოგრაფიით) — უ-თი. აკადემიურ გამოცემაში, ბუნებრივია, უმარცვლო უ ყველგან ვ გრაფემითაა გადმოცემული.

ა თითქმის სრულიად არ იხმარება „არჩილიანის“ ძირითად ხელნაწერებში. მის ნაცვლად ი არის გამოყენებული. ა, ისიც არასისტემურად, იხმარება H2116 და სხვა გვიანდელ ხელნაწერებში.

ხმარების სიხშირით გამოირჩევა კარი, რომელიც დასტურდება „არჩილიანის“ ყველა ხელნაწერში. მათგან ძირითად, ძველ ხელნაწერებში ის გამოიყენება უმთავრესად ძველი ქართულის ნორმის შესაბამისად. მაგ.: კ მ ა (S2663, 63v), ქ ე ლ ი (S424, 44; S2663, 31v), ქ ე რ კ ა დ (S424, 42), კ ე რ კ ი თ (S2663, 81), კ ა მ ს (S424, 4), წ ა ჯ დ ე ნ ა (S424, 23), მ ო მ ქ რ ე დ (S424, 53 || S2663, 39), ს ი კ რ დ ლ ის (S424, 115 || S2663, 189), კ ის ი კ ს ა (S424, 118), ღ ა რ ნ ე ჯ შ ი ვ ა (S424, 59), ღ ა ნ უ ჯ შ ი დ ა (S2663, 44) და სხვ. მრ.

მართალია, უკვე IX საუკუნიდან დაწყებული აღვევს ძველ ქართულ ფარინგალურ ხშულ კ-სა და უკანაენისმიერ ხ-ს ხმარებას შორის ზოგორც წარმოთქმაში, ისე დაწერილობაში და XI—XII საუკუნეების წერალობით ძეგლებში არაიშვიათია კ და ხ გრაფემათა მონაცვლეობა, მაგრამ ისიც შენიშნულია, რომ „ზოგიერთ გვიანდელ ძეგლში იგი შეიძლება სწორად იხმარებოდეს“⁴.

ნაბეჭდ სრულ კრებულში კარი მხოლოდ ანბანთქებაშია შენარჩუნებული, სხვა შემთხვევაში კარი გათანაბრებულია ხანთან ასევე, ზ-ც მხოლოდ ანბანთქებაშია წარმოდგენილი. ცნობილია, რომ მისი მოხმარების სფერო ვიწრო იყო ძველ ქართულშივე და მხოლოდ შორისდებულთ განისაზღვრებოდა

ფონეტიკა. ასიმილაცია. ხ მოვანთა ასიმილაცია. ცნობილია, რომ „ძველი ქართული“ ენა ხმოვანთა შორის ასიმილაციის ცოტა ნიმუშს იძლევა“⁵. ამავე დროს „ხმოვანთა ასიმილაცია იშვიათია თანხმოვანთა ასიმილაციასთან შედარებით“⁶. საშუალო ქართულის საერო მწერლობას ძეგლებშიც „ხმოვანთა დამსგავსების მაგალითები შედარებით მცირეა“⁶.

ხმოვანთა ასიმილაციის მაგალითები საძებნელია „არჩილიანშიც“. დავასახელებთ ერთს: უ გ უ ნ უ რ ი (I, 218, 701, 17), შდრ. უ გ ო ნ უ რ ი.

არჩილის ნაწერებში თითქმის არ გვხვდება ფუძის ხმოვნის მიერ ზმნისწინის ხმოვნის დამსგავსების შემთხვევები, რაც ასე დამახასიათებელია საზოგადოდ ქართულ-კახური დიალექტებისათვის. იხმარება მო- ზმნისწინის ხმოვანშეცვლილი ფორმა მა-, მაგრამ ხშირად არ ჩანს მისი შეცვლის უშუალო

⁴ ზ. სარჯველაძე, ყ და ლ გრაფემათა და (ქ) და (ხ) ფონემათა ურთიერთმიმართულებისათვის: „ორიონი“, 1967, გვ. 262, 267.

⁵ ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: ტფ. უნ. მოამბე, № 1, 1919—1920, გვ. 8; მ. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960, გვ. 53.

⁶ ა. მარტიბოროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი: იყ. IV, 1954, გვ. 94.

⁷ I ან II აღნიშნავს „არჩილიანის“ ტომს, შემდგომში რიცხვები — გვერდს, სტროფსა და სტრიქონს.



მიზეზი, ისე როგორც შემჩნეულია ეს ქართლურშიც⁸ (ამის შესახებ იხ. აქვე: ხმოვანთა დისიმილაცია).

თანხმოვანთა დისიმილაცია. გვხვდება უმათერესად რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები (იშვიათად — პროგრესულიც), კონტაქტურიც და დისტანციურიც. მაგ.: ბთ—ფთ: გაგასწრეთ (II, 53, 458,2)... ბს—ფს: ნეფსით (I, 29, 82,4)... გც—ქც: წაქცდა (S2663,14)... თგ—დგ: ერდგული⁹ (S2663,118)... ტბ—დბ: ლოდბარები (II, 280, 26,1)... დს—თს: გვერთს (I, 19, 11)... დგ—თგ: მოუთქს (II, 67, 581,4)... სდ—ზდ: მოზღლით (I, 47, 236,4)... სგ—ზგ: მიზგან (S2663,10). მზგავსი (I, 23, 38,4)... ძს—ცს: აცსთ (S1511,73v) || აძსთ (I, 282, 49,4)... გვხვდება საფრკენ-რეგრესულად ასიმილირებული ვარიანტი საბარხე¹⁰ (I, 77, 74, 2). ერთგან ასიმილატორ წ-ს გავლენით მომდევნო დ დაყრუებულია და მიღებულია ბუნებრივი წყკომბლექსი: აწყა (II, 28, 231,4).

დისტანციური ასიმილაციის შემთხვევები: შებრკოლება¹¹ (I, 225, 1, 2) — შებრკოლება; წრწოლით¹² (S2663, 27) || —ძრწოლით (II, 29, 243, 1), ამცრცველი (S2663, 106v) || —ამცრცველი (II, 103, 882, 3)...

დაცულია ყრუ-ფონივიერი თ ძველ ფუძეში ცთ: მაცთური (I, 23, 32, 4), უცთური (I, 228, 13, 4)... ამავე ფუძეში დ გვაქვს S1729, Q173 და ზოგჯერ S424 ხელნაწერშიც.

ცნობილია, რომ „სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მკვდრი ჩქამიერი თანხმოვანი ყრუვდება“¹³. დაყრუებული ბ გვაძლევს ფ-ს, გ—ქ, მაგ.: დამამეფ (I, 171, 295, 3), იამეფ (I, 171, 295, 2)... ვიდექ (II, 7, 18)... არის ხელუხლებელი ფორმაც: დავდეფით (II, 55, 475, 3). ცნობილი მოსაზრებით, გ—ქ პროცესი განსაკუთრებით აუსლაუტში „მთელი საშუალო ქართულის მოვლენა და არა ერთი რომელიმე კუთხისა ან საუკუნისა“¹⁴.

დისიმილაცია. ხმოვანთა დისიმილაცია. მეტად მცირეა ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევები. კონტაქტურ რეგრესულ დისიმილაციად მიგვაჩნია, მაგ.: ეა—ია: უთხეა (S2663, 111) || —უთხია (II, 108, 928, 4): „...რას გიკვირს, თხისგან უთხია“. თა—უა: მახსუარი (II, 75, 652, 3) — მახსოვარი; უექუა (I, 69, 36, 1) — უეჰუა (დისიმილაცია ღიაობის მიხედვით).

შესაძლოდ მიგვაჩნია მო-პრევერბის ო ხმოვნის ა-დ შეცვლის ასხნა დისიმილაციით, რაკი ეს შეცვლა მხოლოდ მ-ს (O₁ პირის ნიშნის) წინა პოზიციაში¹⁵ ხდება. მაგ.: მამგვარა (II, 36, 298, 1) — მომგვარა; მამეწყინა (II, 121, 1056, 1) — მომეწყინა; მამიცადე (II, 48, 408, 1) — მომიცადე...

თანხმოვანთა დისიმილაცია. ვხვდებით რ-ს დისიმილაციას: ბევრჯელ (II, 5, 38, 1) — ბევრჯერ, ოროლი (I, 148, 105, 1), — ორორი..., ისე

⁸ გ. თოფურია, ქართლური: „არილი“, 1925, გვ. 131; ა. მარტიროსოვი, გრ. იმ-ნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1960, გვ. 35.

⁹ ა. მარტიროსოვი, დიალექტიზმები მე-15—18 სს. კახურ ისტორიულ საბუთებში: იკე, VI, 1954, გვ. 248; ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964, გვ. 270.

¹⁰ მ. ძიძიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

¹¹ სტ. ჩხენკელი, ფონეტიკური მოვლენები ძველ ქართულში შატბერდულ ხელნაწერთა მიხედვით: თბ. უცხ. ენათა პედ. ინსტ. შრ., I, თბ., 1958, გვ. 441.

¹² ა. მარტიროსოვი, სიერო მწერლობის..., გვ. 96.

¹³ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 243.

¹⁴ ივ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 340.

¹⁵ ქ. ძაწენიძე, ზემოიშვრული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 17.

როგორც იხმარება დღესაც კილოების უმეტესობაში. აქაც გვხვდება ცნობილი მაგალითები: ს უ რ ნ ე ლ ე ბ ი ს ა (II,46,388,1), რ ბ ი ლ ი ს ა (I, 281,37,3) — ლ ბ ი ლ ი ს ა (II,83,720,3), მ წ ლ თ ო რ ვ ა ლ ი ს (II,94,807,4) — მ წ ლ თ ო ლ ვ ა ლ ი ს (S2663,96v) — მ წ ლ თ ო ლ ვ ა რ ი ს. გვაქვს პ-ს რეგრესულ-დისიმილაციური გამეღვრება სიტყვებში: ე ბ ი ს კ ო პ ო ზ ი (II,88,759,პ) — ე ბ ი ს კ ო პ ო ს ი, ს ა ბ ა ტ ი ო თ ა (II,42,363,2) — ს ა ბ ა ტ ი ო თ ა, ბ ა ტ რ ო ნ ი ს (S424,187; S2116,106) — ბ ა ტ რ ო ნ ი ს... მსგავსი მოვლენა შენიშნულია ხევსურულში, მოხეტურში, საშუალო ქართულის საერთო მწერლობის ძეგლებსა და მე-16—18 საუკუნის კახურ ისტორიულ საბუთებში, აგრეთვე მე-19 საუკუნის დამდეგამდის სასაუბრო ქართულ მეტყველებაში¹⁶.

წყვილბაგისმიერი ბ-ს წინ ამავე რიგის მ ჩვეულებრივ ნ-დ არის ქცეული. მაგ.: ბ უ ნ ბ ე რ ა ზ თ (II,94,807,4) — ბ უ მ ბ ე რ ა ზ თ (შდრ. არაბ. mubāriz); ვ ა ნ ბ ო ბ (I,61,348,4) — ვ ა მ ბ ო ბ (II,99,851,4)...

ბგერის დაკარგვა. შეიძლება დაიკარგოს როგორც ერთი, ისე ერთზე მეტი ბგერა სიტყვის დასაწყისში, შუასა და ბოლოშიც. დაკარგვის სიხშირით გამოირჩევა ვ ბგერა. ვ იკარგება: ა) თანხმოვნებს შორის, მაგ.: წ ო ლ ო (II,21,172,4) — წ ვ ლ ო (წვრილო), მ ო ყ რ ო ბ ა ს (I,69,38,2) — მოყვრობას; დ ა ხ დ ო მ ა (II,54,468,1) — დახდლომა; ლ ა ხ რ უ ლ ა დ (S2663,85v) — ლახვრულად (II, 83,717,1); ნ ა ტ რ ა (II,32, სათ.) — ნატვრა... ბ) ხმოვნებს შორის: ა ვ ო — ა ო: ს ა ო დ ა (I,67,25,4) — საავოდა; ქ შ ი ნ ა ო (I,278,15,4) — ქშინავო... ო ვ ი — ო თ: მ გ ლ ო ი ა რ ო ბ ა (S2663,44v) — მგლოვიარობა (II,54 სათ.)... ო ვ ე — ო ე: ი თ ხ ო ე ს (S2663,103v) — ითხოვეს... გ) აუსლატში: ე ქ (S2663,41) — ექვ (ექვობ შენ); კ ვ ლ ა (S2663,62) — კვლავ; კ ი დ ე (I,49,259,3) — კიდევე; მ ი წ ყ ი (I,65,4) — მიწყყი...

ხშირად იკარგება ნარნარა რ სიტყვის შუაში უმეტესად შემდეგ ფუძეებში (კომპლექსებიდან: ბ რ ძ, ზ რ დ, გ რ ძ, ფ რ თ, ...), ისე როგორც საზოგადოდ საშუალო ქართულში. მაგ.: გ ა ზ დ ა (II,23,187,1), ბ ძ ა ნ ა (S2663,35v და სხვ. მრ.), გ ძ ლ ა დ (S2663,32), გ ძ ნ ე უ ლ ი ს ა (S2663,57v), ფ თ ა (I,138,342) — ფრთა¹⁷ (ძვ. ქართ. ფრთე); ფ თ ხ ი ლ ი (I,259,27)...

იკარგება მეტ-ნაკლებად სხვა თანხმოვნებიც. მაგ.: ზ: დ ა რ ბ ა ს (II,29, 238,3) — დარბას... ლ: მ ა რ თ მ ა დ ი დ ე ბ ე ლ თ (I,104,69,3) — მართმადიდებელთ... მ: თ ო რ ე (I,19,2,4) — თორემ... ნ: ჩ ო გ უ რ ი (I,12,86,4) — ჩოგური... ხ (უმეტესად S₃ პირის ნიშნად): ა ქ ე (I,239,732), მ ა ძ ე (II,45,379,1)... სიტყვის შიგნით: ქ ე ვ შ ა გ ე ბ ე ლ ნ ი (I,172,301,4) — ქვეშსაგებელნი... ხ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ელემენტი ჩვეულებრივ დაკარგულია შ ვ ი ლ -სა და ძ ე -ზე დაბოლოებულ გვარებში. მაგ.: ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი (II,72,625,1), ო რ ბ ე ლ ი შ ვ ი ლ ი (I,273,2)... ა ბ ა შ ი ძ ე (II,56,484,3)... ზ: შ ა ნ ა ე ა ზ ო ბ ა (II,125,1088,2) — შანავაზობა...

ხდება ბოლო მარცვლის კვეცაც, მაგ.: მ ო (II,38,320,2) — მოდი(თ); წ ო (II,48,408,3) — წაღი(თ); ქ ა (I,217,691,3) — ქალო; კ ა ი (II,86,741,3) — კარ-

16 ა. შ ა ნ ი ძ ე, ხევსურული მასალების ლექსიკონი: წელიწადული, I—II, 1923—24, გვ. 276; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, მთიულურის თავისებურებანი: ენიმქის მოამბე, II, გვ. 48; ა. მ ა რ - ტ ი რ ო ს ო ვ ი, საერთო მწერლობის..., გვ. 100; მ ი ს ი ე ვ ე, დიალექტაზმები..., გვ. 249; ი. ქ ა ე - თ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 327.

17 ბ. ფ ო გ ტ ი, ქართული ენის ფონემატურა სტრუქტურა, თბ., 1961, გვ. 61.



გი... ასეთი მოკლე ფორმების კვალიფიკაციის დროს მხედველობაშია მისაღებ-
ბი ლექსის საჭიროებაც (მარცვალთა რაოდენობა).

ხმოვანთა რედუქცია. რედუცირებულ ფორმათაგან ყურადღე-
ბას იქცევს შემთხვევები: ა: ვეშისა (II,36,299,2), მხურკლის (I,230,28,6),
ქმისას (II,27,217,2), სახმრად (I,59,333,1)... ე: რუსთელისა (ხში-
რია S424 ხელნაწერში), მფრინვლები (II,38,315,4)... ო (→): ქორთ-
ნიკენად (II,130,1132,4)...

გვხვდება შეუკუმშავი ფორმები: ა: ბალობა (II,41,344,1), დაღა-
ლულმა (II,122,1064,4), ქმარად (I,180,369,4)... ო: მინდორად (II,
72,623,1)...

ხშირად სიტყვის შეუკუმშვა-არშეუკუმშვა გაპირობებულია ლექსის საჭი-
როებით, მაგრამ მხოლოდ ამ მიზეზით ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, ვერ
აიხსნება.

ბგერის ჩართვა. სიტყვებს ჩართვის შუაში ან დაერთვის თავში უმეტე-
სად თანხმოვნები: ვ, მ, ნ, რ, ცალკეულ შემთხვევებში — ქ, თ, კ. მაგ.: ვ: დვი-
რე (I,108,100,1) ← დირე, უბოძვარი (II,44,378,4) ← უბოძარი... მ:
შკვარი (I,30,8,2) ← კვარი, მცბიერსა (I,99,24,2) ← ცბიერსა... ნ:
სანთხეველისა (II,86,13,4) ← სათხეველისა... რ: მღრდელთ
(I,43,201,3) ← მღდელთ (მღედელთ), გაბრჭონ (II,114,984,1) ← გაბ-
ჭონ; სიყმაწვილით (II,26, სათ.)... ქ: განცქვიფრდეს (I,130,28,2) ← გან-
ციფრდეს (მღრ. ქეიშნა — ვიშნა: ვ. თოფური, ფონეტიკური დაკვირვე-
ბანი ქართულურ ენებში V, ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 234)...

სუბსტიტუცია. მონაცვლეობენ თანხმოვნები: ვ/მ: მასკვლავი
(II,11,82,2), ფარშამანგი (II,37,309,4)... ვ/ნ: ახსონს (II,4,31,1)...
ნ/გ: ქიმკა (I,213,651,4)... მ/ბ: მართლბადიდებლად (I,231,31,1)...
დ/თ: რამთენი (I,145,87,2...); ტ/დ: ლახტი (II,64,55,3) // ლახდი
(S2663,65v); ახლდის (S1729,128) // ახლტის (I,5,21,2)... ს/რ: სარჯე-
ლი (II,7,10), სძე (I,193,480,4) // რძე (I,108,100,2); სძლობა (I,128,9,4)...
ზ/ს: ქისიცი (II,31,255,1)... ზ/ძ: ზახილი (II,80,687,2) // ძახილი (S2663);
ზროხა (II,16,127,4) // ძროხა (S2663,4); საგზალი (I,11,73,3) // საგ-
ძალი (II,77,664,2)... როგორც ცნობილია, ამ პარალელურ ფორმათაგან პირ-
ველადია ზ-ს შემცველი ფორმები, რომლებიც ძველი ქართულიდან მომდინა-
რებენ¹⁸.

ყურადღებას იქცევს წ/ზ მონაცვლეობა, რაც დამახასიათებელია საზოგა-
დოდ „საშუალი ქართულის“ ხალხური მეტყველებისათვის¹⁹, მაგ.: აიზიის
(II,43,361,1), აიწიის; მოიზევეს (I,74,20,1), მოზეულა (II,45,386,2) //
მოწეულა (S2663,45)... ე/ჯ: პატიეი (II,124,1078,1) // პატიეი (S2663,
126v)...

მონაცვლეობენ ხმოვნებიც (გაცილებით იშვიათად), მაგ.: მ/ა: მო-
პეიტრობა (S2116,137) // მოპაიტრობა (I,6,27,4), ლავოდახი
(II,87,749,1), შდრ. ლავოდეხი; ენძელამდის (S2663,10v) // ენძალა-
მდის (II,13,96,4); ღვანთს (I,180,366,4) ← ღვენთს; ყვალანი (II, 116,
1007,3) ← ყველანი... ე/ი: მეჩიტი (II,107,918,4), შდრ. ახ. ქართ. მეჩეთი

¹⁸ Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, გვ.
016; ა. მარტიროსოვი, საერო მწერლობის..., გვ. 109.

¹⁹ ი. ეკვათარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

(არაბ. masǧid)...-იერ/იარ-: ნ ე ბ ი ა რ ე ბ ა (I,57,320,2)←ნებიერება; შ ე ე -
ნ ი ა რ ე ბ ა (I,57,320,1)←შენიერება...

ჩანს, რომ, მართლაც, „რიგ სიტყვათა ფუძეში ხმოვნების ცვლილებებს აზირობებს ან დიალექტური მონაცვლეობა, ან სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ენიდან შემოსული ფორმები“²⁰.

მეტათეზისი. როგორც საზოგადოდ, აქაც გადაისმიან უმეტესად სონორი თანხმოვნები — რ, ლ, მ, ნ და ვ. გვაქვს როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური მეტათეზისის შემთხვევები, მაგ.: რ~ლ: ფრულით (S2663, 32v)||—ფლურით (II,34,286,1), მადრიელი (I,43,196,3); ცარიელი (I,38,154, 1)←ცალიერი (ისე როგორც ძველ ქართულში?)... რ~მ: ს ი ზ რ მ ა დ (II, 101,871,4)... რ~ჭ: ვაფქვრევთ (S1729,148)←ვაფრქვევთ... ლ~მ: ხ ლ მ ი თ (II,87,750,3), შღრ. ხ მ ლ ი თ. ლ~ვ: გ ა ნ ს ლ ვ ი ს ა (I,94,98,4)←განსვლისა (აქაც დაცულია ძველი ქართულის ვითარება, რომლის ამოსავალი ფორმაა ს ვ ლ ა)... ვ~გ: დ ა ვ გ ი ა ნ დ ა (I,160,201,4)←დ ა ვ ვ ი ა ნ დ ა... გ ა დ ა ს მ უ -
ლ ი ა ხ -ც სიტყვაში თ უ თ ხ მ ე ტ ი (II,102,880,2) „თოთხმეტის“ ანალოგიით...

ზგერათა შერწყმა. წესადაა ყოველგვარი წარმოშობის ვა (resp. ჭა) კომპლექსის ო-დ ქცევა, ისე როგორც ახასიათებდა ეს საზოგადოდ „საშუალ ქართულს“ და აღმოსავლურ დიალექტებს²². უ+ა—ო მოვლენა ხდება როგორც სახელეში, ისე ზმნებსა და ნაზმნარ ფორმებში, როგორც ფუძეში, ისე ფუძის ბოლოს, მაგ.: გ ო რ ს ა (II,56,478,2)←გუარსა; ა ს ო (II,62,535,6)←ასუა (მან); ა კ ო მ ლ დ ე ს (II,59,50,6,2)←აკუმლდეს; მ ა რ ხ ო (S2663,129v)←მარხვა; ცეკო (S1547,209)||—ცეკვა (I,4,10,2)...

ჩვენ მხოლოდ აღვწერეთ „არჩილიანის“ ტექსტში გამოვლენილი ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები. ამჟამად არ ვეხებით აღნიშნულ ცვლილებათა სტრუქტურულ მიზეზებს, ოღონდ ის კი უნდა ითქვას, რომ ფონეტიკური ცვლილებებით „არჩილიანი“ დაცილებულია ძველ ქართულს და არსებითად გვიჩვენებს ქართული ენის დიალექტებში დღესაც დადასტურებულ მოვლენებს.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა . თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ს ა ზ ო გ ა დ ო ს ა ხ ე ლ -
თ ა ბ რ უ ნ ე ბ ა . როგორც ცნობილია, ყველაზე სრული სახე ქართულ სახელთა ბრუნვისა მოცემულია თანხმოვანფუძიან სახელებში, სადაც ბრუნვის ნიშანი სრულად არის წარმოდგენილი.

თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები (ფუძეუკუმშეულები და ფუძე-
კუმშეულები) სახელობით ბრუნვაში თავისებურებას არ ავლენენ: მ ო თ ხ რ ო -
ბ ი თ შ ი ნ ი შ ნ ა დ ა ქ ე თ რ ო გ ო რ ც - მ ა ნ (ძველი ნიშანი, ისე -მა (ახალი) —
თითქმის თანაბარი შეფარდებით, მაგ.: თ რ თ ვ ი ლ მ ა ნ (I,179,362,3), უ ფ ა ლ -
მ ა ნ (I,30,89,1), შ უ რ მ ა ნ (I,85,18,1)... ა ლ ი ო ნ მ ა (II,43,361,1), რ უ ლ -
მ ა (II,32,268,3)...

²⁰ იქვე, გვ. 267.

²¹ მ. ძიძიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129; ი. იმნაიშვილი, მეტათეზისის ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ძველ ქართულში: თსუ შრ., ტ. 114, 1965, გვ. 140 და სხვ.

²² ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში: თსხ., I, 1956, გვ. 12; ა. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები..., გვ. 86; მისივე, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 44; ი. ქავთარაძე, მოხუცი კილო აღ. ყაზბეგის ენაში: თსუ შრ., XXXVb, 1949, გვ. 86; ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, კახური, გვ. 51; ა. ჰინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 17 და სხვ.

მიცემითსა და ნათესაობით ბრუნებში თანაბარი სიხშირით გვხვდება ბრუნვის ნიშნებად როგორც ემფატიკურხმოვნანი, ისე უამხმოვნო ნიშნები, განურჩევლად პოზიციისა. მაგ.: მიც. ბრ.: ანჯარიშსა (II,33, 274,3), განძსა (I,53,284,4), დიაცსა (I,188,441,2)... აუგს (I,163,223,4), თვალს (I,33,269,3), კაქს (II,56,481,4)... ნათ. ბრ.: ბუქისა (I,102,34,4), თემისა (I,147,98,2), ოფლისა (I,61,386,4)... ამპარტაენის (I,11,79,4), ტინის (I,208,614,1), ძირცს (I,29,80,1)...

მოქმედებით ბრუნვაში მარტივი -ით ნიშანი დაერთვის როგორც ე. წ. „გამოსვლითს“ („დაწყებითს“) ფორმებს, ისე „საქურვლის“ („ინსტრუმენტალისს“) გაცემის შემცველ სახელებს. ამდენად აქ აღარ მოქმედებს ძველა ქართულის წესი: „ემფატიკურხმოვნანი მოქმედებითი საქურველობითის მნიშვნელობით იხმარებოდა, ემფატიკური ა-ს გარეშე კი — დაწყებითის ფუნქციით“²³, რაც ადრევე იყო ცნობილი²⁴. ასე რომ, თუ ზოგჯერ -ითა ბრ. ნიშანი იხმარება ინსტრუმენტალისის ფუნქციით, მაგ.: ეტლითა (I,173,311, 1)..., სხვა დროს ამავე დანიშნულებით გამოყენებულია მარტივი -ით ნიშანი. მაგ.: აბელით (II,56,481,4), კულით და ყანწით (I,8,50,1) და სხვ. მრ. -ით ნიშნანი მოქმედებითი გადმოსცემს შემდგომში -გან თანდებულიანი მოქმედებითი გადმოცემულ შინაარსსაც — გამოსვლითობას, დაწყებითობას (ადგილის გაცემით), ისე როგორც ძველ ქართულში და დღევანდელ ზოგ კილოში, მაგ., თუშურში²⁵. მოქმედებითი ბრუნვის ნიშანთა აღნიშნული ფუნქციით ხმარების თვალსაზრისით ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ფუძეკუმშვად და ფუძეკვეცად სახელებშიც, ამიტომ მათზე ქვემოთ აღარ შევჩერდებით.

ხმოვანფუძიან სახელებს სახელობითში თითქმის არასოდეს არა აქვთ ნიშნად -ჲ, ისე როგორც ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“²⁶, არც სრული -ი, როგორც ეს დამახასიათებელია ქართულში, კახური, ზემოიმერული და სხვ. კალოებისათვის²⁷. მაგ.: დედა (II,34,280,1), ენა (II,16,126,1)... ერთგან მარცვლის საჭიროებით უნდა იყოს დართული ა ფუძიან სახელზე სახელობითის -ი და, როგორც გამოჩანის, არ იძლევა გრამატიკული განზოგადების საშუალებას: პეპელია (II,121,1049,2). არის შემთხვევა, როცა ჩვეულებრივ ა ფუძიანი დილა წარმოდგენილია დილი-ს სახით (II,61,5323), ისე როგორც კამარა — კამარი-ს ფორმით (I,11,73,4), ორივეგან მკაცრად განსაზღვრული რითმის საჭიროებით (პირველი სიტყვის მოკეშული ფორმით ხმარება ახსნილია საენათმეცნიერო ლიტერატურაში²⁸).

²³ ქ. ძოწენიძე, ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში: თსუ შრ., ტ. 30—31b, 1947; იგივე: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 223.

²⁴ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 198; ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა: ცხობეზა იოვანესი და ეფთჳმესი, თბ., 1946, გვ. 72; მისივე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: წელიწადული, გვ. 5.

²⁵ ა. შანიძე, ქართ. ენ. გრამ. საფუძვლები, 1953, § 93; ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 221; თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960, გვ. 30.

²⁶ ა. ნიჭოზაძე, ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსანში“: ივე, ტ. 15, 1966, გვ. 6.

²⁷ ვ. თოფური, ქართულში, გვ. 138; ოტ. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართულში: ივე, ტ. 4, 1953, გვ. 285; ა. მარტიოსოვი, გრ. იმნაიშვილი, კახური, გვ. 68; ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, 1973, გვ. 20 და სხვ.

²⁸ ქ. ლომთათიძე, დილა სიტყვის დილ სახეობისათვის „ვეფხისტყაოსანში“: ი.ი. ტ. 15, 1966, გვ. 36.

ზმოვანფუძიან სახელებს მოთხრობითში ბრუნვის ნიშნად -მ-ა-ც შოუღის და -მ-ც (მ-ა-ში ა უმეტესად პროსოდულ ხმოვნად აღიქმება), მიცემითში ძირითადად -ს(ა) გვაქეს, ნათესაობითში ||—-ის(ა)//-ის, მოქმედებითში -ით უფრო გამოიყენება, ვიდრე -ით(ა), მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიშნით ხშირად აღნიშნულია ინსტრუმენტალისი. -ითა ძირითადად სარიტმო სიტყვებშია, სადაც ა პროსოდული უნდა იყოს, მაგ.: ბ ლ ე ტ ი თ ა (I,173,311,2), ი ძ უ ლ ე ბ ი თ ა (II,10,71,1)... ვითარებითში ე ფუძიან სახელებს ნიშნად -ღ აქვთ (როგორც წესი), მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ე მოკვეცილია და ბრუნვის ნიშნად გამოყენებულია -ად „სხვა კუმშვადი სახელების ტრაფარეტის გავლენით“²⁹. მაგ.: მ ე ფ ა დ (II,32,265,4), მ ო წ მ ა დ (I,187,431,1), ყ ო რ ა დ (I,191,467,3)...

წოდებითში ნიშნად ერთვის -ო||-ვ(—ო). ვ მოუღის როგორც ორ- და მეტმარცვლიან, ისე ერთმარცვლიან სიტყვებსაც, მაგ.: ღ ვ თ ა ე ბ ა ვ (II,1,1,1), ფ ხ ა ვ (II,21,172,4)... ო ნიშანი ერთვის ორმარცვლიან ფუძეებსაც: ც ო ტ ა ო (I,179,361,4), ღ ე ლ ე ო (I,267,333), წ ყ ა რ ო ო (I,218,694,2)... ო ფუძიანი სახელების ნათესაობითში ბრუნვის ნიშნად გამოყენებულია -ხ. ბრუნვის ნიშნისეული -ა—-ი მოკვეცილია³⁰ უმეტესად წინ მდგომ ატრობუტულ მსაზღვრელებში. მაგ.: ს ა ბ რ ა ლ ო ს მიჯნურის (I,191,470,4), ო ქ რ ო ს თურინჯითა (I,180,371,2)...

მოქმედებითში ასეთ სახელებთან ბრუნვის ნიშნად გვაქეს მხოლოდ -თ-ც (არც -ა თ ა, -ა-თ, არც -თ ა, -თ ი), მაგ.: „კ უ ბ ო თ მისთა მონაქროლით ტყე და ველი გასურნელდის“ (I,174,321,4), „ვისი მივა კ უ ბ ო თ ლაღი...“ (I,175,325,4), „... ს ი ტ კ ბ ო თ ჰყო ქვა შენაძრავი“ (II,24,197,1)...

უ ფუძიან სახელთაგან გვხვდება ც რ უ ი, რომელშიც ერთგვარად ინერციით არის შემორჩენილი სახელობითის -ი, ხოლო ნათესაობითში ერთვის ბრ. ნიშნის როგორც ძველი, ისე ახალი სახე: -ის ა და -ს ი, მაგ.: ც რ უ ის ა (I,97,2,3), ც რ უ ს ი (I,74,13,1)...

საკუთარ სახელთა ბრუნება. ა დ ა მ ი ა ნ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი. „არჩილიან-ში“ მრავლად წარმოდგენილ ადამიანის სახელთა, ზედწოდებათა და სახელგვარული სინტაგმების ბრუნება ძირითადად ახალი ქართულისებურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში იგრძნობა ძველი სალიტერატურო ქართულის ტრადიციის ძალაც.

თანზმოვანფუძიანი სახელები სახელობითში გვხვდება ჩვეულებრივ უნიშნოდ (მაგ., ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ...), მაგრამ ზოგჯერ ბრუნვის ნიშნითაც (მაგ., ფ ე შ ა ნ გ ი...), მოთხრობითშიც ასეთი სახელები ნიშანს მეტწილად არ დაირთავენ (მაგ.: მიუგო რ ა მ ი ნ პ-სუხი“ — I,194,445,1), მაგრამ აქაც არის შემთხვევები, როდესაც ასეთ სახელს ბრუნვის ნიშანიც ერთვის — მ ა ნ ა ნ — მ ა (მაგ., „ო ქ რ ო პ ი რ მ ა ნ თქვა“ — I,107,93,1... მ ე ლ ი ქ მ ა... დახოცნა“ — II,110,955,1)... მიცემითში ნიშნად გვხვდება ტრადიციული -ს-ც (ავთანდილს) და -ს ა-ც (ნ ო დ ა რ ს ა), რამდენადაც ახალ ქართულში ამ მხრივ განსხვავება ადამიანთა და საზოგადო სახელებს შორის არ არსებობს. ნათესაობითში ჩვეუ-

²⁹ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 101—102; გ. ი ა ლ ა მ ი დ ი, კუმშვად-კვეცილი სახელების ბრუნებისათვის: ქვრნ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 4, 1972, გვ. 56.

³⁰ ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, I: სახ. ბრ. ისტ. ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 262.

ლებრივია -ი-ს, -ისა, გვხვდება -ისი-ც, მაგ.: ომანის (II,4,28,2)... იაკობისა (II,175,1)... სვიმანისი (II,51,437,4)... ბოლო შემთხვევაში საქმე გვაქვს მომდევნო მართულ მსაზღვრელთან („ნაქნარი სვიმანისი“, „უმჯობესის სავარისი“...). ამდენად ბუნებრივი ჩანს ე. წ. ემფატიკური **ი-ს** დარღვა, ისე როგორც ფუძეუკუშველ საზოგადო სახელებზე თანამედროვე ქართულში.

პირის საკუთარი სახელები გვხვდება მოქმედებითის ფორმითაც. მაგ.: იობით (I,34,122,4), ნაომით (I,266,31)... დაწყებითის (დროის გავებით) მნიშვნელობით (=იობის, ნაომის დროიდან).

წოდებითში სახელი ჩვეულებრივ ფუძის სახითაა წარმოდგენილი, გვხვდება -**ო** ნიშნითაც: ოთარო (I,258,35).

ე ბოლოკიდურიათი სახელები (უმთავრესად ბერძნული ვოკატივის ფორმით შემოსულნი³¹) ფუძის სახითაა მოცემული სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, მიცემითში ნიშნად აქვთ -**სი**-სა, ნათესაობითში — **-სი** (ბარათასი). ნათესაობითში გვხვდება თანდებულითაც... პავლესებრ, ქრისტესთვის...

როცა სახელი უძღვის წარმომავლობის, თანამდებობისა თუ ხელობის აღმნიშვნელ სიტყვას, როგორცუძიანიც უნდა იყოს ის, არ დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, იბრუნვის მხოლოდ ზედწოდება. მაგ.: გუზან შავში (II,795,4), თამარ მეფემ (II,18,144,3), ყარჩილა ხანსა (II,68,594,4)... როცა შებრუნებული წყობა, მაშინ უმეტესად სრული შეთანხმება გვაქვს ბრუნვაში. მაგ.: თრმანიძესა ხოსროსა (II,3,25,1), თავად ლაღანიძესა (I,36,141,4), ნავესძედ ისოდ (I,238,66,4)... მაგრამ გვაქვს დარღვევაც, მაგ., მოთხრობითში: „ფარსადანისძემ ნოდარ თქვა“ (II,4,29,1)... საერთოდ შემჩნეულია მე-17—18 საუკუნის ძეგლებში ძველი და ახალი ნორმების ერთმანეთში არევა ყოველგვარი საკუთარი სახელის ბრუნვის დროს³².

გეოგრაფიული სახელების ბრუნება. „არჩილიანში“, ბუნებრივია, დარღვეულია ძველი წესი ემფატიკური ნმოვნის დაურთველობის მიცემითში ლოკატივის მნიშვნელობით და პარალელურად გვაქვს როგორც **-ს**, ისე **-სა** ნიშნაირ ფორმები, მაგ.: გომბორს (II,41,345,3), გრემს (II,33,278,1)... ლისსა (II,105,907,1), ონსა (I,258,35)... დატულია ძველი ქართლის წესი, რომ „დაწყებითი ბრუნვა გეოგრაფიულ სახელებში ყოველთვის **-ით** სუფიქსითაა წარმოდგენილი“³³, ისე როგორც ზოგ დღევანდელ დიალექტშიც³⁴, მაგ.: „ურუმნი ქართლით განდევნა“ (II,51,436,2); „ქისიყით წამოიყვანდნენ“ (II,42,358,2)...

სახელთა მრავლობითი რიცხვი. მრავლად გვხვდება როგორც **ნ/თა-ნიანი**, ისე **-ებ-იანი** მრავლობითის ხმარების შემთხვევები. ცნობილი მოსაზრებით, „თეიმურაზ I-ის, დ. გურამიშვილის, თეიმურაზ II-ის ნაწერებში **ნიანი** და **ებ-იანი** ფორმების რაოდენობრივი შეფარდება „ეფეხისტყაო-

³¹ ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში: სახ. ბრ. ისტ. ქართველურ ენებში, I, გვ. 153.

³² შხ. შანიძე, ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნვის ისტორიისათვის ქართულში: კრ. — თბილისის უნივერსიტეტი გ. ახვლედიანს, თბ., 1969.

³³ სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: სახ. ბრ. ისტ. ქართველურ ენებში, I, გვ. 119.

³⁴ თ. უთრგაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

სწავლის შედეგებით შეცვლილია: გაზრდილია ებ-იანი წარმოების ხედვითაა წონა³⁵. „არჩილიანში“ ნახმარი მრავლობითის ფორმების ურთიერთშეფარდებაზე შეიძლება ითქვას, რომ ებ-იანი მრავლობითისა (ყველა ბრუნვაში) და საკუთრივ ნ-იანი მრავლობითის (სახ. ბრ.) ფორმები თითქმის თანაბარი შეფარდებით იხმარება, დაახლოებით — 30 : 30. თუ მთლიანად ავიღებთ ნ/თ-იანი მრავლობითის ფორმებს და შევეუბრისპირებთ ებ-იანებს საერთოდ, შეფარდება დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს: 80 : 30 ნ/თ-იანის უპირატესობით. ჩანს, რომ ე. წ. ირიბი ბრუნვები ძირითადად თა-ნიან მრავლობითს იყენებენ.

მრავლობითის ფორმების წარმოების კერძო შემთხვევებიდან მოვიყვანო მხოლოდ ორიოდე მაგალითს, ისიც ისეთებს, რომელთაგან ზოგს ფუძისეული ე ეკვეცება ან შეირწყმის პოზიციურად³⁶ მომღვენო ებ-თან და ვიღებთ: არ ე-ნი (I, 128, 8, 3), გ უ ბ ე ბ ი (I, 210, 630, 3), ვ ა კ ე ბ ი (I, 14, 102, 3)... ზოგს კი თა მაწარმოებლის ემფატი. -ა აქვს მოკვეცილი, მაგ.: ბ ო რ კ ი ლ თ, ფ ე რ ს თ (I, 195, 500, 2), ა ნ გ ე ლ ო ზ თ (II, 1, 6, 1)... აღვნიშნავთ აგრეთვე ე. წ. ორმაგი მრავლობითის გამოყენების შემთხვევებსაც. მაგ.: ქ ი მ ჰ ე ბ თ ა (I, 259, 32)... ასეთი ფორმები შენიშნულია საერო მწერლობის სხვა ძეგლებსა და თანამედროვე მთის კილოებშიც.

№86ა. პ ი რ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი. სუბიექტური მეორე პირის ნიშანი ჰ/ზ ჩვეულებრივ დატულია შესაფერ ფონეტიკურ გარემოში (თანხმოვნების წინ), მაგ.: პ ბ რ ძ ა ნ ე ბ (II, 11, 85, 1), ჰ მ დ უ რ ა ე (I, 19, 9, 1), ს წ ყ რ ე ბ ი (II, 11, 86, 4), ს კ მ ე ნ ა ე (II, 11, 83, 3)... იშვიათად S₂ ჰ/ზ იკარგება თანხმოვნების წინაც (ხ ა რ ო ბ, ბ ძ ა ნ ე ბ...), არჩილის პროზაულ თხზულება „აღექსანდრიანში“, რომელიც ძველი ქართლის ნორმებს იცავს (სტალიზების მიზნით), სუბიექტური მეორე პირის ნიშნად გვხვდება ხანიც, მაგ.: ხ ც ს ო ვ რ ე ბ დ ე თ, ხ ც ნ ო ბ დ ე თ (აღექს. S111, 94)...

აქვე აღვნიშნავთ, რომ ობიექტური მესამე პირის პრეფიქსი ჰ დატულია პირველი სუბიექტური პირის ნიშანთან, მაგ.: ვ ჰ კ ი თ ხ ო თ (II, 80, 4), გ ა რ დ ა ვ ჰ ხ ე (II, 34, 279, 1)... ჰ/ლ სუბიექტური პირველი პირის ნიშნის წინ გვხვდება ორპირიან გარდამავალ ზმნებშიც როგორც პირველ, ისე მეორე სერიოში, მაგ.: დ ა ე ვ ჰ კ ლ ა ე (II, 31, 256, 3), ვ ჰ კ ო ც დ ი თ (II, 74, 642, 3)... დ ა ე ვ ჰ ყ ა ვ ი თ (II, 65, 568, 1), დ ა ე ვ ჰ ყ ა რ ე თ (II, 65, 569, 1)... იმავე პირობებში გვხვდება მრჩობლი პრეფიქსი ჰს-ც, მაგ.: ვ ჰ ს თ რ გ უ ნ ვ ი დ ე (II, 5, 40, 2)...

ობიექტური მესამე პირის ნიშანი ჰ გვხვდება ერთპირიან ზმნებშიც სრულიად უფუნქციოდ, რაც ხალხური ფორმების გავლენას უნდა მიეწეროს, მაგ.: (სმა) გ ა ჰ ხ ლ ა (II, 32, 261, 1), „მ ო ჰ ხ ლ ა ჩემი შეჩვენება“ (I, 20, 10, 2), ვ ჰ ყ ო ფ ი ლ ვ ა რ (II, 53, 454, 2)...

ასეთი უფუნქციო ჰ-ები მრავლად გვხვდება სახელებშიც მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის „არჩილიანის“ ხელნაწერებში, მაგ.: ჰ ბ რ ძ ე ნ თ ა (L-73—1, 282, 46, 4), მ ჰ ს ხ ლ ო მ თ ა (L-73, 2—1, 281, 42, 3).

სუბიექტური მესამე პირის ნიშანი -ხ ხშირად იკარგება ზმნებში: არ ი (I, 56, 306, 4) — არის, ძ ე (I, 191, 467, 3) — ძეხს...

³⁵ ზ. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ნ-არჩიანი და ებ-იანი მრავლობითი „ეფფისტიკოსანსა“ და აღორძინების პერიოდის ქართულში: სახ. ბრ. ისტ. ქართველურ ენებში, I, გვ. 270.
³⁶ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება..., გვ. 95.



თანამედროვე ქართულთან შედარებით ფართოდ გამოიყენება ექტური მესამე პირის ნიშნად და იხმარება ასეთ ფორმებშიც: გამიცნა (II, 31,255,3), შეიპყრა (II,28,226,4), შეიგნა (II,60,600,4), დამეხშა (II, 123,1070,4)... შედარებით ნაკლებ გამოიყენება ო სუბიექტური მესამე პირის ნიშნად წყვეტილში, უმეტესად ისეთ ფუძეებთან, რომლებიც არ შეიცავენ ხმოვანს და პირველ სერიაში დაირთავენ -ე ბ, -ო ბ, თემის ნიშნებს, მაგ.: აავ-სო (II,111,964,1), გაამხნო (I,97,2,2), განაძო (I,238,65,5)...

სუბიექტური მესამე პირის სხვა ნიშნებიდან აღსანიშნავია მრავლობით რიცხვში -ეს-ის ხმარება უწყვეტელსა და წყვეტილში, ისე როგორც ძველ ქართულში³⁷ (გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებში). მაგ.: უწყვეტ: (იგინი) ამკობდეს (I,85,17,4), ისწრაფდეს (II,107,921,2), ლხინობდეს (II, 88,756,4), მიაამობდეს (II,7,10)... წყვეტილი: გაწირეს (II,104, 898,3)... გამეზარდნეს (II,45,382,3), იძლიენეს (II,92,793,1).

ამავე მწკრივებში იხმარება -ენ ნიშანიც (შდრ.: ახ. ქართ. -ენ), რომელიც ამ მწკრივებში დღეს მხოლოდ კილოებშია გვხვდება. მაგ.: უწყვეტ: ამკობდენ (I,9,55,3), უსმენდენ (II,8,759,3)... წყვეტილი: ამზადდენ (II,106,915,3), წავედენ (II,86,741,1).

არის თითო-ორთა შემთხვევა S₃ პირის ნიშნად მრ. რიცხვში -ენ სუფიქსის გამოყენებისა. მაგ.: უწყვეტ: იდგენენ (II,32,269,3), ლეწევდნენ (I,258,23), შერებოდნენ (II,28,230,4)... წყვეტილი: გაიყარნენ (I, 217,689,4), მოვიდნენ (II,98,845,1)... ცნობილია, რომ -ენ დაბოლოება ი/ე პრეფიქსებთან ვნებითს ჰქონდა, შემდეგ კი ანალოგიით გავრცელდა.

აწმყოს ფორმები. გვხვდება ისეთი მარტივთემიანი ზმნები ძველი ფორმით, რომელთაც შემდგომ დაირთეს უმეტესად -ავ, -ე ბ, -ო ბ თემის ნიშნები. შესაძლოა, მათი მოკვეცა ზოგჯერ ლექსთწყობის საჭიროებითაცაა გამოწვეული. მაგ.: ავ: სჩხრეკ (I,85,17,3), ბორგს (II,64,554,4)... ე ბ: იერთ (I,3,1,3), იკავ (I,8,51,2), მოგიწოდს (I,12,86,3)... ო ბ: ვეჰვ (II,4,32,4), ჰკვირ (II,29,238,4)... თემისნიშნადართულ ზმნებშიც გამოიყოფა ძველი და შედარებით ახალი წარმოების ფორმები. რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია. ცალკე ჯგუფს ქმნის თავისებურად წარმოებული (ერთგვარი ნამიძღობარი) ზმნები, მაგ.: ა) მწუნარობს (I,189,445,3), მოსაწონარობს (II,113,980,4), მწუნხარობს (II,11,83,2). ბ) ხმართლობს (II,6,47,3). აშლილობს (I,198,523,3), წყინულობ (II,24,199,1)... გამოკვლეულია, რომ ამ უკანასკნელი (ბ) ჯგუფის ზმნები თავისი წარმოშობითა და ფუძეთა წარმოებით ახალია, არა უადრეს XII საუკუნისა³⁸.

ყურადღებას იქცევს პარალელურად არსებობა (აითქმის თანაბრად) აწმყოს სტატიკურ ზმნათა მარტივთემიანი ფორმებისა და აღწერითი წარმოებისა, რაც, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, XII საუკუნიდან ჩნდება და განსაკუთრებით XVII—XVIII სს. ვრცელდება³⁹. მაგ.: ა) მარტივფუძიანები: (მე) უყვარ (I,49,249,3), გინდი (I,24,38,3).

³⁷ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 178.

³⁸ ი. ქავთარაძე, ერთი ტიპის ზმნათა ფუძისა და სახელზმნის წარმოების თავიებურება ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. მოამბე, I, 1961, გვ. 190—191.

³⁹ ი. ქავთარაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანული შეცვლის ისტორიიდან: ივე, XIV, 1964, გვ. 172; ლ. ბარაშიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში (საკანდ. დისერტ. ავტორეფერატი), თბ., 1966, გვ. 14.

ვ ზ ი (II,26,210,1), ს რ ბ ი (I,131,42,4)... ბ) აღწერითი წარმოებისა: მი ყ -
გ ა რ ხ ა რ (II,11,82,4), ვ დ გ ე ვ ა რ (I,38,155,2)... გ ვ ზ დ ე ბ ა უ რ ე უ ლ ო ც :
გ ჰ კ ე ი რ ვ ა რ (I,46,393,3), მ გ ო ნ ი ვ ა რ (I,13,93,1)...

უ წ ყ ვ ე ტ ლ ის მ წ კ რ ი ვ ის ფ ო რ მ ბ ი დ ა ნ ყ უ რ ა ლ დ ე ბ ა ს ი ქ ე ც ე ვ ს - ა ვ და - ა მ
თ ე მ ის ნ ი შ ნ ი ა ნ ი ზ მ ნ ე ბ ი. ის ი ნ ი ძ ი რ ი თ ა დ ა დ ო რ ყ ა ლ ო ბ ის ქ მ ნ ა ნ : ე რ თ ი ა ე ლ -
ვ ი დ - ა ტ ი ბ ი, მ ე ო რ ე — გ ა ბ ე დ - ე ვ - დ - ა. ა ნ ლ ო გ ი უ რ ი ა - მ ი დ და
- ე მ დ წ ა რ მ ო ბ ე ბ ა ც (უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს ა მ უ ქ ა ნ ა ს კ ე ნ ე ლ ი ა კ ე ბ უ ლ ე ბ ის ზ მ ნ ე ბ ი შ ე -
დ გ ე ნ ე ნ, გ ა ნ უ რ ზ ე კ ლ ა დ პ ი რ ის ა და რ ი ც ხ ე ს ა). მ ა გ : ვ ი ტ ვ ი რ თ ე ვ დ ი (II,
82,704,4), ნ ა ხ ე ვ დ ა (I,178,353,1)... მ კ ი თ ხ ე ვ დ ა (II,122,1061,4), გ ვ ხ ე -
დ ე ვ დ ა (II,32,262,3)... ვ ს ვ ე მ დ ი (I,44,371,4), ლ ა ის ვ ე მ დ ა (I,5,22,3)...

- ვ ი დ, - მ ი დ ტ ი ბ ის მ ა ვ ა ლ ი თ ე ბ ი შ ე დ ა რ გ ბ ი თ ც ო ტ ა ა და თ ი თ ქ მ ის ყ ე ვ ლ ა
ს უ ბ ე ე ტ უ რ მ ე ს ა მ ე პ ი რ ს შ ე ე ფ ა რ დ ე ბ ა. მ ა გ : ს წ ვ ი დ ა (I,174,321,3), შ ე ჰ -
ნ ე რ წ ყ ვ ი დ ა (II,123,1094,4)...

როგორც უნდა იყოს -ავ, -ამ თემის ნიშნების, ერთი მხრივ, -ე ვ, ე მ-ა დ,
ხოლო, მეორე მხრივ, -ვ, -მ-დ შეცვლის მიზეზი ძველ ქართულშივე (ფონე-
ტიკური, დიალექტური თუ ტრადიციული) პირველი სერიის მწკრივებში, კერ-
ძოდ უწყვეტელში, ფაქტია, რომ ეს ფორმები პარალელურად იხმარება არჩი-
ლის ნაწერებში და, ალბათ, იმდროინდელ სალიტერატურო ქართულშიც.

წყვეტილში გვხვდება თითქმის ყოველგვარი წარმოების ფორმები.
მაგ.: 1. უნიშნო: მი ვ ე ლ (II,119,1023,1)... 2. -ე (—ე ვ) ს უ ფ ი ლ ს ი ა ნ ი : შ ე ი ს -
წ ა ვ ლ ე (I,48,248,3), შ ე ე ვ ი დ ე (II,21,172,4)... 3. -ე ვ ნ ი შ ნ ი ა ნ ი : შ ე ვ ა მ -
კ ე ე (II,91,783,1), შ ე ვ ი ტ ყ ე ვ (II,54,464,1)... 4. ფ უ ძ ე დ რ ე კ ა დ ე ბ ა :
გ ა ვ ა ქ ი ვ ე თ (II,74,643,1), მ ო ვ ა რ ბ ი ვ ე (II,84,729,1), 5. ნ ა რ ე ვ ი ტ ი -
პ ის ა : შ ე ვ ი ძ ლ ე (II,82,709,3), შ ე ვ ი გ ნ ე თ (II,63,548,1)... 6. ი დ ა ნ ა რ -
თ ი ა ნ ი : მ ი ვ ე ლ ი თ (II,33,278,1), მ ი ვ ხ ე დ ი (I,180,370,1)...

ცნობილი -ენ ინფიქსი, ძველი ქართულის მსგავსად, თავს იჩენს მრავ-
ლობით რიცხვში: ვ ი ყ ვ ე ნ ი თ (II,42,353,4), ე ც ა დ ე ნ ი თ (II,79,683,1)...

ხოლო მეთბითი. დასტურდება როგორც პირველი, ისე მეორე ხოლ-
მეობითის სინთეზური ფორმები; მაწარმოებელი სუფიქსი, როგორც ყოველ-
თვის, ი-ა. მაგ.: I ხოლმ. ა ა მ ე ბ დ ის (II,60,523,4)... მოვიდიან (II,
115,993,2)... II ხოლმ. ა ვ ა შ ე ნ ი (II,13,102,4), უ თ ხ რ ის (მ ა ნ) — I,193,
488,3... არ გვხვდება ხოლმეობითის აღწერითი ფორმები ხოლო მე ნაწილაკით.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ე ბ ი. I თურმეობითის წარმოება „არჩილიანში“ ახალი
ქართულისებურია, არსად გვხვდება -ი ე ს, -ი ა ნ დაბოლოებები, ყველგან -ი ა,
გვაქვს. -ავ და -ამ-ი ა ნ ზ მ ნ ე ბ ი თ ე მ ის ნ ი შ ნ ე ბ ი შ ე ნ ა ხ ლ ი ა. მაგ.: და უ -
ჩ ა გ რ ა ე ს (II,12,89,3)... ერთპირიანი გარდაუვალი ზმნებაც ანლებურად
აწარმოებენ ამ მწკრივს. მაგ.: მ ო ვ ს უ ლ ვ ა რ (II,128,111,2), გ ა ლ ე უ ლ -
ხ ა რ (I,209,621,2)... ო რ ბ ი რ ი ა ნ ი გ ა რ და უ ვ ა ლ ი : წ ა ვ რ თ მ ე ვ ი ვ ა რ (I,49,249,3),
მ ო უ ყ რ ი ხ ა რ (II,34,281,1), დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ა (I,240,75,7)...

აღსანიშნავია, რომ -ე ბ- თემისნიშნის ზმნები II თურმეობითში მოკლე
ფორმითაა წარმოდგენილი, რაც, როგორც ცნობილია, ახასიათებს აღმოსავ-
ლურ კილოებს. მაგ.: ა დ მ ე ა რ ა (ნაცვლად ა დ მ ე ა რ ე ბ ი ნ ა) (I,221,719,3);
მ ო ე ხ ე ვ დ რ ა (II,80,694,3), დ ა ე წ ე ს ა (II,88: 759,3)...

გარდაუვალი ორპირიანი ზმნები, როგორც წესი, სავრცობად დაირთავენ
-ო დ-ს. მაგ.: მ ს მ ე ნ ო დ ა (II,7,7), უ კ უ შ ლ ო დ ა (I,131,42,2)...



I კავშირებით. აქაც ყურადღებას იქცევს -ავ-, -ამ-ისი ზმნების ფორმები ევ-დ-ე, ემ-დ-ე ფორმულებით, რომელთათვისაც ამოსავალი უწყვეტის ფუძე გვხვდება ვ-ი-დ-ე, მ-ი-დ-ე დაბოლოებებიც. მაგ.: ვლესევე-დე (I,142,69,3), დაიმარხევედე (II,22,181,4), ნახევედეს (I,48,239,3)... იბემდეს (II,68,24,3), უზემდენ (II,4,32,4)... ვჰსთრგუწვიდე (II,5,40,2), აშორვიდე (I,187,433,4), როკვიდეს (I,148,107,2)...

მყოფადის წარმოება. „XVII საუკუნისათვის მყოფადის მწკრივები ძირითადად უკვე ჩამოყალიბებულია, მაგრამ მყოფადის ფუნქციით კავშირებითი ჯერ კიდევ შეიძლება შეგვეხედეს“⁴⁰. უმთავრესად რთული ქვეწყობილი წინადადების კონსტრუქციაში — როგორც დამოკიდებულ, ისე მთავარ წინადადებაში. მაგ.: „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დიდაუნდა“ (II,73,627,4); „ვინცა აღზევავედეს, დაეცეს, ეს ასრე დამართების“ (I,28,75,4); „ვინ საბრხე უვოს მოყვასსა, მთავარდეს დიდსა ვნებასა“ (I,77,74,2)...

გვხვდება ერთი სახეობის მყოფადის ფორმაც, რომელიც მიიღება მიმღებობითა და მეშველი ზმნით და „კატეგორიულის“ ანუ „აუცილებლობითის“ სახელით არის ცნობილი⁴¹. მაგ.: „ნაძლევი დავღვათ, გაჯობო მომცემი იყო დაბასი“ (II,10,76,3)...

ჩვეულებრივ კი მყოფადის ფორმები მოქმედებითა და დინამიკური ვნებითის თხრობითი კილოს ზმნების აწმყოსაგან არის ნაწარმოები ზმნისწინის დართვით, ისე როგორც ახალ ქართულში. მაგ.: აღგიტაცებ (I,77,64,2).. საშუალო და სტატისტიკური ზმნები მყოფადს აქაც ნასესხები ფორმებით იწარმოებენ. მაგ.: იყნოსებ (II,1,4,4)...

ბრძანებითის სახეებიდან გვხვდება თითქმის ყველა შესაძლებელი ფორმა როგორც ძველი, ისე ახალი ქართულში.

წართქმითი ბრძანებითი: ა) I სერიის ფუძისა: ევლტოდი (II,22,182,4), აქებდი (II,111,960,3)... ვრიდებოდე (I,93,95,3)... უწყოდინ (I,201,553,2)... ბ) II სერიის ფუძისა: იყავნ (I,99,22,1)... ბძანე (II,111,85,4)... (წყალი) ნაყითა (I,61,350,4)... წაიწიოს (I,8,44,3). იუბნან (I,19,4,1)...

უკუთქმითი ბრძანებითი უხვად არის წარმოდგენილი ნუ, ნულარ ნაწილაკების დამატებით აწმყოს მწკრივზე. მაგ.: ნუ მწუხარობ (II,11,83,2)... ნულარ სჰქუნავ (II,11,83,2)...

„არჩილიანის“ ტექსტის არასრულმა მორფოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სახელურ და ზმნურ მორფემებს ძირითადად უკვე შექმნილი აქვთ ახალი ქართულის სახე, რაც თავისთავად მაჩვენებელია ქართული სალიტერატურო ენის განახლებების იმ ტენდენციებისა, რომლებიც შემდგომ გააღრმავეს და სრულყვეს სულხან-საბა ორბელიანმა და დავით გურამიშვილმა.

⁴⁰ ზ. ჰუმბოლდიე, მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში: თსუ ძვ. ქართ. ენ. კათედრ. შრ., 11, 1968, გვ. 65.

⁴¹ ი. ქავთარაძე, მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში: ივე, XII, 1960, გვ. 201.

მ ა მ ა რ ს ა ლ ა რ ი მ ა

ეტიმოლოგიური დაკვირვებები

(ბუწი, სრელი, ყუყელი, მოქოლვა, მოჭაჭვა)

აღგეთის ზეობის (თეთრი წყაროს რაიონის) მკვიდრ ქართულთა მეტყველებებში დადასტურებულია რიგი სიტყვებისა, რომლებიც სალიტერატურო ქართულისათვის ან საესეებით უცნობია ან განსხვავებული სემანტიკის მქონე. მათ შორის ზოგი იძლევა საფუძველს ეტიმოლოგიური ანალიზისათვის.

ბუწი. აღგეთურში ბუწი ზედსართავი სახელია და 'ძალიან ცოტას, ერთი ბეწვას' (მატყლს, თივას, ჩალას...) აღნიშნავს უარყოფის შემთხვევაში (უარყოფით წინადადებაში) („ბუწი ჩალა არა მქონდა ჯო საქონელი შემენახა“ პ. თონ.).

უფრო ადრე ბუწი (—ბუწვი?) 'ბლუჯა თმის' (ან 'ერთი ღერი ბეწვის?' შდრ.) აღმნიშვნელი სახელი უნდა ყოფილიყო (შდრ. ბუწვი² 'უხვირო თმა' გლ), რომელიც შემდგომ მსაზღვრელად იქმნა გამოყენებული მნიშვნელობის გაფართოებით (განზოგადებით).

ბუწ- (—ბუწვ-?) ფუძის გაორკეცებითა და ბ'ს დისიმილაციური დაკარგვით ჩანს მიღებული ბუწუწი (—ბუწ-ბუწი/-ბუწვ-ბუწვი?), რომელიც ჩვეულებრივ მრავლობითში იხმარება: ბუწუწები 'თმები' (შდრ. გლ) („სირცხვილით სულ ბუწუწები ჩამომივიდა!“ დ. იორამ.; „სულ ბუწუწები დაიგლიჯა!“ ჩხ.).

სრელი. აღგეთურში „სვე“-ს (მკაში ერთ გავლაზე გატანილ ზოლს) სრელი¹ც ჰქვია („მკაში ერთი კაცი ერთ გავლაზე თავიდან ბოლომდინ გიტიანს ერთ სრელსა“. მაწ.) არსებითად ამავე მნიშვნელობით ('ვიწრო და გრძელი ყანა') იხმარება ეს სიტყვა ხევსურულში. ხევსურეთის სოფელ შატილში კი ფიქსირებულია აგრეთვე გეოგრაფიული სახელი სრელოვანი¹.

აღგეთის ზეობის მთიულთა მეტყველებაში (და საერთოდ მთიულურში) სრელი¹ს მნიშვნელობით სრიალი იხმარება („მკის დროს, თოხნის დროს იტყვიან: ერთი სრიალი გავიტანეო“. მაწ.; მთქმელი მთაუღია). მთიულეთში დადასტურებულია ტოპონიმი სრიალ-სრიალი². სრიალი სრელის სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს: ი მასში განვითარებულია, ალბათ, -იერ/-იელ სუფიქსის ანალოგიით, რომელსაც მთიულეთში -იარ/-იალ კორელატი შეესატყვისება (შდრ. ბედნ-იარ-ი, მადრ-იალ-ი ცარ-იალ-ი და სხვ.).

ერთმა მაწივენელმა გლეხმა სრელი დაკუთხული თავთავის წიბოსაც უწოდა.

¹ ა. ჭიქარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 196.

² ცნობა მოგვაწოდა ლ. კაიშაურმა.



ს რ ე ლ ი ს აგანა ნაწარმოები ალგეთურშივე დადასტურებულა ს რ ე ლ ა, რომელიც ნათესის ერთ მწკრივს ჰქვია („კართოფლის კვლებში ათი ს რ ე ლ ა შემოვყარეთ“, ჯორჯ.). ს რ ე ლ ა ზედსართავის მნიშვნელობითაც იხმარება; იგი „ზოლიან ჭრელს“ აღნიშნავს (მდრ. გლ.) [„საქონელი ზოგი ს რ ე ლ ა („ჭრელი“) არი“, საღრ.].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ს რ ე ლ ა ს გარდა შეტანილია სიტყვები: ს რ ე, რომელიც ს რ ე ლ - ფუძის ლ თანხმოვანმოკვეცილი ფორმა უნდა იყოს (შეიძლება — საქმე გვექონდეს მარტივ ფუძესთანაც), და კომპოზიტები: ს რ ე ლ ა - ს რ ე ლ ა, ს რ ე ლ - ს რ ე ლ ი ა ნ ი და ზმნისართი: ს რ ე - ს რ ე, რომლებიც აღმოსავლურ დიალექტებში და აღმოსავლეთიდან გამოსულ მწერალთა ენაში გვხვდება.

სალიტერატუროდ ქვეულ ს ვ ე ს ა და დიალექტური ს რ ე ლ ი ს კონტამინაციით ჩანს მიღებული ს ვ რ ე ლ ი, რომელიც უპირატესად იმერულის ლექსიკას ახასიათებს. მას ვხვდებით იმერეთიდან გამოსულ მწერალთა ენაშიც (მდრ. გლ.).

ყველა აქ განხილული სიტყვისათვის, რომელიც მნიშვნელობით „ზოლს“ უკავშირდება (აქ არ ვმსჯელობთ ს ვ ე ს შესახებ), ამოსავალი ჩანს ს რ ე ლ - ფუძე, რომელიც ორ მორფემიანი უნდა იყოს. თუ მასში - ე ლ ელემენტს დეტერმინანტ სუფიქსად მივიჩნევთ, მაშინ მარტივ ფუძედ დაგვრჩება ს რ, რომელიც შეიძლება რედუცირებული იყოს (ე ა ნ ა ხმოვანდაკარგული). თუ ე ს აღვადგენთ, მივიღებთ ს ე რ - ფუძეს, რომელიც უნდა გვექონდეს „სერავს“ ზმნაში და შეიძლება სახელში „სერი“ („სერს უწოდენ მიჯედ წარხიდულს გორასა“; საბა).

აქ წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ს რ ე ლ - ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა, რომელიც დღესაც ცოცხალია, „ზოლი“ უნდა იყოს.

ს რ ე ლ ა ს, როგორც მეზოსტენობის ტერმინის, სინონიმა შ ა რ ი („სარლობის, პამიდორს, კომპოსტოს... შ ა რ ზ ე ვთესამთ“. ჩხ.; „ერთ შ ა რ წიწკას ისე ასხია, რო ერთი ქილა წნილი ჩაიდება“. პ. თონ.; „ორი შ ა რ ი კართოფილი ამოვიღე და ნახევარი ვედრა ძლივს არის“. პ. თონ.).

შ ა რ ი შიგა ქართლშიც იხმარება 'ვაზის, ხეხილის, ბოსტნეულისა და ნისთ. ერთი მწკრივის' აღმნიშვნელად („ორი შ ა რ ი ყურაქენი დაგვრჩა მოსაკრეფი“. სოფ. დისევი, ცხინვალის რაიონი).

სხვა ქართულ დიალექტებში მსგავსი ფუძე არ ჩანს.

შ ა რ - ფუძე ქართული ს ე რ - ის ზანურ ფონეტიკურ შესატყვისად გამოიყურება. თუმცა შ ა რ - არაა გამოვლენილი ზანურში, მაგრამ საგულისხმოა, რომ დასტურდება ზემო სვანურში (სადაც შეიძლება იგი ზანიზმს წარმოადგენდეს) იმავე „ზოლი“-მნიშვნელობით („ფურ მეთევთან შ ა რ ზ აქიმ ლესგარქა“ „ძროხას მოთეთრო ზოლი გასდევს გვერდებში“; „შ ა რ ა ბარდან“ „ზოლებიანი ნაჭერი“).

ამგვარ ვარაუდს (შ ა რ - ფუძის ანალიზს ქართულის დონეზე) დაბრკოლებას არ უნდა უქმნიდეს აღმოსავლური წარმომავლობის სახელი „შარა“ (გზატყვილი).

³ სვანური შესადარებელი მასალა გამოვიყენეთ ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაცული სვანურ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონიდან.

თუ ზემორე წარმოდგენილ ფუძეთა (სერ-, შარ-) დაკავშირებამ ცდა არაა, შეიძლებოდა იმავე სემანტიკურ ველში შემოგვეტანა სალიტერატურო ქართულის კუთვნილი და ძირითადად აღმოსავლურ დიალექტებში გავრცელებული ზმნა [და]შაშრაავს, რომელიც ორი მნიშვნელობით იხმარება: [და]სერავს (შდრ. გლ.) „ქლიავს და ეშაშრამთ და დავაწყომთ მზეზე, გახმენა და გახდება ჩირი“. მაწ.) და [და]ჩხვლეტს („წიწკა უნდა და ეშაშრო, წნილი მაქ ჩასადები“ ჰ. თონ.).

შაშრაავს ზმნა დაკავშირებულია სახელთან შაშარი (შდრ. გლ.). შაშარი მჭრელი იარაღია, რითაც ხდება სათანადო მოქმედება. რა აღნაგობისაა იგი? თუ შარი სერის შესატყვისია, მაშინ ხომ არ შეიძლებოდა სიტყვაში შაშარი დაგვეჩვენა შარ- ფუძისაგან ნაწარმოები დანიშნულების სახელი, რომლის თავდაპირველი ფორმაც იქნებოდა სა-შარი (=სა-სერი), რომლის სა- მიწარმოებელიც ქართულში მოქმედი ასიმილაციური კანონზომიერების ძალით შეიძლებოდა შეცვლილიყო შა-დ. ამრიგად შაშარი — სა-შარი(?).

ახლად მიღებულ სიტყვაში (შაშარი) შესაძლოა დროთა ვითარებაში მოხდა მისი სემანტიკის დანარდილება, რაც თავდაპირველ ფორმაში (საშარი) ნათელი უნდა ყოფილიყო. ამ გარემოებამ შესაძლოა გზა გაუხსნა პირვანდელი შარავს ზმნის დაკავშირებას იარაღის სახელ შაშართან და ამრიგად მის შეცვლას შაშრაავს ზმნით.

ყეჟელი. ყეჟელი ფიქსირებულია სოფ. ბატარა თონეთში. იგი მსაზღვრელი სახელია და ნიშნავს 'ორად განშტოებულს, ორკაპას' (ხეს ან ტოტს) („ყეჟელი ტოტი აქ ამ ხესა“. ჰ. თონ.).

ყეჟელის მსგავსად, ორის. წყვილის აღმნიშვნელი სიტყვაა აგრეთვე ყევარი, რომელშიც გამოიყოფა წყვილობის აღმნიშვნელი ყევე- ფუძე⁴. ეს ვ არა გვაქვს საანალიზო სიტყვაში, ამიტომ, თუ დავუშვებთ, რომ ყე- (—ყევე-?) შეიძლება აქაც „ორი“-ს აღმნიშვნელი იყოს, მაშინ სიტყვა რთული აგებულების აღმოჩნდება და ასე დაიშლება: ყე-ჟელ-ი, რომელშიც ჟელ- წარმოადგენს ყე- ელემენტის მიერ საზღვრულ ფუძეს.

რადღა ეს ჟელ-? მოსალოდნელია, რომ იგი ხის აღმნიშვნელი სიტყვა იყოს, რადგან „ყეჟელი“ ხის ან ტოტის მსაზღვრელად იხმარება; ჟელის მსგავსი ასეთი სიტყვა კი არის ძელი, რომლის თავკიდურ აფრიკატ ძს ადგილას გვაქვს სპირანტი ჟ.

საბას თავის ლექსიკონში მოეპოვება სახელი ყეჯალი — 'კაბიანი ლუკმის ასაღებად', რაც ორთითა ხის ჩანგალი უნდა იყოს. ყეჟელი და ყეჯალი სემანტიკურად ერთმანეთთან ახლოს მდგომი სიტყვებია, რომლებიც ბგერობრივადაც ჰგვანან ერთმანეთს: პირველი მარცვალი (ყე-) მათ საეროო აქვთ, რაც ფრიად საგულისხმოა. რაც შეეხება მეორე სიტყვის ჯალ- ნაწილს, იგი ზანური ზუსტი შესატყვისი ჩანს (ჯ-ალ⁵) ქართული ძელ- ფუძისა, რომელსაც ცვლილების შემდგომ ჟელ- სახე მიუღია.

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 403.

⁵ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 120; შდრ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург, 1914, გვ. 027.



საქართველოს
საქართველოს

ძ'ს უ'დ ქცევა ორი გზით შეიძლება მომხდარიყო: 1. ზ საფეხურის წყევალით (ძ→ზ→ყ) და 2. უშუალოდ ძ'ს უ'ში გადასვლით (ძ→ყ). თუ მაგალითების რაოდენობას დავეყრდნობით, პირველი გზა უფრო რეალურა მოგვეჩვენება. ძ აფრიკატისა და ზ სპირანტის ურთიერთმონაცვლეობის შემთხვევები ცნობილია ქართულში; ზ/ძ მონაცვლეობის მაგალითების გამრავლება ალგეთურ-რიდნაც შეიძლება, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ძ'ს ზ'ში გადასვლა (ძ/ზ), რომლის მაგალითებია: სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული ნ ა ფ უ ზ ა რ ი ს ა და ბ ა ზ ო ს (იხ. გლ.) გარდა, ალგეთურში დადასტურებული ზ ა რ ი 'სასიმ ნდე' („იმერეთისკენ იციან ზ ა რ ი“. მაწ.), სამწერლობო ძეგლებიდან კი ქართლის ცხოვრების ანა დედოფლისეულ ნუსხაში ხმარებული ზ რ წ ო ლ ა („და იყო შიში და ზ რ წ ო ლ ა მას ზედა“. 14, 26).

ზ'ს უ'ში გადასვლის (ზ/ყ) ნიმუშები იქნებოდა: აღმოსავლურ დიალექტებში დადასტურებული: ყ ი უ ი ლ ბ ა რ ი (—ყიზილბაში)⁶, ყ ე მ ი ქ კ ა, რომელიც უნდა მომდინარეობდეს ზ ე მ ი ქ კ ა საგან (ორივე ფორმა ფიქსირებულია ალგეთის ხეობის სოფ. თონეთში). იმავე ალგეთის ხეობაში დადასტურებული ტოპონიმი ყ ღ მ ა რ ტ ლ ი ა ნ ი (—ზღმარტლიანი) და კახტიდან ან მისი მეზობელი ერთ-ერთი დიალექტიდან (ფშური, თიანური) რაფიელ ერისთავის ენაში შესული ფორმა ლ ა ე ღ ა ნ დ ა რ ა ე ⁷. ბოლო ორ მაგალითში ზ/ყ ცვლილების საფუძველი კომბინატორული ხასიათისა უნდა იყოს, რაც ზღ/ყღ კომპლექსთა მონაცვლეობაში გამოიხატება. არის ერთი მაგალითიც ძველი ქართული სამწერლობო ენიდან; ესაა პირის საკუთარი სახელი ქ ა ნ ო ბ ი (/ ზენობი), რომელიც მოყვანილი აქვს ი. ქავთარაძეს და, თანახმად მისივე ვარაუდისა, შეიძლება სხვა ენის შემონატანს წარმოადგენდეს ძველ ქართულში⁸. მიუხედავად ამისა, მისი აქ, სხვა მაგალითების გვერდით, მოყვანა მაინც გაუმართლებელი არ უნდა იყოს.

ძ'საგან უშუალოდ უ'ს მიღების დამადასტურებელი მაგალითები ჩვენ ხელთ არა გვაქვს; შეგვეძლო მხოლოდ მიგვეთითებინა ქართულის მონათესავე სვანურზე, რომელშიც მოიძებნება ძ/ყ შესატყვისობის ზოგი ნიმუში, ასეთებია, მაგალითად: ყ ე ღ (ძაღლი), ყ ი ნ ა (ძერა), ყ ა ჰ (ზვავი), ყ ვ ი ყ ე (ღვიძლი)⁹. ამ გზით თუ იმ გზით, სახელი ყ ე უ ე ლ ი უნდა მოეცა არქეტიპს, რომელიც *ყეძელი (—*ყევეძელი?) უნდა ყოფალიყო.

ამრიგად (თუ წარმოდგენილი ანალიზი მართებულია) ირკვევა, რომ: 1. ყ ე ე ვ ა რ თ ა ნ ერთად ქართულს შემოუნახავს კიდევ ერთი სიტყვა, რომელშიც წყვილის აღმნიშვნელი ფუძის ერთ-ერთი უძველესი ყ ე - (—ყეე) სახეობაა წარმოდგენილი. 2. საბას დროს, როგორც ჩანს, ცოცხალ სიტყვას წარმოადგენდა (საფიქრებელია, ქართულურშივე) მისი ზანური შესატყვისი ყ ე ჯ ა ლ ი. 3. სახელში ყ ე ჯ ა ლ ი შემონახულია ჯ ა (—ჯ) ფუძე -ალ დეტერმინანტი სუფიქსითურთ, რომელიც (-ალ) თვით ზანურში მხოლოდ მრავლობითის ფორმებში აღდგება; შეიძლება დატული იყოს აგრეთვე ზოგ სხვა ნაწარმოებ ფუძე-

⁶ ვ. თოფურია, ქართლური, პროფ. ი. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული „არილი“, ტფ., 1925, გვ. 137.

⁷ ლ. იორდანიშვილი, რაფიელ ერისთავის ენა, საქანდიტო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1966 (რუსულ ენაზე), გვ. 6.

⁸ იხ. ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, 1964, გვ. 324.

⁹ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

შიც (მაგ. ო-ჯ-ალ-ემ-ი)¹⁰. ყ ე ე ე ლ ი ს სინონიმია ო რ ყ ე ე ე ლ ი ა („ო რ ყ ე ე ლ ი ხეა“. თონ.: „როცა გომს ვაშენებთ, თ რ ყ ე ე ე ლ ბოძებში გაუგდებთ თავებებსა“. თონ.; „ო რ ყ ე ე ე ლ ა ხეებზე გავდებთ სომსა“ თონ.), რომლის არსებობის ფაქტიც ყ ე ე ე ლ ი ს შინაარსის დაჩრდილვის მაუწყებელია, ჩვენ ეტიმოლოგიისათვის კი — დამაჯერებლობის შემმატებელი.

მოქოლვა. მოქოლვა ნიშნავს საჯისათვის (საჯა — თუჯის მრგვალი ჭურჭელი ლავაშის ან პურის გამოსაცხობად; ხმარობენ მთაში წასული მწყემსები) ძირის დაფარვას, ძირის მალესვას წყალში ახელილი ნაცრით. საჯის მოქოლვა ხდება ცეცხლის ძალის გსანანელბლად, რომ პური არ დაიწვას („მწყემსობაში პურს რო ვაცხობდით საჯზე, — ქვეიდან საჯს მოვქოლვამდით“. მაწ.: „მოქოლვა ნაცრის წასმად, მოქოლვა ვიცით საჯისა, რო პური არ დაწოს“. ჯორჯ.).

მოქოლვას ზმნა ერთ-ერთი წევრია ქოლ (-ქვალ) ფუძის შემცველი სიტყვებისა, როგორცაა: ჩაქოლვა¹¹, დაქოლვა, საქოლვაი, აქოლვა, ამოქოლვა. ზოლო ორ სიტყვას (აქოლვა, ამოქოლვა — კედელში ღია ადგილის, მაგ., უკარო ჩარჩოს ამოშენება, ამოღობვა) უკავშირდება სემანტიკურად მოქოლვა¹², რომელიც საჯის ძირის ცეცხლისაგან დაცვას, იზოლირებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში „მოსაქოლავი“ მასალა ნაცარია და არა ქვა. შდრ. შა. კარს მოქოლვას („თიულებმა იციან: „კარები მოქოლვით!“ კარები მოხურეთ“. ტბ.).

ამავე ქოლ-ფუძის გაორკეცებით¹² უნდა იყოს მიღებული აღმოსავლურ კილოებში, მათ შორის ალგეთურ მეტყველებაშიც, გავრცელებული გამოთქმა „ქოქოლას (—ქვალ-ქვალას?) აყრის“ 'ხელების მოძრაობით გამოხატავს რადაციის მიყრას ვისთვისმე (ვისაც კიცხავს)'. ქოქოლას მიყრა ჩვეულებრივ თანხლებულია „მეხი კი დაგაყარე!“-ს ან „ჩაგტიტე!“-ს თქმით. ეს ექსტიკულაცია ჩაქოლვის აქტის (ჩასაქოლვად განწირულისათვის ქვების მიყრის) გამოხატვას უნდა წარმოადგენდეს.

ქოლ-ფუძისეულ „აქოლვა, ამოქოლვა“-სა და მთიულურ (ყარას) „მოქოლვა“-ს გვერდით არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ალგეთურ მეტყველებაში გავრცელებული ქულ-ფუძის შემცველი ზმნა „ქულავს“. დაქულვა 'დაფარებას, დახშვას, დაგმნავს' ნიშნავს („რო დააფარებენ“. გოლო.; „თავვის სოროებს დავქულვამთ ხომე, როცა ბრიგადელი დაგვიძახებს“. გოლო.).

როგორც ვხედავთ, ქოლ- და ქულ- სემანტიკური ერთიანობის მქონე ფუძეებია.

მოჭაჭვა. მოჭაჭვა ახლად გაცელებული ყველის მაგრად მოწურვაზე ითქმის („ყველი ისე მოჭაჭვე, რო შრათი სულაც არ ვაჭყოლაა“. პ. თონ.). გაჭაჭვა კი ნიშნავს: ა. ცხიმის სავესებით გაცლას (რძისათვის) („ჩემი მეზობელი ისე შჭაჭამს რძესა, რო იმისი მაწონი არც კი იჭმევა“. პ. თონ.; „ეს სეპარატორი ისე სჭაჭამს რძესა, რო ჟღინტლი ცხიმიც კი არ გასდევს“. პ. თონ.). ბ. ფქვილის ძალიან გაცრას („ისე გაუჭაჭვია, რო მთელი ქატო გაუყოლებია!“). პ. თონ.).

¹⁰ შდრ. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, ტფ. 1934, გვ. 309—310, 496; შდრ. И. Кипшидзе, დასაბ. ნაშრომი, გვ. 411.

¹¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 14.

¹² შდრ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, თბ., 1962, გვ. 88.

სოფ. პატარა თონეთში ცალ მუქს ჭ ა ჭ ვ ი ' ც ჰქვია (ერთი ჭ ა ჭ ვ ი ძლიე ამოვიღე ერთ ძირ კართოფილზე“. პ. თონ.).

შესაძლოა, მოჭაჭვა თავდაპირველად მხოლოდ ყველის მოწურვაზე ითქმოდა, როცა მას სახელდახელოდ მუჭით ანუ ჭ ა ჭ ვ ი თ წურავდნენ; მოჭაჭვ ა ' ც შეიძლება აქედან იყოს წარმომდგარი ვინის ჩაეარდნით: მოჭაჭვ ა ვ ს → მოჭაჭა ვ ს (?).

შემოკლებათა ბახსნა

ალგეთური — ალგეთის ხეობის ქართლური.

გლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ნიქოზავას საერთო რედაქციით, ტ. I—VIII, 1950—1964 წწ.

დ. იორამ. — დ. ი. იორამაშვილი, ქართლურის კარგი მცოდნე თბილისელი დასახლისი, დედ-მამით ქართლელი.

საბა — სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928.

მთ. — მთიულური კილო.

გოლთ. — სოფელი გოლთეთი.

თონ. — სოფელი თონეთი.

მაწ. — სოფელი მაწევანი.

პ. თონ. — სოფელი პატარა თონეთი (ყოფ. დვალთა).

სალრ. — სოფელი სალრაშენი.

ტბ. — სოფელი ტბისი.

ხხ. — სოფელი ჩხიკვათა.

ჯორჯ. — სოფელი ჯორჯიაშვილი (ყოფ. დიდი ენაგეთი).

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ქიტიკურმა)



თ ი ნ ა თ ი ნ ე ს ა მ ი ბ ი რ ა მ ე ლ ი

ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი პ ე ნ ს ლ ექ ს ი კ ი ა დ ა ნ

აეროვან-ი ხუროთმოძღვრული ტერმინია. ამ სიტყვით ეზეკიელის წიგნში აღნიშნულია შენობის, კერძოდ ტაძრის, საზეიმო შესასვლელის (პორტალის, კარიბჭის) კოლონადებით შემოზღუდული არე, წინკარი, ტალანი, რომლითაც კარიბჭე უკავშირდება მთავარ შენობას, მისი ბერძნული შესატყვისია τὸ ἀμφίον (წინკარი, პორტიკი).

ა ე რ ო ვ ა ნ ი ძველი ქართლისათვის იშვიათი სიტყვაა. ძველ ტექსტებში სამიოდე მაგალითი დაიძებნა და სულ სხვა შინაარსს გადმოსცემს (სანდომიანი, სასიამოვნო, ჰაეროვანი: „ა ე რ ო ვ ა ნ ი ქ მ ნ ა პ ი რ ი მ ი ს ი (სინ. მრავ. 114,12); ისწავს თავისყოფაჲ მოხუცებულთაჲ და ა ე რ ო ვ ა ნ ი ს ა პ ი რ ი ს ა ო მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ თ ა (კიმ. I, 116,4); ვითარცა ღრუბელი ა ე რ ო ვ ა ნ ი, დღეს ქუხს ეკლესიასა (ეზრა; 158,2).

საბა ორბელიანისა და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში ეს სიტყვა არ დასტურდება. საბას დამოწმებული აქვს მხოლოდ ამ ძირიდან ნაწარმოები ა ე რ ო ვ ა ნ ე ბ ა (კეთილმოხდომილი სახოვნება).

ა ე რ ო ვ ა ნ ი არქიტექტურული ტერმინის მნიშვნელობით იხმარება მხოლოდ ეზეკიელის ტექსტში. წიგნის ავტორი დაწვრილებით აღწერს განახლებული იერუსალიმის ტაძრის პროექტს (თ. 40). პირველად აღწერილია ტაძრის პორტალი, ანუ კარიბჭე, რომელიც რთული არქიტექტურული ნაგებობაა თალისებრი გადახურვით. თალის ქვეშ, კარიბჭის ორივე მხარეს, კოლონადებში, განლაგებულია გარკვეული დანიშნულების, სხვადასხვა ფორმისა და მოცულობის სადგომები ოთახებვით (ელამი, თქ, კრეტსაბმელი). თითოეული მათგანი ერთმანეთს და ყველა ერთად მთავარ შენობას (ტაძარს) უკავშირდება წინკარის, ტალანის მეშვეობით, რომელსაც საკუთარი გადახურვა არა აქვს. სახელიც ამ ნიშნის მიხედვით აქვს შერჩეული: ა ე რ ო ვ ა ნ ი ო (ალბათ, ჰაერიანი, დაუხშავი) || უ ს ა რ თ უ ლ ო ო (უჭერო, უსახურავო) || უ რ თ ა ვ ი ო (უჭერო, უსახურავო)¹: „და განზომა... უ ს ა რ თ უ ლ ო ო და ა ე რ ო ვ ა ნ ი (უ რ თ ა ვ ი ო ო) ი გ ი ე ლ ა მ ი ს ა ო ო“ (ეზეკ. 40,14); „და განზომა... უ ს ა რ თ უ ლ ო ო ი გ ი ბ ქ ი ს ა მ ი ს გ ა რ ე მ ო შ უ ს ა რ თ უ ლ ო ო დ მ დ ე ე ლ ა მ ი ს ა ბ ქ ი ს ა მ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ა“ (ეზეკ. 40,15). ა ე რ ო ვ ა ნ ი იმდროინდელი მკითხველისთვისაც ნაკლებად-გასაგები ტერმინი ყოფილა, ამას მოწმობს თვითონ ტექსტი: ჯერ ერთი, ზემომოყვანილ მაგალითში τὸ ἀμφίον-ის ბაღლად ორი სიტყვაა — უ ს ა რ თ უ ლ ო ო და ა ე რ ო ვ ა ნ ი. მეცხრამეტე მუხლში კი ა ე რ ო ვ ა ნ ი განმარტებულია უ ს ა რ თ უ ლ ო ო სიტყვით: „და განზომა სივრცე ი გ ი ე რ ო ვ ა ნ ი მ ი ს ა ო ო მ ი ს გ ა ნ ბ ქ ი ს ა შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ა გ ა რ ე მ ე უ ს ა რ თ უ ლ ო ო დ მ ი მ ა რ თ,

1 ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, წ. 1, თბილისი, 1966.

2 ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961. საბას მიხედვით, უ რ თ ა ვ ი აღნიშნავს 'სართულს', ე. ი. ჰერს, სახურავს. საბასეული განმარტება, რომელიც ემყარება ეზეკიელის ტექსტს, (40,14) მართებული არ ჩანს. კონტექსტით და პარალელური წაკითხვებით უ რ თ ა ვ ი 'უსახურავოს' ნიშნავს. თვითონ სიტყვის წარმოებაც ამასვე მიუთითებს: უ-რ-თ-ავ-ი, შდრ. სა-რ-თ-ულ-ი (=სახურავი).



ესე იგი არს, აეროვნად ბჰისა მის“ (ეზეკ. 40, 19) **ტ**. ადვილი შესაძლებელია, განმარტება აშიაზე იყო და შემდეგ, დროთა განმავლობაში, შევიდა ძირითად ტექსტში. **ტ** რედაქციის უსართულო, აეროვანს **ღ-ში** ყოველთვის შესატყვისება ურთავი. მაშასადამე, წინკარის, ტალანის, სტოას მნიშვნელობით ძეგლში სამი სიტყვა იხმარება — უსართულო, აეროვანი, ურთავი.

თავის მხრივ ბერძნ. *τὸ ἀίμα* ('წინკარი', 'ტალანი') ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს *ἄμα*, *αἴμα* სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობაა 'სუფთა პაერი', 'მოწმენდილი ცა', 'ღია, სუფთა პაერზე'. ვფიქრობთ, ბერძნულში, როცა ფუძე ახალი შინაარსით დაიტვირთა, სიტყვამ ფორმაც იცვალა: *ἄμα* (სუფთა პაერი...) — *τὸ ἀίμα* ('წინკარი, პორტიკი', სიტყვა-სიტყვით 'პაეროვანი', 'პაერიანი', 'დაუსზავი ადგილი').

ქართული აეროვანი ბერძნულის კვალობაზე შექმნილი ტერმინი ჩანს, *ἄμα*-ს მიხედვით შექმნილი: აერ-ოვან-ი (პაერიანი).

აეროვანი მარჯვე არქიტექტურული ტერმინია, რომელიც დღეს შეიძლება გამოვიყენოთ უფრო პორტიკის, სტოას, ან ატრიუმის ნაცვლად, ლათ. *atrium* და ბერძნ. *αἴμα* საერთო ძირისა და წარმომავლობის სიტყვები ჩანს.

არიელ||**არიელ-ი** საკურთხეველს, სამსხვერპლოს აღნიშნავს, კერძოდ, საკურთხევლის ზემოთა ნაწილია, საიდანაც იწყება მსხვერპლის შეწირვის ცერემონიალი. გვხვდება მხოლოდ ეზეკიელის წიგნში: „ესე სიმაღლეს საკურთხევლისაჲ მის სიღრმითგან წიაღისა მისისაჲთ სალხინებელად დიდად მიმართ ქუემო კერძო წყროით ორით და სივრცეს წყრთა ერთ... და არიელი (არიელი **ღ**) წყრთითა ოთხ და არიელითგან (არიელითგან **ღ**), ვიდრე ზემო რქათამდე წყრთა ერთ; და არიელი (არიელი **ღ**) ათორმეტ წყრთა სიგრძით წყრთად მიმართ ათორმეტად ოთხ კედლად, ოთხთავე კიდეთა მისთა“ (43, 14—16^ტ).

არიელი ებრაული სიტყვაა **אֲרִיֵּל** (*har'el*)³. ებრაული ბიბლიიდან იგი უთარგმნელად გადასულია სირიულსა (*h'ra'el*) და ბერძნულში *τὸ ἀριήλ*, შდრ. სომხ. *արիւն*, რუს. *самый жертвенник*; ქართული **არიელი**, შესაძლებელია, სირიულ-ებრაულ გზასაც გულისხმობდეს და ბერძნულსაც. გვალაგის ვერსიის **არიელი** ბერძნ. *ἀριήλ*-ის ბიზანტიური წაკითხვის შედეგია (*აღ*).

არიელ||**არიელი** ს საბასეული შესატყვისია **არიელი** ('დასასვენებელი სიწმიდეთანი'). **არიელ** სიტყვას საბას ლექსიკონის ორ ხელნაწერში (**Ca**) რომ არ ახლდეს დამოწმება ეზეკიელის წიგნის ზემომოყვანილი ადგილი-სა, მაშინ ნაკლებ სარწმუნო იქნებოდა, რომ საბას **არიელი** ჩვენი ტექსტის **არიელ**||**არიელი**ა, საბას მიერ დამოწმებული ტექსტი იგივე ეზეკიელის

³ მ. სკაბალანოვიჩის, ვ. გეზენიუსისა და გ. ფორერის მიხედვით აღნიშნავს 'საკურთხეველს', 'სამსხვერპლოს'. მათივე ვარაუდით, *har'el* კომპოზიტია და შეიძლება შედგებოდეს სიტყვებისაგან *შთა* *ღმრთისა*. მ. სკაბალანოვიჩის აზრით, შესაძლებელია, ნიშნავდეს 'კერას ღმრთისას'. **არიელ**||**არიელი** საკუთარი სახელია. ვ. გეზენიუსით საკუთარი სახელი ასე დიშლება: ლომი ღმრთისა (M. Скабаланович, Кн. пр. Иезекииля: Толковая Библия, т. 6, გვ. 508; Gesenius W., Hebräisches und Aramäisches Handwörterbuch über das Alte Testament, Leipzig, 1915; Fohrer Georg, Ezeiel Handbuch zum Alten Testament, herausgeben von Otto Eisefeldt, vol. 13, Tübingen, 1955.

ტექსტია, მხოლოდ არ იელ || არ ილი ს ნაცვლად გვაქვს არ ილი: „და არ ილი წყრათა თხთა და არ ილი თ გან ზედა კერძო რქათასა წყრთად და არ ილისა წყრათა ათორმეტად“ (ეზეკ. 43,15).

საინტერესოა, ეზეკიელის წიგნის რომელ ხელნაწერში შეხვდა საბას არ იელ || არ ილი სიტყვა არ ილი ფორმით; ცნობილია, რომ იგი იყენებდა ბიბლიის გელათური ვერსიის ნუსხას (საბას ლექსიკონში დამოწმებული სიტყვების შედარება ეზეკიელის წიგნის რედაქციებთან ამ მოსაზრებას უჭერს მხარს). ჩვენს ხელთ არსებული გელათური ბიბლიის ნუსხასა (A 1108) და მის ბექდურ გამოცემაში (ვახტანგის ბიბლია) ყველგან არ ილი ფორმა გვაქვს. შესაძლებელია, არ ილი თვით საბას კონიექტურა იყოს. იქნებ ამოსავალი საბას გასწორებისა ქართული არ ილია, რომელიც დღესდღეობით ხევესურულს შემოუნახავს და 'მზის შუქს, მზის ციალს' აღნიშნავს. ფაქტიურად ამ ორ სიტყვას თითქოს არავითარი საერთო არ უნდა ჰქონდეს. უბრალოდ გვაქვს ერთნაირი ბგერითი შედგენილობის ორი სიტყვა, რომელთაგან ერთი გარკვეული ფონეტიკური პროცესის შედეგადაა მიღებული: <პ:ჩ:ს> <არიელი> > <არიილი> <არილი> (ორი ერთნაირი ბგერიდან ქართულში ჩვეულებრივ ერთი იკარგვის), მეორე ხევესურული არ ილია.

რაკი საბა წყაროს უთითებს, ხომ არ აჯობებდა საბას ლექსიკონში არ ილის ნაცვლად არ ილი შეტანილიყო (ცხადია, წყაროს ჩვენების საფუძველზე).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ებრაული წარმომავლობის არ ილი (საბას ლექსიკონისეული ფორმა) გაიგივებულია ხევესურულ არ ილი თან. ლექსიკონის მიხედვით არ ილი სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. „დასასვენებელი სიწმიდეთანი“ (საბა), 2. კუთხ. (ხევეს.) მზის შუქი რამეზე დამდგარი (ბ. ვაბ.). ტუტილის კიდურთ ნისლი დგა, არ ილის გაიგდებს მზასა (ბ. ვაბ.). ცთომილის სხივებს ზეთავი მთისა შეემოსათ უცხო არ ილი თ (კ. გამსახ. თარგმ.)⁴. ამ განმარტებიდან გამოდის, რომ ერთი და იგივე სიტყვა (არ ილი) ორი მნიშვნელობით იხმარება ქართულში. ფაქტიურად გვაქვს ორი, ბგერობრივ ამჯერად ერთნაირი, მაგრამ წარმომავლობითა და სემანტიკით სხვადასხვა, სიტყვა, რომელთა გაიგივება მიზანშეწონილად არ გვეჩვენება. ვაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აჯობებდა ამ სიტყვათა ცალ-ცალკე მითითება (როგორც ეს სხვა მსგავს შემთხვევებშია ამ ლექსიკონში): არ ილი¹ (<არიილი> <არიელი>) 'დასასვენებელი სიწმიდეთანი'. არ ილი² კუთხ. ხევეს. 'მზის შუქი რამეზე დამდგარი'.

ხევესურულის გარდა ქართული ენის სხვა დიალექტებში არ ილი არ დასტურდება. არა გვაქვს მისი შესატყვისი მეგრულ-ჭანურსა და სვანურში.

ეზეკ. — წინაწარმეტყველება ეზეკიელისი. (Ier. 11; RI—1).

ტ — ეზეკიელის წინასწარმეტყველების ოშკურ-იერუსალიმური ხელნაწერების შემცველი რედაქცია.

ქ — ეზეკიელის წინასწარმეტყველების გელათური ვერსია. (A 1108).

⁴ ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, 1.

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ)

არამ მარტიროსოვი

სუფიქსებით წარმოქმნილ სახელთა ერთი ჯგუფი ძველ ქართულში*

სიტყვაწარმოება ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა ენის ლექსიკური შედგენილობის გამდიდრებისათვის. ახალი სიტყვების დიდი ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებასთან ერთად, ჩვეულებრივ იწარმოება ენაში არსებული სიტყვებისა და ფუძეების ბაზაზე მათი სემანტიკისა და მორფოლოგიური სტრუქტურის შეცვლის გზით. წარმოქმნა ჩვეულებრივ აფიქსების (მორფემების) მეშვეობით ხდება, რითაც, როგორც ცნობილია, სიტყვაწარმოება (დერივაცია) ჰგავს სიტყვათა ცვალების მეორე სახეს — მიმოხრას (ფლექსიას).

სიტყვაწარმოების მოქმედი წესები აწესრიგებენ ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის საშუალებათა ზმარება-გამოყენებას. ისინი მჭიდროდ დაკავშირებულია ენის განვითარების შინაგან კანონებთან, რომლებიც განსაზღვრავენ ენის გრამატიკული და ლექსიკური წყობის ხასიათს.

ფორმის მიხედვით სიტყვაწარმოება ქართულში ორი სახისაა: სუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური. ინფიქსური წარმოება ქართულმა არ იცის, მისთვის არც ოდენ-პრეფიქსული წარმოებაა დამახასიათებელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს¹.

ლექსიკურ-სემანტიკური დახასიათების მხრივ გამოიყოფა ნაწარმოებ სახელთა შემდეგი ჯგუფები: კნინობითი, ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, აბსტრაქტული, დანიშნულებისა, წინა ვითარებისა, ხელობისა, რიგობით-წილობითი, გეოგრაფიული და ხარისხისა².

ყოლა-ქონების გამომხატველი სახელები სუფიქსურ წარმოებას განეკუთვნება. ამ სემანტიკური ჯგუფის სახელთა წარმოსაქმნელად გამოყენებულია -იან, -იერ, -ოვან, -ოხან, -ედ, -ა, რომელთაგან ზოგი შედგენილობით მარტივია (ერთი სუფიქსისაგან შედგება): -ა, -ედ, ზოგი კი — რთული (მიღებულია ორი აფიქსის შეერთებით): -ი-ან (—ივ-ან), -ი-ერ (-ივ-ერ)...

ამ სუფიქსების მნიშვნელობა ძირითადად ერთნაირია, მაგრამ ისინი სიტყვებს ჩვეულებრივ სხვადასხვა ფუძისაგან აწარმოებენ. მიუხედავად ამისა, მსგავსი ფუნქციური დანიშნულების გამო ზოგჯერ მაინც გვხვდება ვარიანტული ფორმები, როცა განსხვავებული სუფიქსები ერთნაირი მნიშვნელობით ერთი და იმავე ფუძის საწარმოებლად გვევლინება.

* ეს სტატია ერთი ნაწილია ენათმეცნიერების ინსტიტუტის 1954 წლის გეგმით შესრულებული თემისა „სიტყვაწარმოება ძველ ქართულში“. იბეჭდება ახალი მისაღების დამატებით.

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1953, გვ. 127.

² იქვე.

ამჟამად ქართულ სალიტერატურო ენაში დასახელებული სუფიქსები ერთნაირად გავრცელებული და ერთნაირად პროდუქტიული სუფიქსები არაა. მათ შორის პირველ რიგში გამოსაყოფია ყველაზე პროდუქტიული **-იან** სუფიქსი, რომელიც ძირითადი მნიშვნელობით შენახულა ქართული ენის განვითარების მთელს მანძილზე. სხვა მაწარმოებლები კი ამ თვალსაზრისით მეტნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგი (მაგალითად, **-ოვან** და **-ოხან**) შეზღუდული ხმარების გამო ამჟამად ნაკლებპროდუქტიული ან არაპროდუქტიულია, ზოგი კი (**-ედ**) გადმონაშთის სახით გვხვდება რამდენიმე სახელში, როგორც ფუძეს შეხორცებული მკვდარი სუფიქსი. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ხმარება-გამოყენების მხრივ ყოლა-ქონების გამოჩატველ სუფიქსებს სხვადასხვა ღირებულება აქვთ აგრეთვე ძველ ქართულში.

1. ძველ ქართულში **-იან** სუფიქსი ორი ვარიანტით გვხვდება: **-ევან**—**იან**. ძირითადი და ამოსავალი სახეობაა **-ევან**. სიტყვაწარმოებისას თანამედროვე სალიტერატურო ენაში იგი სულ არ არის გამოყენებული და არც მისგან ძველად წარმოქმნილი სახელებია ამჟამად შემორჩენილი. **-ევან** წარმოშობით რთული შედგენილობისაა, მიღებულია **-ევან-ისაგან**³, რაც კარგად ჩანს ზოგი სახელის ანალიზიდან.

მწი(6)კულ-ევან — ქუჭყიანი: ემოსა სამოსელი მწინკულევანი: **O**, ზაქ. 3,3⁴; ცოდვილი არნ წინაშე ღმრთისა მწინკულევან და სულმყარალ: **მ**. სწ. 57,32.

საწარმოებელი ფუძეა **მწი(6)კულ**, რომელიც უ-მწიკლ-ო-შიც დასტურდება: იყვნეს მკედარნი იგი კაცნი მწიკულნი და ბოროტნი: **Sin-11,143**; გამოჰრცხეს... მწინკული იგი: **I**, ეს. 4.4...

მწიკულ-ში -ულ სუფიქს გამოყოფენ; შდრ. მეგრ. წიკ-უნ-ს „სერის“, წიკვილ „დასერილი“⁵.

სახარულ-ევან:- რომელმან დააშენა ბერწი სახლსა შინა მხიარულად, ვითარცა დედაჲ, შვილთა მიერ სახარულევანი: ფსალ. 112,9 (შდრ. სახარულ ვექმენ მტერთა: **მ**. ცხ. 143)...

ნაკულ-ევან:- არარაჲ უქმს სიბრძნე ნაკულევანსა გონებითა: **O**, ივ. სოლ. 18,2... (შდრ. იშვის კაცი სულელი და ნაკული გონებითა: **მ**. სწ. 310,16)...

-ევან/-იან სუფიქსი არსებით სახელთაგან ზედსართავებს აწარმოებს ყოლა-ქონებისა და თვისების მნიშვნელობით. ამ სუფიქსის დართვა, როგორც წესი, იწვევს საწარმოებელი ფუძის კუმშვას და კვეცას: წამალი — წამლეანი/წამლანი, ნიშანი — ნიშნანი... თიჯა — თიჯიანი და სხვ.

ქეც-ევან — ქერცილიანი: რომელ არიან თევზთაგანნი ანუ არა ქეცევანნი, ანუ არა უქეცონნი: ექუს. დღ. 81,17; შდრ. ვერ მოიღონ ერთი ქეცი ბოლოჲსა მისისაჲ: **M**, იობ. 40,26...

³ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 89.

⁴ ზოგი მაგალითი წარმოდგენილი გვაქვს ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ საილუსტრაციოდ დამოწმებული მასალებიდან. ასეთ შემთხვევაში ძველთა შემოკლებანი დატოვებულია ისე, როგორც ეს ამ ლექსიკონშია გატარებული.

⁵ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 89.



კაშენ-იან — სეგდიანი: სხუა არს სიზმარი მათი და სხუა არს კაშენ-იანთა მათ: გრ. ნოს. კაც. აგებ. 174,4; შდრ. თანა-ლმოზა ფრად აღუსუბუქებს კაშენსა განსაცდელთსა: A—92,261...

ლარ-იან — სიმიანი: გან-მცა-რყუნა გონებამ მჭურვალეებისა შთასადინელ-მან მან ლარეანმან: გრ. ნოს. კაც. აგებ. 227,21; შდრ. კორკი... არს ესე ვითარცა სტკრი, კმისა გამოცემელი ლართაგან: ექუს. დლ. 159,3.

ნიშენ-იან — იყო უნიშნოა იგი ლაბანისა, ხოლო ნიშენიანი იგი იაკობისა: დაბ. 30,42.

ბუგრ-იან — უკუეთუ შუეს ძე ბუგრიანი: pb, ეზეკ. 18,10.

თიჯ-იან — ნახჭნი ფერკთანი არაოდეს თიჯიან ექმნებიან სლვასა მათსა: ხანძთ. კბ₁₃...

-იან და -იან გვხვდება პარალელურადაც ერთი და იმავე ფუძის საწარმოებლად:

წამლ-იან // **წამლ-იან** — დაპყარე მტერსა კრავი კბენილი უწყალოდ კბილთა მათგან წამლეანთა: სას. პოეზ. უგ.; მესროდის ჩუენ მტერი ისრითა მისითა წამლეანითა: მ. სწ. 144,12 — ქუეწარმავალთა წამლიანთა: მ. ცხ. 427.

მარილ-იან // **მარილ-იან** — მარილეან არს ქუეყანა ჩუენი: მ. ცხ. 361 — დეშენოს... ქუეყანასა შინა მარილიანსა: pb, იერემ. 17,6.

თავქედ-იან // **თავქედ-იან** — ვპკურნებდი ოდესმე უძლურსა თავქედენსა (var. თავქედიანსა): გრ. ნოს. კაც. აგებ. 173,23.

-იან // -იან სუფიქსი აღნიშნავს აგრეთვე წარმომავლობას ან ვისიმე მიმდევრობას. ვარაუდობენ, რომ წარმომავლობის გამონატვა ამ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო, საიდანაც შემდეგ განვითარდა გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა⁶.

ქრისტ-იან // **ქრისტ-იან** — ქრისტეანე ვართ: ფლკტ. 148,19; სასოებაჲ ქრისტეანეთა... შეჰვედრა: ხანძთ. გვო — იქმნა იგი ქრისტეანი: შუშ. XI,8.

ავარ-იან — მიკსენ მე... ავარენათგან: სას. პოეზ. შ.

ჰეროდ-იან — მი-ვინმე-ავლინეს მისა ფარისეველნი და ჰეროდიანნი. მრკ. 12,13 (შდრ. ორმაგი წარმოება: მიავლინენს მოწაფენი მათნი ჰეროდეანელთათანა: მ. 22,16).

ქართული -იან // -იან-ის იდენტური საწარმოებელი სუფიქსი სომხურსაც მოეპოვება *იან*-ის სახით, რომელიც *ხან*-ისაგან მომდინარედ ითვლება. იგი რამდენიმე დანიშნულებით იხმარება. ძირითადად არსებით სახელთაგან აწარმოებს ზედსართაუებს რისამე ქონების ან თვისების მნიშვნელობით; მაგ.: *ხრეხყ-იან* (ორენიანი); *ჩხეჩხ-იან* (ხუთფრთიანი), *ხიჯო-იან* (სამტრია-ნი) და სხვ. აღნიშნავს ვისიმე მოძღვრების ან საქმის მიმდევრობას (*ლხიჩ-იან*, *წიჯორ-იან*) და, რაც მთავარია, იხმარება მრავალ გვარის სახელებში ამა თუ იმ ტომისა თუ გვარის შთამომავლობის გადმოსაცემად⁷; მაგ.: *აკა-იან*, *წამხი-იან*, *ჩიხ-იან* და სხვ. ამ ტიპის გვარებში სათანადო სუფიქსი ზოგჯერ შერჩენილია გრაბარისეული მრავლობითი რიცხვის ფორმითაც: *-ხან-ე-*

⁶ ა. შანიძე, ქართული გრაბარისეული საფუძვლები, გვ. 124.

⁷ ლ. ლ. შიქიძე, ლაქიე ხეყიჩ რაიაქინ ჯაყარ (ილინმანაქიეკინ), სერ-ქან, 1955, გვ. 319—320.

(სახ. ბრ.), *-ხან-ყ* (ნათ. ბრ.), მაგ: *ყნან-ხან-ყ—ყნან-ხან-ყ, ჭარყან-ხან-ყ—ღარყან-ხან-ყ—ღარყან-ყან* (შდრ. ქართ. ოთარა--ან(ნ)-ი←ოთარა--რა-ან-ან-ნი-ი←ოთარა-იან-ნი-ი—ოთარა-ან-თ⁸).

ქართული და სომხური სუფიქსების არა მარტო მატერიალური, არამედ ფუნქციური მსგავსება აშკარაა, რამაც ადრევე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ქართველურ სატომო სახელების სტრუქტურის კვლევასთან დაკავშირებით ს. ჯანაშიამ გაარკვია, რომ *-იან* არის ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული სუფიქსი, რომელსაც შემდეგი ფონეტიკური ვარიანტები მოეპოვება: *-ან, -ი-ან, ო-ან, -ო-ვ-ან, -ე-ვ-ან*. მისი პირვანდელი და უძველესი ფუნქციაა კრებითობა, რაც ნათლად ჩანს ქართველურ გვარისსახელებში. ავტორის დაკვირვებით, *-ან* დაბოლოების მქონე გვარები საკმაოდ ძველია (დადასტურებულია XI—XII საუკუნეებიდან) და ყველაზე კარგად სვანეთშია დაცული: მარგველ--ან (ქართ. მარგველაშვილი), ფირცხელ--ან (ქართ. ფირცხელიაშვილი, ფირცხელური), წულუკი--ან (ქართ. წულუკიძე, მეგრ. წულუკია) და სხვ.

ქართულ გვარისსახელებში სათანადო სუფიქსი *-იან* სახითაა წარმოდგენილი: ბაგრატუნ--იან-ი, ავალ--იან-ი, კახ--იან-ი (შდრ. კახაძე, კახაშვილი), ქურდ--იან-ი (შდრ. ქურდაძე), ორბელ--იან-ი (შდრ. ორბელიაშვილი) და სხვ. იგი გამოყენებულია აგრეთვე შტო-გვარისსახელებში, რომელთა წარმოება საყოველთაოდ გავრცელებულია მთელს აღმოსავლეთ საქართველოში: ციცი--იან-ი (ციციშვილები), ჭავახ--იან-ი (ჭავახიშვილები), თარხნ--იან-ი (თარხნიშვილები). დაცულია ერთი ტიპის მეგრულ გვარებშიც, რომლებშიც ბოლოკიდური *-ნ* დაკარგულია: დად--ია (დად--იან-ი), ლიპარტ--ია (ლიპარტ--იან-ი), ჩხეტ--ია (ჩხეტ--იან-ი) და სხვ.

სათანადო მასალის ანალიზის შედეგად ს. ჯანაშია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ *-იან* სუფიქსის ასეთი საყოველთაო გავრცელება და მრავალვარიანტიანობა ქართველურ ენებში მოწმობს, რომ იგი ამ ენების საკუთარი მორფოლოგიური ელემენტია, ხოლო როცა მას ვხვდებით სხვა ენებში, ბუნებრივია, რომ იქ ეს სუფიქსი ქართველური ენებიდან შენაძენად მივიჩნით⁹.

2. ასალთან შედარებით ძველ ქართულში უფრო პროდუქტიული და ცოცხალი მაწარმოებელი ჩანს *-იერ*. იგიც რთული შედგენილობისაა, იშლება ორ ნაწილად: *-ი-ერ*. *-ი* ნარჩენია *-ივ* სუფიქსისა, რომელიც წარმოშობით მოქმედებითის, კერძოდ, მოქმედებითის ერთი სახეობის (დაწყებითის) ნიშნად არის მიჩნეული ისეთი ტიპის სახელებში, როგორიცაა ღმრთივ¹⁰; მაგ.: ღ მ რ თ ი ვ აღწერილნი: სას. პოეზ. რკთ; თქუენ თვთ ღ მ რ თ ი ვ-სწავლულნი ხართ: I თეს. 4,9 (შდრ. იყენენ ყოველნი ღ მ რ თ ი თ სწავლულ: ი. 6,45)... პური ნაყოფისა ქუეყანისა შენისაჲ იყოს მ ა ძ ღ რ ი ვ და პოხილ: ეს. 30,23; შეემოსა არდაგი შ ი შ უ ლ ი ვ: მრკ. 14,51.

-ივ გამოყენებულია აგრეთვე სახელის საწარმოებელ ელემენტად (ქურ--ივ-ი←ქმრ--ივ-ი)¹¹ და ოდენ-ხმოვნის სახით დასტურდება ზოგი ზმნიზედის

⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

⁹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, III, თბილისი, 1959, გვ. 34—47.

¹⁰ H. Schuchardt, Über das Georgische, W.en, 1895, გვ. 14; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 76; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება... გვ. 91.

¹¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 148.



შედგენილობაში: ძნ-ი-ად—ძნ-ივ-ად, მრგულ-ი-ად—მრგულ-ივ-ად, ად—უნებლ-ივ-ად და სხვ.¹²

-იერ ერთ-ერთი ძველი სუფიქსთაგანია. იგი დაცულია არქაული ტიპის ზნიზედებსა და თანდებულებში: ამ-იერ, მაგ-იერ, იმ-იერ, მ-იერ, მუნ-იერ, რომლებშიც ამ, მაგ, იმ, მ, მუნ ნაცვალსახელურ-ზმნიზედური ფუძეებია.

-იერ სუფიქსიც ძირითადად არსებით სახელთაგან ზედსართავებს აწარმოებს. მისი დანიშნულებაა აღნიშნოს რისამე მქონეობა-შემცველობა ან წარმომავლობა. ზოგ სახელში ეს ფუნქცია ძვ. ქართულშივე დაჩრდილული ჩანს.

მანკ-იერ-: იყო ვინმე კაცი წყლითა მ ა ნ კ ი ე რ ი: DE, ლ. 14,2.

ფას-იერ-: რამეთუ იყო იგი ფ ა ს ი ე რ ფრიალ: C, მ. 19,22.

გონ-იერ-: ესმსგავსოს იგი კაცსა მას გ ო ნ ი ე რ ს ა: მ. 7,24.

ნივთ-იერ-: შეეზავა აგებულებასა ნ ი ვ თ ი ე რ ს ა: სას. პოეზ. პდ.

ნაყოფ-იერ-: იყო იგი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ფრიალ: C, მრკ. 10,22.

ძლ-იერ-: რომელი იყო... ძ ლ ი ე რ ი საქმითა და სიტყვითა: ლ. 24,19.

ტყავ-იერ-: ჭურჭელსა შინა ტ ყ ა ვ ი ე რ ს ა: G, ლევიტ, 13,52.

ოფლ-იერ-: ვითარცა ცხენმან ო ფ ლ ი ე რ მ ა ნ: I, იერემ. 8,6.

ნებ-იერ-: იყენეთ თქუენ ქუეყანა ნ ე ბ ი ე რ: O, მალ. 3,12.

მატყლ-იერ-: არს ძმაჲ ჩემი მ ა ტ ყ ლ ი ე რ: Ath — 11,235 (შდრ.

კაცი მ ა ტ ყ ი ე რ: O, IV მგ. 1,8).

ფხ-იერ-: ფ ხ ი ა ნ ი: იხილვებინ... თესლით ფ ხ ი ე რ ა დ: გრ. ნოს. კაც. აგებ. 217,21.

შვილ-იერ-: შ ვ ი ლ ი ე რ ვიქმნე მეცა მისგან: დაბ. 30,3.

ცოლ-იერ-: ც ო ლ ი ე რ ი კაცი მარადის ჳირსა და ურვასა შინა არს: მ. სწ. 120,32.

ნაშობ-იერ-: პირუტყუნიცა ნ ა შ ო ბ ი ე რ არიან წინაშე შენსა: ღთშ. შობ. 185,17.

დასაბამ-იერ-: დ ა ს ა ბ ა მ ი ე რ იქმნა დაუსაბამოჲ: სას. პოეზ. ნა...

-იერ სუფიქსი საწარმოებლად იყენებს აგრეთვე ზმნათა ფუძეებს. ამგვარად წარმოქმნილ ზედსართავთან ზოგი არსებით სახელადაა ქცეული ან არსებითი სახელის ფუნქციითა ნახმარი: მაგ:

შუენ-იერ-: რომელნი გარეშე ჩანედ... შ უ ე ნ ი ე რ: მ. 23,27; შ უ ე ნ ი ე რ იყო პირითა ფრიალ: დაბ. 24,16 (შდრ. შ უ ე ნ ი ს ჩუენდა აღსრულებად ყოვლისა სიმართლისა: C, მ. 3,15).

მში-იერ-: ოდეს გიხილეთ შენ მ შ ი ე რ ი და გამოგზარდეთ? მ. 25,37 (შდრ. რამეთუ მ შ ი ო დ ა, და მეცთ მე ჳამადი: იქვე, 25,35).

ლმობ-იერ-: და ლ მ ო ბ ი ე რ თ ა ისმინეთ: ეს. 21,10; მიეცემის ღწნოჲ სუმაღ ლ მ ო ბ ი ე რ თ ა: O, იგ. სოლ. 31,6 (შდრ. ე ლ მ ო დ ა უფროს-ლა სიტყვსა მისთჳს: საქ. მოციქ. 20,38).

მეცნ-იერ-: იყენით თქუენ მ ე ც ნ ი ე რ, ვითარცა გუელნი: მ. 10,16.

მაქუს-იერ-: ჳირვეულთა შეეწიე და სნეულთა მიჳხედე შენ, რომელი-ეგე ცოცხალ ხარ და მაქუსიერ ხარ: მამ. სწ. 174,24 (მაქუსიერი=მქონე-ბელი).

ჳორციელ- (—ჳორცი-იერ): სიტყუაჲ იგი ჳორციელ იქმნა: ი. 1,14; გა-

¹² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 91—92.

ქუნდა სიმაღლედ კორციელი: სას. პოეზ. ლ; იხილა თავი თვის კორციელად: ხანძთ. 261.

ქმრ-იელ-(—**ქმრ-იერ-**): უმრავლეს არიან ნაშობნი ბერწისანი მის უფროას ქმრიელისა მის: იბ. რომ.-კურთხ. მოს. 138,5.

რამდენიმე სახელში **-იერ** სუფიქსის წინ დაჩნდება ხოლმე ნარი, რომელიც ზოგან შეიძლება ამოსავალი, წარმოსაქმნელი ფუძიდან იყოს გადმოსული, ზოგან კი ასეთი რამ თითქოს გამორიცხულია.

კადნ-იერ-(—***კადრ-იერ**)¹³: კადნიერ იყვენით! მე ვარ, ნუ გეშინი! მ. 14,27 (მდრ. ვერვინ... იკადრებდა კითხვად მისა: C, ი. 21,12).

წადნ-იერ-(—***წადინ-იერ-**): წადნიერად ერჩინ მას: C, მრკ. 6,20 (მდრ. მრავალი ერი ისმენდა მისა წადიერად: იქვე, 12,37),

ფაჩუნ-იერ-: ესავ, ძმაჲ ჩემი, არს ფაჩუნიერ და მე კაც წყალთუ: დაბ. 27,11; არა უჭამნეთ... ფერჭფაჩუნიერი და მაჩვ: G, II შჯ. 14,7).

ფაშუნ-იერ-//**ფუშნ-იერ-**: ფაშუნიერთურთ მისით დიწუეს: pb, რიცხ. 19,5... ზუარაკიოგი და ტყავი მისი და ყოველი კორცი მისი და ფუშნიერი მისი დაწუეს ცეცხლითა: ლევიტ. 8,17...

წესნ-იერ-: მონაზონი ვინმე შეემთხვა გზასა ზედა წესნიერსა და მიუქცია გზისაგან: მ. ცხ. 124.

სმნ-იერ-: თანა-წარიბა მან ზუარაკი ერთი სმნიერი: O, I მფ. 1,24 (სმნიერი — სამი წლისა).

-იერ სუფიქსით წარმოქმნილი ზედსართავებისაგან **-ეზა-**სა და ზოგჯერ **-ობა-**ს დართვით იწარმოება ერთი წყება განყენებული სახელებისა; მაგ.: გული მათი დამალეს გონიერებისაგან: იობ. 17,4; ივანი აღივსნეს მანკიერებითა: ლ. 6,11; ეზა სახიერებაჲ შემოქმედისაჲ: სას. პოეზ. მდ; მომიტევე მე კადნიერებაჲ: იქვე, ქზ; დაავიწყოს ნაყოფიერებაჲ იგი მიძღრობისაჲ: დაბ. 41,30... გულისხმებრობაჲ... განსაკვრვებელი იყო ფრიად: ხანძთ. 269.

ზემოთ დასახელებულ **-იერ** სუფიქსით ნაწარმოებ სახელთა დიდი ნაწილი ამ სახითვე შემორჩა ახალ ქართულში (გონიერი, სულიერი, სიტყვიერი, გულისხმიერი, ნაყოფიერი, ძლიერი, ღმობიერი, მეცნიერი, მშვიერი, წესიერი და სხვ.), ზოგის წარმოება კი შეიცვალა, კერძოდ, **-იერ** სუფიქსის ადგილი რამდენიმე სახელში **-იან-**მა დაიკირა (შვილიერი — შვილიანი, ცოლიერი — ცოლიანი, ფასიერი — ფასიანი, ფხიერი — ფხიანი, ტყავიერი — ტყავიანი, ოფლიერი — ოფლიანი, მატყლიერი — მატყლიანი).

3. **-ოვან** რთული შედგენილობის სუფიქსია, გამოიყოფა **-ოვ-** და **-ან**¹⁴. **-ან** იგივე ელემენტია, რაც გვაქვს **-ე-ან/-ი-ან**, **-ოს-ან-**ში, **-ოვ-**ს კი მოვბოვება **-ევ-** და **-ივ-** ვარიანტები რთულ **-ევ-ან** და **-ივ-ერ** (—**-ი-ერ**) სუფიქსებში, ყოლა-ქონების აღმნიშვნელ სუფიქსთაგან **-ოვან** ახალ ქართულში არაპროდუქტიულია (გამოყენებულია რამდენსამე სახელში), ძველ ქართულში კი ამ სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები საკმაოდ ბევრია. იგი აწარმოებს არსებით სახელთაგან ზედსართავებს, რომლებიც მეტწილად არსებითის ფუნქციით იხსარებიან.

¹³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 125.

¹⁴ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 89, 91.



-ოვან-ის ძირითადი მნიშვნელობა იგივეა, რაც -იან სუფიქსისა. ვეზბა მხოლოდ ისაა, რომ ესენი სათანადო სახელებს სხვადასხვა ფუძისაგან აწარმოებენ.

კეთრ-ოვან-: მოეგებოდეს მას ათნი კეთროვანი კაცი: DE, ლ. 17,12 — და იყოს ვარსსა ზედა ფერისა მისისასა მიხებაჲ კეთრისაჲ: G, II შჯ. 13,2.

ცომ-ოვან-: რომელმან ჭამოს ცომოვანი, აღიკოცოს სული იგი: გამოსლ. 12,19 — ეკრძალებით ცომისაგან: მრკ. 8,15.

ნერგ-ოვან-: ყოველი ბორცუნი ნერგოვან იყვნენ: O, ამოს. 9,13 — ყოველი ნერგი, რომელი არა დაჰნერგა მამამან ჩემმან: მთ. 15,13.

ჰასაკ-ოვან-: ვიხილე კაცი ერთი ჰასაკოვანი: პოვნა სტეფ. 499 — ჰასაკითა იყო მცირე: ლ. 19,3.

ჭურღლ-ოვან-: აღმოთხარეს... ჭურღმული ჭურღლოვანი: O, იერემ. 2,13 — მელთა ჭურღლი უჩნს: ლ. 9,58.

სახელ-ოვან-: ვარ მე ჰაბუკ სახელოვან: ხანძთ. იბ17 — მოეც ამას სახელი კეთილად: იქვე, კი13.

ცმელ-ოვან-: და შეიცვალეს ცმელოვანი იგი, რომელ გამოიღეს ეგვიპტით: გამოსლ. 12,39 — მოიღონ ცმელი იგი: O, ლევიტ. 3,3.

სუმურ-ოვან-: მისცეს მას სუმუროვანი ღვნოა: C, მრკ. 15,23.

მთელ რიგ ნაწარმოებ სახელებში -ოვან სუფიქსი მქონეობის აღნიშვნასთან ერთად ადგილზედაც მიუთითებს: ვენაკოვანი — ვენახიანი ადგილი, კლდოვანი — კლდინი ადგილი და ა. შ.

ვენაქ-ოვან-: ეგრძთ ჰყო ვენაკოვანი შენი და ღელოვანი შენი: გამოსლ. 23,11 — იქმოდე ვენაკსა ჩემსა: DE, მთ. 21,28.

ნიგუზ-ოვან-: მტილსა ნიგუზოვანსა შთაკედ: O, ქება, 6,10 — არგანსა ნიგუზისასა ვხედავ მე: O, იერემ. 1,11.

სხალ-ოვან-: დააცადენ იგინი მახლობელად სხალოვანსა: M, I ნშტ. 14,14 — რაჟამს ვესმეს კმაჲ ძრვისაჲ მწუერვალთა მათ სხალისათაჲ: I ნშტ. 15,13.

ბროწეულ-ოვან-: ქუეყანასა... ვენაკოვანსა და ლელოვანსა და ბროწეულოვანსა: M, II შჯ. 8,8 — ვითარცა ყუაველი ბროწეული: ეზეკ. 19,10.

ქუაბ-ბოვან-: გვჩუენებენ ჩუენ ადგილნი თხელნი ქუაბოვანი: ბ. კეს. ექუს ღლ. 61,13 — გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა: მთ. 21,13.

ხმოვნით დაწყებული -ოვან სუფიქსის დართვის გამო ადგილი აქვს წარმოსაქმნელად გამოყენებული სათანადო ფუძეების როგორც კუმშვას, ისე კვეცას.

ღერწამ — ღერწმ-ოვან-: რაჟსა გამოხუედით ხილვად უდაბნოდ ღერწმისა: ლ. 7,24 — განკმენ... ყოველი მწუანოვანი ღერწმოვანისაჲ და ქილისაჲ: ეს. 19,6.

ფურცელ — ფურცლ-ოვან-: იხილა ლედვ, რომელსა ესხა ფურცელი: DE, მრკ. 11,13 — იხილა შორით ლედვ ფურცლოვანი: C.

ქვშა — ქვშ-ოვან-: აღაშენა სახლი თვისი ქვშასა ზედა: მთ. 7,26 — წარვიდა... ადგილსა ქვშქოვანსა: რიფს. 174,4.

თივა — თივლ-ოვან-: იყო თივა ფრიად: DE, ი. 6,10 — იყო დიდად თივლოვან ადგილი იგი: C.

საწარმოებელი ფუძეა თივა (=ნედლი ბალახი). თივლოვან-ში -ოვან სუფიქსის წინ ლ შესაძლოა -ალ- დეტერმინანტისეული იყოს.

მკცე — მკცე-ოვან-: სპეტაკთა მავათ მკცეთა შენთა პატივ-სცემს: მ. სწ. 255,1 — სწავლისათჳს... მკცოვანისა გარდასრულისა: O, ზირ. 42,8.

ზღუდე — ზღუდე-ოვან-: ზღუდჳ გარე მოსდვა მას: DE, მთ. 21,33 — იუდა განიბრავლა ქალაქები ზღუდოვანი: O, ოვსე. 8,14.

ფრთე — ფრთ-ოვან-: მოჰკუეთა ფრთჳ ერთი: O, I მფ. 24,5 — მსგავსად ყოვლისა მფრინველისა ფრთოვანისა: M, II შჯ. 4,17.

ოლე — ოლ-ოვან-: ვითარცა მახჳ განმართებული ოლეთა ზედა: O, ოვსე. 5,2 — რომელნი მიისწრაფიედ მღნართა და ოლოვანთა: გრ. ნოს. კაც. აგებ. 146,4.

კლდე — კლდე-ოვან-: რომელმან აღაშენა სახლი კლდესა ზედა: მთ. 7,24 — რომელი-იგი კლოვანსა დაეთესა: იქვე, 13,20.

ღელე — ღელ-ოვან-: ესე ყოველი შეითქუნეს ღელესა მას: დაბ. 14,3 — რომელ არს ღელოვანსა მას: იქვე, 23,2.

სუფიქსისეულ ო-სთან მეზობლობაში ზოგჯერ იკარგება ფუძისეული უმარცვლო უ-ც:

ნესუ — ნეს-ოვან-: ვჰამდი... ნესუსა და პრასასა და ხახუსა და ნიორსა: G, რიცხ. 11,5 — დაშეთს... ვითარცა ხილის-საცავი ნესოვანსა: O, ეს. 1,8.

ბორცუ — ბორც-ოვან-: ბორცუნი დამდაბლდენ: ლ. 3,5 — იქეოდა იგი ბორცოვანსა მას: ლიმ. 119,28.

ღელუ — ღელ-ოვან-: ჰრქუათ ლელუსა ამას: C, ლ. 17,6 — მოჰამენ ვერაქნი თქუენნი და ლელოვანი თქუენი: I, იერემ. 5,17.

ნაძუ — ნაძ-ოვან-: მოსცა ძელი ნაძუსაჲ: M, I ნშტ. 14,1 — გამოვიდა მოწაფეთა მისთა თანა წილ ჴეცხა მას ნაძოვანსა: DE, 18,1...

ღვრღუარ-//ღირღუარ-ღვრღლ-ოვან-//ღირღლ-ოვან-. საწარმოებელ ფუძეებს ღვრღუარ, ღირღუარ (=ოდრო-ჩოდრო) -ოვან სუფიქსის დართვის გამო ერთდროულად ორგვარი ფონეტიკური პროცესი (ჴა კომპლექსის დაკარგვა და რ-ს დისიმილაცია) განუცდიათ: იყენენ ღვრღლოვანი გზად წრფელად: C, ლ. 3,5; სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ... არა არს, არცა იქნების ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ დადოთაჲსა: ხანძთ. იან; შდრ. და იყოს ღვრღუარეზი ველეზად: I, ეს. 40,5; არღარაჲ სავნებელი იყოს... არცა ღირღუარი და არცა კლდოვანი: მ. სწ. 125,10.

ფონეტიკური ცვლილება მოუღის საწარმოებელ სუფიქსსაც. ზოგჯერ ო-ს შემდეგ იკარგება ვ, ზოგჯერ კი (ნაწარმოები სახელის ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში) რედუქციას განიცდის სუფიქსისეული -ა-; მაგ.:

მაყულ-ოან-: ვითარმედ მაყულოანსა აღატყდების ცეცხლი: გამოსლ. 3,2.

ცომ-ოან-: ყოველივე ცომოანი არა შჰამოთ: იქვე, 12,20.

სახელ-ოან-: გყონ შენ სახელოან და საქადულ: G, II შჯ. 26,19.

ფინიკ-ოან-: შემოუგდე წყალი სარწყავი ფინიკოანსა: მ. ცხ. 76.

ბიც-ოან-: დეუშნოს იგი ბიცოანსა ქუეყანასა: O, იერემ. 17,6.



ზნ-თან-: იქმნა კარული იგი ზნოანი უზნო: Sin. — 6,85 (მდრ. უკუეთუ შეიცვალოს მაგან ზნს თვისი: იქვე, 6,86).

ზღულ-თან-: აღაშენა ქალაქები ზღულოანი ურისტანს: M, II ნშტ. 11,5...

მიწ-ოვან-ისა: განვანეთ იგი მატლისა მისგან მიწოვანისა: უმ. XIX,5.

მდელ-ოვან-ად: მდელოვანად ველად... განვიდა: O, სიბრ. სოლ. 19,7...

-ოვან სუფიქსით წარმოქმნილი ბევრი სიტყვა ფუძედ არის გამოყენებული აბსტრაქტული სახელებისათვის. ასეთი სახელები ჩვეულებრივ იწარმოება -ება სუფიქსით, რომლის დართვა ხან იწვევს -ოვან-ის ახმოვნის რედუქციას და ხან არა: მესხულად განუშორება კეთროვნება იგი მისგან: ლ. 5,13; ხოლო მკცოვანება არს გონიერება კაცისად: ხანძი: 842; აპაესერა დედაკაცი ვინმე, რომელსა დაეყო წიღოვნებასა შინა ათორმეტი წელი: მ. 9,20; აქუნდა გუამოვნებისა იგი ხატი: სას. პოეზ. რბ; სახელოვნება დაუტეოს: O, ზირ. 39,15; შესწვ ეკლოვანება მწვალებელთა: სას. პოეზ. რლბ.

-ოვან და -ეან//-იან სუფიქსთა მსგავსი ფუნქციური დანიშნულებისა და შემადგენელი -ან ელემენტის იგივეობის გამო გვხვდება შემთხვევები, როცა ესენი თანაბრად (პარალელურად) აწარმოებენ სახელებს ერთი და იმავე ფუძისაგან.

ოქრ-ოვან- — ოქრო-ევან-//ოქრ-ევან-(—ოქრო-ევან-): ფესუდითა ოქროვანითა შემკულ არს: ფსალ. 44,14 — სიტყვა შენითა ოქრევანითა ოქრევან ჰყვენ მორწმუნეთა სულნი: სას. პოეზ. რლე (მდრ. ვიხილე სასანათლშ ოქროისა: O, ზაქ. 4,2).

მეფხან-ოვან — მეფხან-იან-: კორცნი მისნი მეფხანოვან იქმნეს: Sin. — 11,326 — ანუ მღიერთანი ანუ მეფხანიანი არა მოიყვანნეთ: (ზ, ლევიტ. 22,22 (მდრ. კაცი, რომლისა თანა იყოს... მღიერი ძნელი ანუ მეფხანი: იქვე, 21,20).

მარილ-ოვან- — მარილ-ევან — მარილ-იან-: დაეშენოს იგი... ქუეყანასა მარილოვანსა: O, იერემ. 17,6 — მარილევან არს ქუეყანა ჩუენი: მ. ცხ. 361 — უმგბარი იყვის ან უუმარილო ანუ მარილიანი: ი.—ე. 37,13.

4. -ოხან სუფიქსის ხმარების არე ძველ ქართულშიც შეზღუდულია, მაგრამ ახალ ქართულთან შედარებით იგი უფრო ხშირად გვხვდება. ერთი წყება წარმოქმნილი სახელებისა ამ სუფიქსით თანამედროვე სალიტერატურო ენაში სულ აღარ იხმარება, ზოგ სახელში კი -ოხან სუფიქსი -იან-მა შეცვალა.

წათ-ოხან-: (მოვიდა) ერი მახლოსანნი და წათოსანნი: C, მ. 26,47; მივიდა კაცებითა წათოსნებითა: თეკლა, 99,13 — მოვკლა ვეშაბი იგი თვნიერ მახლისა და წათისა: O, დან. 13,25.

მახლ-ოხან-: დადგეს... ოთხასი ათასი კაცი მკვრცხლი მახლოსანი: მსაჯ. 20,2 — უწყალო არს გულის-წყრომა და მახლრისხვა: O, იგ. სოლ. 27,4.

ლახურ-ოხან-: მშლდოსანნი და ლახუროსანნი ურიდ არიან: O, იერემ. 50,42 — მოუღო ლახუარი და მოკლა იგი ლახურითავე მისითა: M, I ნშტ. 11,23.

ცულ-ოსან-: ც უ ლ ო ს ა ნ ნ ი მოუტდენ მას, ვითარცა მკაფელნი ხისანი: O, იერემ. 46,22 — ც უ ლ ი ძირთა თანა ხეთასა ძეს: მთ. 3,10.

შურდლ-ოსან-: ესე კაცნი შ უ რ დ ლ ო ს ა ნ ნ ი: G, მსჯ. 20,16 — ვინ შთადგის ქვაჲ შ უ რ დ უ ლ ს ა: O, იგ. სოლ. 26,8.

ფი-ოსან-: მრავალნი ფ ი ჩ ო ს ა ნ ნ ი... მონაზონნი ჩამოიტანნა: ი.—ე. 20,20 — ფ ი ჩ ჯ დაჰბურიაან პირსა მისსა: მრკ. 14,65...

-ოსან-ი აღნიშნავს რისამე მატარებელს ან რისამე მქონებელს. ქონების სახელებს აწარმოებს **-ოვან-**იც, ოღონდ ერთსა და იმავე ფუძეზე დართვისას ეს ორი სუფიქსი სხვადასხვა შინაარსობლივ ცვლას იწვევს. მაგალითად, მწ უ ა ნ ო ს ა ნ ი მწვანით მოსილხ აღნიშნავს. მ წ უ ა ნ ო ვ ა ნ ი კ ი — მწვანაან. მწვანით დაფარულ ადგილს; მაგ.: და ერქუა ერთსა მას კრებულსა მ წ უ ა ნ ო ს ა ნ: H—341, 617 — მე შეგიყვანო მ წ უ ა ნ ო ა ნ ს ა სამოთხისასა: ნ. სწ. 141,18; შდრ. აგრეთვე: მიუთუალეს იკონომოსსა ლავრისასა, რომელ არს ქ ე ლ ო ს ა ნ ი: იქვე, 177 — არა ესმინ მას კმაჲ მსახრვალისა ქ ე ლ ო ვ ნ ი ს ა ა: ფსალ. 57,6...

ხმარების თვალსაზრისით, როგორც ცნობილია, ენაში განასხვავებენ ცოცხალ და მკვდარ აფიქსებს. ცოცხალია აფიქსი, რომლის ფუნქცია და მნიშვნელობა ნათელი და გასაგებია, იხმარება რეგულარულად და ადვილად გამოიყოფა ფუძის შედგენილობაში. მკვდარია აფიქსი, რომელიც მნიშვნელობის დაკარგვისა და ხმარების შეზღუდვის გამო მარტივ ფუძეს შეეზარდა, ამჟამად მაწარმოებელ აფიქსად აღარ აღიქმება და მხოლოდ ისტორიული ანალიზის შედეგად შეიძლება მისი გამოყოფა¹⁵.

ყოლა-ქონების აღმნიშვნელ სუფიქსთაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მკვდარ სუფიქსად ითვლება, მაგალითად, **-ედ**, რომელიც ძველი ქართულიდან შემორჩენილ რამდენიმე სახელშიდა იხმარება გაქვავებული სახით: შარავანდ-ედ-ი, ვარსკვლავ-ედ-ი და სხვ. რაც შეეხება ისეთ სახელებს, როგორიცაა უჯრ-ედ-ი (ფუძე არაბულიდანაა ნასესხები: ჰუჯრა)¹⁶ ჰუჯარ-ედ-ი, თარო-ედ-ი და სხვა, მათში **-ედ** სუფიქსი ახლად არის ხელოვნურად გაცოცხლებული.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ **-ედ** სუფიქსი **-იან-**ის მაგივრად ფართოდ აქვს გამოყენებული სულხან-საბა ორბელიანს სიტყვათა განმარტებისას გამოთქმებში¹⁷, მაგრამ ეს წმინდა მწიგნობრულ მოვლენად არის მიჩნეული, რადგან საბას დროსაც **-ედ** არაპროდუქტიული სუფიქსი იყო¹⁸.

ძველ ქართულში **-ედ** არ არის მკვდარი სუფიქსი, მაგრამ მსგავსი ფუნქციის მქონე სხვა სუფიქსებთან შედარებით იგი სპორადულად იხმარება, ზოგ სახელში კი გაქვავებული სახით გვევლინება.

-ედ სუფიქსი სალიტერატურო ენაში შემონატანი ჩანს ქართულის ძირითადი და მასაზრდოებელი დიალექტიდან. იგი ერთ-ერთი უძველესი სუ-

¹⁵ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 245.

¹⁶ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 126.

¹⁷ „ტაბლა ფიცრის სუფრა ფეკელი“ (ფ ე ქ ე დ ი — ფეხებიანი). „ფიჩხი შტოედი შეშა“ (შ ტ ო ე დ ი — შტოებიანი). „ფურცხვი ესე არს კავოედი რკინა ქვაბით კორცთა ამოსალე-ბელი“ (კ ა ვ ო ე დ ი — კავებიანი) და სხვ.

¹⁸ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 98; მ ი ს ი ე ვ, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მთი ისტორიული ურთიერთობა ქართულში: იკე, XIX, 1974, გვ. 70.



ფიქსთაგანია. მისი სიძველის მანიშნებელია ისიც, რომ გენეტურად და თავდაპირველი მნიშვნელობითაც -ედ ამოსავალ სახეობად შეიძლება მივიჩნიოთ ადგილის სახელთა საწარმოებელი -ეთ სუფიქსისა: ტბ-ეთ-ი=ტბიანი ადგილი, თელ-ეთ-ი=თელიანი და სხვ.¹⁹

-ედ სუფიქსი საწარმოებელ ელემენტად გვხვდება როგორც არსებით სახელებში, ისე ზედსართავეებში. ჩვეულებრივ აღნიშნავს იმას, რასაც -იან სუფიქსი.

კარვ-ედ-ი კარვიანი, დახურული: მოიხუნს... ექუსი ურემი კარვედი: G, რიცხ. 7,3 — ვინ დაეშენოს კარავსა შენსა: ფსალ. 14,1.

ფრთე-ედ-ი ფრთებიანი: შევმუსრო სახლი იგი გარემო ფრთეედი სახლსა ზედა საზაფხულოსა: O, ამოს. 3,15 — დაადგინა ფრთესა მას ზედა ტაძრისასა: ლ. 4.

ქორ-ედ-ი ზედსართულიანი: განუმზადა უფალსა წინადლით სახლი ქორედი: Ath. — 11,97 — გიჟუნოს თქუენ ქორი დაგებული, დიდი: ლ. 22,12.

შარავანდ-ედ-ი გვირგვინიანი, გვირგვინოსანი მეფე: თქუენ და შარავანდედი თქუენი წარსწყმდეთ: O, I მფ. 12,25 — დაადგნა შარავანდნი სადედოფლონი თავსა მისსა: O, ესთ. 2,17.

ვარკულავ-ედ-ი ვარსკვლავიანი, ღილებიანი: სამოსელი იგი ვარსკულავედი დაიბო: O, II მფ. 13,19 — ვიხილეთ ვარსკულავი აღმოსავალით: მთ. 2,2.

ჯაჭუ-ედ-ი ჯაჭვიანი, ჯაჭვიანი: ქმნა ჯაჭუენი ბადის სახედ გარდამოტევივებულად: M, II ნშტ. 3,16 — ვერცა ჯაჭვთა ვერღარავინ უძლის შეკრვად მისა: მრკ. 5,3.

ბორჯღლ-ედ-ი კაპებიანი: მეფე გაისაჲ დამოკიდეს ძელსა ბორჯღლედსა: M, ისუ ნ. 8,29.

ყბ-ედ-ი ყბიანი²⁰. მსგავს არს ჯელმწიფებამ ესე ცოდვათჲ ცხენსა ყბედსა, რომელი უკუმართ ზიდავენ: Ath. — 11,274 — მისცე მღდელსა მკარი და ყბანი: G, II შგ. 18,3.

ფესუ-ედ-ი ფესვიანი: ფესუედითა ოქროვანითა შემკულ არს და შემოსილ: ფსალ. 44,14 — რაათა შეხოლო-ახოს ფესუსა სამოსლისა მისისასა: მთ. 14,36.

ორსართულ-ედ-ი: ორსართულიანი: ნესტუები იგი ქმნის ერთმანეთსა ზედა ორსართულედად: ექუს. ლ. 114,2.

კამარ-ედ-ი კამარიანი, თალიანი: აღზურთნებოდა იგი კამარედად: ლომ. 19,18 — რომელმან აღმართნა ცანი ვითარცა კამარანი: I, ეს. 40,22.

ეზო-ედ-ი ფარდიანი, გალავნიანი: და კარავი იგი ჰქმნენ ათ ეზოდად: გამოსლ. 26,1 — ხუთ ეზოდ იყო: C, ი. 5,2.

-ედ სუფიქსი დასტურდება აგრეთვე კბოვრ-ედ-ში, რომელიც ათონის ქართველთა მონასტრის აღაპებში (№ 76) გვხვდება: ამან გიორგი შემოწირნა ფურნი სამნი კბოვრედნი²¹. ა. შანიძის განმარტებით, კბოვრ-

¹⁹ არნ. ჩიქობავა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში, გვ. 70, 75.

²⁰ არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 245.

²¹ ვიშოწმებთ ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლების“ მიხედვით, გვ. 97.

დი ხბოიანს ნიშნავს. მისი აზრით, ძველად ენაში უნდა არსებულიყო პარალელური ფუძეები: **კბო** და **კბოვარ**. ეს მეორე ფუძე შემონახული ჩანს ხბორ-ებ-ში (ა-ს რედუქციით და ვ-ს დაკარგვით)²².

სხვა მაწარმოებლის მსგავსად -ედ სუფიქსიც იწვევს მარტივი საწარმოებელი ფუძის კუმშვასა და კვეცას: კარავი — კარვ-ედ-ი, კბოვარი — კბოვრ-ედ-ი... კამარა — კამარ-ედ-ი; შდრ. ფრთე — ფრთე-ედ-ი.

-ედ მაწარმოებელი, როგორც ცნობილია, მიმღობასა და სხვა სახელებშიც გამოიყოფა²³, მაგრამ ამ შემთხვევაში მას სხვა დანიშნულება აქვს:

მო-რბ-ედ-ი მორბენალი, ნაწარმოებია რბ(რბ-ი-ს) ზმნური ძირისაგან: მორბედ იქმენ გზასა ზეცისასა: სას. პოეზ. რლ; დღენი და დამენი მოსწრაფედ მორბედ არიან დაკლებისათვის ცხორებისა ჩუენისა: მამ. სწ. 253,4... შეძრწუნდა მარჯუენე დიდისა წინამორბედისაჲ: სას. პოეზ. რგ; თანამორბედ ექმნეს მადლსა მას: კ. იერ. ნათლ. 84,10...

მო-ქმ-ედ-ი საქმის ჩამდენი, მუშავი, ნაწარმოებია ქმ(ი-ქმ-ს) ზმნური ძირისაგან: მივედ ფუტკრისა და ისწავე, ვითარ-იგი მოქმედ არს: O, იგ. სოლ. 6,8; მისცა იგი ქუეყანის მოქმედთა: DE, მრკ. 12,1; მოუვლინა მას... მოქმედნი ქვისანი: O, II მფ. 5,11...

მო-რცხუ-ედ-ი მორცხვი: მადლი მადლისა ზედა — დედაკაცი მორცხუედ: ზირ. 26,19; შდრ. მორცხუესა წინა უძღვნ მადლი: O, ზირ. 35,13...

შემოკლებათა განმარტება

ბიბლია, ძველი აღთქმა²⁴:

G — გელათის ბიბლია, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტიტ. A—1108 და Q—1152 ხელნაწერები.

I — იერუსალიმის, ბიბლია, იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 7/11 ხელნაწერები.

M — მცხეთის ბიბლია, ხელნაწერთა ინსტიტუტის A—51 ხელნაწერი.

O — ოშკის ბიბლია, ათონის ივერიის მონასტრის ქართული კოლექციის № 1 ხელნაწერი.

Pb — ბაქარის ბიბლია, ქართული ბიბლიის 1743 წლის გამოცემა.

ოთხთავი — ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1945. შთ. — სახარებაჲ მათში. მრკ. — სახარებაჲ მარკოზისი. ლ. — სახარებაჲ ლუკასისი. ი. — სახარებაჲ იოვანშისი.

გრ. ნოს. კაც. აგებ. — თქუშული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ ებისკოპოსისაჲ კაცისა შესაქმისათვის: უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაისა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“, X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1964.

ექუს. დღ. — ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთა: უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაისა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“, X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1964.

²² ა. შანიძე, დსახ. ნაშრ., გვ. 97.

²³ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 98.

²⁴ დამოწმებულია ძირითადად ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ შეტანილი მასალების მიხედვით. ძველთა შემოკლებანი დატოვებულია ისე, როგორც ეს ამ ლექსიკონშია გატარებული.

8. მაიენი, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 1



- თეკლა — წამებად წმიდისა თეკლასი: ილია აბულაძე, ქართულ-სომხურ-გერმანულ-გვიური შტუდები. „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო, III: ენიშვის მოამბე, VIII, თბ., 1940.
- I თეს. — თესლონიკელთა მიმართ ეპისტოლე...: კათოლიკე ეპისტოლენი: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1955.
- ი. — ე. — ცხორებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი: გიორგი მთაწმიდელი, ცხორებად იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა; გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთჳმეს ცხორების მიხედვით ა. შანიძისა, თბ., 1946.
- ლიმ. — იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1960.
- მ. სწ. — მამათა სწავლანი, X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955.
- მ. ცხ. — მამათა ცხორება: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—1105 ხელნაწერი.
- სახ. პოეზ. — პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, VIII—X საუკუნეები, ტფილისი, 1913.
- ფლკტ. — წამებად წმიდისა ფილეკტიმონისი: კიმენი, I, კ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფილისი, 1918.
- შუშ. — წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა: იაკობ ცურტაველი, მარტვლობად შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ, თბ., 1938.
- ხანძთ. — შრომად და მოღვაწეებად ღირსად ცხორებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა, ხანძისა და შატბერდისა აღმაშშენებლისა, და მისი თანა კსენებად მრავალთა მამათა ნეტართა: H. Марр, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, 1911.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

გიორგი ცოცანიძე

პრეპერატივის შე- და შა- დიალექტური ვარიანტების ისტორიული შემდგომადობის საკითხი

შე- წინსართი ზმნისა: 1. ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას გარედან შიგნით (საპირისპ. გა-). ოთახში შევიდა. კარადაში შედო. ღუმელში შეყარა. 2. აღნიშნავს მალლა, ზევით მიმართულებას. შეჭდა. შეხტა. შეფრინდა. 3. ზმნის უსრული სახის ფორმას აქცევს სრული სახისად. შეჭამა (შედრ. ჭამა). 4. აწმყოს ფორმას ანიჭებს მყოფადის მნიშვნელობას. შეაკეთებს (შედრ. აკეთებს). შეავსებს (შედრ. ავსებს). 5. გამოხატავს მოქმედების სიმცირეს. სიცოტავეს; ნაწილობრივ მომხდარ რასმე. შეწითლდა (შედრ. გაწითლდა). შეთბა (შედრ. გათბა). შეთვრა (შედრ. დათვრა). შეუგვიანდა (შედრ. დაუგვიანდა). 6. ზოგჯერ ზმნას უცვლის მნიშვნელობას: შეჰყავს (შედრ. ჰყავს), შეაქვს (შედრ. აქვს)¹.

ქართული ენის დიალექტებში აღნიშნული ზმნისწინი სხვადასხვა ვარიანტის სახით დასტურდება. ამათგან ძირითადი ვარიანტი ორია: შე- და შა-.

მდგომარეობა დიალექტების მიხედვით ასეთია:

ქართლურში მხოლოდ შე- დასტურდება. სხვა ვარიანტები ქართლურმა არ იცის: კი ნუ შეგეშინდებო (ქ. დ. 290); ძალიან შეშინდა (ქ. დ. 290); შევიდა და მოახსენა (ქ. დ. 292); ხელით ვერ შესწვდებო (ქ. დ. 293); აქ იყო... კარანტინი შეკრული (ქ. დ. 293); შევხედეთ და ერთი სოვდაგარი მოვიდა (ქ. დ. 293); შეხვდა ერთი ალალი მეზობელი (ქ. დ. 233); ტანისამოსი შეუგზავნა (ქ. დ. 234); ხუთთავენი უნდა შევჭამოვო (ქ. დ. 234); დევი გამოგვიდგება და შეგვჭამსო (ქ. დ. 295); ხუთუჩქულა შეიპარა სახლში (ქ. დ. 295); მე... ყუთებს შევკრამ (ქ. დ. 296); შეჭკრა ხუთუჩქულამ სარფი (ქ. დ. 269); ძალიან შეაწულდა (ქ. დ. 290).

ასევე მხოლოდ შე-ვარიანტია მესხურსა და ჯავახურში:

მესხური: ცოლს რო შეირთობს (ქ. დ. 369); მეფეს გაეხარდა ვაჟის შექენა (ქ. დ. 369); ესენი შეშეშინდნო (ქ. დ. 396) ეს ვაჟი შეიყვარებს ძალიან (ქ. დ. 369); შეამბეინა ურემი (ქ. დ. 363); შეწულდა ცოლი, შეეშინდა (ქ. დ. 368); მკვდრები საიჭიოს შეგეკითხემენო (ქ. დ. 368); ქვეყანა უნდა შემეყარო (ქ. დ. 368); შეხაროდა (ქ. დ. 368).

ჯავახური: მეხრივ უღელში შევაბეგინამთ (ქ. დ. 333); შეუგზავნიდა მაშულ (ქ. დ. 333); შეიძლება ქორწილი შემოდგომამდე გაგრძელებულიყო (ქ. დ. 334); ერთად შეჰპერდით (ქ. დ. 334); ველარ შეჭამა (ქ. დ. 335); ჩუნჩხში შევაფარეთ თავიო (ქ. დ. 336); მერე კალოზე შეარეკინა (ქ. დ. 336) ზედ ჩათუბმა კევრი შეაყენეს (ქ. დ. 336).

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, 1962, გვ. 638.



კახურში აღნიშნული ზმნისწინი ძირითადად შა- ვარიანტის სახით დასტურდება: შამოუძახა თავგმა (ქ. დ. 224); ამიყვა მალა და შამქამე (ქ. დ. 224); ერთი რამე მაქ შასახეწარი (ქ. დ. 224); ვაზი შამოუხვევა ჭიგოს (ქ. დ. 159); სადღურით შაქამადი შადგა (ქ. დ. 179); ლუქამა არ შამაქმენებდა (ქ. დ. 179); გლენხა შარეკა გომურში (ქ. დ. 180); ურემში შააბა (ქ. დ. 180); ხემ-წიფე შახვდა გზაზე (ქ. დ. 180); შაგიძლიანთ რო ი... გველაშაპი მამიკლათო (ქ. დ. 180); ტყვილა შაშინებულხართო (ქ. დ. 191); ცოტახან ეზოში შამოდიო (ქ. დ. 189); თვალშაუწვედენელი კლდეა (ქ. დ. 191).

როგორც წესი, შე- ვარიანტი იხმარება პრეფიქსული -ე-ს წინა პოზიციასში: ბოლომად გადაწყვიტა, ისევ კატა შეეჭამნა (ქ. დ. 224).

სხვა პოზიციებში შე- გვხვდება იშვიათად, ინდივიდუალური ვარიანტების სახით: აღარ შემიძლიან, სახემწიფოს მოუაროო (ქ. დ. 180); მეფი ოჯახში რო შეიყვანდნენ პატარაძალსა (ქ. დ. 190); მაგრამ აქვეა: მეფეა შაიყვანდნენ ეკლესიაში (ქ. დ. 190); ყველა იმაა შენატროდა (ქ. დ. 192); მართლა შექლებული იქნებაო (ქ. დ. 193).

მაშასადამე, კახურში სამსჯელო ზმნისწინის ორი ვარიანტი დასტურდება: შე- და შა-. ამათგან ძირითადი ვარიანტი არის შა-. შე- ერთ შემთხვევაში, კერძოდ პრეფიქსული ე-ს წინ, კომბინატორული ვარიანტია, სხვა შემთხვევაში — ლიტერატურული ენის გავლენით წარმოქმნილი ინდივიდუალური ვარიანტი.

ინგილოურში ეს ზმნისწინი სამი ვარიანტის სახით რეალიზდება: შა-, შე- და შო-.

შა-: მოჩქარდნენ, ზალ შაკმანზას (ქ. დ. 232); შაკმანზულ ზალ გომოუდა (ქ. დ. 232); შამკმანზელ (ნ. რ.); მაგი თმევ შანაბდა (ნ. რ.); ხეა შარაყვი ჩომოტუვდეს (ნ. რ.); შატირევაა, შანატირევ (ნ. რ.); ფოთოლ შახრუშტულ (ნ. რ.); სახლი კარევ შაკეჩა (ნ. რ.); შაკმანზელ (ნ. რ.); შააქდონელ (ნ. რ.); ერ შახროტელ რამ გააკეთ (ნ. რ.); დოვლაა პირ შაბისკულ (ნ. რ.).

შე-: შემოუდა ზეთ კარზე (ქ. დ. 232) ერ შემააქს, ათ ჰკომთ (ნ. რ.); ბოვრ რამ შემააკრეს ქალს (ნ. რ.).

შო-: კურტ-ჰუჰუჰულ შომოგრევედა (ნ. რ.); სიფთა შომოუდა ბაშ ჰენგაა (ქ. დ. 232); მემლანი შომოუდნენ ჰენგევ (ქ. დ. 232); ქობქო შოუკეთ (ნ. რ.); მოა შოაჰიდნოთ (შევიჰიდნოთ) (ნ. რ.).

ამ სამი ვარიანტიდან ძირითადი ჩანს შა-. შო- აშკარად შა-ს კომბინატორული ვარიანტია მომდევნო ლაბიალური ხმოვნის მეზობლობაში. ასევე ა-ს დავიწროვების შედეგი ჩანს შე- ვარიანტიც. ცვლილების მიზეზი მთლად ნათელი არაა.

ფერგიდნულშიც სამი ვარიანტი დეადასტურეთ შა-, შო-, შე-.

შა-: შამათორიალა დუნია (ქ. დ. 258); შენოდენი რო შავიქნები (ქ. დ. 258); შაქნეს თირილი (ქ. დ. 259); გაიგეს მეზობლებმა და შავიდეს (ქ. დ. 259); ხალღმა პური შაქამა (ქ. დ. 259); ასტარი პირს შაინახავსო (ქ. დ. 250); სადილზე შამოიდისყე (ქ. დ. 260); ილა რო შაიტყვისყე (ქ. დ. 260); დილობა რო შაიქნა (ქ. დ. 261); ჯორი და აქლემი შამაჰყარეს (ქ. დ. 261); შენ თავი მე შამიყორდა (ქ. დ. 262); ეს ბრეწველები... შაინახეო (ქ. დ. 262).

2 იხ. ა. მარტიროსოვი და გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 90—91.

შო-: შოვპირაღმათა (შეუპირაღმართა გ. კ.) სერსათი (ქ. დ. დ. 258); მაშ დათეს შოვჭამიაო (ქ. დ. 259); შოუყორდეს შენი თავიო (ქ. დ. 260); იმ თა-ჯერმა შეუტყო (ქ. დ. 260).

შე-: ამ ვარიანტის ხმარების ორიოდ შემთხვევა დავადასტურეთ, ისიც ერთი და იმავე ზმნასთან: ემას შეშინდა (ქ. დ. 262); შეშინდა: არამც მინმე მამკლარიყოსო (ქ. დ. 259).

სრულიად აშკარაა, რომ ძირითადია შა- ვარიანტი. შო- ლაბიალურთა წინა პოზიციაშია, ხოლო შე- (თუ ის ტექსტებში შემთხვევითი არ არის) — ე-ს წინა პოზიციაში.

ხეცსურულმა მხოლოდ შა- ვარიანტი იცის³. სხვა პოზიციურ ვარიანტებს აქ ვერ ვადასტურებთ და არც ლიტერატურული ენის გავლენას უჩენია ეგრე-რივად თავი: ქალებს ცხენის გავაზე შაისმენ (ქ. დ. 5); შასხდებიან ოქებ ცხე-ნებზე (ქ. დ. 5); მამკალთ შახყრიან (ქ. დ. 5); დასტურებს შაუთვლიან (ქ. დ. 9); შაიპარებიან სახლში (ქ. დ. 9); ახალ-უხალ შაიყრების (ქ. დ. 9); შინ სამე-კელოს შააგორებენ (ქ. დ. 8); წელიწადშამავს წუხრს... ჯვარჩი გაათენებენ დამეს (ქ. დ. 8); დარბაზის კარჩი შახედებიან (ქ. დ. 8); იმ სახჩი ვერვინ შავ (ქ. დ. 8); ჯვარჩი შავლენ დასტურ-კელოსნები (ქ. დ. 8).

აგრეთვე ძირითადი ვარიანტია შა- ფშაურში: ნეტავი ერთხელ კიდენაო... შამახედნებინაო (ქ. დ. 127); ორ არავე შაიყრება (ქ. დ. 127); არ შამიძლავ არარივად (ქ. დ. 127); არც შამივლავ (ქ. დ. 127); ვეუბნები სტუმარს — შინ შავიდეთო (ქ. დ. 134); ვერ შაატყობდი, თუ ქაღალდიო (ქ. დ. 134); რად არ შააბი გუთანი (ქ. დ. 134); ისრ შაინახის (ქ. დ. 131); ბებრებმ ეგ რიმ შამმ-დერნიან (ქ. დ. 135); იმან შაკერა (ქ. დ. 136); კი არ ეზარება, თუ შაიძლო (ქ. დ. 136); შამიყვანეს ერთს ბნელას გომურშია (ქ. დ. 137); იქ ერთ ქალ შა-მაყოლუს (ქ. დ. 137); შამეეკალნეს ერთურთსა (ქ. დ. 137).

შე- იშვიათია, ისიც მხოლოდ და მხოლოდ პრეფიქსული ე-ს წინ: მყე-ფარს მიუტანეს, ვინც რაით შეეწივა (ქ. დ. 136); შეეკითხე შენს გუნებასა (ქ. დ. 136).

თულურში შე- ვარიანტია თანხმოვნებისწინა და არაპრეფიქსული ხმოვნე-ბისწინა პოზიციებში: შემწყრტყ ალყა მურთაშმ ციხეს (ქ. დ. 107); შეკრიფე-თავ თითო სრევა წამალივ (ქ. დ. 107); შეხედ, ნახ მურთაშ ტიროდ (ქ. დ. 108); ამის შემდეგ წავიდავ... (ქ. დ. 108); შეღბრძოლებიყვენეს (ქ. დ. 108); როცა ჯარ შეფარულ (ქ. დ. 109); ვარდიზე ციხეში შეღვარდნიყვ (ქ. დ. 109); ოთხნ ცხვანიც შეხყოლიყვენეს (ქ. დ. 109); ალულ არავინ შესესავ (ქ. დ. 105); შევიდოდ დაბლ ბაშტეშვ (ქ. დ. 105); ცამეტ კვირანყ შესრულდებოდ (ქ. დ. 106); დიდონიც შემოხვევიყვენეს (ქ. დ. 106); შეხტრევედეს ორ ფიცარს (ქ. დ. 105); სოფელ ველარ შემოსრულყვენეს (ქ. დ. 105); სამთოდ შეყრილ ჯარს შე-ერთებიან (ქ. დ. 114).

თუ ზმნისწინი ხმოვანპრეფიქსიან ზმნას დაერთვის, გვექნება შნყ-, შნყ-, შნყ- და შეყ- ვარიანტები იმის მიხედვით, თუ რომელი ხმოვანია პრეფიქსად წარმოდგენილი: მურთაშმ შნყგროვ მთელ ქისტეთის ჯარბ (ქ. დ. 107); აგრო-ვებს შნყგროვ. დიწყ-ყმაწვილნ შნყსხნიან შიგისაკბ (ქ. დ. 106); ასხმენ — შნყსხმენ. ფარსმანელუბ... ციხეში შნყხიზნნეს (ქ. დ. 107), იხიზნებიან — შნყხიზნებიან. შნყყარნეს სამასამდინას კაცნი (ქ. დ. 109); იყრებიან —

³ ა. ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, ხეცსურულს თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 94.

შეყრებიან, მემბრინას შეყვანდეს შინ (ქ. დ. 106); იყვანდეს — შეყვანდეს. უწყლოობას შეწყუნხნეს (ქ. დ. 106); ეწუხ — შეწუხ. თევას არც კი შეტყვ (ქ. დ. 108); ეტყობ — შეტყობ. ერთ თხა ხყვანიად' ისიც მგელს შეტყამავ (ჩე. მას), ცხეარს ბატკან გუჩჩენავ (ჩე. მას.); უჩჩენავ — გუჩჩენავ.

მაგალითებიდან აშკარაა, რომ ძირითადი ვარიანტია შე-, დანარჩენები შეც-, შეც-, შეც, და შეც- მისი კომბინატორული ვარიანტებია. ამასთან ეს უკანასკნელნი ომონიმურნი არიან; ითავსებენ ზმნისწინისა და იმ ხმოვანი პრეფიქსის ფუნქციას, რომელთაც ისინი მიერთვიან. ასე მაგალითად: „შეცგროვ“ სრულასპექტიანი საარვისო ქცევის ფორმაა; „შეცხინებთან“ — სრულასპექტიანი ინიანი ვნებითა; „შეცვანდეს“ — სრულასპექტიანი სათავისო ქცევის ფორმაა; „შეწყუხ“ — სრულასპექტიანი მეორე თურმეობითის ფორმაა, „შეწყუხებავ“ — სრულასპექტიანი პირველი თურმეობითია და ა. შ. ასპექტის სისრულეს ამ ფორმებს ზმნისწინი ანიჭებს, ქცევა, გვარი, თურმეობითობა და სხვა სათანადო პრეფიქსული ხმოვნებითაა გამოხატული.

მთიულურ-გუდამაყრულშიც ერთადერთი ვარიანტია შა-: რძე რომ მიიღლება, კმა შაეცვლება... ვერ შაიღვებება (ქ. დ. 58); შავალის აქედამა (ქ. დ. 58); სარქველები აქვის შამოკერებული (ქ. დ. 57); ყველის შაწურვა არ გვინდა (ქ. დ. 57); შვილი შამხვდება, შვილი გამპარსავს, მეზობელი შამხვდება — მეზობელი (ქ. დ. 61); შინ შავიდნენ (ქ. დ. 62); მერე ქათამიც შაჭამა (ქ. დ. 65); ფარჩა კიდე ტანზე შამაიხვია (ქ. დ. 65); სანმ ი დედაკაცი შამოდიოდა, ეს მელაი წინ შამოჰხვდა (ქ. დ. 66); როგორ შაიღუბოდა (ქ. დ.); ვერ შახვდომიან ერთმანეთსა (ქ. დ. 80); ცხენზე კარგა კოხტად შაჯდება ისიც (ქ. დ. 82); სადილს ვაჭმევდით კარსა და მემრე შავაბდით (ქ. დ. 83); შავჭყრით მუშასა (ქ. დ. 83).

მოხეურში ძირითადად გვხვდება შა- ვარიანტი, პრეფიქსული ეს წინ გვაქვს შე-, პირველი პირის ვ- პრეფიქსთან კომბინაციაში არის შო-:

შა-: ულამი შაიყრებოდა (ქ. დ. 29); აღარ შაკურდეს (ქ. დ. 29); ხატს შასთხოვდეს (ქ. დ. 29); ერთი... შამაუცივლებდაკე კარსა (ქ. დ. 28); თითო ჩავლას რო შავასრულვდით (ქ. დ. 28); იქვე შავჭკონავდით (ქ. დ. 28); მეზობელი... შაუმძრახავდა (ქ. დ. 31); შაუნთვდით ცეცხლსა (ქ. დ. 31).

შე-: სალამდი შეეტყობოდა დედალ-მამლობა (ქ. დ. 32); უნდა კი შეეტანათ მალა (ქ. დ. 31); ვერ შეეძლოა დედაკაცს (ქ. დ. 48); ვისაც კი შეექალა (ქ. დ. 48).

შო-: პირველს ლაპარაკზედ ძალუმ კარგად შოვიდგა (ქ. დ. 35).

იმერულში შე ზმნისწინის სამი ვარიანტი დასტურდება: შე-, შა- და შო-. ბოლო ორი ვარიანტის გამოვლენა შეზღუდულია: შა- გვხვდება მხოლოდ რთული ზმნისწინის შამე-|შამო- შემადგენლობაში⁴, შო- მხოლოდ ლაბიალურ ხმოვან ფ-ს წინა პოზიციაშია ყველა სხვა შემთხვევაში გვაქვს შე- ვარიანტი. მაგალითები:

შე-: შეკრეს ბაწრით, გაწყვიტა; ჯაჭვით შეკრეს, ისიც გაწყვიტა (ძოწ. 328); თავი არ შექწყინდეს შენეო (ძოწ. 331); ეშმაკი... შეახვთერა (ძოწ. 331); შეხელდახელდენ (ძოწ. 331); ხემწიფე შეფიქრიანდა (ძოწ. 334); ტალახი შეხვთერიათ (ძოწ. 334); შევიდოდა დილაზე (ძოწ. 323); შეიპარა დამე პოლკონიკი (ძოწ. 323); კაი შესახედავი ბიჭი შექნილა (ძოწ. 324); ტახს შევეომე-

4 ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1972. გვ. 237.

ბი (ძოწ. 327); შესწვა ლამაზათა ბიძამა გულ-ღვიძლი და შესჯამა (ძოწ. 328).

შა-: შამოკრა ცხენს მათრახი (ძოწ. 328); შამოქვხვდა, შამეიტანა (ძოწ. 237); შამეყარა გულს (ძოწ. 325); ტანისამოსი შამეელანძღა (ძოწ. 330); შენ-მა შვილმა შამოგითვალა (ქ. დ. 465); გააღებს კარებს, შამეიხედავს (ქ. დ. 465); ეგობა ქე შამევიდა... (ქ. დ. 465).

შო-: მის მამას შოუთვალთო (ძოწ. 329); კაბიტანს შეებრალა ცოლი და შოურიგდა (ძოწ. 334).

განხილული მავალითებიდან ჩანს, რომ იმერულში ძირითადი, შეუპირობებელი ვარიანტია შე-, შა- და შო- შეპირობებული ვარიანტები.

გურულში გამოვლენილია ოთხი ვარიანტი ესენია: შე-, შა-, ში-, შუ-.

შე- პოზიციურად შეუპირობებელი ვარიანტია და ამდენად ძირითადია: შეიყინა ეთერი ზურგზე (ყლ. 128); იი ხორცი კატამ შემეჟამაო (იქვე, გვ. 122); შევატყვეო (ქ. დ. 421); გამევიყვანე ბატი, შევეკაშმე (ქ. დ. 421); ერ საღამო შევამჩნიე (ქ. დ. 241); დიდი მინდორი შეიქნა (ქ. დ. 421); გოროხი ქე შერჩა პოჟყიაში (ქ. დ. 421); მოი შეეკდეთ იმ აქლემზეო (ქ. დ. 438), შევარდა სახში (ქ. დ. 433).

შა- ვარიანტი გვხვდება რთული ზმნისწინის შამო-ს შემადგენლობაში: თუ მოტყუება გინდოდა თქვენი, შამოგეთვალენო (ქ. დ. 420); ცხენზე შამო-უჯდენ (იქვე. 433); შამეიყინა (ყლ. 52).

ში- ვარიანტი გვხვდება პრეფიქსული ა-სა და ე-ს წინ. მისი გამოვლენის მიზეზი პრეფიქსული ე-ს დისიმილაციური დავიწროვებაა: ნაზარდს შეიშინა (ქ. დ. 433); კარქა შიადურაქა (ქ. დ. 421); ფუტკარი შიამბა (ქ. დ. 421); შეი-ძინა, შიადარა, შიატყო (ყლ. 52).

შუ- ვარიანტი ვლინდება პრეფიქსული უ-ს წინა პოზიციაში: კაცს არ შუუმჩნევია (ქ. დ. 421); შუუღვა პურის მოზილვას (ქ. დ. 420); აი ხორცი ქე შუუქამა კატამ (ყლ. 122); შუუშვა, შუუქურთხა, შუუფუტა (ყლ. 52).

აქარულში ამ ზმნისწინის ხუთი ვარიანტი გვხვდება: შე-, შა-, ში-, შა-, შუ-. ამათგან ძირითადი, ანუ შეუპირობებელია შე- ვარიანტი. ტექსტებშიც ამ ვარიანტის გამოვლენის სისშირე, სხვებთან შედარებით, ბევრად მეტია. მაგალითები: ფერებაში დათვს ბელი შემუაკვდაო (ნოლ. 86); აფერი შემეშლებო-და (იქვე, 87); ეგერაა შეკოჭილი (იქვე, 88); შენ რომ კაცმა შეგაჟყირდეს (იქვე, 89); თუ კი შეაძლება (იქვე, 94); მერე შეხედა ერთმა ხემწიფემ (იქვე, 95); მეც შენფერი შეწუხება მაქო (იქვე, 96); შეხტა მას ხანში ერთი მოზუცე ბაბუა (იქვე, 96); შეფიცეს ერთმანებს (იქვე, 97); ეჟვი არაფერი შეგებაროს შენავო (იქვე, 96); შევიდენ, ცნა ისადილონ (იქვე, 97); მე არ შემიძლია შენ-თან დაწოლაო (იქვე, 98); შეიყვანეს ბაბუაი (იქვე, 98).

შა- ვარიანტი, აქაც, როგორც იმერულსა და გურულში შამე-ს შემადგენლობაში გვხვდება: შამეიყვანე მაი ბაბუაო (ნოლ. 98).

ში- ვარიანტის გამოვლენას იწვევს ი- მაქცევარი. ოღონდ ი-ს მასიმილირებელი ძალა მხოლოდ მაშინა აქვს, როცა შე-სა და ქცევის ი-ს შორის ობიექტური პრეფიქსია მოქცეული: გვაქვს შიმიწუხდები, შიმიფასებს (ნოლ. 94); შიმიტყვია, შიმიძლიან (იქვე, გვ. 56), მაგრამ შეიყვანეს და არა შიიყვანეს.



შა- ვარიანტი პრეფიქსული ე-ს წინ ვლინდება. მიზეზი, ცხადია, ზმნისწინის ე-ს დისიმილაციური დავიწროვებაა: რას **შაე**ქციოთ, **შამა**ქახა იმ ხემწიფის გოგომ (ნოდ. 99); მაშინ გოგოს **შაე**შინდა (იქვე).

შუ- ვარიანტი პრეფიქსული უ-ს წინ იჩენს თავს. სპეციალურ ლიტერატურაში ამ პრევერბისეული უ-სა და პრეფიქსული უ-ს შეხვედრა კვალიფიცირდება გრძელ უ-დ⁶: ყურძენს თვალი **შურ**თავს (ნოდ. 89); კარჭიო **შუ**თანხმდა ჩობანმა (ნოდ. 97); არ **შუ**შვეს ის ბაბუა (იქვე).

რაჭულში ამ ზმნისწინის ორი ვარიანტი დასტურდება: **შე-** და **შა-**, უკანასკნელი — მხოლოდ რთული **შამო**-ს შემადგენლობაში: ის **შამომგვარეთ** მერ (ქ. დ. 512); ამეებმა ძალათ **შამომიყვანეს**ო (იქვე); ქარი თოვლს **შამო**იტანდა (ქ. დ. 513).

სხვა შემთხვევებში ყოველგვარ პოზიციაში **შე-** არის. მაშასადამე ისაა ზმნისწინის ძირითადი ვარიანტიც: **შე**ირთო მეორე ცოლი (ქ. დ. 509); **შე**ცოდვა (ქ. დ. 510); როგორც იქნა, **შე**უწყდა (ქ. დ. 510); მოძებნა ერთი ზერელი და **შე**ძერა (იქვე); **შე**ამჩნია მებაღემ (იქვე); **შე**ხვეწა ფრთ გლეხს (ქ. დ. 511); **შე**იყვანეს (იქვე); **შე**ილი რას **შე**უთვლისაო (იქვე); **შე**კვიდა ცხენზე (იქვე, 512); მეორე ცხენზე თვითონ **შე**ჯდა (ქ. დ. 512); **შე**ცკრემდით წნელით (იქვე, 517); ბიჟს **შე**ვაყენებდით (იქვე, 516); **შე**კაზმევდენ ერბოთი (იქვე, 517).

ლექსმურში სამი ვარიანტი მონაცვლეობს, აქედან ორი — **შა-** და **შო-** შეპირობებული ვარიანტებია, **შე-** კი — შეუპირობებელი, ძირითადი.

შა- რთული **შამე**-ს შემადგენლობაში დასტურდება მხოლოდ: ცხრა თას **შამო**გატარეფთო (ქ. დ. 487).

შო- მხოლოდ პრეფიქსული უ-ს წინ გვხვდება: წუმდა **შო**უნელებლათ (ქ. დ. 489); იფიქრეს: გზა **შო**უკრათ მეციხვანეებსო (ქ. დ. 488); დამჯდარა, **შო**უქამია (ქ. დ. 487).

სხვა ყველა შემთხვევაში არის **შე-** ვარიანტი: მისი დათესვა გვიან **შე**იძლებოდა (ქ. დ. 490); მაინც **შე**მოდიოდა (იგივე); პატრიან კონებს **შე**ვეკრავდით (იქვე); მიმბული და **შე**ბორკილი (ქ. დ. 488); მეციხვანეებმა **შე**ნიშნეს (ქ. დ. 488); სიფთო ალაგზე **შე**ვიანახავთ (ქ. დ. 492); **შე**მოვგოზავთ (იქვე, 493); დავაპობთ **შე**სადარ ნაწილებათ (იქვე, 434); **შე**იძლება ნამეტანი იქნეს მოთუთქული (იქვე).

განვიხილეთ **შე-** ზმნისწინის ვარიანტების გამოვლენა ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში და ვნახეთ, რომ მიუხედავად მათი მრავალფეროვნებისა, ყველა ისინი დაიყვანება ორ ძირითად — **შე-** და **შა-** ვარიანტებზე. მაშასადამე ეს ორი უკანასკნელი წარმოადგენს **შე-** ზმნისწინის დიალექტურ ვარიაციებს, ამა თუ იმ დიალექტში შეუპირობებელ ვარიანტებს. ყველა სხვა ვარიანტის გამოვლენა შეპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, ძირითადად — ფონეტიკური გარემოთი. **შე-** ვარიანტი, როგორც ძირითადი, წარმოდგენილია ქართულში, მესხურში, ჯავახურში, თუშურში, იმერულში, აჭარულში, რაჭულში, ლეჩხუმურში. **შა-** ვარიანტს უქერს მხარს კახური, ინგილოური, ფერეიდნული, ხევსურული, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, მოხეური, თიანური.

დგება ამ ორი ვარიანტის ისტორიული შემდგომადობის საკითხი, ანუ საკითხი იმის შესახებ, თუ ამ ორი — **შე-** და **შა-** ვარიანტიდან რომელი წარმო-

⁶ ქ. ნოღაიდელი, დასახ. შრ., გვ. 54.



ადგენს არქეტიპს საერთო ქართულ დონეზე. ამის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი არსებობს:

ერთი ვარაუდით ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში დადასტურებული შა- ვარიანტი ამოსავალ ვითარებას ასახავს⁷. ძველ ქართულსა და ქართული ენის თანამედროვე დიალექტების დიდ ნაწილში წარმოდგენილი შე- ვარიანტი მიღებულია ა- ხმოვნის ე-დ დავიწროვების შედეგად. თვით ქართულში ამოსავალი შა- ფორმა მომდინარეობს წინარექართველური შოვა-ფორმისაგან, რომელმაც განვითარების ასეთი გზა განვლო: შოვა>შუა>შა>>შე⁸. ეგვევ აზრი რომ განვავითაროთ, უნდა ვივარაუდოთ ისტორიამდელ ქართულში ორი დიალექტური წრის არსებობა, რომელთაგან ერთში ადგილი ჰქონდა შა- ზმნისწინის ა-ს ე-დ დავიწროვებას. ამ უკანასკნელის ვითარებას ასახავს ძველი ქართული. მეორე დიალექტური წრის გაგრძელებას წარმოადგენს შა- ვარიანტიანი აღმოსავლური დიალექტები.

მეორე თვალსაზრისი ამოსავლად წინარექართველურისთვისაც და საერთოქართულისთვისაც შე- ვარიანტს ვარაუდობს⁹.

რამდენიმე გარემოება პირველი ვარაუდის შესაძლებლობას ეპყვის ქვეშ აყენებს:

1. შა- ზმნისწინის ა-ხმოვნის ე-დ დავიწროვების მიზეზები უცნობია. თუ ცვლილება კომბინატორული იქნებოდა (სხვაგვარი სავარაუდებელი არც არის), პირველ საფეხურზე ალბათ გვექნებოდა შა- და შე- ვარიანტებს შორის დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება. ეს საფეხური კი ქართულ დიალექტებში არსად ჩანს. შემოგვენახა უძველესი და უახლესი, შუალედური ვითარება კი — არა? ამის მტკიცებისთვის საფუძველი არა გვაქვს. დაფუძვით მართლაც მოხდა შა>შე კომბინატორული ცვლილება. შე-ს პოზიციები გაცილებით ნაკლები იქნებოდა შა-საზე. შემდეგი საფეხური ფორმათა უნიფიკაცია იქნებოდა. რატომ მოხდა მცირე ნაწილის უნიფიკაცია დიდი ნაწილის გაქრობის ხარჯზე? კვლავ ძნელი წარმოსადგენია.

2. შა- ვარიანტი ძველმა სალიტერატურო ქართულმა საერთოდ არ იცის. იქ მხოლოდ შე- ვარიანტია, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით არ დასტურდება შა-ს ხმარების ერთი შემთხვევაც კი¹⁰. ქართული დიალექტების არქაიზმები ძველი ქართულის იქით არ მიდის, მე-10—12 საუკუნეების ნორმებს თითქმის არასდროს სცილდება. ამდენად მოსალოდნელი არ არის, რომ შა-ს სახით დიალექტებში პროტოქართულის ფაქტი იყოს დაცული.

3. თუ შერ დიალექტში ძირითად, შეუპირობებელ ვარიანტად შე- გვხვდება. მის გარშემო ყველა დიალექტი შა- ვარიანტს უჭერს მხარს. აგრეთვე ძნელად დასაშვებად გვეჩვენება, რომ კახურის, ფშაურის და ხევსურულის გარემოცვაში, რომელნიც ძველ ვითარებას იცავდნენ, თუ შერში მომხდარიყო

⁷ G. Deeters, Das Kharthwelische Verbum, Leipzig, 1931, გვ. 10—11.

⁸ თ. გამყრელიძე, სიბილანტოა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, 1959, გვ. 56.

⁹ Г. А. Климов, Этимологический словарь Картвельских языков. М., 1964, გვ. 214.

¹⁰ იხ. ა. მარტიოშვილი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, გვ. 74 და შმდ.: ი. ვეშაპიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967.

შა>შე ცვლილება. ვფიქრობთ პირვანდელ მდგომარეობას სწორედ თუშური ასახავს.

ყოველივე ამის გამო უფრო მართებულად გვეჩვენება მეორე თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ამოსავალია შე- ვარიანტი.

შა- აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში საკმაოდ გვიან უნდა იყოს მიღებული, ყოველ შემთხვევაში, იმის შემდეგ, რაც თუშურმა დიალექტმა გაწყვიტა კონტაქტი ე. წ. ფხოვერ კილოებთან¹¹. შე->შა- ცვლის საფუძველი ანალოგია უნდა იყოს: გვაქვს საიქეთო მიმართულების გამომხატველი ზმნისწინები — ა-, ჩა-, გა-, წა-. მათვე გაუსწორდა მნიშვნელობით მათთან ახლოსმყოფი შა-ც. მაშასადამე: ა-, ჩა-, გა-, წა- და შა- — ა-ვიდა წა-ვიდა, ჩა-ვიდა, გა-ვიდა და შა-ვიდა.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს დასავლურქართული დიალექტების ერთი საგულისხმო ჩვენებაც. აქ ზემოთ ჩამოთვლილი ზმნისწინების ა ასიმილაციურად ვიწროვდება და გვაძლევს ე-ს: ე-ვიდა, გე-ვიდა, წე-ვიდა, ჩე-ვიდა. ამ შემთხვევაში შე-ს შა-დ ცვლისათვის საფუძველი არა გვაქვს და მართლაც არის შე-ვიდა. იგივე ა რთული ზმნისწინების ამო-, გამო-, ჩამო-, წამო-ს შემადგენლობაში უცვლელია. გვაქვს: ამევიდა, გამევიდა, წამევიდა, ჩამევიდა და მათივე ანალოგიით შამევიდა.

ქართულში რომ პირველადია შე- ვარიანტი, ამას მხარს უჭერს ზანურის ჩვენებაც: ქართული შე-ს შესატყვისად იქ გვაქვს შა- როგორც მარტივი, ისე რთული ზმნისწინის შემადგენლობაში:

ა) შაყარუა „შეყრა, შეერთება“; ბ) შაყარანქ „გაერთება“; ი) შეველენქ „შიგ ვარკობა“¹².

ბ) ქეშაფუთხუ „ამოფრინდა“; ქეშახთუ „ჩავიდა“; ქეშაფთით „ამოვე-დით“; ქომეშაღუ „შიგ ჩადო“; ქომეშახელუ „შიგ დაჭდა“; ჩხომი მოშალუ „თევზი ამოვარდა“¹³.

დადგენილი ბგერათშესატყვისობების თანახმად მეგრული შა-ს ა ქართული შე-ს ე-ს შესატყვისია. წესის თანახმად შ-ს შქ უნდა შეესატყვისებოდეს. ე. ი. უნდა გვექონდეს ზმნისწინი შქა-. მართლაც, ათინურ კილოკავში გვაქვს შე- ზმნისწინის აღნიშნული კანონზომიერი შესატყვისი: ა ემთი სვას ეშკანთი „ერთ აღმართში აღი“; მხარეში ლეტაფე ქეშციღუ „საფლავის მიწა ამოილო“¹⁴; ნეკრაში ჭინდო მეშკაფდარე „კარების ზემოდან შევალ“; დოლოხე გუდაში ქომეშკახთუ „შიგ გუდაში შევიდა“; ჰიმ შეეფე ქეშციღუ „ის ნივთები ამოილო“¹⁵.

მეგრულსა და ქანურის კილოკავებში (ათინურის გარდა) დადასტურებული შა- ფორმა არის შქა-ს გამარტივებული სახე, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია ნაგარაუდები¹⁶.

¹¹ თუ „ქართლის ცხოვრების“ ჩვენებას დავუჭერებთ, თუშური მოსახლეობა ფხოვერს გამოეყო ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში ფხოვერში ქრისტიანული რელიგიის ძალით გავრცელებასთან დაკავშირებით (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 126).

¹² G. Deeters, Das Kharthwelische Verbum, გვ. 14.

¹³ არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936, გვ. 120—124.

¹⁴ იქვე, გვ. 121.

¹⁵ თ. გამყრელიძე, სიბილ. შესატყვე, გვ. 57.

¹⁶ იქვე.

შესატყვისობა ქართ. შე-: ზან. შა-//შქა-შკა დგას ზმნისწინების ქართულ-ზანურ შესატყვისობათა საერთო რიგში:

ქართ.: მი- მო- აქლ- გა- და წა-
 ზან.: მე- მო- ე- გო- დო¹⁷ წო-

ამიტომ პრევერბის შა- ფორმა ზანურში ქართულიდან შესული ვერ იქნება¹⁸. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშიცაა აღნიშნული, ზანურში ქართულიდან შესულია ზმნისწინის შე- ფორმა ზმნის ფუძესთან ერთად¹⁹.

ქართული ენის ზანურის გარემომცველ დიალექტებში ძირითადია შე- ვარიანტი. შა-ს მატარებელი დიალექტები მისგან ტერიტორიულად დიდად არიან მოცილებულნი. თუ სესხება იქნებოდა, მეგრულ-ქანურს უნდა ესესხა დასავლური დიალექტების შე-, და არა უკიდურესად აღმოსავლური დიალექტების შა- ფორმა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ზმნისწინის შე- ფორმა პოსტულირდება საერთო ზანურ-ქართული ერთიანობის დონეზე.

სვანურის მდგომარეობა განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. სვანურში ვრის ზმნისწინთა ფუნქციურად აშკარად განსხვავებული ორი რიგი:

I — ან-, ად-, ეს-, ლა-; II — უი, ჩუ, სგა, ქა. პირველი რიგის წინდებულები წმინდა წინდებულებაა, ე. ი. ისინი მხოლოდ ზმნის წინსართებად გამოიყენება. მეორე რიგის პრევერბები კი იხმარება ცალკე, ზმნისართებადაც და სახელთან თანდებულებადაც²⁰. გარდა ამისა, რთულ წინდებულებში მეორე რიგის წინდებულები მხოლოდ პირველ კომპონენტადაა წარმოდგენილი, პირველ რიგისანი კი — მხოლოდ მეორე. პირველ შეერთება სვანურში არ იცის²¹. შესატყვისობები ზანურსა და ქართულში მხოლოდ მეორე რიგის პრევერბებს ეძებნება (პირველ სამს მინც) და ეს შესატყვისები ზმნისართული ელემენტებია:

სვან უი : ქართ. ზე || ზედ : ზან. უი²²
 " ჩუ : " ქჳნ : " ქო²³
 " სგა || ისგა : " შუა : " შქა²⁴

როგორც ჩანს, სვანური ენის ზმნისწინებში გამოიყოფა ორი ეტიმოლოგიურად განსხვავებული ფენა: ერთი — ზმნისართული წარმომავლობის, რომელნიც თანდებულებათაც გამოიყენება და რომლებსაც მოეპოვება კანონზომიერი შესატყვისები ქართულსა და ზანურში და მეორე, წმინდა ზმნისწინები, რომელნიც მხოლოდ სვანურის კუთვნილებაა.

ასევე, როგორც ჩანს, ქართულსა და ზანურშიც გამოიყოფა ზმნისწინთა ორი ფენა: ერთი — ზმნისართული წარმომავლობისა, რომელნიც ამავე დროს საერთო მასალობრივ ერთიანობას აელენენ თანდებულებთანაც²⁵ და შესა-

¹⁷ ი. შ. ასათიანი, Провербы в занском (Мегрело-чанском) языке, автореферат, 1953, გვ. 7—8.

¹⁸ შდრ. G. Deeters, დასახ. შრ., გვ. 14.

¹⁹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 129.

²⁰ ე. თ. ფ. უ რ ი ა, სვანური ენა, ზნა, 1931, გვ. 58, 63.

²¹ იქვე, გვ. 58.

²² Г. А. Климов, Этимологический словарь, გვ. 90.

²³ ე. თ. ფ. უ რ ი ა, დასახ. შრ., გვ. 65.

²⁴ თ. გ. ა. მ. ყ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. შრ., გვ. 53 და შმდგ.

²⁵ ა. მ. ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VIII, 1956, გვ. 40.

ტყვისობებს ადასტურებენ როგორც ურთიერთშორის, ასევე სვანურთან და ზეორე — საკუთრივ ზმნისართები, მხოლოდ ქართულ-ზანური შესატყვისობებით. ცხადია, მათი არქეტიპები საერთო-ქართველურ დონეზე ვერ აღდგება. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება შე- ზმნისწინიც.

რა მიმართებაა ზანურში ზმნისწინის შქა- ვარიანტსა და (ზმნისართულ შქა-ს შორის (შქა-დღა „შუადღე“; შქა-კითი, „შუათითი“; შქა-სერი (შუადამე“)²⁶. აქ ფორმობლივ ერთმანეთს დაემთხვა სხვადასხვა წარმომავლობის ორი ერთეული: ქართული შე- ზმნისწინის კანონზომიერი შესატყვისი შქა- და საერთო ქართველური *შოვა- არქეტიპიდან მომდინარე შქა, რომელსაც ზანურის განვითარების ადრეულ საფეხურზე კანონზომიერად უნდა მოეცა სქუა სქა, მაგრამ მოუსწრო აღნიშნული კომბინატორული წესის გადავარდნამ და გაქვევდა ამ სახით²⁷.

დასკვნა

1. ქართული ენის დიალექტებში შე- ზმნისწინის რამდენიმე ვარიანტი დასტურდება. ესენია: შე-, შა-, შე-, შო-, შულ-, ში-, შაჲ-, შეჲ-, შუ-. აქედან ძირითადია ორი: შე- და შა-; დანარჩენი ყველა კომბინატორულად შეპირობებული ვარიანტია.

2. ეს ორი ძირითადი ვარიანტი დიალექტების მიხედვით ასე ნაწილდება: შე- არის ქართულურში, მესხურში, ჯავახურში, თუშურში, იმერულში, აჭარულში, რაჭულში, ლეჩხუმურში. შა- დასტურდება: კახურში, ფერეიდულში, ინგილოურში, ხევსურულში, ფშაურში, მთიულურ-გუდამაყარულში, მოხეურში, თიანურში.

3. ამ ორი ვარიანტიდან უწინარესია შე- ვარიანტი, შა-მისგანაა მიღებული საიქეთო მიმართულების ა-, ჩა-, გა-, წა- ზმნისწინების ანალოგიით.

4. შე- ზმნისწინი პოსტელირდება საერთო ზანურ-ქართული ერთიანობის საფეხურზე. ზანურში მას შეუსატყვისება შქა//შკა და აქედან გამარტივების გზით მიღებული შა- პრევერბი. შე-ს შესატყვისი ოდენობა სვანურში არ დასტურდება, ამიტომ საერთო ქართველურ დონეზე მისი რეკონსტრუქცია არ ხერხდება.

შემოკლებათა ბანმართება

1. ქ. დ. — ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961.

2. ნ. რ. — ნათელა როსტიაშვილი, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკა და სიტყვაწარმოება, მანქანაზე ნაბეჭდი სადისერტაციოდ გამოადგებული შრომა, 1971.

3. ძოწ. — ქეთევან ძოწენიძე, ზემოიერული კილოკავი, 1972.

4. ჟდ. — სერგი ჟდენტო, გურული კილო, თბილისი, 1936.

5. ნოდ. — ჯემალ ნოღაიძე, ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი II, ბათუმი, 1972.

²⁶ თ. გამყრელიძე, დასახ. შრ., გვ. 53.

²⁷ იქვე.

დონარა ბრიჭუროვა

აბსოლუტურად მყარი სიტყვათგანლაგების შემთხვევები ქართულში

თანამედროვე ენათმეცნიერებაში დიდი ხანია აღიარებულია, რომ ენებას დაყოფა ორ ჯგუფად — თავისუფალ სიტყვათგანლაგებიან და მყარ სიტყვათგანლაგებიან ჯგუფებად — პირობითია, რადგან „... არ არსებობს ენა, რომელშიაც სიტყვათა რიგი აბსოლუტურად თავისუფალი იყოს, ანდა აბსოლუტურად მყარი“¹. არც ქართული წარმოადგენს ამ შემთხვევაში გამონაკლისს.

ქართული დაქვემდებარებითი შესიტყვებების ანალიზში სიტყვათა რიგის ცვალებადობის თვალსაზრისით გამოავლინა ოთხი ძირითადი სახის სიტყვათა რიგი. სიტყვათა რიგის ამ ცვალებადობის უნარიანობას დავარქვით სიტყვათგანლაგების ტიპი. გამოიყო სიტყვათგანლაგების შემდეგი ტიპები: მკაცრად ფიქსირებული, ალტერნაციული, სუსტად ფიქსირებული და შერეული.

ამ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ გარკვეული ტიპის შესიტყვებებს, რომლებსაც ახასიათებთ მკაცრად ფიქსირებული რიგი. როგორც ყუო განსაზღვრული ჩვენ მიერ, მკაცრად ფიქსირებული სიტყვათა რიგი ეწოდება შესიტყვების ელემენტების ისეთ თანამიმდევრობას, სადაც არ შეიძლება ელემენტის ადგილის შეცვლა არც ისეთი ახალი ელემენტის ჩასმით, რომელიც უშუალოდ დამოკიდებულია იმავე მთავარი სიტყვისაგან, და არც ინვერსიის საშუალებით.

სიტყვათგანლაგების დაყოფა ტიპებად გამოწვეული იყო ქართულ ენაზე ავტომატური თარგმნის პროცესის გაადვილების და ვაუმჯობესების მიზნით. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ შესიტყვების კვლევის დროს ისინი ჯერ წარმოადგინეთ სინტაქსური სტრუქტურების სახით. ავტომატური თარგმნის სინთეზის ეტაპზე სიტყვათგანლაგების წესების მეშვეობით ხორციელდება გადასვლა ფრაზის სინტაქსური სტრუქტურიდან მისი ელემენტების ხაზოვან რიგზე.


ამიტომ საჭიროა, ვიდრე გადავიდოდეთ უშუალოდ შესიტყვების განხილვაზე, აუხსნათ შესიტყვებების ჩაწერის ხერხი, რომელიც მიღებულია ჩვენს შრომაში.

ფრაზის სინტაქსური სტრუქტურა წარმოდგენილია ი. მელჩუკის მიერ მოწოდებულ დამოკიდებულებათა ხეების საშუალებით. ყოველი ელემენტისათვის განსაზღვრულია მეორე ელემენტი, რომელზედაც ის დამოკიდებულია. ე. ი. ბატონი სიტყვა; დამოკიდებული ელემენტი კი აღიარებულია მის მსახურად. ხის მწვერვალზე მოთავსებულია ზმნა-შემასმენელი, რომელზეც უშუალოდ ან შუალობით დამოკიდებულია ფრაზის ყველა ელემენტი. ყოველ ელემენტს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ბატონი, ბატონს კი როგორც ერთი, ისე რამდენიმე მსახური. დაქვემდებარება ელემენტებს შორის წარმოდგენილია

¹ ლ. კვავაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 215.




უშუალო დომინაციური მიმართებების (უღმ) ტერმინებით. ჩვენს შრომებში გამოყენებულია ი. მელჩუკის, ლ. იორდანსკაიას, გ. მახარობლიძის უღმ-ები შეჯამებულად ზოგიერთი ჩვენი დამატებებით და ცვლილებებით. დამოკიდებულებათა ხის შემადგენელი ნაწილებია შტოები და რანგები ანუ დონეები. მაგალითად, ფრაზის „ჩვენ თბილისში თხუთმეტი დღით ადრე ჩავედით“ დამოკიდებულებათა ხეს ექნება ასეთი სახე:



ამ ხეში ოთხი დონეა და სამი შტო. ელემენტები, რომლებიც ერთნაირად არიან დაშორებული ხის მწვერვალს, განეკუთვნებიან ერთ დონეს. ჩვენს მაგალითში პირველი რანგის ელემენტებია: ჩვენ, თბილისში, ადრე.

ჩვენი კვლევის ობიექტია ისეთი შესიტყვებები, რომლის ელემენტებს სინტაქსურ დამოკიდებულებათა ხეში უკავიათ ორი უშუალოდ ერთმანეთის მომდევნო რანგი. შესიტყვების დამოკიდებული წევრები დაქვემდებარებულნი არიან, ბატონი სიტყვა არ არის ზმნა — შემასმენელი (ხის მწვერვალი). შესიტყვებების სტრუქტურა წარმოადგენს ფრაზის სტრუქტურის ფრაგმენტს. სიტყვათგანლაგების წესები ჩაწერილია ასეთი სახით²:



ამ ჩაწერის მარცხენა ნაწილი წარმოადგენს სინტაქსურ დამოკიდებულებათა ხის ფრაგმენტს, მარჯვენა — სიტყვათგანლაგების წესებს, რომლებიც ამყარე-


² ეს ჩაწერა დამუშავებული იყო სინტაგმის წარმოდგენისათვის ზედპირული სინტაქსის დონეზე. იხ. И. А. Мельчук, Н. В. Перцов, Фрагмент модели английского поверхностного синтаксиса (предварительное сообщение). Предварительные публикации проблемной группы по экспериментальной и прикладной лингвистике, вып. 35, М., 1973; О. С. Кулагина, И. М. Мельчук, К. О. Эрастов, Об одной возможной системе машинного перевода, М., 1971.

ბენ თანაფარდობას შესიტყვების დამოკიდებულებათა ხის ფრაგმენტსა და ხსოვან რიგს შორის. x და y აღნიშნავენ ცვლადებს ბატონისა და მსახურისათვის, ისარი (\rightarrow) აღნიშნავს დამოკიდებულების მიმართულებას ბატონიდან მსახურისაკენ, r — უღმ-ის სახელწოდებას, p და k — სათანადო ლექსემების კლასებს, k და l კადასცემენ ლექსემის სინტაქსურ და მორფოლოგიურ დახასიათებას, ($=$) გარდაქმნის ნიშანია, xy აღნიშნავს ლექსემების ხსოვან თანამიმდევრობას. მარჯვენა ნაწილში P_k და q_k მახასიათებლები გამოტოვებული არიან სიმოკლისათვის.

შესიტყვებები დავაჯგუფეთ სიტყვათა რაოდენობის მიხედვით. გამოიყო ორ-სამ- და ოთხსიტყვიანი შესიტყვებები მკაცრად ფიქსირებული რიგით.

ორსიტყვიანი შესიტყვებები

1^ა



ა. „... D დიამეტრის ფუძის y^* მქონე x ცილინდრის პოტენციალური ენერჯის ნაზრი გათბობისას ΔT° -ით იქნება...“ (გ. ზარაფოვი, გვ. 213). „ნაკლებად იპოვება ვერცხლის ნივთები — ბეჭდები, ცხენის y ასაკაში x ბალთები...“ (ნ. ბერძ. და სხვ., გვ. 70). „... ის შეურაცხყოფის y მიმყენებელ x მთავრებს, გლეხებს და მონადირეთ ... სამაგიეროსაც მიაგებს...“ (კეკელ., ბარამ., გვ. 100).

ბ. „სინათლის სხივი ეცემა ტოლგვერდა სამწახნაგა პრიზმის ერთ-ერთ წახნაგს ფუძის y პარალელურად x “ (გ. ზარაფოვი, გვ. 95).


გ. „ნაცვლად 555 ათასი მანეთის საერთო პროდუქციისა 15 დღით y ადრე x სამშობლოს ნივით 600 ათასი მანეთის სხვადასხვა სახის პროდუქცია“ („კომუნისტი“, 1967 წ., № 157).

წესში მოყვანილი სიმბოლოები და შემოკლებანი ნიშნავს შემდეგს: $A^{1.0}$ — მოქმედებითი გვარის მიმღობა. $A^{1.1}$ — საშუალი გვარის მიმღობა. $A^{1.2}$ — ვნებითი გვარის მიმღობა. $S^{0.0}$ — არსებითი სახელი. $Adv^{0.0}$ — ზმნიზედა ნათ. — ნათესაობითი ბრუნვა. მოქმ. — მოქმედებითი ბრუნვა.

ციფრი I ნიშნავს, რომ x -ს მოეპოვება აუცილებელი ვალენტობა არსებით სახელზე ნათესაობით ბრუნვაში; 2 ნიშნავს ფაქულტატიურ ვალენტობას არსებით სახელზე მოქმედებით ბრუნვაში.

³ „/“ ნიშანი აღნიშნავს „ან“-ს. მძიმის შემდეგ ციფრი აღნიშნავს ვალენტობის ნომერს. ასო „ფ“ ნიშნავს ფაქულტატიურ ვალენტობას. თუ „ფ“ სიტყვათგანლაგების წესში არ არის მოცემული, მაშინ ვალენტობა ან აუცილებელია, ან თუ მრავალადგილიანია, შერეული ხასიათისაა (შეიძლება აღნიშნავდეს როგორც აუცილებელ, ისე ფაქულტატიურ ვალენტობას). თუ აუცილებელი ვალენტობის აღნიშვნა აუცილებელია, მაშინ მას აღნიშნავენ ასე „აუც“. ⁴ ტექნიკური მიზეზების გამო მავალითებში ცვლადები x და y მოსდევნენ აღსანიშნვ სიტყვებს.

2.




„ზიდროდინამიკური დაწნევის ხაზი... იქნება ჰიდროდინამიკურ დაწნევაზე y დაბლა x “ (ვ. კოდანაშვილი, გვ. 32). როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „პრაქტიკა თეორიულ შემეცნებაზე y მაღლად x დგას“... (გ. გაჩეჩ., გვ. 133). „თუ სისტემის სიმძიმის ცენტრი წყლის დონეზე y ზევით x არის...“ (გ. ზარაფოვი, გვ. 191). „აქამოდვე უვალო ოჯახს ამ წირვებისა და კურთხევის მეოხებით ათ თუმანზე y მეტი x ვალი დაგვედო“ (ნ. ლომ., გვ. 8).

ამ ჩაწერაში გამოყენებული სიმბოლოები და შემოკლებანი ნიშნავენ: A^{00} — ზედსართავი სახელი. P_r — პირის ნაცვალსახელი. მიც. — მიცემითი ბრუნვა.

ციფრი 7 ნიშნავს აუცილებელ ვალენტობას -ზე- თანდებულებიან არსებით სახელზე მიცემით ბრუნვაში.


3.



„ღნობის ტემპერატურამდე მიყვანილი კრისტალური სხეულის თხევად მდგომარეობაში გადასაყვანად y საჭირო x სითბოს რაოდენობა...“ (გ. ზარაფოვი, გვ. 57).


x -ს აქვს აქტიური ფაკულტატიური ვალენტობა მიზნის გარემოებაზე.

4.




„და აი მესამე ეტაპიც x ბერლინში y “ („კომუნისტი“, 1967 № 152). „მათი საერთო ტირაჟი x წელიწადში y 328 მილიონი ეგზემპლარს აღწევს“ („თბილისი“, 1967, № 166). „აგრესიისა და თარეშის პოლიტიკა x ჩვენს დროში y ვერავის ვერ მოუტანს წარმატებას“ („კომუნისტი“, 1967, № 156).

5.




„... მას სამხრეთის y მეზობელ x კულტურულ ქვეყნებთან ურთიერთობის დალიც აზის“ (ნ. ბერძ. და სხვ., გვ. 18). „ბიზონი — ხარის მონათესავე ცხოველია“. „შიგ დაცურავდნენ საწნეხელთა y მსგავსი x ნაეება...“ (ნ. ბერძენ. და სხვ., გვ. 64). „... აქ ძველად კალის ნაცვლად ხშირად სხვა მის y მსგავს x ლითონებს. ... ურევდნენ ხოლმე სპილენძს“ (ნ. ბერძენ. და სხვ. გვ. 14)⁴.



ა. „ეს მართლაც მეტად y რთული x საკითხია“ (ალ. ლლონტი, გვ. 18).
ბ. „ყმა გლეხების x... ყოფისა და ურთიერთობის გამომხატველი საბუთები...“ (ივ. ქავთარაძე, გვ. 9).

S^{0,1} სიტყვათა კლასია, რომელსაც აკისრია როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელების ფუნქციები. Adv^{0,2} — ზომა-ოდენობის ზმნაზედა.

სამსიტყვიანი შესიტყვებები




X აბსტრაქტული არსებითი სახელია. თუ Y₁ მიმართებითი ზედსართავი სახელია, მას აქვს დანიშნულების მნიშვნელობა.

„სესიამ აღნაშნა... ცული y₁ მდგომარეობა x საკოლმეურნეო ტყეების. ... მოვლა-პატრონობის საქმეში y₂“ („კომუნისტი“, 1966, № 147). „საბჭოთა ხალხების მეგობრობას მიეკლენა სადღესასწაულო y₁ დემონსტრაცია x ტაშკენტში y₂“ („კომუნისტი“, 1967, № 265).

⁴ შენიშვნა. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში X არის ზედსართავი სახელი, რომელსაც აქვს აქტიური ვალენტობა არსებით სახელზე ნათესაობით ბრუნვაში. ვალენტობის თვალსაზრისით ძალიან თავისებურად იქცევა ზედსართავი სახელე „მსგავსი“, ზოგ შემთხვევაში მას გააჩნია აუცილებელი ვალენტობის თვისება, ზოგში — არა. ამ თავისებურებას ვხსნით შესაძარი სიტყვების სემანტიკით. სიტყვას „მსგავსი“ აქვს აუცილებელი ვალენტობა, თუ აღარებენ ერთმანეთისაგან ძალიან დაცილებულ ობიექტებს, ან თუ საგანს აღარებენ თავისთავთან. თუ აღარებენ ერთი სემანტიკური კლასის საგნებს, მაშინ ძლიერი ჩართვის თვისება სიტყვას უჭრება. შევედაროთ: „... მაგრამ შორსმჭვრეტელი და ბრძენი მოღვაწეა... დიდ სიმტკიცეს იმედნენ ყოველგვარი მსგავსი ცდუნების წინაშე“ (რ. ბარაძე, გვ. 8). „... საქართველოში უცხოვრია ადამიანის მსგავსი მიიმუნის ერთ-ერთ სახეს“ (ნ. ბერძენ. და სხვ., გვ. 5).

8.




„ა“ კონსტრუქციაში Y_2 აქვს „განუსაზღვრელი საზომის“ მნიშვნელობა, „ბ“ კონსტრუქციაში Y_2 არსებითი სახელია ერთ-ერთი ამ მნიშვნელობათაგანით: ეროვნება, პროფესია, მდგომარეობა.

ა. „ამ Y_1 ბოლო Y_2 დროს X თრიალეთის მდიდრულ ყორღანებში ნაპოვნია მსგავსი ნივთების შემცველი სამარხი აღმოჩნდა სომხეთშიც...“ (ნ. ბერძენ. და სხვ., გვ. 28).

ბ. „ძველი ქართული პოლიტიკური წყობილება ამ Y_1 მეშვეობით Y_2 აზნაურ- X წარჩინებულებს აღარ აკმაყოფილებდა...“ (ნ. ბერძენ. და სხვ., გვ. 104).

9.




X — აბსტრაქტული არსებითი სახელია.

„... გავადიდოთ მათი Y_1 მატერიალური Y_2 დაინტერესება X “. „... მის Y_1 უშუალო Y_2 გამგებლობაში X მყოფი შავშეთ-კლარჯეთი... ბაგრატ მესამის საბრძანებელს შემოუერთდა“ (ნ. ბერძენ. და სხვ., გვ. 40).

$A^{0.1}$ — მიმართულებითი ზედსართავი სახელი. $A^{2.1}$ — კუთვნილებითი ნაცვალსახელი


ოთხსიტყვიანი შესიტყვებები

10.



„... მასში გადმოცემული იყო მასკერონის პრობლემის დასრულებული გადაწყვეტა, გაკეთებული მასკერონზე Y_1 გაცილებით Y_2 უფრო Y_3 ადრე X “ (კუჩანტი, რობინსი, გვ. 209).


11.



Y_1 — ზედსართავი სახელი სუბიექტური შეფასების მნიშვნელობით, Y_3 — საკუთარი სახელი ან გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება.

„თვალსაჩინო Y_1 საზოგადო Y_2 მოღვაწე X დიმიტრი ყიფიანი Y_3 ...“. „საეკლესიო ისტორიაში კარგად ცნობილი Y_1 დასახლებული Y_2 პუნქტი X გიში Y_3 ჩვენ გვევლინება, როგორც ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული უძველესი საკულტო ცენტრი“ (თ. პაპუაშვილი, გვ. 340).

17.



ჩვენს რესპუბლიკაში მთელი ფრონტით გაიშალა ყველაზე პასუხსაგები Y_1 სამუშაო X მიწათმოქმედებაში Y_2 — მკა Y_3 ...“.

ჩვენ მიერ დადგენილია სულ 22 სტრუქტურა მკაცრად ფიქსირებული სიტყვათა რიგით. შესიტყვებები, რომლის წევრების რაოდენობა ოთხზე მეტია, არ შეგვხვდა მკაცრად ფიქსირებული რიგით. მკაცრად ფიქსირებული სიტყვათვანლაგების ტიპის გამოვლენა აადვილებს თარგმნის პროცესს (როგორც მანქანურს, ისე ჩვეულებრივს), რადგან თავიდანვე ხსნის საკითხს შეპიტყვების სიტყვათვანლაგების ვარიანტების შესახებ მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების დროს.

შიშოკლივანი

1. გ. ზარაფოვი — გ. ზარაფოვი, ამოცანათა კრებული ფიზიკაში, თბილისი, 1971.
2. ნ. ბერძენი და სხვ. — ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუშბაძე, გ. მელქიშვილი, მ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1958.
3. კეკელიძე, ბარამიძე — კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1969.
4. გ. გაჩეჩილაძე — გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბილისი, 1966.
5. ნ. ლომ — ნ. ლომოური, მოახრებებ, თბილისი, 1951.
6. რ. ბარამი — რ. ბარამიძე, ქართული საისტორიო პროზა, თბილისი, 1971.
7. ივ. ქავთარაძე — ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, თბილისი, 1954.
8. ალ. დლონტი — ალ. დლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 1971.
9. კურანტი, რომინისი — რ. კურანტი, პ. რომინისი, რა არის მათემატიკა, თბილისი, 1965.
10. თ. პაპუაშვილი — თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1970.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

ნ ა ნ ა შ ე ნ ე ლ ა ი ა

სხვადასხვა დონის ენობრივ ერთეულთა ბინარული სტრუქტურა და მისი ასახვა სიღრმისეულ სტრუქტურებში

1.1. ენის უმარტივესი, ერთბლანიანი ერთეული არის ფონემა, რომელიც, როგორც ცნობილია, მეტყველებაში რეალიზდება კონკრეტული ბგერის სახით. ამასთან, ფონემასა და მის „წარმომადგენელს“, ბგერას შორის კარგად შესწავლილი და დადგენილი მიმართება არსებობს¹. მოცემულ ღირებულ ნიშანთა სიმრავლე ერთ გარკვეულ ფონემურ ერთეულს განსაზღვრავს. ამ სიმრავლის ერთ-ერთი ნიშნის შეცვლას გადავყავართ სხვა სიმრავლეზე, ანუ მოცემული სისტემის სხვა ფონემურ ერთეულზე.

მეტყველებაში ფონემის რეალიზაციის დროს სხვადასხვა ფონეტიკური მიზეზის გამო ბირთვულ ნიშნებს, რომლებიც ფონემური ერთეულის რაობას განსაზღვრავს, ემატება ნიშნები, რომლებიც არ არის ფონოლოგიურად ღირებული და ამდენად, ფონემურ ერთეულს არ ცვლის. ფონოლოგიურად ღირებული ნიშნების — ზირთებისა — და ფონოლოგიურად არაღირებული ნიშნების ერთობლიობა ქმნის კონკრეტულ ბგერით წარმონაქმნს — ბგერას (ფონს).

კონკრეტული ბგერის შემქმნელი ეს ნიშნები ერთი და იმავე დონის ნიშნებია, რომლებიც სხვადასხვა ღირებულებისა არიან: ნაწილი რელევანტურია და მოცემულ ბგერას ამა თუ იმ კლასს მიაკუთვნებს, სხვა — არარელევანტურია და ბგერათა კლასის კონკრეტული რეალიზაციის დროს ვლინდება. საზოგადოდ, სხვადასხვა კონკრეტული ენის ღირებულ ნიშანთა სიმრავლეში მოხვდება თეორიულად შესაძლებელ ბგერით ნიშანთა სხვადასხვა ნაწილი. ფონოლოგიურად ღირებულ ნიშანთა გარკვეული სასრული რიცხვი დაახასიათებს მოცემული ენის ფონემურ ერთეულთა სიმრავლეს. სხვა ნიშნები ფონოლოგიურად არაღირებულ ნიშნებს წარმოადგენენ და კონკრეტული ბგერის ნიშნებს ქმნიან ფონოლოგიურად ღირებულ ნიშნებთან ერთად.

ამგვარად, ფონი წარმოდგენს ერთი და იმავე სახის ისეთ ნიშანთა ერთობლიობას, რომელთაც სხვადასხვა ღირებულება აქვთ: გარკვეული ნაწილი კლასის ნიშანია, სხვა — არაღირებულია.

1.2. ფონოლოგიური დონისაგან განსხვავებით, მორფოლოგიურ დონეზე წარმოდგენილია ორბლანიანი ერთეულები, რომელთაც აქვთ როგორც გამოხატულება, ისე შინაარსი. სემანტიკა, როგორც მოსალოდნელია, გადამწყვეტ

¹ ეს მიმართებები, რომელთაც ქვემოთ მოკლედ დაეახსიათებთ, განხილულია ისეთ ავტორთა საყოველთაოდ ცნობილ შრომებში, როგორიცაა: რ. იაკობსონი, ნ. ტრუბეცკოვი, ლ. ბლუმფილდი, ე. სეპირი, ზ. პარისი, ჩ. პოკეტი, ა. მარტინე, ა. რეფორმატსკი და სხვები. ამ შრომათა შემაჯამებელი მიმოხილვა იხ. მაგ., წიგნში: *Общее языкознание. Внутренняя структура языка*, М., 1972, გვ. 120—199.

როლს თამაშობს მორფოლოგიურ ერთეულთა განსაზღვრაში, რადგანაც სწორედ იგია ხარისხობრივი განსხვავების შემქმნელი მოცემული დონისა და ფონოლოგიური დონის ერთეულთა შორის. ერთი და იგივე სემანტიკური განსხვავებულობა, ფაქტიურად, ერთადერთი ნიშანია, რომელიც ერთმანეთისაგან გამოყოფს მორფემულ სიმრავლეებს².

მოცემული მნიშვნელობა (იგულისხმება გრამატიკული მნიშვნელობა, ანუ ის გრამატიკული ფუნქცია, რომელსაც სხვადასხვა აფიქსალური მორფი ასრულებს)³, რომელიც განსაზღვრავს მორფემის რაობას, გარკვეული ფონემური ერთეულებით ან მათი განსაზღვრული მიმდევრობით გამოიხატება. ამგვარად, მორფემა სხვადასხვა ფონოლოგიური შემადგენლობის მქონე ალომორფების მეშვეობით რეალიზდება მეტყველებაში, სადაც ამ ალომორფების შემადგენელი ფონები კონკრეტულ, არარელევანტურ ნიშნებს მიიღებენ (ისე, როგორც ეს, საზოგადოდ, ფონემის მეტყველებაში რეალიზაციის დროს ხდება).

მორფემის ალომორფთა სხვადასხვა ფონოლოგიურ შემადგენლობას, ფონოლოგიური მიზეზების გარდა, განაპირობებს მორფოლოგიური ფაქტორიც⁴. ამ შემთხვევაში ალომორფის „ამორჩევა“ დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკრეტულად რომელი მორფემის მეზობლობაშია წარმოდგენილი მოცემული მორფემა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მორფი შეიძლება დავახასიათოთ როგორც რელევანტური და არარელევანტური ნიშნების გარკვეული ერთობლიობა. მორფის გრამატიკული მნიშვნელობა, ანუ მისი გრამატიკული ფუნქცია, წარმოადგენს მის ბირთვულ ნიშნებს, რომლებიც განსაზღვრავს მის რაობას, ხოლო მორფის ფონოლოგიური ფორმა შეადგენს მის პერიფერიულ, არარელევანტურ, თუმცა აუცილებელ ნიშანს.

მორფის, როგორც გარკვეული ლინგვისტური დონის ერთეულის, სტრუქტურა ფონეტიკური დონის ერთეულის, ფონის სტრუქტურის მსგავსი ჩანს. ორივეს რელევანტურ და არარელევანტურ ნიშანთა ერთობლიობა ქმნის. მაგრამ განსხვავება არსებობს: თუ ბგერით ერთეულს ერთი და იმავე დონის — ზედაპირული სტრუქტურის — სხვადასხვა ღირებულების ნიშანთა ერთობლიობა ქმნის, მორფი იქმნება ორი სხვადასხვა სიღრმის სტრუქტურათა ნიშნების აუცილებელი ჯამით: ზედაპირულია ამა თუ იმ ალომორფის ფონოლოგიური ფორმა, ხოლო სემანტიკა, ანუ მორფის გრამატიკული ფუნქცია, წარმოადგენს უფრო ღრმა სტრუქტურას. ამგვარად, მორფის სტრუქტურა ორ-

² იხ., მაგ., ლ. ბლუმფილდის მიერ მორფემის ცნობილი განსაზღვრა (Л. Блумфильд, *Язык*, М., 1968, გვ. 168); აგრეთვე, ი. ნაიდას მიერ მორფემული ანალიზისათვის შემოთავაზებული პრინციპები (E. Nida, *Morphology*, Michigan, გვ. 7—60); ამ საკითხს ეხება, აგრეთვე, თ. შარაძენი იქვე წიგნში — თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიულ საკითხები, თბ., 1972, გვ. 136—138.

³ რამდენადაც, როგორც ვფიქრობთ, კონკრეტული ენისათვის შესაძლებელია გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობათა გამოიყენა, ქვემოთ საუბარი იქნება მხოლოდ გრამატიკულ მნიშვნელობებსა და მათ გამოხატვაზე მოცემული ენის სხვადასხვა დონეზე (მორფოლოგიურსა და სინტაქსურზე). ლექსიკურ მნიშვნელობებს აქ არსად არ ეხებათ, თუმცა ცხადია, რომ მეტყობინების სემანტიკის განმსაზღვრელს ენაში სწორედ ლექსიკურ მნიშვნელობა წარმოადგენს, ისევე როგორც მეტყობინების მარკირებულობისა — გრამატიკული მნიშვნელობა.

⁴ იხ. ი. ნაიდას დასახელებული პრინციპები.



დენოვანია: გრამატიკული ფუნქცია, ანუ გრამატიკული შინაარსი და რული ფონოლოგიური შემადგენლობა.

1.3. შესაძლებელია თუ არა ანალოგიური მსჯელობა ვაწარმოოთ სინტაქსის დონეზე იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელიც ამ დონეს ახასიათებს პირველ ორ დონესთან შედარებით?

სინტაქსური დონის მინიმალურ ერთეულს წარმოადგენს სიტყვა⁵. სიტყვა წარმოადგენს, აგრეთვე, მორფოლოგიური დონის ურთულეს ერთეულსაც. სიტყვა — მორფოლოგიურ ერთეულსა და სიტყვა — სინტაქსურ ერთეულს ერთმანეთისაგან განასხვავებს ის თვალაზრისი, რომლითაც მას განვიხილავთ, ანუ ის, თუ რომელ ენობრივ დონეზე შევისწავლით მას. თუ მის მორფოლოგიურ აგებულებას განვიხილავთ, იგი მორფოლოგიური ერთეულია. ისევე, როგორც ფონემა, ან ფონემათა მიმდევრობა მორფოლოგიის დონეზე ხარისხობრივად ახალი ნიშნის — გრამატიკული მნიშვნელობის — გაჩენის წყალობით სხვა დონის ერთეულად იქცევა, სიტყვაც მორფოლოგიური სიტყვისაგან განსხვავებით, სხვა ლინგვისტური დონის — სინტაქსის ერთეულად იქცევა, ახალი ხარისხობრივი ნიშნის — წინადადებაში სხვა სიტყვებთან მიმართების გაჩენით. სიტყვა სინტაქსურ ერთეულს წარმოადგენს მხოლოდ მაშინ, როდესაც მხედველობაში ვიღებთ გარკვეულ გრამატიკულ მიმართებებს, რომელთაც იგი სხვა სიტყვებთან ამყარებს. მიმართება იმავე დონის სხვა ერთეულებთან არკვევს მოცემული სიტყვის სინტაქსურ ფუნქციას და ანიჭებს მას სინტაქსურ ღირებულებას. იდენტური მორფოლოგიური სტრუქტურის სიტყვა სხვადასხვა გრამატიკული მიმართების წყალობით შეიძლება სხვადასხვა სინტაქსურ ერთეულს წარმოადგენდეს.

ამგვარად, სხვა დონის ერთეულებთან შედარებით, სინტაქსური ერთეულის დახასიათების სპეციფიკას წარმოადგენს იმ გრამატიკულ მიმართებათა გათვალისწინების აუცილებლობა, რომელიც მას წინადადებაში აქვს.

ეს გრამატიკული მიმართებები, თავის მხრივ, წარმოადგენს გარკვეულ ლოგიკურ მიმართებათა ასახვას სინტაქსის დონეზე. ურთულესი სინტაქსური წარმონაქმნი — წინადადება, როგორც მინიმუმი, შემადგენელ ელემენტთა გარკვეულ ლოგიკურ მიმართებებზე დამყარებულ შეტყობინებას წარმოადგენს⁶. უნივერსალურ ლოგიკურ მიმართებათა წარმოდგენა არის წინადადების არსებობის აუცილებელი პირობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინადადებაში სიტყვებს შორის მიმართება არის ისეთ ლოგიკურ მიმართებათა ასახვა, როგორიცაა, მაგალითად, მიმართებები: მოქმედი — მოქმედება, მოქმედება — მოქმედების ობიექტი, მოქმედი — მოქმედების ობიექტი, მსაზღვრელი — საზღვრული და სხვა.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სინტაქსური ერთეულის რაობას განსაზღვრავს უნივერსალური ლოგიკური მიმართებები, რომელთაც იგი ასახავს, ხოლო სინტაქსური ერთეულის კონკრეტული გამოვლენა ენაში არის ის

⁵ ენის სინტაქსური დონის დახასიათებისათვის არსებობთა სინტაქსის მინიმალური და მაქსიმალური ერთეულების განსაზღვრის საკითხი. სხვადასხვა გრამატიკულ თეორიებში სინტაქსის მინიმალური ერთეულის შესახებ თვალაზრისთა მოკლე, მიმოხილვა იხ. შავ, კრებულში: Типология каузативных конструкций, Л., 1962, გვ. 295—296.

⁶ შტრ. В. Г. Адмони, Статус обобщенного грамматического значения в системе языка: ВЯ, 1975, № 1. წინადადების ლოგიკურ-გრამატიკული ტიპების ასპექტს ვ. ადამონი ყველაზე უფრო ღრმას უწოდებს.

სინტაქსური ფუნქცია, რომლითაც მოცემული უნივერსალური ლოგიკური ერთეული მართება რეალიზდება წინადადებაში.

შესაბამისობა ლოგიკურ მიმართებასა და წინადადებაში გრამატიკული ფუნქციის მქონე ერთეულს შორის შეიძლება პირდაპირი იყოს. ამ შემთხვევაში ლოგიკური ერთეული იგივეობრივი გრამატიკული ფუნქციის მქონე ერთეულით აისახება წინადადებაში: მოქმედების ლოგიკური შემსრულებელი წინადადების სუბიექტი წევრით გამოიხატება, მოქმედების ლოგიკური ობიექტი — წინადადების ობიექტი წევრით. შესაბამისობა ლოგიკურ მიმართებასა და სინტაქსურ მიმართებას შორის არ არის პირდაპირი იმ შემთხვევაში, როდესაც ლოგიკური მოქმედი არ რეალიზდება წინადადებაში ქვემდებარის სახით, ან ლოგიკური ობიექტი — დამატების სახით. ვნებით გვარის წინადადებაში, მაგალითად, ლოგიკური მიმართება მოქმედი — მოქმედება — ობიექტი ისეთ „შებრუნებულ“ გარდასახვას იღებს, როდესაც ლოგიკური მოქმედი გამოიხატება გრამატიკული ფუნქციით „ირიბი დამატება“, ხოლო მოქმედების ლოგიკური ობიექტი რეალიზდება გრამატიკულ ფუნქციაში „ქვემდებარე“ (მაგ., მოქმედი — человек, ობიექტი — медведь, მოქმედება — убить: ქვემდებარე — медведь, დამატება — человеком, შემასმენელი — убит). არაპირდაპირი ასახვა შესაძლებელია კიდევ ასეთი იყოს: მოქმედი — ირიბი დამატება, მოქმედების ობიექტი — დამატება, როგორც, მაგალითად, წინადადებაში: Стену (ობიექტი — დამატება) разбило молнией (მოქმედი — ირიბი დამატება), საპირისპიროდ პირდაპირი შესაბამისობისა: молния разбила стену⁷.

კონკრეტულ წინადადებაში რეალიზაციის დროს, მოცემული ბირთვული ნიშანი — ლოგიკური ღირებულება — მიიღებს გარკვეულ მახასიათებლებს, რომლებიც ამ ლოგიკურ ერთეულს მიაწერს გრამატიკულ მნიშვნელობას, ანუ განსაზღვრავს მის სინტაქსურ ფუნქციას წინადადებაში. სინტაქსური ფუნქციის გამოხატვა ხდება მორფოლოგიურ გრამატიკულ მნიშვნელობათა გარკვეული ერთობლიობის საშუალებით და იმ მიმართებებით, რომლებიც ამ მორფოლოგიური მნიშვნელობებით შექმნილ სინტაქსურ ერთეულებს შორის დამყარდება⁸.

ამგვარად, უნივერსალური ლოგიკური ერთეულები განსაზღვრავენ სინტაქსური ელემენტის რაობას, ხოლო კონკრეტულ წინადადებაში ამ ლოგიკურ ერთეულთა რეალიზაცია ხდება ამა თუ იმ სინტაქსური მნიშვნელობის მქონე სიტყვით. ამ ორი სხვადასხვა დონის ერთეულთა აღწერითა და მათი მიმართების გარკვევით მთავრდება სინტაქსური დონის ერთეულის დახასიათება. როგორც ვხედავთ, მისი სტრუქტურა ფონეტიკურ-ფონემური და მორფემული დონის ერთეულთა სტრუქტურის ანალოგიურია: იგი წარმოადგენს რელევანტურ (ლოგიკურ) და არარელევანტურ (გრამატიკული ფუნქციის გამომხატველ) ნიშანთა გარკვეულ ერთობლიობას. მორფემის ანალოგიურად, სინტაქსური ერთეული, სიტყვაიც, ორფენოვანია, შედგენილია ორი სხვადასხვა სიღრმის სტრუქტურათა ნიშნებით: ლოგიკური დონისა და გრამატიკული სინტაქსური დონის ნიშნებით.

⁷ შტრ.: Типология пассивных конструкций. Л., 1974, გვ. 155.

⁸ აქ არაფერს ვამბობთ წინადადებაში სიტყვათა რიგის შესახებ, რომელიც ზოგ ენაში სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის სიმარტივის გამო სინტაქსური გრამატიკული მნიშვნელობის განსაზღვრის უმთავრეს საშუალებად გვევლინება.



2. ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ ელემენტთა ასეთმა დახასიათებამ გვაფიქრებინა, რომ ენობრივ გამონათქვამთა გრამატიკული მარკირებულობის სრული აღწერისათვის სამი სხვადასხვა სიღრმის პლანი, ანუ სტრუქტურა უნდა გამოიყოს:

I. გამონათქვამების პლანი, ანუ ზედაპირული სტრუქტურა — ენობრივი ერთეულის გამონათქვამება.

ა. ფონოლოგიის ლინგვისტურ დონეზე მისი ერთეულისათვის რელევანტურ და არარელევანტურ ნიშნებს წარმოგვიდგენს.

ბ. მორფოლოგიის ლინგვისტურ დონეზე წარმოგვიდგენს მორფის ფონემურ შემადგენლობას.

II. გრამატიკული მნიშვნელობის პლანი.

ა. მორფოლოგიის ლინგვისტურ დონეზე მორფემის გრამატიკულ მნიშვნელობას გადმოგვცემს.

ბ. სინტაქსის ლინგვისტურ დონეზე წარმოგვიდგენს გრამატიკულ სინტაქსურ მნიშვნელობას (სიტყვის გრამატიკულ სინტაქსურ მიმართებებს).

III. ლოგიკურ მიმართებათა პლანი.

ა. სინტაქსის ლინგვისტურ დონეზე სიტყვის ლოგიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავს, ხოლო წინადადებას ლოგიკურად გამართულ გამონათქვამად ღღის⁹.

გამონათქვამში გრამატიკულად სწორი ენობრივი ერთეულის წარმოშობა სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე, ზემოთქმულის საფუძველზე, შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

სინტაქსი: ა. ლოგიკურ მიმართებათა პლანი განსაზღვრავს მოცემული სინტაქსური ერთეულის — სიტყვის — ლოგიკურ სტატუსს.

ბ. გრამატიკული მნიშვნელობის პლანი განსაზღვრავს მოცემული ლოგიკური სტატუსის მქონე ერთეულის სინტაქსურ ფუნქციას.

მორფოლოგია: ა. გრამატიკული მნიშვნელობის პლანი განსაზღვრავს მოცემული ელემენტის გრამატიკულ სინტაქსურ ფუნქციას შესაბამის მინიმალურ გრამატიკულ მნიშვნელობებს.

ბ. გამონათქვამების პლანი სწორ ფონემურ ფორმას მიაწერს მოცემულ მორფემულ მნიშვნელობებს.

ფონეტიკა-ფონოლოგია: ა. გამონათქვამების პლანი: სწორი ფონემური მიმდევრობები მეტყველებაში რეალიზაციის დროს კონკრეტულ ბგერით მიმდევრობათა სახეს იღებენ.

⁹ შდრ.: H. Birnbaum. How Deeris Deep Structure? — ლინგვისტიკა XI საერთაშორისო კონგრესის მასალები, 1972, გვ. 858—867.

ცნობები და შენიშვნები

ილია ტაბალაშა

საფრანგეთის სააზიო საზოგადოება და მისი ორგანო „სააზიო ჟურნალი“

აზიის ქვეყნების ხალხების ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სხვ. მეცნიერული შესწავლის მიზნით პირველი საზოგადოებები XVIII საუკუნეში შეიქმნა: ბატავიის (დღეს ჯავარტა) საზოგადოება 1778 წ.¹ და „ბენგალიის სამეფო სააზიო საზოგადოება“ კალკუტაში 1784 წ.². ამ საზოგადოებებმა თავიდანვე საერთაშორისო ხასიათი მიიღეს. მათ მუშაობაში მალე ჩაებნენ სხვა ქვეყნების მეცნიერებიც. ამასთანავე, ამიერიდან სხვადასხვა ქვეყნების ორიენტალისტთა კონტაქტები სულ უფრო ფართოვდებოდა.

დაწყებული XVII საუკუნის ბოლოდან ხელნაწერთა დიდი კოლექციები — ძველი ებრაული, არაბული, სპარსული, თურქული, ჩინური და სხვ. თავს იყრიდა ევროპის ქალაქებში: 1739 წელს პარიზში გამოვიდა ხელნაწერთა კატალოგის I ტომი³, სადაც მოთავსებული იყო ჩინური ტექსტები და 287 ინდური ხელნაწერი; ანკეტილ-დიუპერონმა 1762 წელს ამ კოლექციას შემატა ინდური სხვა ხელნაწერები.

XIX საუკუნის დასაწყისში პერტფორდში (ინგლისი) ა. ჰამილტონმა სანსკრიტის კურსი შექმნა. შემდეგ იგი ჩავიდა პარიზში და ლანგლეს მიერ 1807 წელს გამოქვეყნებული სანსკრიტის ხელნაწერთა კატალოგის მიხედვით⁴ შეადგინა ნაგარის ანუ ბენგალიის ხელნაწერთა კატალოგი. ამავე პერიოდში პარიზში სანსკრიტს სწავლობდნენ ფრედერიკ შლეგელი და ფრანც ბოპი. 1815 წელს პარიზის სამეცნიერო ინსტიტუტში („კოლეჟ დე ფრანს“) შეიქმნა ჩინური ენისა და სანსკრიტის კათედრები.

მეცნიერთა შორის დიდი იყო ენთუზიაზმი გამოველინებინათ აღმოსავლური სამყაროს მდიდარი ლიტერატურა და გაეშიფრათ ხელნაწერები. სილვესტრ დე სასიმ ამოიკითხა ფეჰლვეი; ბიურნოფი პალის შესწავლაში თანამშრომლობდა ნორვეგიელ ლასენთან, რომელიც შემდგომში გახდა ინდურის დიდი სპეციალისტი გერმანიაში; შუზიმ კომენტარები დაურთო პრაკრიტს, ბიურნოფი შეეკიდა ასევე ავესტიკს, რემიუზა — ბუდისტურ ჩინურს, ე.-ფ. შამპოლიონი (1790—1832) — იეროგლიფებს.

იმ სამეცნიერო წრეებმა, რომლებსაც სურდათ ფარდა აეხადათ ე. წ. აღმოსავლური საიდუმლოებისათვის (უძველესი რწმენა, ანტიკური ფილოსო-

¹ „Bataviaasch Genootschap van Kunsten en Wetenschappen“.

² „Royal Asiatic Society of Bengal“.

³ Catalogus manuscriptorum Bibliothecae Regiae, Paris, 1739.

⁴ Langlès, Catalogue des manuscrits sanskrits de la Bibliothèque impériale, Paris, 1807.



ფიური სისტემა და სხვ.), გადაწყვიტეს ხელი მოეკიდათ ამ საქმისათვის, რამ ამ სამუშაოების წარმატებით განხორციელებისათვის არ იყო საკმარისი თანხები. ასევე არ გააჩნდათ საკმარისი მხარდაჭერაც იმ ცალკეული მეცნიერებისადმი, ვინც თავისთავზე იღებდა ამ კვლევა-ძიებას.

იმ მოთხოვნამ, რომელსაც გრძნობდა ყოველი ორიენტალისტი, ჩაუნერგა მათ აზრი, აზიის უკეთ შესწავლის მიზნით შეექმნათ სამეცნიერო საზოგადოება. ეს იმ საზოგადოებათა მსგავსი იქნებოდა, რომლებიც უკვე ბატავიაში და კალკუტაში არსებობდა.

სააზიო სამეცნიერო საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი გრაფი დე ლასტეირი იყო. მან პირველმა წამოაყენა ასეთი საზოგადოების შექმნის იდეა. იმ პერიოდში დე ლასტეირი „ქრისტიანული მორალას საზოგადოების“ პრეზიდენტი იყო.

ჯერ კიდევ 1821 წელს მეცნიერთა შორის დაიწყო სააზიო საზოგადოების დებულების პროექტის განხილვა. იგი შემდგომში გახდა ამ საზოგადოების ქარტია. სააზიო საზოგადოების პირველი გენერალური ასამბლეა გაიხსნა 1822 წლის 1 აპრილს საღამოს 8 საათზე სილვესტრ დე სასის თავმჯდომარეობით. დროებითი მდივნის როლს ასრულებდა გარსენ დე ტასი. ამავე წელს ე.-ფ. შამპოლიონმა ამოკითხული ეგვიპტური იეროგლიფები წარმოადგინა. შედგა სია უცხოელი მეცნიერებისა, რომლებიც დაუსწრებლად გახდნენ სააზიო საზოგადოების წევრები. შემდეგ ს. დე სასმა სიტყვა წარმოთქვა; ე.-პ. აბელ-რემიუზამ ჩინური რომანის — „ორი ბიძაშვილის“ საკუთარი თარგმანი წაიკითხა. ბოლოს სხდომის დამსწრეებმა სააზიო საზოგადოების საბჭო და ბიურო აირჩია. სააზიო საზოგადოების პირველი პრეზიდენტი ბარონ სილვესტრ დე სასი გახდა.

სააზიო საზოგადოების პირველი უცხოელი წევრი იყო ისეთი ცნობილი მეცნიერი, როგორც იყო ალ. ფონ ჰუმბოლტი. იყვნენ საპატიო წევრებიც, რომელთა რიცხვი დღეს უკვე 20-მდე აღწევს.

ამ ახალ საზოგადოებაში შევიდნენ არა მარტო ორიენტალისტები, არამედ ფრანგი და უცხოელი ცნობილი პიროვნებები: ტალეირანი, ჰერცოგ დეკაზი, გრაფი დარიუ, შატობრიანი, ადმირალი სიდნეი სმიტი და სხვ.

1825 წლიდან მარი ბროსე ამ საზოგადოების წევრი იყო, ხოლო 1834 წლიდან კი — მისი საბჭოს წევრი.

იმ პირთა შორის, ვინც მფარველობას უწევდა ამ ახალ საზოგადოებას, აღსანიშნავია ჰერცოგ ორლენელი, რომელმაც მიიღო სააზიო საზოგადოების „საპატიო პრეზიდენტის“ წოდება, ხოლო 1830 წელს, ლუი ფილიპეს სახელწოდებით საფრანგეთის ტახტზე მისი ასვლის შემდეგ, მას ეწოდა სააზიო საზოგადოების „მფარველი“. სააზიო საზოგადოების ასევე ცნობილი მფარველი იყო ჰერცოგი რიშელიე.

სააზიო საზოგადოების დაარსებიდან დღემდე მისი პრეზიდენტები იყვნენ: სილვესტრ დე სასი (1822—1829), ე.-პ. აბელ-რემიუზა (1829—1832), სილვესტრ დე სასი (1832—1834), ამედე ჟობერი (1834—1847), რეინო (1847—1867), ეიულ მოლი (1867—1876), გარსენ დე ტასი (1876—1878), ადოლფ რენიე (1878—1884), ერნსტ რენანი (1884—1892), ბარბიე დე მეინარი (1892—1908), ემილ სენარი (1908—1928), სილვენ ლევი (1928—1935), პოლ პეიო (1935—1945), ჟაკ ბაკო (1946—1951), შარლ ვიროლო (1951—1964), ჟორჟ გოდე (1964—1969), რენე ლაბა (1969—1974), კლოდ კაენი (1974).

პირველ ხანებში საზოგადოება თავის სხდომებს ატარებდა ყოველწლიურად პირველ ორშაბათს საღამოს 7 ს. და 30 წ. საზოგადოების ბიბლიოთეკა ღია იყო მხოლოდ მისი წევრებისათვის, ყოველ სამშაბათს და შაბათს დღის 1 საათიდან 4 საათამდე. თავდაპირველად საზოგადოების სხდომები უფრო ადმინისტრაციულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მალე მან მიიღო წმინდა მეცნიერული ხასიათი, რომლის მონაწილეთა უმრავლესობა ისტორიკოსები და ფილოლოგები იყვნენ.

სააზიო საზოგადოების მთელი სამეცნიერო მუშაობის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები იყვნენ ს. დე სასი, ე.-პ. აბელ-რემიუზა (ჯერ საზოგადოების მდივანი, მერე პრეზიდენტი), სენ-მარტენი („სააზიო ჟურნალის“ რედაქტორი) და სხვ.

მაგრამ აღმოსავლეთის შესწავლის საქმეში საზოგადოების წევრთა შორის ერთიანი აზრი არ არსებობდა: ერთი ჯგუფი აღმოსავლეთში ეძებდა სიმართლის გაგებას, მეორე (რომელსაც ვიუღ მოღმა „მეყვავილე“ უწოდა) — სილამაზით დატკობას.

ამრიგად, სააზიო საზოგადოებაში შეიქმნა ორი ჯგუფი. კრიზისი გამწვავდა 1829 წელს. პრეზიდენტი სილვესტრ დე სასი გადადგა. პრეზიდენტი გახდა ე.-პ. აბელ-რემიუზა, მდივანი — ე. ბიურნუ. 1832 წელს პრეზიდენტის პოსტი ეკლავ ს. დე სასმა დაიკავა. ამან მდგომარეობა რამდენადმე შესცვალა.

ბარონ ს. დე სასის პრეზიდენტობის წლები იყო სააზიო საზოგადოების მუშაობის ნამდვილი აყვავების პერიოდი. 1829 წლის 15 აპრილს სამეფო განკარგულების საფუძველზე, სააზიო საზოგადოებას მიეცა სამოქალაქო უფლებები, მათ შორის საჩუქრებისა და ანდერჰის მიღების უფლება. მართალია, ამან საზოგადოება ფულადი სახსრებით ვერ გაამდიდრა, მაგრამ სამაგიეროდ მისი ბიბლიოთეკა წიგნებით საგრძნობლად შეივსო.

საფრანგეთის სააზიო საზოგადოებამ კავშირუბრუნებები დაამყარა ცალკეულ აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერებთან და აღმოსავლურ საზოგადოებებთან. კერძოდ, ლონდონის „სამეფო სააზიო საზოგადოებასთან“, რომელიც შეიქმნა 1823 წელს⁵, „ამერიკის აღმოსავლურ საზოგადოებასთან“⁶ (შეიქმნა 1842 წ.), „გერმანულ აღმოსავლურ საზოგადოებასთან“⁷ (შეიქმნა 1842 წ.).

სააზიო საზოგადოების ბეჭდვითი ორგანო გახდა „სააზიო ჟურნალი“⁸, რომლის გამოსვლა დაიწყო 1822 წელს და „სააზიო საზოგადოების რვეულები“⁹, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1933 წელს. „სააზიო ჟურნალი“ თავიდანვე აქვეყნებდა მდიდარ სამეცნიერო სტატიებს, სხვადასხვა სახის მასალებს და ინფორმაციებს აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ. 1829 წლიდან ჟურნალი უკვე იბეჭდებოდა სამეფო სტამბაში, რომელიც თავისთავზე იღებდა აღმოსავლურ ენებზე მასალების ბეჭდვის ხარჯებს.

„სააზიო ჟურნალის“ დაარსების პირველი წლებიდანვე მის ფურცლებზე დაიწყო მასალების ბეჭდვა საქართველოს შესახებ, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი და ავტორი მარი ბროსე იყო.

⁵ „Royal Asiatic Society“.

⁶ „American Oriental Society“.

⁷ „Deutsche Morgenlandische Gesellschaft“.

⁸ „Journal Asiatique“.

⁹ „Cahiers de la Société Asiatique“.



„სააზიო ჟურნალში“ დასაბეჭდად მომზადებული სტატია ხშირად ხდებოდა ზეპირი მსჯელობის საგანიც. ამიტომ საზოგადოების სხდომები იყო უფრო ცოცხალი და საინტერესო.

საზოგადოება აგროვებდა წიგნებსა და ხელნაწერებს. იგი მით ძირითადად ღებულობდა საჩუქრებისა და ანდერძების სახით¹⁰.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ფართოვდებოდა აღმოსავლეთის შესწავლა. XIX საუკუნის დასაწყისში „ორიენტალისტ“ უწოდებდნენ ძველი ებრაულისა და ისლამიზმის მკვლევარს. ეს უკანასკნელი მოიცავდა არაბულს, სპარსულს და თურქულს. შემდგომში მასში შევიდა ჩინურიც. სწავლობდნენ აღმოსავლეთის ხალხების ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვნებას...¹¹.

1835 წლიდან სააზიო საზოგადოების მოღვაწეობის ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა: ევგენი ბიურნე, სტანისლა ყიულიენი, ყიულ მოლი.

ყიულ მოლმა თავისი ენერგიული მოღვაწეობით სააზიო საზოგადოება გამოიყვანა უმოქმედობიდან, შინაგანი უთანხმოებიდან და ბუნდოვანი პოლიტიკური მდგომარეობიდან. გადაჭრა ის სიძნელეები, რომლებიც დაწყებული 1840 წლიდან საზოგადოების წინაშე იდგა. ამრიგად, საზოგადოების მუშაობა კვლავ აქტიური გახდა. საზოგადოების წევრთა რიცხვმა, რომელიც მანამდე მცირდებოდა, ამიერიდან დაიწყო ზრდა. 1847 წლიდან ვიზარდა საზოგადოების ფულადი სახსრები. მას ფულადი დახმარება აღმოუჩინა საფრანგეთის განათლების სამინისტრომ. შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო „სააზიო ჟურნალის“ ხელმოწერებისაგან მიღებული თანხაც.

სააზიო საზოგადოებისათვის დიდი წარმატება იყო 1839 წელს მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება — „აღმოსავლური ტექსტების კოლექციის“ პირველი ტომის გამოცემა, რამაც სამეცნიერო წრეებში მაღალი შეფასება მიიღო. ყიულ მოლის ინიციატივით 1862 წელს სააზიო საზოგადოებამ თავის განკარგულებაში არსებული აღმოსავლური ხელნაწერები და სხვა მასალები გადასცა პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

1910 წელს სააზიო საზოგადოებამ მიიღო ახალი დებულება, რომელიც დღემდე ძალაშია 1922 წელს სააზიო საზოგადოებამ აღნიშნა თავისი არსებობის ასი წლისთავი. ამასთან დაკავშირებით საზოგადოებამ გამოსცა „წიგნი მიძღვნილი ასი წლისთავისადმი“¹², სადაც მოცემულია ასი წლის განმავლობაში საფრანგეთის სააზიო საზოგადოების მოღვაწეობის შედეგები. 1933 წელს საზოგადოებამ გამოსცა კოლექციების პირველი ტომი სახელწოდებით: „სააზიო საზოგადოების რვეულები“. დღემდე სულ გამოსულია 12 ტომი.

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში საზოგადოებამ მიიღო საჩუქრად სენარისა (1928 წელს) და ფუშეს (1952 წელს) ბიბლიოთეკები, ჰენრიეტა მერიისა (1946 წელს) და ჟაკ ბაკოს (1971 წელს) ტიბეტური კოლექციები.

1951 წელს ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესზე სტამბოლში შეიქმნა „ორიენტალისტთა საერთაშორისო კავშირი“, რომელიც წარმოადგენს იუნესკოსთან არსებული „ფილოსოფიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

¹⁰ იხ. J. Filliozat, Catalogue des manuscrits sanscrits et tibétains de la Société Asiatique, „Journal Asiatique“, 1941—1942.

¹¹ იხ. მაგალითად: Joseph Deguignes, Histoire générale des Huns, des Turcs, des mogols et autres Tartares occidentaux, t. I, Paris, 1756.

¹² იხ. Livre du Centenaire (1822—1922), Paris, 1922. Louis Finot. L'histoire de la fondation et du premier siècle de l'existence de la Société Asiatique.

საერთაშორისო საბჭოს“ ნაწილს. „ორიენტალისტთა საერთაშორისო კავშირი“ ამჟამად მოიცავს აზიისა და აფრიკის სამყაროს.

1972 წელს საფრანგეთის სააზიო საზოგადოებამ აღნიშნა თავისი არსებობის 150 წლისთავი. ეს იყო ამავე დროს შამპოლიონის მიერ ეგვიპტური იეროგლიფების ამოკითხვის 150 წლისთავი, ორიენტალისტთა პირველი საერთაშორისო კონგრესის (1873 წ.) ასი წლისთავი და საფრანგეთში ორიენტალიზმის (1922—1972) 50 წლისთავი. ყოველივე ამას მიეძღვნა „სააზიო ჟურნალის“ სპეციალური ნომერი¹³.

„სააზიო ჟურნალის“ გამოსვლა მეორე მსოფლიო ომის დროს ერთხანს შეწყდა. ომის შემდეგ კი კვლავ განახლდა. დღემდე გამოსულია 262 ტომი.

ჩვენ წინაშეა „სააზიო ჟურნალის“ („ჟურნალ აზიატიკ“) 1974 წლის 262-ე ტომის 4 ნაწილი. იგი ყოველწლიურად გამოდის ორ-ორ ნაწილად (1—2 და 3—4). პაგინაცია ოთხივე ნაწილს საერთო აქვს. 1974 წლის 4 ნაწილის 2 ტომამოიცავს 522 გვერდს¹⁴.

პირველი წიგნი (1—2 ნაწილი) იწყება სამძიმრით სააზიო საზოგადოების პრეზიდენტის აკად. რენე ლაბას გარდაცვალებას გამო. შემდეგ მოდის: დავიდ კონენის სტატია-ნეკროლოგი — რეჟი ბლაშერის (1900—1973) მოღვაწეობა (აღამიანი, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება მიუძღვნა არაბული და ისლამური სამყაროს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლას) და ჟან ლუკ-ლანის სტატია-ნეკროლოგი — ეგვიპტოლოგი ჟაკ ვანდიეს (1904—1973) მოღვაწეობა; კავკასოლოგი ჟორჟ დიუმეზილის სტატია „შენიშვნები ეტიმოლოგიისა და სიტყვათა მარაგის შესახებ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთში“ (სადაც განხილულია „მა“-ს პრობლემა უბინურში); ფრანსუა გრილოს სტატია „საშუალო ზმნა ელამიტურში“; ჰაიმ ზაფრანის — „ფულის პრობლემები მაროკოში მაროკანელი რაბინების იურიდიულ ლიტერატურაში (XV—XX სს.)“, სადაც განხილულია ზარათუანების ისტორია მაროკოში და ებრაელების როლი ამ საქმეში; მუჰამად მოკრის — „კალამ გურანი მხედარი ნაცრისფერ ბედაურზე, ქარის მომთენიერებელი (ისლამური ერესოლოგიისა და ირანული მითური თემების მიმოხილვა)“; ჟან ობენის — „ზორასანის სარდარის სახელმწიფოს დასასრული (XIV საუკ.)“; ჟან ფილიოზას — „პლინიუსი და მალაია“; ო ჩიუნგის — „გამოკვლევა ინდო-კმერულ ფილოლოგიაში“, რომელიც წარმოადგენს წინა ტომებში დაბეჭდილი სტატიების გაგრძელებას; სავერო ლევიცის — „გამოკვლევა კამბოჯურ სიტყვათა მარაგზე (ძველი კმერიდან ახალ კმერამდე)“; ფილიპ ნ. ენერის — „რიცხვითი სახელები კმერულში“ (ავტორი აღნიშნავს, რომ ერთხანს გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ კმერულში ზუთობითი თვლაა მიღებული და, რომ ზოგიერთი ავტორი ახლა სხვა აზრს გამოთქვამს); მარსელ დეტომბის — „XVI საუკუნის ჩინეთის რუკა აღმორჩენილი პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში“.

აღნიშნულ სტატიებს მოსდევს უკანასკნელ წლებში გამოსული წიგნების ანოტირებული ბიბლიოგრაფია. მაგალითად: ჯერარ ტრუპოს „პარიზის ეროვ-

¹³ იხ. „Journal Asiatique“, t. 261, Année 1973, Fascicules I à 4. Numéro spécial pour le cent-cinquantième de la „Journal Asiatique“ (1822—1972). Cinquante ans d'orientalisme en France (1922—1972). Paris, 1973. იხ. იქვე: Jean Filliozat, La Société Asiatique: d'hier à demain, გვ. 3—12.

¹⁴ „Journal Asiatique“. Périodique Trimestriel. Publié par la Société Asiatique avec le concours du Centre National de la Recherche Scientifique, t. 262, Année 1974, Fascicules I et 2,3 et 4, Paris 1974, გვ. 1—240; 243—522.

ნული ბიბლიოთეკის არაბულ ხელნაწერთა კატალოგი“, ტ. I, პარიზი, 1972; პ. მ. ჰოლტი, ა. კ. ს. ლამბრონი, ბერნარდ ლევი, ისლამის კემბრიჯის ისტორია, ტ. I, IV, ლონდონი — ნიუ-იორკი, 1970; ჟან დელოში, ინდოეთის უძველესი ხიდეები, პარიზი, 1973 და სხვ.

მეორე წიგნი (3—4 ნაწილი) იწყება ჟან ბუტეროსა და ელენ კასინის სტატია-ნეკროლოგიტ „რენე ლაბა (1904—1974)“, სადაც ლაბარაკია აღმოსავლეთის დიდი სპეციალისტის ასიროლოგი აკად. რენე ლაბას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. სტატიას თან ერთვის რენე ლაბას შრომების სია.

შემდეგ მოდის: ეილბერ ლაზარის სტატია-ნეკროლოგი „ფრანგი ირანოლოგი ჟან დე მენასკი (1902—1973)“; სოლანე ირისა და ჟან-ლუი პაიეს სტატია „მეორე ათასწლეულის ბიბლიოთეკა აღმოჩენილი ბალის მეშენენჰში (სირია)“ (სტატია ილუსტრირებულია); ჟერარ ფიუსმანის — „აშოკელთა რამდენიმე პრობლემა“ (აშოკას იმპერიის შინაგანი წყობილება); ლუდვიგ შტერნბახის — „გნომიკური ლექსების პატარა კრებული“ (სანსკრიტული დიდაქტიკური და გნომიკური ლექსები); ფრანსუაზა მალიზონის — „სვამი ნარაინების კრიშნაიტის სექტა გუჯარაში“ და სხვ.

აღნიშნულ სტატიებს მოსდევს უკანასკნელ პერიოდში გამოსული წიგნების ანოტირებული სია: მონე სალევის, ზაგრების ეგვიპტური სიძველეები, პარიზი, 1970; გ. მ. ბონგარ-ლევინი, ინდოეთი მაურევის ეპოქაში, მოსკოვი, 1973; ბ. ა. ლიტვინსკი, ძველი მომთაბარეები, მოსკოვი, 1972 და სხვ. ინგლისის სამეფო სააზიო საზოგადოების (1823—1973) 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი; საფრანგეთის სააზიო საზოგადოების გენერალური ასამბლეის საგანგებო სხდომების (1973 წლის 12 იანვარი — 1974 წლის 15 ივნისი) ანგარიში და ბოლოს საფრანგეთის სააზიო საზოგადოების ახალ წევრთა სია¹⁵. რაც შეეხება საერთოდ საფრანგეთის სააზიო საზოგადოების წევრთა სიას, იგი მოთავსებულია „ჟურნალ აზიატიკის“ 261 ტომში¹⁶.

ამჟამად საფრანგეთის „სააზიო საზოგადოების“ წევრთა რიცხვი შეადგენს 614-ს, მათ შორის 16 საპატიო წევრია (საპატიო წევრთა შორის საბჭოთა კავშირიდან არიან: ბ. ვაფუროვი და ს. პ. ტოლსტოი).

საფრანგეთის „სააზიო საზოგადოების“ არსებობიდან დღემდე მის წევრად არჩეულია 6 ქართველი: 1831 წელს — თეიმურაზ ბატონიშვილი, შემდეგ — ექვთიმე თაყაიშვილი, 1958 წელს — გიორგი შარაშიძე (პარიზი, განაგებს ქართული ენის კათედრას აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტში), 1960 წელს — კალისტრატე სალია (პარიზი, ჟურნალ „ბედი ქართლისა რვეიუ დე ქართველოლოგის“ რედაქტორი), 1969 წელს — შალვა ამირანაშვილი, 1973 წელს — ამ სტრიქონების ავტორი.

¹⁵ იხ. „Journal Asiatique“, t. 262, Année 1974, Fasc. 3 et 4, pp: 517—520. Paris, 1974.

¹⁶ „Journal Asiatique“, t. 261, Année 1973, Fasc. 1 à 4. Paris, 1973, გვ. 13—30.

НАТАЛИЯ ЗАУТАШВИЛИ

«БАДНИЙ ДЕНЬ И БОЖИЧ В СЕРБИИ» А. Н. ЦЕРЕТЕЛИ
(КН. А. Н. ЦЕРЕТЕЛЕВА)

В будущем году исполняется 130 лет со дня рождения одного из замечательных деятелей периода освобождения болгарского народа от турецкого ига, большого защитника его интересов, замечательной личности того времени — Алексея Николаевича Церетели (кн. А. Н. Церетелева — 1847—1883 гг.).

А. Церетели¹ — один из тех потомков грузин, которые волею судьбы оказались далеко от родины и своей деятельностью и творчеством оставили по себе добрую и долгую память. Прекрасный дипломат, юрист, писатель, фольклорист, волонтер в период русско-турецкой войны 1877—1878 гг., составитель первых проектов государственной организации освобождающейся Болгарии, он за свою краткую 10-летнюю дипломатическую службу сумел сделать очень многое, особенно для становления болгарского государства.

Занимаясь своей дипломатической деятельностью, А. Церетели широко интересовался также жизнью и бытом южных славян, изучая их страну и народное творчество.

Одна из его работ посвящена сербскому фольклору и этнографии, с которой мы хотим познакомить читателя.

Хотя интерес к народному творчеству южных славян существовал еще в середине XVIII века, но исследование и запись славянского фольклора началось широким размахом лишь с XIX века² в период национального возрождения славян: он (фольклор) углублял национальное самосознание, способствовал борьбе против феодального деспотизма и чужого политического господства³.

Именно в этот период, когда народное творчество глубоко интересовало и волновало ученых и общество, но многое еще не было собрано и не было изучено, появилась в печати небольшая работа А. Церетели (кн. А. Церетелева) о праздновании Сочельника и Рождества в Сербии («Бадний день и Божич в Сербии»), напечатанная в 1875 г. в «Русском вестнике»⁴. Эта работа его мало кому известна, а между тем она представляет очень интересный материал, особенно для современных фольклористов и этнографов. В ней отразилась, как-бы на миг остановившаяся тогдашняя жизнь Сербии. Эта работа А. Церетели является не только результатом его интереса к фольклору и этногра-

¹ Прадед Алексея Николаевича Церетели — кн. Автандил Церетели вместе с грузинским царем Вахтангом VI и его свитой эмигрировал в Россию в 1724 г.

² Ц. Романска, Славянски фолклор, очерци и образци, София, 1963, стр. 11.

³ П. Диневков, Български фолклор, I, София, 1959, стр. 37.

⁴ А. Церетелев, Бадний день и Божич в Сербии, «Русский вестник», 1875, VIII, стр. 770.



фии южных славян, но и желания познакомить русское общество с жизнью и бытом сербов «столь мало еще... известным» в России⁵.

Интерес же А. Церетели к быту, обычаям и к народному творчеству не случаен. С детских лет А. Церетели часто слушал в родной семье рассказы и беседы о значении народного творчества, о славянских народных песнях и сказках, о народных художественных памятниках древности. Отец его, Николай Андреевич Церетели (кн. Н. А. Церетелев), немало трудов посвятивший фольклору и этнографии⁶, был первым собирателем украинских народных песен. Он — «первый в нашем веке, — писал о нем П. Бессонов в 1870 г., — воскресил внимание к памятникам народного творчества»⁷ и сумел понять его значение.

Многие из родственников и близких Алексея Николаевича были известные литераторы и культурные деятели, среди них был, например, замечательный русский поэт Алексей Константинович Толстой, которому он приходился племянником⁸. Алексей Николаевич очень любил его, ценил и уважал, называя его «дорогим и близким человеком»; о творчестве его Алексей и, особенно, его младший брат, Дмитрий, много писали.

В 1872 г. он был назначен секретарем¹⁰ и драгоманом¹¹ русского генерального консульства в Белграде (Сербия).

А. Церетели, несмотря на свою занятость, уделял свободное время знакомству и изучению страны, совершая длительные путешествия верхом по Сербии и Болгарии. Владея отлично сербским и болгарским языками, он мог непосредственно знакомиться с жизнью и бытом местного населения, приобретая среди них много новых друзей.

А. Церетели с большим уважением и любовью относился к местному населению, находя в них много мудрости и достоинства; особенно в беседах со старыми людьми: «Для меня, — пишет А. Церетели, — во время моих путешествий по Сербии, разговоры со старыми поселенцами были большим наслаждением и я не мог достаточно налюбоваться прямою взглядом, осторожностью и даже хитростью вопросов, ловкостью ответов, а особенно изяществом и живостью выражений»¹².

А. Церетели никогда не переставал интересоваться литературой, особенно, касающейся быта, обычаев и народного творчества славян,

⁵ Там же.

⁶ А. Н. Церетелев, «Опыт собирания старинных малорусских песен», «Взгляд на старинные русские сказки и песни», «О произведениях древней русской поэзии», «О стихосложении старинных русских песен» и др.

⁷ П. Бессонов, Кн. Н. А. Церетелев, Первый собиратель памятников устного народного творчества, «Вестник Европы», 1870, № 6. Так же: А. Бухе, Князь Церетелев, М., 1913; Д. Косарик, Давид Гурамишвили, Киев, 1950, стр. 34 (на укр. языке); О. Гвинчидзе, Алексей Церетели — русский генеральный консул в Болгарии, Тб., 1962 (на грузинском языке); Н. Тарсаидзе, Материалы по истории поселения грузин в России в первой половине XVIII века, Тб., 1964 и др.

⁸ М. М. Стасюлевич и его современники в их переписке, II, СПб., 1912, стр. 370, Письмо А. К. Толстого М. М. Стасюлевичу от 2.I.1874 г.

⁹ Там же, стр. 400—405, письмо А. Н. Церетели М. М. Стасюлевичу от 2 ноября 1875 г.

¹⁰ АВПР, Ф. ДЛС и ХД, оп. 749/1, л. 73 б, л. 89.

¹¹ Драгоман — переводчик при посольстве в Турцию.

¹² А. Церетелев, Гадный день и божич в Сербии, «Русский вестник», 1875, VIII, стр. 789.

не говоря уже о периодической печати, за которой он следил аккуратно. Уходя на войну, он захватил с собой вместе с пособием для офицеров и маленькую книжечку «Эгмонт» И. Гете¹³ (эту героическую драму о национально-освободительной борьбе в Нидерландах, которая может быть, была его любимым произведением).

Однажды, прочитав статью Ф. И. Буслаява «О сравнительном изучении народной мифологии и поэзии», где он нашел и ссылки на сербские обычаи, А. Церетели решил лично посмотреть празднование в Сербии Бадного дня и Божича, т. е. Сочельника и Рождества, выбрав этот праздник, так как к этим дням, пишет А. Церетели, было приурочено много древних обрядов¹⁴.

Как известно, этот праздник не чисто христианский, это — древний языческий праздник, связанный с началом Нового года; все обряды и поверия имели целью обеспечить хороший урожай и благополучие крестьян, принести счастье всем членам семьи. Конечно, вместе со всем этим, они вносили праздничность и веселье в жизнь народа.

В древние времена человек, не умевший объяснить себе природные явления, представлял их как одушевленные существа. Он верил, что сможет на них повлиять определенными действиями и заклинаниями, верил в силу слова и культ предков, считавшихся его защитниками и покровителями, могущими охранить его от злых сил¹⁵.

С историческим развитием славянских народов, переменилось и их мировоззрение. С принятием христианства в эти обряды проникли элементы христианской идеологии. В празднования, связанные самым тесным образом с народным трудом и с переменами в природе, стали проникать христианские представления, имена церковных лиц и событий из их жизни. Получилось переплетение старинных языческих земледельческих традиций с христианскими понятиями. Новая официальная религия не сумела искоренить из народного сознания старинные верования, а из жизни народа — старинные праздники, и была принуждена осмыслить эти языческие празднования в духе христианских взглядов. Поэтому с праздником Рождества или Коледа, известного у всех славянских народов (русского — Коляда, украинского — Колядь, словенского — Koleda, сербского и болгарского — Коледа и т. д.) связано много обрядов и песен.

У славян Коледа¹⁶ означало возрождение солнца, которое после зимнего круговорота в конце декабря начинает постепенно усиливать свой свет и день увеличивается. Христианская церковь долго боролась с этим языческим праздником, но, не сумев и его уничтожить, слила его с Рождеством Христовым. А. Церетели решил посмотреть именно этот праздник, который в Сербии «самый почитаемый и самый веселый праздник в году»; летние работы уже позади, осень одарила богато полевых тружеников, «дом полная чаша, есть чем угостить

¹³ А. Церетелев, Письма с похода, «Русский вестник» т. 137, кн. 10, 1878, стр. 206.

¹⁴ А. Церетелев, Бадний день и Божич в Сербии, «Русский Вестник», 1875, VIII, стр. 77С.

¹⁵ Ц. Романска, Славянски фолклор, стр. 9.

¹⁶ Название Коледа происходит от латинского названия новогоднего праздника, когда римляне первоначально так называли первый день каждого месяца, созывали народ, чтобы объявить ему о новом месяце (calo — звать), совершали жертвоприношения и устраивали увеселения. Самыми известными были январские «calendae», когда вступали в должность новые консулы.



гостей», — пишет А. Церетели¹⁷. Он отмечает, что в больших городах уже исчезли многие древние обряды и обычаи; надо было ехать в какое-нибудь село. В дальних округах княжества еще строго придерживались старины, но туда А. Церетели поехать не мог, так как обстоятельства ему не позволяли на долгое время оставлять Белград¹⁸.

В это время в Белград приехал Е. Е. Голубинский (Песков), совершавший путешествия «в земли славян и греков», собирая материал для своей работы по истории славянских церквей¹⁹. А. Церетели очень помог ему в организации поездки по Сербии, о чем Е. Голубинский писал в своих воспоминаниях и отзывался об А. Церетели, как о «прекраснейшем и обязательнейшем молодом человеке», устроивший дело так, что ему был дан в спутники один серб, отлично знающий Сербию — секретарь в Министерстве народного образования, известный уже тогда ученый-фольклорист²⁰ и писатель Милан Миличевич. Последний был по словам А. Церетели «одним из лучших знатоков сербских народных обычаев и быта поселян и автором многих трудов («живот срба селяка», «Путничке писма» и др.)²¹.

Именно с этими людьми: с Е. Голубинским и М. Миличевичем, согласившимся быть их «путеводителем», А. Церетели организовал поездку в с. Рипань на Рождественские праздники.

Село Рипань находилось недалеко, приблизительно в 20 километрах от Белграда. В этом селе родился М. Миличевич и это обстоятельство, до известной степени, обеспечивало возможность создания максимально непринужденной обстановки, что в свою очередь помогло Алексею Церетели увидеть сохранившиеся там обычаи, по его словам «в большей полноте».

Об этой поездке М. Миличевич отметил в своих воспоминаниях: «В тот год, зимой, я ездил по Сербии с профессором Голубинским, который писал «историю сербской церкви», а Сочельник и Рождество я провел с ним и князем Церетелевым в с. Рипань... Они были рады своими глазами увидеть наши Рождественские обычаи»²².

Результатом этой поездки был очерк красочно описывающий эти праздники. В своем очерке А. Церетели руководствовался не только личными своими наблюдениями и записями, но использовал и целый ряд работ сербских и русских исследователей, подробный список которых автор дает в своем небольшом вступлении.

Это произведение В. Караджича, М. Миличевича, Петрановича, Г. Милосевича, Дучича, Илича, Памучины, описывающие жизнь, обычаи, песни и обряды не только Сербии, но и Боснии, Черногории, Герцеговины и Далмации; на русском языке, кроме статьи Ф. Буслаева, еще и часть обширного труда А. Афанасьева «Поэтические воззрения славян на природу», статью А. Потетни «О мифологическом значении

¹⁷ А. Церетелев, указ. соч., стр. 771.

¹⁸ Там же.

¹⁹ С. Смирнов, Некролог Е. Е. Голубинского, «Народное просвещение», 1912, № 5, стр. 33, отд. 4.

²⁰ Воспоминания Е. Е. Голубинского, Кострома, 1923, стр. 11.

²¹ А. Церетелев, Бадний день и Божич в Сербии, «Русский вестник», 1875, VIII, стр. 772.

²² М. Миличевич, Како сам се ја учио (от 1868 до 1876 г.), Р 343/g (на серб. языке), стр. 251, по сведениям, полученным из Белгр. нар. библиотеки.

некоторых обрядов и поверий»²³, упоминается еще и «Белорусские песни»²⁴ П. Бессонова.

А. Церетели старался, как сам он пишет, «передать виденное, дополнив слышанным и сведениями, найденными» в сербской печати²⁵. Чтобы увидеть все обряды и обычаи А. Церетели вместе со своими спутниками выехали в Сочельник в полдень.

Очерк его начинается с подробного описания их поездки по сербской дороге из Белграда в Крагуевац, на которой находится с. Рипань. А. Церетели описывает все, что он встречал в пути. Например, он знакомит читателя с историческими памятниками: с памятником сербам, погибшим при взятии Белграда в 1806 г., с средневековым замком на горе Авале и др. Не оставляет он без внимания и тех, кто встречается им по пути. Так, он описывает цыган, идущих на заработок в столицу, давая попутно и некоторые сведения об их социальном положении, их занятий и об отношении к ним сербов.

Знакомит он нас и с самим селом Рипань, которое, по народным поговоркам, отличается бойкостью девушек. Из его записей мы узнаем, например, что с. Рипань «самое значительное село во всем белградском окружье», насчитывающее 378 «порезких» глав, т. е. хозяев, платящих подати (порезы), и 1839 душ населения; что свое название оно получило от названий, находящихся близ него реки или скалы (Рипа). Оно, как все сербские села, напоминает ему украинские села и т. д.²⁶

Приехав в село Рипань, гости направились в дом, куда «назвались» праздновать Божич (Рождество) и где их радушно встретили хозяева. После приветствий, принятых в Сербии согласно их обычаям, гостей ввели в «собу» (комнату) и не успели они сесть, пишет А. Церетели, как их стали угощать «сладко» (вареньем), которое берут ложечкой и запивают водой²⁷, а также «сливовницей» (водкой из слив).

Здесь А. Церетели дает сведения об усадьбе сербского поселянина, об убранстве ее «соб» (комнат) и составе его семьи.

Сразу при встрече М. Миличевич объяснил хозяевам цель их приезда к ним, — увидеть «во всей полноте обряды при праздновании Бадного дня и Божича»²⁸, прося их ничего не сокращать и не забывать. Хотя хозяин дома (доматин) уже не признавал этих обычаев, называя их «лудорни» (глупостями) и, говорил, что это «бабы выдумали», они с трудом, все же, убедили не противиться и, благодаря жене (доматице), для которой эти обряды были священными, удалось увидеть «хоть часть обрядов», сохранившихся в этом селе.

Затем А. Церетели переходит к описанию обрядов и всего празднования рождества, которое длится 3 дня. Первый день, так называемый Туцин день (туцати — закалывать), когда в селах режут поросенка для «печеницы» (так называют в Сербии жаренного поросенка) и готовят дом к празднику (напр., выносят из дома все стулья и скамьи и прячут их, чтобы в Сочельник (Бадний день) их не трогали, иначе скоту угрожает хромота; прячут все железные кочерги, щипцы

²³ А. Церетелев, Бадний день и Божич в Сербии, вступление.

²⁴ Там же, стр. 771.

²⁵ Там же.

²⁶ Там же, стр. 774.

²⁷ Этот обычай угощать вареньем существует и до сих пор в Болгарии.

²⁸ Там же, стр. 776.



и треножник, заменяя их деревянными и т. д.). Второй день — Бадний день (Сочельник) и третий день сам Божич (Рождество).

При описании и анализе фольклорного и этнографического материала А. Церетели широко использовал сравнительный метод, благодаря чему, читатель получает полное представление как об общих чертах обрядов, так и о некоторых различиях между ними в разных областях страны.

Кроме этого А. Церетели в своем очерке дает около 100 сербских слов и выражений и 12 народных песен (полностью или отрывки из них); большинство из них на сербском языке, они даны с их переводом на русский язык (вероятно его личным). Перед тем как описывать сам праздник и связанные с ним обряды, обычаи и народные поверья, А. Церетели приводит одну народную песню, которая сама по себе может «служить как бы программой празднества», которой до известной степени придерживался и сам А. Церетели. В этой песне говорится:

Божич зовет сверху горы той высокой:
 «Веселитесь, братья Сербы! Пора вам,
 Приготовьте мне бадняки все шелком украшенные,
 А двери и окна лаврами, а иконы и столы масляными ветками.
 Разложите пшеничную солому вместо трапезы,
 А по ней скатерти золотом вышитые,
 Добрых баранов наткните на вертелы,
 Ветчину режьте не вся,
 Жгите крупные поленья не раскалявая,
 Приготовьте мне вдоволь вина рьяного, красного
 И ракии виноградной первого перегона;
 Вы молодцы и девушки хоровод водите,
 Вы юнаки (молодцы) из ружей часто стреляйте,
 А вы, старые и слабые, Богу молитесь».

В Бадний день с утра идут приготовления к вечеру, когда за ужином собирается вся семья. На Бадний день пекут много обрядных пирогов, лепешек, готовятся специальные кушанья, гадают и колдуют. Во время многих из этих обрядов стреляют из ружей. Одно из главных приготовлений — это подготовка так называемого «бадняка» — молодого дубового дерева, которое вносится вечером в дом. С ним связан целый ряд старинных обычаев и А. Церетели описывает эти обряды и обычаи, очень подробно, сравнивая их с обрядами и обычаями в других областях страны. Так он рассказывает, например, что за «бадняком» идут рано утром в Бадний день, еще до восхода солнца. Обыкновенно идет хозяин дома. Выбрав подходящее деревце, он его должен срубить, соблюдая известные обычаи.

В Сербии, например, хозяин дома, выбрав нужное дерево «намазывает медом или посыпает пшеницею место, где хочет рубить, и, обращаясь к дереву, говорит: «добро утро, бадняче, наш милы батале, да си нам жив и здрав, младичу»²⁹. На что отвечают ему вместо «бадняка», что, мол, секите нас, тут наша старость и смерть.

В Черногории хозяин дома, перед тем, как срубить, «снимает шапку, крестится на восток говоря: помози ми Боже и Божичу». В зависимости от того, как отломится бадняк, делают выводы: счастлив ли

²⁹ Там же, стр. 777. Означает: доброе утро бадняк, наш милый братец (или баяшка) будь нам жив и здоров, молодец! (перевод А. Церетели).

будет год: «если обрубок выступает клином — счастье, если выемка — дурной год»³⁰.

И рубить его надо, соблюдая определенные правила: только с одной стороны, затем сваливают одним ударом, при этом оно должно упасть обязательно на восток и т. д. Домой несет «бадняк» или сам хозяин дома или «самый почитаемый человек в семье». Встречают его дома с песнями. В Черногории, отмечает А. Церетели, хозяина с бедняком встречает хозяйка, держа в одной руке пшеничный колач (вид пирога), а в другой стакан вина. Он ее поздравляет с Бадним днем, а она ему желает счастья.

К вечеру, когда все домашние собрались, А. Церетели и его спутников пригласили присутствовать при торжественном внесении бадняка в дом. Весь под в этой комнате посыпается соломой. В Боснии солону рассыпают по всему дому, приговаривая пожелания всем здоровья, мира и благодати. Бадняк кладут на огонь в очаг, который горит всю ночь.

В Сербии, пишет А. Церетели, над бадняком «целуются пастухи, чтобы овцы любили своих ягнят», целуют бадняк и все входящие в этот дом, а в старину обращались к нему и с молитвой. В Шумадии, продолжает А. Церетели, бадняк мажут медом, который дети облизывают. В Боснии при внесении бадняка приветствуют Сочельник (Бадний вечер) и желают друг другу счастья и поют обрядовые песни. В Герцеговине стреляют из ружей, когда кладут бадняк на огонь и поют обрядные песни. В последних желают плодородья, здоровья всем в следующем году и т. д. Причем в одних местах бадняк бывает только один (в Шумадии, в Черногории), в других по три и пяти (в Боснии), а в некоторых местах по числу живущих в доме.

Также интересно А. Церетели описывает обряды и обычаи, которые он наблюдал за ужином в Сочельник. В этот вечер они собрались у стола, покрытого мешком из-под зерна, под который было положено сено.

Разные постные блюда, обрядовые колачи, постные лепешки, которые А. Церетели описывает подробно, свечи и др. украшали трапезу. В этот вечер кадят, читают молитвы и начинают ужин «с ломления колача»; все разом берутся за него правую рукою и поворачивают справа налево, стараясь отломить кусок; кто отломит больше, тому будет больше счастья в этом году. И так как больший кусок достался (чуть ли не половина калача) Е. Голубинскому, то А. Церетели пожелал, чтобы это «доброе предзнаменование оправдалось во время путешествия почтенного профессора». Это тоже одна из характеризующих черт характера самого А. Церетели, умеющего желать и делать добро другим людям.

Говоря о множестве обязательных в этот вечер блюд, А. Церетели упоминает и о так называемой «варице» — это смесь ячменя, пшеницы, гороха, бобов, кукурузы, проса с сухими сливами, яблоками, орехами, «словом, — заключает А. Церетели, — это тот же узвар, который было в детстве я с таким наслаждением едал в Украине»³¹.

За ужином гадают, пьют «здравицы» (в Боснии) и поют разные обрядовые песни. А. Церетели приводит к примеру одну такую песню, где Солнце ведет разговор с утренней звездой о веселом празднике Рождества:

³⁰ Там же, стр. 777.

³¹ Там же, стр. 785.



Яркое солнце зарницу (утреннюю звезду) подзывает:
 «О, зарница, моя сестрица!
 Я зову тебя и молю братски,
 Завтра нам Христово рождение,
 Когда зарею на восток выйдешь,
 Обожди меня на востоке, сестрица,
 Надо завтра играть на веселье».
 Сестра брата своего послушала
 И зарница обождала солнце,
 Встретилась с братом на веселье.
 Когда увидели Христово рождение,
 От радости трижды взыграли,
 Все по ряду: на востоке солнце
 И с ним зарница-сестрица
 И остальные по небу звезды.
 Рядом поют зарница и солнце:
 Слава Богу и Богородице!
 Чудно украсилось веселье,
 И на здоровье роду христианскому,
 Чтобы славно славили его во веки³².

Как и у всех славянских народов в этот вечер и в Сербии ходят колядовать. Однако А. Церетели пишет, что в Княжестве этот обычай уже исчез: он остался лишь в некоторых сербских местностях. Рассказывая о колядовании в Сочельник А. Церетели отмечает, что колядуют не только сербы-православные и католики, но и сербы магометане, которые в Боснии ходят по домам с тамбурой, и поют те же песни, что и христиане, но не собирают даров³³.

Также например, он отмечает, что песни на Божич и Бадний день у сербов православных отличаются от песен у сербов католиков (т. е. у хорватов и славонцев)³⁴. У сербов православных первое место в песнях занимает Божич, иногда Солнце, Колед — старый бог, бадняк, к которому обращаются как к святыне, о Христе упоминается редко, о Богородице еще реже. У сербов-католиков (хорватов и славонцев), несмотря на то, — пишет Церетели, — что обряды и обычаи в эти дни почти одинаковы с соблюдаемыми у православных, песни прониклись вполне библейским рассказом о Рождестве. «Они очень напоминают белорусские канты, изданные П. Вессоновым (выпуск IV, Калики Перехожие) и бесспорно относятся к младшим стихам», — пишет А. Церетели³⁵.

Дальше он приводит для наглядности одну песню, помещенную Иличем в своих «Народных Славонских обычаях» на сербском и русском языках. Однако, самому А. Церетели не удалось услышать и увидеть колядования, но в этот вечер у них «без песни не обошлось», потому что «мыслима ли сербская вечеринка без пения».

А. Церетели отмечает, что «в Княжестве, и особенно в Герцеговине, в редком доме нет гуслей и всякий более или менее хорошо умеет спеть песню»³⁶. Один из близких хозяина дома «оказался мастером гудеть на гуслях и петь песни». После уговоров, без которых не обош-

³² Там же, стр. 786.

³³ Там же, стр. 787.

³⁴ Там же, стр. 802.

³⁵ Там же.

³⁶ Там же, стр. 790.

лось, он затянул «одну из тех однообразных по напеву, лишенных, может быть музыкальной прелести, — пишет А. Церетели, — но столь живых и живописных по содержанию песен»³⁷.

А. Церетели умел слушать и понимать народные песни, относился к ним с большим уважением и любовью. «Кому приходится слушать сербскую песню. — говорит он, — не понимая вполне смысла ее, на того заунывный голос, вечно повторяющийся после нескольких стихов и не менее заунывный мотив на гуслях, наводят тоску и скуку; но кто следит за рассказом, того невольно увлекают яркость красок и простота изложения, тот невольно переносится за певцом в мир, где под облаками носятся вилы-волшебницы, где на своем верном коне Шарце Кралевич Марко совершает богатырские подвиги, — в тот мир поэзии и народного творчества, где отразилось и запечатлелось навеки все пережитое сербским многострадальным народом, где теперь поминается с благодарностью просветитель Сербии св. Савва, с гордостью — царь Душан, где оплакивается горькими слезами гибель Сербии на Косовом поле, где не забыты боровшиеся против Турецкого ига гайдуки, где прославлены Кара-Георгий и Милош Обренович, разбившие турецкие оковы... нельзя утомится слушая такую песню, следя за впечатлением, производимым на сербов, неграмотных поселян или образованных людей, все равно»³⁸, — отмечает А. Церетели.

На третий день начались обряды «Божичные», описанные А. Церетели также красочно. Еще до рассвета оружейные и цистолетные выстрелы возвещали о наступлении Рождества, Божича. В это утро идут непременно к источнику за водой. Этой водой умываются, чтобы быть здоровыми, на ней месят «чесницу» — большую сдобную лепешку, в которую вкладывают маленькую монету, или деревянные изображения овец, ульев, волов, плуга и т. д. (напр. в Герже и Ужичком округе), или гвоздь от подковы, солому, сыр (в Боснии), и гадают кому в чем будет счастье. «Замесив чесницу», — пишет А. Церетели, — хозяйка покрывает ее углями, кладя столько угольков, сколько есть в доме посевов и разного рода имуществ: уголь, покрывшийся гуще других золою предвещает урожай соответствующего ему посева»³⁹.

Интересен и другой обычай, о котором рассказывает А. Церетели. Гость, который первый войдет (по-сербски — «влезит») на Рождество в дом, называется **полажайником** или **полазником**⁴⁰. Он, по поверию, приносит счастье или несчастье. Поэтому, стараясь обеспечить себя счастьем, предусмотрительные люди приглашают его заранее. В некоторых местах полажайником бывает один и тот же ежегодно.

«В Герцоговине, — пишет А. Церетели, — полажайник приходит после обеда и подходя к дому стреляет из ружья и кричит издалека: «Христос се роди!», а хозяин ему отвечает: «Воистину се роди!». При входе его все встают, целуются (мирбожатся), а «полажайник подвигает головни бадняка к огню, поливает вином и под бадняк кладет принесенные с собой яблоки со вдавленной в него монетою». «В Шумадии обычан несколько разнятся от герцоговинских, — отмечает А. Церетели. — Входя в дом, на заре, полажайник говорит: «Христос се роди» и сыплет по дому зерном принесенным в рукаве, «ва истину се роди», отвечают ему хозяева и посыпают его пшеницею; потом он подходит к бадняку, ему выносят кочергу, спрятанную еще на Ту-

³⁷ Там же, стр. 789.

³⁸ Там же, стр. 789.

³⁹ Там же, стр. 792.

⁴⁰ Ср. аналогично в Грузии «Меквле» — буквально — «прокладывающий след».



цин день, и ударяя ею при каждом слове по горящему полёну, чтобы летели во все стороны искры, полагайник говорит: «а бадняк, веселяк, в добрый час, дай нам Бог столько (сколько искр) здоровья, мира, урожая, приплода, веселья, детей мальчиков и всякого доброго счастья», или «столько коров, столько коней, столько коз, столько овец, столько боровов, столько ульев, столько счастья и успеха»⁴¹.

Иногда он (полагайник) становится на колени и целует потухшие головни бадняка, но обыкновенно кладет лишь в пепел несколько денег и садится на скамейку, спрятанную на Туцин день и которую выносят для него первого; когда он хочет сесть, стараются выдернуть из-под него скамейку, чтоб он сел на пол, тогда насадки будут хорошо высиживать; иногда он привешивает к потолку свой опанок (род кожаного лаптя), желая, чтобы такой вышины уродилась конопля; женщины покрывают полагайника самым толстым одеялом или попоною, чтобы гуще собирались сливки⁴².

Передать все обычаи и обряды, описанные А. Церетели, означало бы переписать всю его работу, мы только хотим отметить, что описывая таким образом, подробно и сравнивая эти обряды и обычаи между собою, он действительно создает яркую картину празднования Бадного дня и Божича в Сербии:

А. Церетели не ограничивался лишь описанием этих обрядов и поверий, а дает описание и других сторон быта сербов, касаясь и истории, и этнографии, и архитектуры, и географии страны.

Мы узнаем и о том, что земли в Сербии «не только не размежеваны, но даже и не вымерены приблизительно и черезполосица страшная; считаются земли днями оранья, пашни, но понятно, — пишет А. Церетели, — что количество вспаханной в день земли значительно разнится и зависит от почвы, пахара, волов, времени года»⁴³.

Он также делает попытку социальных обобщений, говоря о судьбе сербского поселянина, угнетенного так называемыми «зеленашами», ростовщиками, «покупающими хлеба на корню, зелень», составляющих, как пишет А. Церетели, «одну из язв сельской промышленности»⁴⁴.

Характерно для творческого метода А. Церетели его пристальное внимание не только к изучаемому им в данном конкретном случае явлению, но и ко всей обстановке, быту, природе, в которой оно зародилось, и к людям, в среде которых оно бытует.

Говоря о сельском поселянине, он отмечает его чувство «равноправности», которое в нем «весьма развито» и «ему едва понятно различие сословий»⁴⁵; говоря об умении серба-поселянина сохранять свое достоинство с кем бы тому не приходилось иметь дело, он удивляется, куда деваются все эти качества у «так называемой образованной молодежи», которая, «воспитанная в Париже или в Вене... в большинстве случаев, теряет связь со своим народом»⁴⁶.

Известный интерес представляют и его исторические справки, разбросанные в указанном труде.

Подробно описывает он постройку и архитектуру Рипаньской церкви, ее внешнюю и внутреннюю отделку и убранство и ее историю,

⁴¹ Ср. с грузинским. Такой обычай распространен и в Грузии.

⁴² Там же, стр. 793.

⁴³ Там же, стр. 783.

⁴⁴ Там же.

⁴⁵ Там же, стр. 788.

⁴⁶ Там же.

также передает историю создания Рипаньской школы; рассказывает о давнишнем ее существовании еще при турках, об ее учителях, участниках борьбы против турецкого ига, о том, почему она несколько раз закрывалась и открывалась⁴⁷.

Благодаря всему этому, читатель «Бадного дня и Божича» получает полное представление как об обрядах Сочельника и Рождества, так и об особенностях жизни и быта сербских сел.

Прощаясь с хозяевами и друзьями М. Миличевича, выпив «црвеног вина» (красного вина), запели вокруг стола «многая лета» и «... в этом пении, — говорит А. Церетели, — сливались голоса и старика деда, видевшего как лилась русская кровь в сербских ущельях и долинах... и голос внука, слышавшего с детства, что русские друзья сербам... и голос школьного учителя, которому учение в столице не доказало еще вполне, что истинные друзья сербов немцы и мадьяры, и что русский народ опасный...»⁴⁸.

«Наша поездка в с. Рипань, — продолжает он, — кроме прямой цели — изучения Рождественских обрядов, дала нам еще случай не только ближе познакомиться с бытом сербских поселян, ... но и видеть лишний раз проявления привязанности их к православной Руси, привязанности истари живущей в сердце каждого простого серба, здравый смысл которого, не колебленный внешними влияниями, не обозначается в своих друзьях»⁴⁹.

В заключение мы можем сказать, что в своем труде А. Церетели своим умением красочно, образно и верно передавать «виденное», сохранил целый ряд народных песен, дал подробное описание обрядов и обычаев, которые давно уже не встретить ни в одном современном селе или городе Сербии и в этом отношении его работа представляет большой интерес, особенно для современных этнографов и фольклористов.

⁴⁷ Там же, стр. 795.

⁴⁸ Там же, стр. 804.

⁴⁹ Там же.

(Представил Институт истории грузинской литературы им. Ш. Руставели
АН Грузинской ССР)

Л. Г. АХМЕДЗЯНОВА

О ДВУХ ПАМЯТНИКАХ ПЕРИОДА КАДЖАРОВ

История грузинско-иранских отношений насчитывает многие века¹. Близкое соседство создавало предпосылки для экономических, торговых и культурных контактов двух народов с давних времен. Известны, например, имена представителей грузинского дома Ундиладзевых, игравших важную роль в политической и военно-административной жизни Ирана XVI—XVII веков², или дома Багратионов, выполнявших обязанности «даруги» (городских правителей) Исфагана в XVII—XVIII веках³.

И в то же время природные богатства и географическое положение делали Грузию лакомым куском для персидских шахов разных времен и династий⁴. Агрессия против Грузии Надер-шаха Афшара, Шах-Аббаса Сефевиды, ага Мохаммад хана Каджара кровавыми буквами вписалась в историю Грузии. После каждой интервенции, в Иран уводились сотни и тысячи пленных грузин. Насильственно обратив в ислам и поменяв имена на мусульманские, пленников превращали в рабов. Но даже в условиях рабства проявлялся талант грузинского народа. Уже известны имена многих грузин, создавших значительные произведения литературы и искусства в Иране⁵ и, очевидно, еще большее число их ждет своих исследователей.

Одним из таких представителей грузинского народа, выбившегося из рабов и ставшего значительным поэтом и литератором начала XIX в., является Ахмад-Биг Горджи, известный под псевдонимом Ахтар.

Предки Ахтара, происходившие из грузинской знати, были рабами сефевидских шахов. Сам Ахмад-Биг родился в окрестностях Тебриза. Но судьба забросила его в Шираз, где он прислуживал различным зендским и каджарским ханам. Благодаря блестящему знанию шахмат и яркому поэтическому дару, он вскоре обратил на себя внимание правителя Шираза Солейман хана Каджара, который сделал его своим придворным поэтом и даже советником ко всеобщей зависти. Но любовь ханов и эмиров была изменчива. Ахтар также неожиданно потерял милость, как и обрел ее. Солейман хан расправился круто, он отрезал язык своему недавно любимому поэту и прогнал его с глаз.

¹ سعید نفیسی، تاریخ اجتماعی و سیاسی ایران در دوره معاصر، جلد اول، تهران ۱۳۴۵. З. М. Шарашенидзе. Иран во второй половине XVIII в. Тбилиси, 1970.

² В. Н. Габашвили, Феодалный дом Ундиладзевых в Иране XVI—XVII вв., см. «Вопросы истории Ближнего Востока», II, Тбилиси, 1972, стр. 64.

³ К. К. Куцня, Грузинские правители Исфагана, см. «Вопросы истории Ближнего Востока», II, Тбилиси, 1972, стр. 103.

⁴ Р. Бурчуладзе, Экономические предпосылки агрессивной политики Ирана против кахетинского царства в XVI—XVII вв., см. «Вопросы истории Ближнего Востока», II, Тбилиси, 1972, стр. 85.

⁵ См. М. А. Тодуа, Грузинско-персидские этюды, Тбилиси, 1971, стр. 105.

Больной и подавленный Ахтар переехал в Исфаган и занялся созданием тазкере поэтов-современников, многих из которых он знал лично. Но здоровье было подорвано, и Ахтар скончался, не успев завершить свою работу. Брат его Мохаммад Багер-Биг Нешати счел для себя делом чести довести до конца работу брата, украсившую последние годы жизни поэта. Но только на два года пережил Нешати своего брата. Тазкере снова осталось незавершенным. По приказу Фатх-Али шаха, правившего в это время, рукопись была передана его придворному поэту Фазел хану Гаруси (Рави).

В том же году (1234 по Хиджре) появилась новая рукопись под названием «Анджоман-е Хаган», подписанная Фазел ханом Гаруси.

Данная статья ставит две цели: 1. познакомить читателя с рукописными списками тазкере «Анджоман-е ара» Ахмада Горджи и с рукописью «Анджоман-е хаган» Фазел хана Гаруси, дав их описание; 2. рассмотреть вопрос, отличаются ли эти два труда в такой мере, чтобы их считать двумя самостоятельными памятниками периода Каджаров.

Тазкере «Аджоман-е ара» Ахмад-Бига Горджи (иногда его называют также «Тазкере Ахтара Горджи») в Тегеране представлено тремя списками, которые хранятся в Библиотеке Меджлиса, Национальной библиотеке и личной библиотеке Фахр-од-Дина Насири Амینی. Кроме того, имеется еще один список, который находится в ФРГ, в библиотеке города Тюбинген.

Список Библиотеки Меджлиса⁶, первоначально принадлежавший Ахмаду Гольчину Маани, был куплен у него Рокн-од-Дином Хомайун-Фаррохом, а затем попал в библиотеку доктора Байани. После смерти доктора Байани его личная библиотека была куплена Библиотекой Меджлиса и, таким образом, список рукописи попал туда сравнительно недавно. Рукопись в удовлетворительном состоянии, написана насталиком (правда, с элементами «нимшекасте»), имеет вступительную статью, содержит биографии и образцы творчества 95 поэтов, содержит много дополнений на полях.

Список Национальной библиотеки⁷ сильно попорчен. Вступительная статья отсутствует, конец очень напутан и неполон. Рукопись содержит 56 поэтов, написана почерком «насталик». Известный исследователь жанра «тазкере», автор великолепной двухтомной «Истории тазкере», Ахмад Гольчин Маани⁸ считает эти два списка более ранними, списками «первого тадвина».

Список из личной библиотеки Фахр-од-Дина Насири Амینی⁹ в сравнении с указанными двумя списками более полный, он включает 127 поэтов. Почерк мелкий но четкий, насталик. Образцы поэзии расположены в 4 колонки. Вступительной статьи нет. Гольчин Маани относит этот список к спискам более поздним, к списку «второго тадвина».

Немецким списком, к сожалению, мы не располагаем, но в 1964 го-

⁶ کتابخانه مجلس شورای ملی، شماره ۱۱۸، انجمن آرای اخترگرگی

⁷ کتابخانه ملی تهران، شماره ۲۵۱۳، انجمن آرای اخترگرگی

⁸ تاریخ تذکره های فارسی، تألیف احمد گنجین معانی، تهران، ۱۳۴۸

⁹ کتابخانه آقای فیض الدین نصیری امینی، تهران، شماره ۳۴۲



سازمان اسناد و کتابخانه ملی
جمهوری اسلامی ایران

ду в Тебризе вышла книга под названием «Тазкере-е Ахтар»¹⁰. Она принадлежит профессору Тебризского университета доктору Хайампуру и представляет собой публикацию немецкого списка рукописи. Об этом доктор Хайампур говорит во вступительной статье к своей книге. Там же он указывает, что при подготовке рукописи к публикации были привлечены также два тегеранских списка: из Библиотеки Мелли и из личной библиотеки Насири Амینی. Но, к сожалению, публикация не представляет собой ни сводного ни критического текста. Она не является также факсимиле немецкого списка. В какой мере были использованы два тегеранских списка, остается загадкой. Надо полагать, что какие-то элементы из этих двух списков были введены Хайампуром в текст немецкого списка, но что именно — неизвестно, так как сноски этого не отражают. Таким образом, остается также неясным, в какой мере публикация отражает немецкий список. Имеющиеся в книге сноски касаются, в основном, разночтений в пределах одного слова. Список Библиотеки Меджлиса Хайампуром не учтен вовсе. Гольчин Маани указывает, что это обстоятельство привело автора книги к некоторым ошибкам, таким, как неправильная датировка тазкере, неправильное наименование памятника¹¹. Все это заставляет считать, к сожалению, публикацию недостаточно надежной и научной.

Поскольку из существующих 4 списков «Анджоман-е ара» многие иранские ученые (Гольчин Маани, доктор Байани, Хайери) считают основным тот список, который в настоящее время хранится в Библиотеке Меджлиса, мы также в своей работе взяли его за основу и обозначили для удобства работы кодовой буквой «А». Рукопись Библиотеки Мелли, также считающуюся ранней, обозначили буквой «В». Рукопись Фахр од-Дина Насири Амینی — более позднюю — буквой «С» и книгу Хайампура буквой «Д» — на книгу эту трудно полагаться, но ее и нельзя сбрасывать со счета (тем более, что мы, к сожалению, микрофильмом немецкого списка не располагаем).

«Анджоман-е ара» представляет собой сборник наиболее выдающихся поэтов, живших в эпоху правления Зендов (1750—1794) и Каджаров (1779—1925). Сборник охватывает период от Карим хана Зенда (вступил на престол в 1750 г., умер в 1779 г.) до середины правления Фатх-Али шаха Каджара (вступил на престол в 1797 г., умер в 1834 г.). Поэты в тазкере расположены в алфавитном порядке. Образцам творчества каждого вошедшего в сборник поэта предшествует краткая биографическая справка.

Список «А» насчитывает 95 поэтов. Ниже мы перечисляем поэтов, вошедших в этот список, но прежде следует отметить, что биография и образцы поэзии Вале Ака Мохаммад-Казема даны в списке дважды. Биографии написаны неодинаково и образцы творчества во втором случае даны шире, но тем не менее мы при подсчете общего числа наименований считали эти два случая за один.

1. Моулана Азар Бигдели, 2. Асири Хосейн хан, 3. Олфат Мирза Мохаммад-Кули, 4. Анис Ака Мохаммад-Садек, 5. Анвар Эбрахим-хан, 6. Мирза Абуль-Касем, 7. Акбар Мирза Али-Акбар, 8. Асир Мирза Мохаммад-Джафар, 9. Бахар Мирза Мохаммад-Али, 10. Бидел Мохаммад-Амин хан, 11. Бесмел Ака Али-Акбар, 12. Бимар Ака Хосейн,

¹⁰ تذکرهٔ اختر تألیف احمد گرجی نژاد تبریزی مولد متخلص به «اختر» جلد اول
بکوشش دکتر ع. خیامپور تبریز، ۱۳۴۳

¹¹ А. Гольчин Маани, История тазкере, стр. 49, т. I.

13. Баки Мирза Абдоль-Баки, 14. Биход Мирза Зейн ал-Абедин, 15. Мирза Джавад, 16. Джалали Али-Реза, 17. Тасолли Ака Раджб-Али, 18. Хосейни Мирза Мохаммад-Хосейн, 19. Хаджат Ака Ядгар, 20. Моулана Хариф Мирза Абуль-Хасан, 21. Хейран Мирза Мохаммад-Али, 22. Моулана Херед Мирза Али-Мордан, 23. Моулана Хавари Ака Маасум, 24. Хоррам Мирза Мохаммад-Нашем, 25. Хавари Мирза Фазлолла, 26. Данеш Мирза Мохаммад-Али, 27. Дарвиш Молла Дарвиш-Али, 28. Моулана Рафик Молла Хосейн, 29. Мирза Мохаммад-Реза, 30. Моулана Сехаб Мирза Сеед-Мохаммад, 31. Соруш Ака Мохаммад-Баки, 32. Сагер Хаджи Шейх-Мохаммад, 33. Саел Ака Мохаммад-Саид (Ака Джани), 34. Салак Ака Мохаммад-Джафар, 35. Шенда Мирза Абуль-Хасан, 36. Моулана Шоуле Сеед-Мохаммад, 37. Шамс од-Дин, 38. Шенда Ака Мохаммад-Али, 39. Шаек Хади-Биг, 40. Шерар Хосейн-Али Биг, 41. Моулана Шехаб Мирза Абдолла, 42. Шахне Мохаммад Мехди хан, 43. Сахба Ака Мохаммад-Таки, 44. Моулана Себа Ака Фатх-Али, 45. Собур Мирза Ахмад, 46. Моулана Себахи Хаджи-Сoleyман, 47. Моулана Сафи Мирза Мохаммад-Джафар, 48. Сафан Мирза Мохаммад-Али, 49. Табиб Мирза Абдол-Баки, 50. Тольат Ака Мохаммад, 51. Тораб Мирза Юсеф, 52. Таер Хасан-Али хан, 53. Табиб Мирза Зейн ол-Абедин, 54. Ашек Ака Мансур, 55. Али Мирза Мохаммад-Хосейн, 56. Арез Ака-Баба Эсфахани, 57. Абед Эсфахани, 58. Ами Мохаммад-Бакер, 59. Ашек Ака Мохаммад, 60. Озр Эсхак-Биг, 61. Али Эсфахани, 62. Геират Мирза Мохаммад-Джафар, 63. Федаъ Мирза Мохаммад-Саид, 64. Фани Мирза Мохаммад-Хасан, 65. Фарди Сафар-Али Биг, 66. Фердоус Абуль-Хасан, 67. Форуги Мирза Мохаммад, 68. Канеъ Мирза Мохаммад, 69. Казан Ака Абд-ор-Рахим, 70. Голшан Мирза Мохаммад-Али, 71. Корукаб Ака Мохаммад-Садек, 72. Монтахаб Мирза Хосейн-Али, 73. Мирза Мохаммад-Насир, 74. Монъам Шейх Монъам, 75. Мехдибиг, 76. Мирза Мохаммад Наби (Мирза-Баба), 77. Моулана Моштак Мир Сеед Али, 78. Дарвиш Маджид, 79. Машраб Мирза Ашраф, 80. Махджур Эсфахани, 81. Маел Шейх Рахим, 82. Мафтун Абд ор-Резак-Биг, 83. Маджмар Сеед Хосейн, 84. Нешат Мирза Абд ол-Вахаб, 85. Нур-Аби-шах, 86. Назир Аманолла-Биг, 87. Надем Молла Нур-Махаммад, 88. Натек Мохаммад Садек, 89. Весал-е Ширази Мирза Мохаммад-Шафи, 90. Вале Ака Мохаммад-Казем, 91. Вафа Мирза Мохаммад Хосейн, 92. Вамек Ака Мохаммад Салех, 93. Вафан Мирза Абдолла, 94. Хома Мирза Мохаммад Садек, 95. Моулана Хатеф Сеед Ахмад.

Список «В» насчитывает всего 56 поэтов. В сравнении со списком «А», они доведены до Форуги Мирза Мохаммада. Начиная с Кане Мирза Мохаммада и далее — нет. Сам состав авторов также несколько отличается в пределах тех авторов, которые в алфавитном порядке даны в обоих списках. Так, в списке «В» недостает в сравнении со списком «А» следующих 13 поэтов: 1. Бидел Мохаммад-Амин хан, 2. Хейран Мирза Мохаммад-Али, 3. Дарвиш Молла Дарвиш-Али, 4. Соруш Ака Мохаммад-Бакер, 5. Собур Мирза Ахмад, 6. Табиб Мирза Абд ал-Баки, 7. Табиб Мирза Ахмад, 8. Арез Ака Баба Эсфахани, 9. Ами Мохаммад Бакер, 10. Ашек Ака Мохаммад, 11. Али Эсфахани, 12. Геират Мирза Мохаммад-Джафар, 13. Фани Мирза Мохаммад Хасан.

В свою очередь в списке «В» в сравнении со списком «А» имеют-ся дополнительно следующие три поэта: 1. Банде Мирза Мохаммад Рази, 2. Рахи Мохаммад Эбрахим, 3. Туфан Мирза Таиб.

В остальном списки идентичны.



Список «С» насчитывает 127 поэтов. В сравнении со списком «А» здесь имеются дополнительно следующие поэты:

1. Аташ Сеед Мохаммад, 2. Банде Мирза Мохаммад, 3. Хазин Эсфахани Шейх Мохаммад-Али, 4. Хавари Мирза Ма'сум, 5. Рахи Эсфахани Мохаммад Эбрахим, 6. Шохрат Шейх Хасан, 7. Молла Ахмад, 8. Бана Эсфахани Остад Хосейн, 9. Дженаб Мирза Фатхолла-ол-Херед-Нури Мирза Али-Мордан, 11. Дами Хамадани Молла Абд-ол-Васе, 12. Рафики Эсфахани Молла Хосейн, 13. Туфан Мирза Тайиб, 14. Аббас-Коли хан Хенди, 15. Ками Эсфахани Мохаммад-Али, 16. Мохаррам Эсфахани Мирза Мохаммад-Али, 17. Мохлес Ширази Мирза Мохаммад, 18. Маел Аштигани Мирза Мохаммад-Али, 19. Нева-е Зенд Меннат-Али Биг, 20. Фетрат Мохаммад-Амин Биг, 21. Мансур Эсфахани Мирза Мохаммад-Реза, 22. Насиб Эсфахани Ака Мохаммад, 23. Нешати Мохаммад-Багер Биг, 24. Мирза Мохаммад Насир Эсфахани, 25. Нийаз Ширази Мирза Мохаммад-Реза, 26. Нийаз Эсфахани Сеед Хасан, 27. Нава-е Хенди Сеед Ахмад (Зохуролла хан), 28. Ака Мохаммад Хашем Ширази, 29. Насер-е Араб Шейх Насер, 30. Нийази Наваб Ахмад-Мирза, 31. Нури Молла Али, 32. Хомайун Мирза Абдел ал-Аал.

Как мы видим, в списке «С» имеются дополнительно 32 наименования. Творчество почти каждого поэта в этом списке также дано несколько шире в сравнении с двумя предыдущими.

Издание Хайампура включает 129 поэтов (учитывая автобиографию самого Ахтара Горджи и образцы его творчества). Тексту тазкере предшествует вступительная статья, которая полностью отличается от вступительной статьи списка «А», короче ее и не имеет конца. В сравнении со списком «А» у Хайампура недостает следующих поэтов:

1. Мирза Мохаммад-Реза, 2. Надем Молла Нур-Мохаммад, 3. Мирза Мохаммад-Наби (Мирза-Баба), 4. Нешат Мирза Абдол-Вахаб.

По своим материалам и их подаче список «С» близок к материалам книги Хайампура, у Гольчина Маани есть указание на то, что эти 2 списка — списки «второго тадвина». Имеется также указание на то, что немецкий список написан примерно в 1264/1847 году (нам кажется уместным напомнить здесь, что Ахтар Горджи скончался в 1232/1816 году).

В конце вступительной статьи к списку «А» говорится: «... В это время, т. е. в году 1222 по Хиджре, автора этих строк, Вашего покорного слугу, Ахмада по псевдониму Ахтара осенила надежда изложить краткие сведения из жизненного потока поэтов-современников и образцы их поэзии, чтобы вновь дать почувствовать читателю удовольствие от написанного в рукописях. И назвать ресале «Анджоман-е ара». И имена поэтов расположить в алфавитном порядке, так, чтобы первой была буква псевдонима, с тем, чтобы Вашему слуге не пришлось слушать упрёков, что кто-то при составлении упущен. И материалы я расположил в двух частях: одна часть — представление стихов и отрывков современных поэтов, вторая часть — приведение некоторых биографических сведений, а также некоторых мыслей Вашего раба — составителя, да просветит его Аллах»¹².

Из данного отрывка, которым заканчивается мокадеме списка «А», мы извлекаем следующие интересные информации:

1. Тазкере автором было названо «Анджоман-е ара» (доктор Хайампур назвал свою публикацию «Тазкере-е Ахтар», возможно, потому, что не видел списка «А»).

¹² Список «А», стр. 3, 4.

2. Из мокадеме следует, что автор тазкере приступил к ней в 1222/1807 году. Здесь нам вновь хочется обратиться к публикации Хайампура. В конце книги дана автобиография Ахтара Горджи в которой говорится; «В это время, т. е. в году 1225 (одна тысяча двести двадцать пятом), я почувствовал жгучее желание собрать поэзию тех поэтов-современников, которых я считаю выдающимися, упорядочить и сосредоточить их в одном сборнике, как на географической карте, чтобы читатель мог получить как можно большую радость и наслаждение»¹³.

Итак, из данного источника следует, что Ахмад Горджи (Ахтар) приступил к написанию своего тазкере в 1225 г. по Хиджре (1810 г.). Остается лишь констатировать, что существуют две версии о начале работы над тазкере «Анджоман-е ара» — 1222 и 1225 годы по Хиджре. Но точно известно, что поэт скончался в 1232 году по Хиджре (1816) не успев завершить свой труд.

После смерти Ахтара Горджи работу над его рукописью продолжил его брат Мохаммад Багер-Биг Нешати, однако в 1234/1818, т. е. через два года после смерти Ахтара, он сам скончался, мало что успев сделать¹⁴. По приказу Фатх-Али-шаха рукопись была передана придворному поэту и глашатаю Мохаммаду Фазел-хану Гаруси (Рави) для ее завершения, и в том же 1234/1818 году появилось тазкере «Анджоман-е хаган» Мохаммада Фазел-хана Гаруси, известного под псевдонимом Рави.

Существует множество списков этого памятника как в Иране, так и за его пределами. В первом томе «Истории тазкере» Гольчина Маани¹⁵ приводится подробная библиография списков «Анджоман-е хаган».

Мы в своей работе пользовались списком Библиотеки Меджлиса¹⁶.

Тазкере «Анджоман-е хаган» состоит из вступления, четырех глав и заключения.

Вступление содержит цель и задачи книги.

Первая глава представляет собой введение, в котором говорится о «краткой генеалогии благородного рода Каджаров, о событиях жизни могущественного монарха, с упоминанием об августейшем восшествии его на престол, и об устройстве государства, а также о некоторых выдающихся произведениях и об избранных стихах победоносного властелина»¹⁷.

Глава вторая включает принцев и некоторых вельмож при дворе Каджаров, пробовавших себя в стихосложении. Сюда вошли следующие поэты: 1. Доулат (Мохаммад Али Мирза), 2. Хосрови (Мохаммад Голи Мирза), 3. Фарманфарма (Хосейн-Али Мирза), 4. Шоукат (Мохаммад Таги Мирза), 5. Алишах (Зейл ос-Солтан), 6. Шахпур (Шейх-

¹³ «Тазкере-е Ахтар», под редакцией А. Хайампура, Тебриз, 1964, стр. 249.

¹⁴ Поскольку между списками «А» и «В», с одной стороны, и «С» и «Д», с другой, существует большая разница и эти 2 списка написаны позже (Гольчин Маани), возникает мысль, не являются ли списки «С» и «Д» редакцией Мохаммада Нешати.

¹⁵ Гольчин Маани, История тазкере, т. I, стр. 61.

¹⁶ تذکره انجمن خاقان، تالیف فاضلخان گروسی متخلص بهراوی کتابخانه مجلس شورای ملی، ش قفسه ۳۸۰۹ ش کتاب ۹۰۱۵

¹⁷ Там же, стр. 5—6.



Али Мирза), 7. Дара (Абдолла Мирза), 8. Эмам-Варди Мирза, 9. Махмуд Мирза, 10. Афсар (Мохаммад-Реза Мирза), 11. Хавар (Хейдар-Коли Мирза), 12. Хешмат (Хомаюн Мирза), 13. Тогрол (Захир од-Доуле Эбрахим хан Каджар), 14. Эззат (Хадж Сoleyман хан Каджар), 15. Хаджеб (Эллахияр хан Каджар).

Третья глава посвящена поэтам, получившим признание при дворе шахишшаха. Сюда включены следующие поэты: 1. Бинева (Давуд бен Мохаммадаль Хосейниаль-Тавусиаль-Эсбехани), 2. Банде (Мирза Мохаммад Реза бен Мирза Мохаммад Шафи Табризи), 3. Бесмел (Ака Али-Аскар Ширази), 4. Баги Эсфахани (Мирза Абдольбаги Мусави), 5. Бидель Эсфахани (Мирза Мохаммад Рахим), 6. Мирза Бозорг (Абуль-Хасан Эйси бенол-Хасан ол-Хосейни ол-Ферахани Гази-Мегаи), 7. Парване-е Эраги (Мирза Сеед Ахмад), 8. Хабрат Соруи, 9. Хавер Донбали (Махмудхан), 10. Хавер Ширази (Мирза Сеед Фазлолла), 11. Сехаб Эсфахани (Сеед Мохаммад), 12. Солтани Неван Мазандерани (Мирза Реза Голи), 13. Сеха (Мохаммад Заман хан), 14. Шахне-е Оубехи Мазандерани (Мохаммад Мехди хан Дарьябеги), 15. Себаи Каши (Фатх-Али хан Малек ош-Шоара), 16. Сахей Алибади (Мирза Мохаммад Таги), 17. Собур Каши (Мирза Ахмад), 18. Тороб Хамадани Мирза Юсеф Шейх ол-Эслам), 19. Таер Ширази (Хасан хан), 20. Зариф Эсфахани (Мирза Мохаммад Хасан), 21. Эшрат Ферахани (Мохаммад Мехди ол-Хосейни), 22. Фаррох Занд (Мохаммад Хасан хан бен Али-Морад хан), 23. Фекрат Лариджани (Сеед Нааматолла Шейхол-Эслам), 24. Коукаб Хорасани (Мирза Абдолали), 25. Мафтун Азербайджани (Абдоррезак-Биг Донбали), 26. Маджмар Зеварен (Сеед Хосейн), 27. Мансур Эсфахани (Мирза Мохаммад Реза), 28. Мафтун Фарси (Ака Мохаммад Хасан), 29. Маел Аштиани Куми (Мирза Мохаммад-Али), 30. Мунес Барфоруши (Мирза Мохаммад-Реза), 31. Махрум Афшар-Джехроми (Ага Хосейн-Али), 32. Мохит Ферахани (Мирза Маасум бен Эйса бен ол-Хасан ол-Хосейни), 33. Манзур Ширази (Мирза Мохаммад Эбрахим), 34. Маджнуи Фарахани (Абулькасем бен Эйси бен ол-Хасан ол-Хосейни), 35. Нешат Эсфахани (Мирза Абдольвахаб Мусави Моттамад-од-Доуле), 36. Надим Барфоруши (Мирза Мохаммад), 37. Насролла хан Гарагузлу, 38. Нешати Хазар-Джариби (Мирза Аббас), 39. Носрат Талеш Техрани (Солтан Хосейн), 40. Вафай Куми (Мирза Сеед Хосейн), 41. Вафай Тафарроши (Абдолла Биг), 42. Хома-е Мервези (Мирза Мохаммад Садег Беган-негар).

Четвертая глава, по словам автора, «посвящена известным поэтам». В нее вошли следующие поэты: 1. Азер Бигдели (Хаджи Лотф-Али Биг), 2. Ахтар Горджи (Ахмад Биг), 3. Асири Эсфахани (Хосейнхан), 4. Анис Эсфахани (Мохаммад Садег), 5. Анвар Занд (Эбрахимхан, младший сын Карим хана), 6. Сеед Абуль-Касем Анджави Ширази, 7. Акбар Назари (Сеед Али-Акбар), 8. Анис Нахаванди (Юсеф), 9. Ахтар Барфоруши (Мохаммад Хосейн Биг), 10. Атеш Эсфагани (Сеед Мохаммад), 11. Олфат Кашани (Мирза Мохаммад-Али Афшар), 12. Омид Эсфахани (Мирза Мохаммад хан), 13. Ашофте-е Ирвани (Кольб Хосейн Биг), 14. Омид Нехаванди (Мирза Абуль-Хасан), 15. Бахар Дараби Фарси (Мирза Мохаммад-Али Шейх ол-Эслам), 16. Бидел Нешапури (Мохаммад Амин хан), 17. Паришан Карагузлу (Мортаза Коли Биг), 18. Бимар Ширази (Ага Хосейн Сарраф), 19. Биход Эсфахани (Мирза Зейн ол-Абедин), 20. Бана Язди (Хосейн), 21. Тасалли Ширази (Ака Раджб-Али), 22. Самар Наини, (Сеед Хосейн), 23. Дженаб Джоузани Эсфахани (Мирза Фатхолла), 24. Мирза Джани

- Ширази, 25. Мирза Чомаглу Барфоруши, 26. Мирза Джавад Нехама-
 махали, 27. Джелали Язди (Али-Реза), 28. Хасан Нехамади, 29. Хо-
 сейни Язди (Мирза Сеед Мохаммад-Хосейн), 30. Хасрат Хамадани
 (Мохаммад Таги хан), 31. Хаджет Ширази (Ака Ядгар Ахтар), 32.
 Хариф Джондоги (Сеед Абуль-Хасан Табатабан), 33. Хейран Язди
 (Мирза Мохаммад-Али), 34. Хазин Лахиджи (Шейх Мохаммад-Али),
 35. Херед-Нури Мазандерани (Мирза Алимордан), 36. Хавари Кузе-
 конани Табризи (Мирза Маасум), 37. Хоррам Эсфахани (Мирза Мо-
 хаммад Хашем), 38. Хазратуни (Мирза Хезр-Али), 39. Хоррам Хора-
 сани Мазандерани (Хосейн Ахтар), 40. Хоррам Машхадн (Абдольмад-
 жид), 41. Данеш Эсфахани (Мирза Мохаммад-Али, известный как
 Ака Бозорг), 42. Дарвиш Кани (молла Дарвиш-Али), 43. Дами Хама-
 дани (Абдоль-Васе), 44. Рафик Эсфахани (Молла Хосейн), 45. Рахи
 Эсфахани (Мохаммад Эбрахим), 46. Рафиги Тафарроши (Мирза Мо-
 хаммад-Али), 47. Соруш Язди (Мирза Мохаммад Джафар), 48. Салак
 Язди (Мирза Мохаммад Джафар), 49. Сагер Ширази (Хаджи Шейх
 Мохаммад Араб Хезан), 50. Саел Гейри Фарси (Ака Мохаммад Саид,
 известный как Ака Джани), 51. Шейда-е Язди (Мирза Абулхасан),
 52. Шоуле-е Эсфахани (Хаким Сеед Мохаммад), 53. Шейда-е Эсфахани
 (Ака Мохаммад-Али), 54. Шаек Фили Лорестани (Хади Биг), 55. Шох-
 рат Ширази (Шейх Хасан), 56. Шарар Хорасани (Мирза Аскяри),
 57. Шакиб Эсфахани (Сеед Мохаммад-Али), 58. Шарар Бигдели (Хо-
 сейн-Али Биг бен Азар), 59. Шехаб Таршизи (Мирза Абдолла хан),
 60. Сехба-е Куми (Мохаммад-Таги), 61. Себахи Бигдели (Хаджи Со-
 лейман), 62. Сафи Эсфахани (Мирза Сеед Джафар), 63. Сафан Эсфа-
 хани (Молла Мохаммад), 64. Сафан Язди (Мирза Мохаммад-Али),
 65. Сафи Кермани (Ага Мохаммад), 66. Табиб Эсфахани (Мирза
 Сеед Абдольбаги), 67. Тольат Эсфахани (Ага Мохаммад), 68. Туфан
 Хазар-Джариби (Мирза Табиб), 69. Табиб Эсфахани (Мирза Сеед
 Зейн оль-Абедин), 70. Тороб Мервдашти Ширази (Ака Мохаммад Ра-
 фи), 71. Али Ширази (Мирза Сеед Мохаммад Хосейн, сын Мирза Мо-
 хаммад Калантари), 72. Абед Эсфахани (Мирза Абед), 73. Озри Биг-
 дели (Эсхак Биг), 74. Ами Эсфахани (Мохаммад Багер), 75. Ашер
 Эсфахани (Ага Мохаммад Хаят), 76. Гейрат Эсфахани (Мирза Сеед
 Мохаммад-Джафар), 77. Фетрат Лорестани (Мохаммад-Амин Биг),
 78. Фердоус Ширази (Сеед Абульхасан), 79. Форуги Эсфахани (Мир-
 за Мохаммад), 80. Фарди Зенд (Сафар Али Биг), 81. Феда-е Эсфаха-
 ни (Мирза Сеед Мохаммад-Саид), 82. Катре-е Чахармахали (Мирза
 Абд-оль-Вахаб), 83. Гольшан Зангане-е Керманшахи (Мирза Мохам-
 мад-Али), 84. Ками Бархары Эсфахани Мохаммад-Эсмаил), 85. Коу-
 каб Ширази (Ака Мохаммад-Садег), 86. Моштаг Эсфахани (Мир Се-
 ед Али), 87. Дарвиш Маджид Талегани, 88. Машраб Амери (Мирза
 Ашраф Семнани), 89. Монъам Ширази, 90. Мехди Биг Шегаги-Азер-
 байджани, 91. Мазхар Зеварен-Ордегани (Мирза Сеед Мохаммад),
 92. Мошфег Зангане-е Керманшахи (Пирморад Биг), 93. Мескин Кер-
 белан-е Саруи (Аббас), 94. Мохлес Ширази (Мирза Мохаммад Наби),
 95. Махджур Эсфахани (Мохаммад-Али), 96. Махджур Куми (Сеед
 Хосейн), 97. Мунес Эсфахани (Мирза Мохаммад), 98. Маель Эсфаха-
 ни (Шейх Рахим), 99. Нур Эсфахани (Нур-Али шах), 100. Назир Зан-
 гане (Аманолла Биг), 101. Носрат Хенди (Аббас-Колихан), 102. На-
 сиб Эсфахани (Ака Мохаммад), 103. Неваи Зенд Ширази (Меннат-
 Али Биг), 104. Нешати Горджи Эсфахани (Мохаммад Багер Биг),
 105. Насир Эсфахани (Мирза Мохаммад Насир), 106. Ниязи Эсфаха-
 ни (Сеед Ахмад Мирза), 107. Нияз Эсфахани (Сеед Хосейн Табата-
 бан)



баи), 108. Наваи Шахджеханабади Хенди (Сеед Ахмад Зохуролла хан), 109. Весал-е Ширази (Мирза Мохаммад Шафи, известный как Мирза Кучек), 110. Вагеф Шахджеханабади Хенди (Нур ол-Эйн), 111. Вамег Язди (Мирза Сеед Мохаммад-Али), 112. Вале-е Эсфахани (Ака Мохаммад Казем), 113. Вафай Зеварей (Мирза Сеед Мохаммад-Али), 114. Вамек Эсфахани (Ака Мохаммад Салех), 115. Хомаюн Феридуни (Шейх Абдоль Аль), 116. Хатеф Эсфахани (Сеед Ахмад), 117. Яри Эсфахани (Мирза Мохаммад Хосейн), 118. Ягмаи Джондоги (Мирза Абуль-Хасан).

В каждой главе поэты поданы в алфавитном порядке. Творчеству каждого из них, как это принято в жанре тазкере, предшествует биографическая справка. Всего в тазкере упоминается 175 поэтов (если не учитывать первой главы, целиком посвященной Фатх-Али шаху). Во вступительной статье к своему тазкере Фазел хан Гаруси пишет, что эпоха, охватываемая тазкере, имела огромное число поэтов и далеко не все имена вошли в его книгу. При ее подготовке, пишет он, необходим был тщательный, придирчивый и компетентный отбор, который он сам и произвел. До него, заносчиво продолжает автор, некоторые невежественные и неопытные люди, рассматривавшие написанные тазкере способом приблизиться ко двору, занимались в этом направлении маранием бумаги. Но поскольку они не обладали ни знанием, ни опытом, они и не продвинули дела, хвастливо заключает он. Эта блистательная тирада относилась к неудачливому, поверженному могущественным эмиром Ахмаду-Биг Горджи Ахтару и его брату Мохаммаду Багер Биг Нешати. В биографии Ахтара Горджи, помещенной в «Анджоман-е хахан» Фазел хан Гаруси пишет: «Вследствие скудости знаний как основоположника работы (имеется в виду «Анджоман-е ара»), так и продолжателя ее, оба они не сумели должным образом справиться со своими обязанностями проникнуть в понимание стиха своих современников, не говоря уж о критическом анализе их творчества. Его замечания (Ахтара Горджи. — Л. А.) лишены смысла, а куца рукопись — не более, как испачканная бумага, пригодная лишь для использования в качестве посуды для хны или для заворачивания дешевой глазной мази «тутия». Что касается его собственной поэзии, то она весьма посредственна»¹⁸.

Эта сокрушительная оценка рукописи «Анджоман-е ара», на основе которой Гаруси построил собственную работу, основательно используя все материалы, не могла не вызвать возмущения у ученых и авторов тазкере последующих периодов.

Доктор Абдоррасуль Хайампур во вступительной статье к своей книге пишет, что четвертая глава тазкере Фазел хана, посвященная поэтам-современникам, при сравнении ее с тазкере Ахтара, отчетливо показывает, что при составлении своей книги Фазел хан не просто имел в виду работу Ахтара. Он, во-первых, заимствовал у Ахтара весь список поэтов с незначительными изменениями. Во-вторых, иллюстративный материал — образцы поэзии отдельных поэтов — часто совершенно такой же, какой мы находим у Ахтара, даже порядок подачи бейтов в большинстве случаев одинаков. В подтверждение своих слов доктор Хайампур предлагает читателю сравнить подачу биографии и образцов творчества трех поэтов: Асири Эсфахани, Анис Эсфахани, Аташ Эсфахани в обоих рукописях. «При таком положении вещей, — продолжает доктор Хайампур, — остается совершенно непонятым,

¹⁸ Мохаммад Фазел-хан Гаруси, Анджоман-е хахан, стр. 227.

как можно было выразить такую неосведомленность по отношению к «Тазкере Ахтара», которая, по словам Фазел хана, является «бессмысленным набором персонажей» и «куцей тетрадкой»¹⁹. И если эти «бумажонки», попав в руки Фазел хана, превратились в посуду для хны и бумагу для заворачивания «тутия», как же можно было их редактировать»²⁰.

Автор тазкере «Негарестан-е дара» Абдоррезак Донбали, давая биографию Нешати, брата и продолжателя Ахтара Горджи, пишет: «Нешати скончался и его рукопись попала Мохаммаду Фазел хану Ра-ви и превратилась в «посуду для хны» и «бумагу для тутия»²¹.

Гольчин Маани в своем двухтомнике «История тазкере» также с возмущением говорит о далеко негражданском поступке Фазел хана по отношению к автору «Анджоман-е ара». Он пишет: «Фазел хан Гаруси, взявший основные материалы своего «Анджоман-е хаган» из «Анджоман-е ара» Ахтара Горджи, поступил в высшей степени неблагодарно по отношению к Ахтару Горджи, стараясь всячески поносить его в даваемой биографии»²². Для большей объективности и убедительности Гольчин Маани приводит биографию Ахтара из книги Фазел хана Гаруси, а затем ту же биографию из «Тазкере-е дельгоша» Хадж Али Акбара Коукаб Ширази, известного под псевдонимом Бесмел, который пишет об Ахтаре: «... Он хорошо владел стихосложением, понимал стихи и владел шекасте...»²³. Автор тазкере «Сафинат-оль Махмуд» Мирза Каджар пишет об Ахтаре, что «... особые способности он проявлял в жанре газели»²⁴. После блистательной тирады Фазел хана о том, что рукопись «Анджоман-е ара» годится лишь для заворачивания хны и тутия, следует сноски Гольчина Маани, где он не в силах сдержаться своего возмущения восклицает: «Какая неблагодарность! Так смешать с грязью авторов «Анджоман-е ара» и их поэзию!»²⁵. Безусловно, нельзя не согласиться с этим благородным возмущением и уж никак нельзя назвать поступок Фазел хана по отношению к «Анджоман-е ара» и его авторам гражданским. Но мы не можем не отметить и того факта, что в своем бичевании Фазел хана — автора тазкере «Анджоман-е хаган» — его судьи заходят слишком далеко, объявляя Фазел хана Гаруси плагиатором Ахтара Горджи. И Гольчин Маани²⁶, и доктор Хайампур²⁷ утверждают, что «Анджоман-е хаган» — не что иное, как несколько расширенное повторение «Анджоман-е ара». Чтобы убедиться в этом, мы провели сравнительный анализ двух памятников, стараясь выявить их единство по следующим пунктам: 1. композиционное единство, 2. состав авторов, 3. образцы поэзии и их подача, 4. подача биографий, 5. язык и стиль обоих памятников. И неожиданно для себя мы пришли к совершенно противоположному выводу.

¹⁹ «Тазкере-е Ахтар», стр. «вав», «зе».

²⁰ Там же.

²¹ Абдоррезак Донбали «Негарестан-е дара», Тебриз, стр. 169.

²² Гольчин Маани, История тазкере, т. I, стр. 50.

²³ Там же.

²⁴ Махмуд Мирза Каджар «Сафинат-оль-Махмуд», издание доктора Хайампура, Тебриз, 1346, стр. 159.

²⁵ Гольчин Маани, История тазкере, т. I, стр. 50.

²⁶ Гольчин Маани, «История тазкере», т. I, стр. 49.

²⁷ «Тазкере-е Ахтар», стр. «вав», «зе».



Слов нет, что тазкере Фазел хана Гаруси «Анджоман-е хаган» построено на материалах тазкере «Анджоман-е ара», нелепо было бы рассчитывать на иное, если Фазел хан получил задание завершить работу Ахмада Горджи. Но это было не простое переписывание материалов Ахмада Горджи, а их творческая переработка, в результате которой возник новый памятник. Ниже мы приводим примеры нашего анализа.

I. Оба памятника различаются композиционно. Это видно из приведенного выше описания. Можем лишь повторить, что «Анджоман-е хаган» Фазел хана Гаруси состоит из 4 глав, при этом материалы Ахтара вошли, в основном, в четвертую главу. Поскольку Фазел хан Гаруси, разбив свою работу на главы, разместил в них поэтов «по социальному» принципу, т. е. по занимаемому при дворе положению, то поэты, следующие в «Анджоман-е ара» просто в алфавитном порядке, были «рассредоточены» им между четвертой и третьей главами. Так, в третью главу, посвященную «поэтам, получившим признание при дворе шахишаха» попали, например: Баги Эсфахани (стр. 41^v — 42^r), Бесмел Ширази (стр. 41^r—41^v), Банде-е Табризи (стр. 41^r — 41^v), Хавари и др.

II. Памятники различаются составом авторов. О составе авторов в обоих памятниках также шла речь при их описании. Мы указывали, что у Фазел хана Гаруси разобрано творчество 175 поэтов. У Ахмада Горджи их 95 в первом списке и 127 во втором. Кроме того, состав авторов в обоих списках неэквивалентен. Так, следующие 18 поэтов имеются в списке «Анджоман-е ара» Ахмада Горджи (Ахтара) и отсутствуют в «Анджоман-е хаган» Фазел хана Гаруси (Рави): 1. Арезу-е Ирани, 2. Молла Ахмад-е Нараки, 3. Асир Эсфахани, Мирза Мохаммад Джа'фар, 4. Данеш-е Хорасани, 5. Сехаб Эсфахани, Мирза Сеед Мохаммад, 6. Шамс од-Дин Аббаси, 7. Ашек-е Семнани, Мансур, 8. Али Эсфахани, 9. Ани, Мирза Мохаммад-Хасан, 10. Кане-е Фарси, Мирза Мохаммад, 11. Насер-е Араб, шейх, 12. Натек-е Эсфахани, Мохаммад Садек, 13. Нури Мазандерани, Молла Али, 14. Нийаз-е Ширази Мирза Мохаммад Реза, 15. Нашем-е Ширази Ака Мохаммад Нашем.

В свою очередь, в «Анджоман-е хаган», в 4-ой главе, построенной, как мы уже упоминали, на материалах «Анджоман-е ара», имеются поэты, которых нет у Ахтара Горджи. Ниже мы приводим список этих поэтов: 1. Анис Юсеф (стр. 231), 2. Омид Мирза Мохаммад хан (стр. 232), 3. Омид Мирза Абуль-Хасан (стр. 233), 4. Мирза Джани (стр. 235), 5. Чомаглу (стр. 235), 6. Хасан (стр. 236), 7. Хасрат Мохаммад Таги (стр. 237), 8. Хезр Мирза Хезр Али (стр. 243), 9. Хоррам Хосейн Хорасани (стр. 244), 10. Хоррам Абдолхамид (стр. 244), 11. Шакиб (стр. 255), 12. Кетре Мирза (стр. 295), 13. Сафи Ага Мохаммад (стр. 272), 14. Мазхар Мирза Мохаммад (стр. 303), 15. Мошфек Пир-Морад Биг (стр. 304), 16. Мескин Аббас (стр. 304), 17. Махджур Сеед Хосейн (стр. 305), 18. Мунес Мирза Мохаммад (стр. 305).

III. Творчество поэтов, общих в обоих памятниках, также представлено неодинаково. Иллюстративный материал часто различен или подан по-разному, многие бейты или целые стихи отсутствуют в одном памятнике и имеются в другом, есть разночтения в пределах бейтов.

Ниже мы приводим в качестве примеров несколько таблиц, в которых проведен сравнительный анализ на основе 4 поэтов, имеющих в обоих памятниках: Азер Бигдели, Анвар, Мохаммад Багер Биг Не-

шати, Хома-е Мерви. Таблицы следующие: 1. Бейты имеются у Фазел хана Гаруси, отсутствуют у Ахтара Горджи²⁸, 2. Бейты имеются у Ахтара Горджи, отсутствуют у Гаруси, 3. Стих имеется у Гаруси, отсутствует у Ахтара, 4. Стих имеется у Ахтара, отсутствует у Гаруси, 5. Разночтения в пределах бейта.

Таблица 1
Количество бейтов различных в памятниках

Поэт	Бейты имеются в „Анджоман-е хаган“ у Гаруси и отсутствуют у Ахтара Горджи	Бейты имеются в „Анджоман-е ара“ Ахтара Горджи и отсутствуют у Фазел хана Гаруси
1. Азер Бигдели	9 бейтов	56 бейтов
2. Хома-е Мерви	17 бейтов	—
3. Анвар	—	8 бейтов
4. Мохаммад Багер Биг Нешати	—	—

Таблица 2
Количество стихов различных в памятниках

Поэт	Стихи имеются у Фазел-хана Гаруси, отсутствуют у Ахтара Горджи	Стихи имеются у Ахтара Горджи, отсутствуют у Фазел хана Гаруси
1. Азер Бигдели	1	2
2. Хома-е Мерви	10	—
3. Анвар	—	2
4. Мохаммад Багер Биг Нешати	—	—

Таблица 3
Разночтения в пределах бейта

Поэт	Чтение бейта у Фазел хана Гаруси	Чтение бейта у Ахтара Горджи
1	2	3
Азер Бигдели	<p>من گویمش ز تربت من وامگیر پای او گویدم ز دمن من بر مدار دست صفا ز گوهر طبع معاصران چون دید بخنده طعنه زنان خواست تو امان گوهر</p> <p>همایون اول روز اول ماه اول سالم که بامن که بامن شد صباحی در صباح آن صبحی زن</p>	<p>من گویمش ز تربت من وامگیر پای او گویدم ز دمن من بر مدار دست صفا ز گوهر طبع معاصران چون دید بخنده طعنه زنان خواست تو امان گوهر</p> <p>همایون اول روز اول ماه اول سالم که بامن که بامن شد صباحی در صباح آن صبحی زن</p>

²⁸ Ввиду трудностей, связанных с набором персидского шрифта, мы приводим не сами бейты, а лишь указываем количество бейтов, имеющих в одном памятнике и отсутствующих в другом.

IV. Биографии поэтов часто содержат неодинаковые информации. В качестве иллюстрации приводим ниже таблицу, составленную на основе сравнения биографий четырех избранных нами поэтов: Азер Бигдели, Хома Мерви, Анвар, Мохаммад Багер Биг Нешати.

Поэт	Информации имеются в «Аджоман-е ара» Ахтара Горджи и отсутствуют у Фазел хана Гаруси	Информации имеются в Анджоман-е хаган» Фазел хана Гаруси и отсутствуют у Ахтара Горджи
1	2	3
<p>Азер Бигдели</p>	<p>1. Имя Азера: У Гаруси отсутствует</p> <p>2. Имеется сведение о том, что марсие написал ученик Азера Себахи Бигдсли.</p>	<p>1. Происходит из эмиров Бигдели.</p> <p>2. Деды и прадеды его были правителями различных областей Ирана при Сефевидах.</p> <p>3. В своем тазкере «Атешкяде» сообщает о том, что вместе с дядей (брат отца) — совершил паломничество в Каабу.</p> <p>4. Одевшись в дервишские рубища он в течение нескольких лет странствует и занимается пополнением образования.</p> <p>5. Поощряемый Мирза Абдольвахабом Мусави приступил к составлению тазкере поэтов-современников</p> <p>6. Мирза Абдольвахаб Мусави был делом по материнской линии Мирза Абдольвахаб Моттамад од-Доуле и Биглер Беги.</p> <p>7. Азеру принадлежит «Диван», содержащий касыды, кегаты, гезели и робаяты (как известно, «Диваном» называют стихотворный сборник, в котором стихи подобраны в алфавитном порядке по рифме. Поскольку не все поэты имели стихи на все буквы алфавита, не все имеют «Диван». По Гаруси у Азера есть «Диван»).</p> <p>8. По поручению Абдоррезга хана, владетеля Кашана и Кума, Азер уехал в Кашан и жил там некоторое время в большом почете.</p> <p>9. Абдоррезга хан был большим покровителем ученых и сеидов.</p>
<p>Анвар</p>	<p>1. Об Анваре имеются сведения в книге «Тарих-е зеиндие» Мирза Мохаммад Садека Нами.</p> <p>2. Али Морад хан был родственником Анвара. Он был изгнан из страны за свободомыслие.</p>	<p>1. Гаруси хорошо знал Анвара, встречался с ним в Сари, где Анвар читал ему свои стихи.</p>

1	2	3
Анвар	<ol style="list-style-type: none"> 3. После смерти Али Морад хана поэт был назначен наместником Фарса. 4. Ахтар Горджи встречался с Анваром, последний просил его помочь подобрать псевдоним. 5. После падения династии Зендов Ака Мохаммад хан Каджар выслал его из Шираза в Астрабад, являющийся владением Зендов. 6. При Фатх-Али шахе поэт совершает паломничество. 7. Возвращаясь с паломничества заехал в Нахаванд, где прожил некоторое время. 8. Похороны в Нахаванде. 9. Прожил 30 лет. 10. Его поэзия насчитывает 4 тыс. бейтов. 	
Хома Мерви	<ol style="list-style-type: none"> 1. Имеет 2—3 тыс. бейтов. 	<ol style="list-style-type: none"> 1. Получил хорошее образование и воспитание. 2. В молодые годы попал под влияние Мохаммад-Хосейн хана Фахр од-Доуле. 3. В Мешхед на поклонение святым мошам поехал вместе с Фахр од-Доуле. 4. Через Фарс и Оман поехал на поклонение в Каабу. 5. Оттуда, не выдержав там притеснения арабов, переехал в Ирак. 6. Из Ирака переехал в Кашан. 7. Малек ош-Шоара помог ему стать придворным поэтом. 8. В канцелярии шаха служил 20 лет. 9. Написал следующие ресале: «Зиннат оль-Моасер», «Зиннат оль-медаех», «Каваед оль-мулюк», «Тохфе-е Аббаси». 10. Имеет «Диван».
Мохаммад Багер Биг Нешати		<ol style="list-style-type: none"> 1. Происходит из сефевидских големов. 2. В молодости жил в Исфагане и Ширазе. 3. Некоторое время служил у Зендов. 4. В последние годы жизни попал в Тегеран. 5. Гаруси встречался с ним.

1	2	3
Мохам- мад Багер Биг Нешати		6. Скончался в 1234 г. в Тегеране (по тексту Дар-оль-Халифе) (1818 г.). 7. Был приятным человеком с приветливым нравом (трудно удержаться здесь, чтобы не отметить, что это единственные слова в адрес Нешати, тонущие в злобных замечаниях в его адрес и в адрес Ахтара Горджи, рассеянных Фазел ханом Гаруси по многим частям своего труда, — Л. А.). 8. Писал хорошие газели.

V. О стиле обоих памятников. В стилистическом плане они резко отличаются: тазкере Ахтара Горджи написан четким, деловым языком, без навязчивой вычурности. Стиль тазкере Фазел хана Гаруси невероятно сложный, вычурный и искусственный. Часто искусственное многословие в биографии того или иного поэта не содержит дополнительной информации, а является лишь набором ничего не дающих эпитетов, перегружающих текст и осложняющих его.

Итак, приведенный нами выше сравнительный анализ дает основание утверждать, что: 1. оба тазкере отличаются композиционно, 2. они различаются и составом авторов, 3. образцы поэзии и их подача различны, 4. по-разному даются биографии, 5. памятники различаются языком и стилем.

Все это в свою очередь дает нам основание утверждать, что эти два произведения — «Анджоман-е ара» и «Анджоман-е хаган» — являются близкими по содержанию, но самостоятельными памятниками периода Каджаров. Установившееся мнение о плагиате Фазел хана Гаруси, отнимающее у «Анджоман-е хаган» право на самостоятельное существование, представляется нам лишенным основания.

(Представил Институт востоковедения им.
 акад. Г. В. Церетели АН Грузинской ССР)

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სინამდვილე თუ მისტიფიკაცია?

ლენინგრადელი არაბისტის თეოდორ შუმოვსკის წიგნმა „У моря арабистики“ (М., 1975) გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. აქ წარმოდგენილია ავტორის მოგონებანი თავის მასწავლებლებსა და კოლეგებზე, დახასიათებულია არაბისტი-მკვლევრის წინაშე აღმართული სირთულენი და მათი გადალახვით გამოწვეული სიხარული, შერწყმულია ერთმანეთთან პირადული და მეცნიერული ავტობიოგრაფია. ქართველი მკითხველი განსაკუთრებით დაინტერესდება ერთ-ერთი თავით, რომელსაც თ. შუმოვსკიმ „პოეტის ბედი“ უწოდა. აქ მოთხრობილი ამბის თანახმად, 1936 წელს სტუდენტ თ. შუმოვსკის არდადეგებზე მშობლიურ ქალაქ შემახაში (აზერბაიჯანი) ყოფნისას მიტოვებული სამარხის ნიშში შემთხვევით უპოვნია XV ს. უცნობი შირვანელი პოეტის ლირიკული ლექსების „დივანი“ არაბულ და, ნაწილობრივ, სპარსულ ენებზე. პოეტს, როგორც მისი ლექსებიდან ირკვევა, ატაალაპ არანი რქმევია. აღტაცებულ სტუდენტს თავის მასწავლებელთან, საბჭოთა არაბისტიკის ფუძემდებელ აკად. ე. კრაჩოვსკისთან კონსულტაციის შემდეგ გაურკვევია, რომ არც ასეთ პოეტს, არც ამ ლექსების კრებულს მეცნიერება არ იცნობს. თ. შუმოვსკის დაუწყია ტექსტის გამოსაცემად მოზადება და რუსულად თარგმნა, მაგრამ 1938 წ. იგი იძულებული გამხდარა დიდი ხნით დაეტოვებინა ლენინგრადი და ჩამოშორებოდა სამეცნიერო მოღვაწეობას. ამასობაში არანის ლექსების უნიკალური ხელნაწერიცა და თარგმანიც სამუდამოდ დაღუპულა. და აი, ორმოცი წლის შემდეგ თ. შუმოვსკი აქვეყნებს ზეპირ, მეხსიერებით აღდგენილ თარგმანს (შევნიშნაეთ, რომ გარდა ამ თავისა, არანის ლექსები გაბნეულია მთელ წიგნში თ. შუმოვსკის სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობის საილუსტრაციოდ). ერთ-ერთ ლექსში არანი თავის სატრფოს სახის მშვენებას რუსთველის ლექსს აღარებს.

ამრიგად, თუ თ. შუმოვსკის ცნობას სანდოდ მივიჩნევთ, არაბული (და ნაწილობრივ სპარსული) პოეზიის ისტორიას ემატება ერთი ახალი თვალსაჩინო სახელი — წარმოშობით აზერბაიჯანელი პოეტი არანი (მსგავსად XII ს. შირვანელი პოეტების ნიზამისა და ხაყანისა). არანის კრებული თარიღდება 1436/1437 წლით (დასახ. წიგნი, გვ. 191). არანი შთაუგონებია რუსთველს. ქართულ მწერლობაში რუსთველს პირველად იხსენიებს XV—XVI სს. მიჯნის პოეტი სერაპიონ კედელაური-საბაშვილი. მამასაღამე, შირვანელი პოეტის ლექსში ნახევარი საუკუნით ადრე ჩნდება ვეფხისტყაოსნის ავტორის უკვდავი სახელი! ვიმეორებთ, თუ ყველაფერი ეს სანდოა და სწორი, ჩვენ მოწმენი ვიქნებით ბრწყინვალე აღმოჩენისა.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ზოგიერთი გარემოება გარკვეულ ეჭვებს იწვევს. ჯერ თვით ის სტროფი ავიღოთ, სადაც რუსთველია მოხსენიებული (გვ. 248):

Ваш образ — как стих Руставели:
 Он входит в мои полусны
 И нежный, как песня свирели,
 И светлый, как небо весны...

ამ სიტყვებით მიმართავს არანი თავის მიჯნურს ილენს (აღმოსავლური სამყაროსათვის, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად შეუფერებელი სახელია). უფრო ბუნებრივი იქნებოდა, არანის თავისი სატრფოს ხატება რუსთველის რომელიმე გმირი ქალისათვის შეედარებინა (ნესტანის ან თინათინისათვის), ვიდრე რუსთველის ლექსისათვის, რომლის სინატიფის შეგრძნება თარგმანის მეშვეობით ძნელი წარმოსადგენია. თ. შუმოვსკი გრძნობს ამ უხერხულობას და ერთგვარ კომენტარს ურთავს ამ ადგილს: „Нужно было сердцем поять и полюбить эту поэзию, чтобы связать ее со священным именем Илен. И ширванский поэт принял ее в свое сердце — ведь культ любви и верности был и его культом. Кто перевел ему „Витязя в тигровой шкуре“? Как знать, да и очень ли это важно?“ (გვ. 251).

თუნდაც რომ ვირწმუნოთ დიდი ხნის შემდეგ მთელი ლირიკული კრებული მესხიერებით აღდგენა (მხოლოდ თარგმანში, ავტორს არ მოჰყავს დედნის არც ერთი სტრიქონი), ექვს იწვევს არანის ბიოგრაფიის ასე მწყობრად წარმოდგენა, ზოგჯერ უმცირეს დეტალბამდე. იგი საოცრად წაავას ხანისა და თავად თ. შუმოვსკის ბიოგრაფიის შერწყმის შედეგად მიღებულ სურათს (არანისა და შირვანშაჰის ურთიერთობა, შემახელი პოეტის დაპატიმრება, „ციხისეული“ ლექსები, მოულოდნელი განთავისუფლება, მექაში გამგზავრება და ა. შ. თუმცა ზოგჯერ თავს იჩენს ლოგიკური შეუსაბამობა). აქვე შევნიშნავთ, რომ იქნებ შემთხვევითი არაა შემდეგი დამთხვევა: არანის სახელად ეწოდება ატაალაჰ, რაც არაბულად ნიშნავს „ალაჰის ნაბოძებს“ (ერთერთ ლექსში იკითხება: „Когда бы-я „Атааллах“ недаром... Я богом был бы, а не „божьем даром“, გვ. 231). წიგნის ავტორის, შუმოვსკის სახელი „თეოდორ“ ბერძნულად ზუსტად იგივეს ნიშნავს („ღვთის ნაბოძები“).

ასევე საეკვოა, XV ს. შემახელ პოეტს ეკუთვნოდეს ფორმითა და თემატიკით თანამედროვე ელერადობის მქონე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ლექსები, რომელთაც თ. შუმოვსკი თარგმნილად აცხადებს და რომელნიც საოცრად ემსგავსებიან წიგნის სხვა თავებში წარმოდგენილ მისსავე ორიგინალურ ლექსებს. ამას გარდა, ყურადღებას იპყრობს არანის ლექსების ზოგი უცნაური რემინისცენცია. ერთ-ერთი სატრფილო ლექსი ასეთ სტრიქონს შეიცავს (გვ. 198): „Остановись, мгновенье, ты прекрасно!“ ეს ზომ გოეთეს „ფაუსტის“ ციტატი! ნუთუ ასე სიტყვასიტყვით დაემთხვა ერთმანეთს XV ს. შირვანელი მგონისა და ახალი დროის დიდი გერმანელი პოეტის ტექსტები? გოეთე დაესესხა არანის თუ არანი-შუმოვსკიმ „შეიკედლა“ გოეთეს ეს საქვეყნოდ განთქმული პოეტური ტაეპი?!

თ. შუმოვსკის წიგნში დიდი ადგილი ეთმობა მის მასწავლებელს ე. კრაჩკოვსკის, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა მის ცხოვრებაში: გამოკვეყნებულია ე. კრაჩკოვსკის უაღრესად საინტერესო პირადი წერილები, იგრძნობა დიდი გავლენა ე. კრაჩკოვსკის შესანიშნავი წიგნისა „Над арабскими рукописями“. ე. კრაჩკოვსკის წიგნში მოყვანილია ისლამამდელი არაბი პოეტის სელამ იბნ ჭანდალის ლექსის ბწყარელი თარგმანი: „Погибла юность достославию, владычица чудес; о если бы ее догнал бег летящих вза-

пуски коней“ (თხზ., ტ. I, გვ. 36). საოცარია ოლონდ, რომ ამ სტრიქონების გალექსილი ვარიანტი თ. შუმოვსკის წიგნში წარმოდგენილია როგორც არანის ლექსი (გვ. 204):

Умчалась юность в мир теней.

Угнаться сможет ли за ней

— О, если бы смог! — крылатый бег

Летящих впуски коней!

აღსანიშნავია ისიც, რომ არანის კრებულის ერთადერთ მხილველად დასახელებულია განსვენებული ე. კრაჩკოვსკი (გარდაიცვალა 1951 წ.). თ. შუმოვსკის წიგნის გამოქვეყნებას ვერც ე. კრაჩკოვსკის მეუღლე და მეგობარი, ცნობილი მეცნიერი-არაბისტი ვ. კრაჩკოვსკაია მოესწრო (გარდაიცვალა 1974 წ.). თითქოს საგანგებოდ, სრულიად მოშლილია კონტროლის გზები...

ჩვენი ექვები დაადასტურა ლენინგრადელმა ირანისტმა, შირვანის ლიტერატურული ცხოვრების საუკეთესო მცოდნემ პროფ. ა. ბოლდირევმა. მან ჯერ ადრე, ვიდრე თ. შუმოვსკის წიგნს გავიცნობდით, მოგვწერა: „Много шума, но не радостного, вызвала очень спорная книга Т. Шумовского „У моря арабистики“. ხოლო შემდგომ, პირად საუბარში არანის ისტორია დაბეჯითებით ლიტერატურულ მისტიფიკაციად მიიჩნია. არანი, მისი აზრით, იგივე თ. შუმოვსკია. ჩვენ ასე შორს არ მივდივართ, მაგრამ მოვალედ ვთვლით თავს საჯაროდ გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება პოეტ არანისა და მისი ლექსების თაობაზე, რამდენად მაცთუნებელიც არ უნდა ჩანდეს ამ „აღმოჩენის“ დიდი ფასი და მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის¹. ცხადია, ეჭვის შეტანა მსგავსი პოეტის არსებობაში სრულებით არ გულისხმობს თ. შუმოვსკის საინტერესო წიგნის უარყოფით დახასიათებას.

ალექსანდრე ბარამიძე

ალექსანდრე გვახარია

¹ დავით აბაშიძე, რომელიც პირველი გამოეხმაურა თ. შუმოვსკის წიგნს (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 30 იანვარი, 1976), არ კარგავს იმედს არანის სხვა ზღაპრების პოენისა. სამწუხაროდ, საკითხის ისტორიის გათვალისწინებით დაწერილ ამ საინფორმაციო წერილში გაიპარა რამდენიმე უზუსტობა (პოეტს ეწოდება ატალაპ და არა ათთალაპ, თ. შუმოვსკი აღწერს და თარგმნის ლირიკულ ლექსთა კრებულს („დივანს“) და არა პოემას, რუსთველი ქართულ ლიტერატურაში პირველად თეიმურაზს არ მოუხსენებია).

დაზვიანებული პასუხი

ჩვენმა წერილმა „რამდენიმე რეპლიკა ერთი სტატიის გამო“ („ლიტ. საქართველო“, 1972 წლის 25 აგვისტოსა და 1 სექტემბრის №№) გამოიწვია შ. ხიდაშელის „მოკლე განმარტება გრძელი „რეპლიკების“ გამო“ („მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1973, № 1, გვ. 164—171). შესავალში საესებო მართებულადაა აღნიშნული, რომ „ლიტ. საქართველოში“ (3.III.72) გამოქვეყნებულ მის წერილში „არავითარი ახალი პრობლემა... დასმული არაა და არავითარი ახალი მოსაზრება ავტორს არ წამოუყენებია“ (გვ. 165). მაშინ საკითხავია: რატომ დასჭირდა ავტორს ისეთი წერილის დაბეჭდვა, სადაც მას არავითარი „ახალი მოსაზრება“ არა აქვს გამოთქმული? მხოლოდ იმ მიზეზით, რომ განეცხადებინა: „რედაქციებში შედის და იბეჭდება წერილები პეტრე იბერზე „არაკომპეტენტური პირებისაო“. ჩვენი მიზანი კი ის იყო, რომ გვეჩვენებინა — შ. ხიდაშელს (არც ვინმე სხვას) არა აქვს უფლება რომელიმე თემაზე მონოპოლიის გამოცხადებისა (არც ფილოსოფიური, არც ფილოლოგიური თვალსაზრისით).

„მოკლე განმარტების“ ავტორმა არც ერთს ჩვენს შენიშვნას პასუხი არ გასცა, თანაც აქეთ გვეკამათება ისეთ საკითხებში, რომლებზედაც საერთოდ დავა არ შეიძლება. აი ისინი:

1. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არაა მართალი მკვლევრის გამოთქმა: „... როგორც მისი (პეტრეს. — ა. გ.) თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ბ ი ზ ა ნ ტ ი ე ლ ი მ წ ე რ ლ ე ბ ი აღ ნ ი შ ნ ა ვ ე ნ“, რადგან არც ერთი მათგანი (მაგ. ზაქარია რიტორი ან იოანე რუფუსი) „უშუალოდ ბერძენ მწერლებად... არ ჩაითვლებიან“ და, თუ ისინი ბერძნულად წერდნენ, „ეს აიხსნება ამ ენის ბატონობით ბიზანტიის იმპერიაში“—მეტე. პოლემისტმა ჩვენი სიტყვები საკამათოდ აქცია. მოვიყვანთ უფრო გვიანდელ მაგალითს. მაგ., ფლორენციელი ლორენცო მედიჩი (XV ს.) ლათინურად წერდა თავის „კარნავალურ ლექსებს“, მაგრამ ის რომელი მწერალი არ ყოფილა. ზაქარია რიტორი და რუფუსი ე. წ. „სირიულ სკოლას“ ეკუთვნოდნენ, თუმცა ბერძნულად წერდნენ. მე მხედველობაში მქონდა მათი ე თ ნ ი კ უ რ ი წ ა რ მ ო შ ო ბ ა და არა სხვა რამ. ზოგადად ისინიც, რასაკვირველია, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიასაც ეკუთვნიან. მიუხედავად ამისა, „უშუალოდ ბიზანტიელ მწერლებად“ რუფუსი და ზაქარია რიტორი არ ჩაითვლებიან (მსგავსად ბიზანტიელი ბერძენი სოზომენესა და სოკრატესი, რომელთაც პეტრეზე არაფერი დაუწერიათ, თუმცა დიდი ასკეტის თანამედროვენი იყვნენ). ჩვენი განცხადების აზრის გაგება არც ისე ძნელი იყო (შემთხვევითი როდია, რომ, მაგ., კ. კრუმბახერს თავის კლასიკურ „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“ რუფუსი მოხსენებულიც არ ჰყავს, არც ჰანს გეორგ ბეკს).

2. მკვლევარს სხვათა შორის შეენიშნეთ, რომ საჭიროა ვიხმაროდეს „ზა“ და არა „გაზა“. ჩვენი პოლემისტი ისევ იცავს უქანონო ფორმას და „ასაბუთებს“ მას ბიბლიის ბაქარისებულ გამოცემაზე და ბლეიკის სტატიაზე მიფუძვლილ (გვ. 171). თავი დაეანებოთ იმის განხილვას, თუ რამდენად უსათუფდლოა ასეთი არგუმენტის მოყვანა. ვიტყვით მხოლოდ, რომ მკვლევარის განსწავლულობა ბიბლიის ქართული ტექსტის საკითხებში მისასაღმებელია, მაგრამ „გაზა“-ს ხმარება მაინც უქანონია (ასევე წერს იგი თავის სხვა წერილებში ფ. ჰონიგმანის ნაშრომის რუსული თარგმანის გავლენით). მაშინ საკითხავია, რატომ ხმარობს სისტემატურად გამოთქმებს: „პროკოფი ღაზელი“, „ენეა ღაზელი“, „ტიმოთე ღაზელი“ (შდრ. „ცისკარი“, 1969, № 4, გვ. 137. შ. ნუცუბიძე, თხზ., ტ. I, წინასიტყ. და სხვ.) „გაზელის“ ნაცვლად?

3. ავტორი შეგვნიშნავს: „გაწერელის მიერ დაწუნებული(?) „პულქერია“ და ა. შ. მაგრამ ბიზანტიურ მონეტებზე სწერია „პულხერია“ (იხ. თ. აბრამიშვილი, ბიზანტიური მონეტები საქართველოში); სისტემატურად ასე წერს ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნულ სახელს. და უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ბიზანტიტი, რომელსაც სპეციალური ნარკვევი აქვს დაბეჭდილი ბერძნული ონომასტიკონის ქართულად გადმოტანის საკითხებზე, ისიც უსაფუძვლოდ „იწუნებს“ „პულქერიას“? შ. ხიდაშელი ისევ ჭიუტობს და თავის ფორმას ამართლებს მაგალითებით „არქიმედი“, „მიქაელი“, „არქეოლოგია“ და სხვ.

4. „განმარტების“ ავტორი აცხადებს, რომ მე არ აღვნიშნე მისი კორექტურული შეცდომა „კრიუმერი“ („კრიუმერი“-ს ნაცვლად). და აი ნართაული დასკვნაც: „ვერაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ რატომ უღალატა ამ შემთხვევაში „რეპლიკების“ ავტორს კრიტიკული აზრის სიმახვილემ“ (გვ. 165), ე. ი. ჩვენ ალბათ არც ვიცით კრიუმერის არსებობა, თორემ ამ შეცდომასაც აღვნიშნავდით. მაგრამ შ. ხიდაშელის ყველა შეცდომის აღნიშვნის ნაცვლად ტექსტში სწერია „დასხვ.“ და ეს არკმაროდა?

შ. ხიდაშელი გვიჩვენებს, რომ მის ნაწერებში უნდა ჩაგვეხედა. მაგრამ მას რომ 1971 წელს (ე. ი. მისი „განმარტების“ გამოქვეყნებიდან 2 წლით ადრე) ქ. „მნათობის“ № 8-ში გულდასმით წაეკითხა ჩვენი ნარკვევი „ისევ პეტრე იბერელის ქართული ცხოვრების გამო“, დაინახავდა, რომ ქურნალის ხუთი სვეტი (გვ. 158—160) პეტრე იბერზე სახელდობრ გ. კრიუმერის ცნობების გადმოცემას ეძღვნება, განხილული გვაქვს ის „წინასიტყვაობა“, რომელიც არენს-კრიუმერის მიერ თარგმნილ ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორიას“ წინ უძღვის. ჩვენში (და არც სხვაგან) არავის ასე ვრცლად არ გადმოუცია გ. კრიუმერის ცნობები. ქურნალის 160-ე გვერდზე შეჭამებულია (ტექსტში ხაზგასმითაა დაბეჭდილი): „ერთი სიტყვით, ზაქარია რიტორის თხზულებათა შინაარსის გადმოცემისას გ. კრიუმერი არ ამოსწურავს პეტრეს შესახებ იმ ცნობებს, რომლებიც ამ თხზულებებშია დაცული“ („მნათობი“, 1971, № 8, გვ. 160).

თავისი „საბუთის“ ღირებულებისა და ირონიის გამო დასკვნა ამის შემდეგ თვითონ შ. ხიდაშელმა გამოიტანოს.

5. „განმარტების“ ავტორი დარწმუნებულია, რომ ვაზეთში გაპარული და იქვე გასწორებული ჩვენი უნებლიე ლაფსუსი („სპარსეთ-ირანის ომი“) ამ



საკითხში ჩვენს ცოდნას შეეფერება და უმატებს: „რომლის ^{გაიხსენებენ} გასწავლის ბას („დაზუსტებას“) ის (ე. ი. ჩვენ. — ა. გ.) ამაოდ ჩქარობს“ (გვ. 165), ე. ი. ჩვენ არ ვიცოდით 1973 წელს, რომ V ს-ში წარმოებდა ირან-ბიზანტიის ომი და არა „სპარსეთ-ირანისა“, რომლის მსგავს შეცდომას საქართველოს ისტორიაში ოდნავ ჩახედული სპეციალისტი ან სტუდენტიც კი არ დაუშვებდა. მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ 1970 წელს ვწერდით „მნათობში“ დაბეჭდილი ნარკვევის პირველსავე სვეტში: „თორმეტი წლის მურმანი დიდი ამალით გაუგზავნა მიველად მამამისმა ბიზანტიის კეისარ თეოდოსი II-ეს (408—450), ამ უკანასკნელის დაყინებული თხოვნით, რათა სპარსეთ-ბიზანტიის ომში (დაიწყო 420 წ.) იბერიის ხელისუფალნი ირანს არ მიმხრობოდნენ“ („პეტრე იბერიელის ბიოგრაფია. საქ.“, „მნათობი“, 1970, № 3, გვ. 132). მაშასადამე, რაც 1970 წელს მაინც ვიცოდით, 1973 წელს დაგვაავიწყდა?

6. აი კიდევ ერთი შენიშვნა ჩვენი მისამართით: „მაგრამ აი ფრანგული Pau(?) Devos-ის გადმოცემას ქართულ ენაზე ფორმით „პოლ დევოსი“ არავითარი გამართლება არა აქვს. თუ გაწერელია ხელმძღვანელობდა უცხოური სახელისა და გვარის გამოთქმის პრინციპით, უნდა ყოფილიყო „პოლ დევო“ (და არა „დევოსი“); თუ გავყვებით დაწერილობის პრინციპს, მაშინ „პაულ“ (და არა „პოლ“) დევოსი. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა დაგვეწერა „დიდგროტი“ (დიდროს ნაცვლად), „შაკსპეარე“ (შექსპირის მაგივრად) და მრ. სხვ.“ (გვ. 165).

ასეთ „ორთოგრაფიულ ანაბანას“ გვიხსნის ავტორი კორექტურულ შეცდომაზე დაყრდნობით, ანაბანას, რომელიც თურმე მე არ მცოდნია (უეჭველია, „გაზა“-ს სანაზღაუროდ). მაგრამ აქაც „კრიუმერი“-ს მსგავსი რამ შეემთხვა ჩვენს პოლემისტს. 1971 წელს დაბეჭდილ ჩვენს ნარკვევში „ისევ...“ („მნათობი“, 1971, № 8), 153-ე გვერდზე ხაზგასმით გვაქვს დაბეჭდილი: «4. პოლ დევო... თავის გამოკვლევაში „როდის ჩავიდა პეტრე იბერიელი იერუსალიმში?...». „საერთოდ პოლ დევოს არაერთი პასაჟი მოაქვს რააბეს გამოცემიდან“... „რუფუისის ავტორობის საკითხი პოლ დევოსთვის საბოლოოდ გადაწყვეტილია“. „...ღრმა მადლობას მოგახსენებ ბატონ პოლ დევოს თავისი გამოკვლევის ჩვენთვის საჩუქრად გამოგზავნისათვის“... ყველაფერი ეს დაბეჭდილია ერთად უტრნალის აღნიშნული გვერდის მეორე სვეტის ბოლოს, ვიმეორებთ — ხაზგასმით! ამასთან: სწორედ ჩვენი ნარკვევი „პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხები“ გახდა საბაზი იმისა, რომ გამოჩენილ ბელოგიელ მეცნიერს თავისი ნაშრომი გამოეგზავნა ჩვენთვის.

შ. ხიდაშელი წერდა „მურვანი... იზრდებოდა მეფისა და ორი დედოფლის (ევდოკიასა და პულქერიას) მზრუნველობით“. ამაზე ჩვენ შევნიშნეთ, რომ დედოფალი პულხერია კი არ იყო მურმანის (პეტრეს) აღმზრდელი (თუმცა არსებობს ერთი ყალბი სქოლიო-ცნობა ამ საკითხზე), არამედ დედოფალი ევდოკია, თუმცა ამ უკანასკნელის ბიზანტიის დედოფლად გამოცხადებამდე (421 წ. 7 ივნისი) ფაქტიურად პულხერია განაგებდა იმპერიის საქმეებს (ის მცირეწლოვანი ძმის თეოდოსის რეგენტი იყო), ბიზანტიის დედოფლად მაინც არ ითვლებოდა; ასეთად ის გახდა ძმის გარდაცვალების (450 წ.) შემდეგ. კონსტანტინოპოლში მურმანის აღზრდის და ყოფნის წლები კი (422—437) ემთხვე-

ვა ევდოკიას დედოფლობის წლებს (421—444). ამ ზუსტ ახსნას შ. ხიდაშელი უნდა დაეკმაყოფილებინა. შეცდომის აღიარების ნაცვლად შ. ხიდაშელი წერს „... რას ნიშნავს „ნამღვილი დედოფალი“ გაწერელის წარმოდგენაში, — დროის და შრომის ამაო ხარჯვა“ (გვ. 165).

სამწუხაროდ, შ. ხიდაშელი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ქრონოლოგიურ სიზუსტეს მეცნიერებაში. მის მიერ გამოგონილი „ორდედოფლობა“ მურმანის კონსტანტინოპოლში ყოფნისას (422—437 წწ.) — ფაქტების არ ცოდნიდან მომდინარეობს. აი რას ნიშნავს „ჩვენს წარმოდგენაში“ შ. ხიდაშელის მიერ დაწუნებული გამოთქმა „ნამღვილი დედოფალი“!

უხერხულ შთაბეჭდილებას ტოვებს „განმარტების“ ავტორის განცხადება: „... უნაყოფოა კამათი — არის თუ არა „სამი ან ოთხი“ მრავალი და შეიძლება თუ არა სამი ან ოთხი თხზულების ავტორს — ეწოდოს „მრავალი შრომის“ ავტორი“ (გვ. 165). ასე არასწორადაა ვაგებულები ჩვენი შენიშვნის მნიშვნელობა პეტრეს ბიოგრაფიულ რუფუსთან დაკავშირებით. ზუსტად ცნობილია, რომ პეტრეს ბიოგრაფიის ითანე რუფუსის კალამს ეკუთვნის მხოლოდ სამი ნაწარმოები: 1. „პეტრეს ცხოვრება“, 2. „პლეროფორიები“ და 3. ძალიან მცირე მოცულობის „თხრობა თეოდოსი იერუსალიმელის გარდაცვალებაზე“ (ჩვენს ხელთაა ამ უკანასკნელის ბრუქსისეული გამოცემა, სირიული ტექსტი ლათინური თარგმანითურთ. არ ს ე ბ ი თ ა დ ი გ ი „პეტრეს ცხოვრების“ ნაწილია). მე არ ვიცი, რამდენად კარგად აქვს შესწავლილი შ. ხიდაშელს რუფუსის ორი უკანასკნელი ნაწარმოები მაინც, მაგრამ ერთი რამ ხომ უმშველია — არ ს ე ბ ი თ ა დ ო რ ი თ ხ ზ უ ლ ე ბ ი ს ა ვ ტ ო რ ი არ შეიძლება ჩაითვალოს „მრავალი შრომის ავტორად“? კამათი ასეთ საკითხზე საერთოდ არ შეიძლება. უმჯობესი იქნებოდა შ. ხიდაშელს თუნდაც მოთხე ნაწარმოები დაესახელებინა რუფუსისა და ამ საკითხზე მართლაც „უნაყოფო კამათი“ თავიდან აეცილებინა.

ზემოთ დასახელებულ წერილში შ. ხიდაშელი სრულიად მოულოდნელად სადავოს ხდის ჩვენს გამონათქვამს („დაკვირვებებიდან“) იმის შესახებ, რომ ლიტერატურაში რაოდენობა არ გადადის თვისობრიობაში. ეს აზრი შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ ამის გამო „მეცნიერებიდან“ ჩვენი „ამოღება“ — ელემენტარული ლიტერატურული ეთიკის ფარგლებს სცილდება. სამწუხაროდ, მე არ ვიცნობ შ. ხიდაშელის განსწავლულობას ლიტერატურის ისტორიისა ან ლიტერატურისმცოდნეობის საკითხებში. მაგრამ უნდა დაგვიჩეროს მან, რომ, მაგალითად, ლერმონტოვის პატარა მოთხრობა „ტამანი“ აკადემიკოს ბობორიკინის ვეება რომანებს ერთად აიწონის; რომ პროსპერ მერიმეს ერთი ნოველა „ტამანგო“ უფრო დიდი მოვლენაა, ვიდრე პოლ ბურჟეს რომანების სერია; რომ საბას პატარა „სიბრძნე-სიცრუისა“ ძველი ქართული ე. წ. საერო პროზის მწვერვალია და ა. შ. ტოლსტოი, დიკენსი ან ბალზაკი — გამონაკლისები იყვნენ. ამასთან: თვით ამ გენიოსთა ყველა თხზულება მხატვრული თვალსაზრისით ერთ დონეზე არ დგას.

შ. ხიდაშელს, რასაკვირველია, სრული უფლება აქვს არ მოსწონდეს ჩვენი შეხედულებანი ამა თუ იმ საკითხზე, არ მოეწონოს „დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანიც“, თუ სხვა ჩვენი ესეები. „გემოვნებაზე არ დავობენ“. მაგრამ ნუ აგვიკრძალავს ჩვენც, თუ მისი „რუსთველოლოგიურ-პანთეისტური“ კონცეფციები — მეცნიერებიდან ძალიან დაშორებულ შეხედულებებად მიგვიჩნია.



7. „განმარტების“ მთელი გვერდი (166) უკავია რებლიკებს ჩვენს ცალკეული გამოთქმების მიმართ „მომაკვდინებელი“ კვალიფიკაციებით (მაგ., თურმე მე ვფიქრობ, რომ „ფილოლოგიაში ვერავინ შემედრება“ და მისთ.). ყველა ჩვენს კონკრეტულ შენიშვნაზე განყენებული და თან პაროდული სტილითაა მსჯელობა, გვიწუნებს „წიადსელებს“(!), ძახილის ნიშნების ხმარებას და სხვ. და ასეთი ტონით გვეკამათება სტილისტიკის სფეროში ის, ვინც თვითონ სისტემატურად ამგვარი ქართულით წერს: „იმ პიროვნებათა შორის, რომლებიც პეტრე იბერის გარშემო იყრიდა თავს...“.

8. შ. ხიდაშელი გვეკამათება „ზაქარია ქართველის“ ფიქციურობის საკითხში და აცხადებს, რომ „გაწერელის შეხედულება ვერ აღიარებული არაა“ (გვ. 167). ასე არაა საქმე: ჩვენი აზრი გაიზიარა ძველი ქართული მწერლობის ისეთმა სპეციალისტმა, როგორცაა აკად. ალექსანდრე ბარამიძე (პირველად მწერალთა კავშირში, მეორედ 1975 წ. 10 აპრილს რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე) და პროფ. ნოდარ ლომოურიცა თვის ახალ შრომაში. რატომ არ შეიძლებოდა შ. ხიდაშელსაც გამოეთქვა თავისი კომპეტენტური შეხედულება? თუმცა იგი ასახელებს ამ გარემოების მიზეზს: „ამ საკითხის გადაწყვეტა ძველი ქართული და ასურული ტექსტების შედარებით შესწავლის გზით შეიძლება“ (გვ. 167). ასურული ტექსტის ქართულად თარგმანს აუცილებელია; ამ აზრს იცავს ს. ყაუხჩიშვილიც; ამავე შეხედულებისა ვართ ჩვენც. ტექსტის ყველა ნიუანსს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ საკუთრივ „ზაქარია ქართველის“ არარსებობის დასამტკიცებლად რუფუსის „პეტრეს ცხოვრების“ რაბუნებული თარგმანისა და მისი ქართული ვერსიის „პეტრეს ცხოვრების“ ურთიერთშედარებაც კმარა. ტექსტის ისტორიული რეალიების ნამდვილობის საკითხს თვითონ ტექსტის ენა არ წყვეტს (ამასთან — ასურული „პეტრეს ცხოვრება“ ხომ ბერძნულიდანაა თარგმნილი?). თანაც: აქი ასურული Vita Petri-ს ავტორად შ. ხიდაშელიც რუფუსს ასახელებს და, თუ ასეა, მაშინ ქართული ვერსიის (XIII ს.) დასახელებული ავტორის თხზულებიდან წარმომავლობის ფაქტი განა თავისთავად არ ხსნის დეფექტურ და გვიან (XV ს.) რედაქტირებულ ქართულ ტექსტში გაჩენილი „ზაქარია ქართველის“ ფიქციურობის საკითხს? რუფუსის ავტორობა კი დაამტკიცა ედ. შვარტცმა. იგი მაინც ხომ იყო „ფრიად მეცნიერ მათსა (ასურულს. — ა. გ.) უნდასა შინა“?

როგორც ვხედავთ, შ. ხიდაშელის არც ზემოთ მოყვანილ რებლიკას მოეპოვება რაიმე საფუძველი. თანაც, მგონი არც შ. ხიდაშელია სირიულის მკოდნე და ამ ენის შესწავლამდე (თუ ეს მას განზრახული აქვს) კომპეტენტური მსჯელობის უფლება უნდა წაეართვათ რუფუსის Vita Petri-ს გარშემო?! იგი ხომ ხშირად მსჯელობს ამ ძველის შესახებ?

9. რეცენზიის 168-ე გვერდი ისევ აღსავსეა ჩვენი მისამართით რებლიკებით: „პრეტენციოზული მასშტაბები“, „რომ პრეტენზია“ და ა. შ. (სიტყვა „პრეტენზია“ ოთხჯერაა გამეორებული ოთხი სტრიქონის ფარგლებში). შ. ხიდაშელი ფიქრობს, რომ ასეთი ეპითეტების დახვეწება მას იხსნის მეცნიერულ კამათში. ხოლო ერთს ჩვენს შენიშვნას პირდაპირ „ცილისწამებას“ უწოდებს, თანაც „შემთხვევლობით მუშაობას“ (გვ. 170) გვწამებს. ამ საკითხზე ქვემოთ ვიტყვი, მანამდე კი უნდა შევეხოთ ორ განმარტებას.

შ. ხიდაშელი წერს: „რეპლიკებს“ ავტორი ამთავრებს შორიგი შეგონებით: „საერთოდ ფილოლოგიური დილექტანტიზმი განაპირობებს ფილოსოფიურ დილექტანტიზმს“. ზოგადი აზრით („საერთოდ“) ეს დებულება სრული აბსურდია“ (გვ. 169). ამას მოჰყვება ისევე „განმარტებანი“ ჩვენი მოკლე ესეების („დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი“) შესახებ. თუ რატომ აღიზიანებს ხიდაშელს ჩვენი „დაკვირვებანი“, რომელიც პეტრე იბერის საკითხში მოსატანნი არ იყო, ამის გარშემო ზემოთ უკვე ვთქვით და ამას არ დავუბრუნდებით. მაგრამ ფილოლოგიურ სიზუსტეს მართლაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ფილოსოფიურ პრობლემათა კვლევის დროს ან როცა საქმე გვაქვს რომელიმე მოაზროვნის ბიოგრაფიის თარიღების ცოდნასთან? ვფიქრობთ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

თი რამდენიმე მაგალითი თვითონ შ. ხიდაშელის მხოლოდ ერთი „ფილოლოგიურ-ისტორიული“ წერილიდან.

ა) „... პეტრე იბერი იყო შვილიშვილი ცნობილი მეფის ბაკურისა, რომელმაც სამეფოში, IV ს-ის 30-იან წლებში ქრისტიანობა გამოაცხადა ოფიციალურ რელიგიად“ (იხ. მისი წერილი „სამკაული და სიქადული ქართველთა“, „ციხკარი“, 1969, № 4, გვ. 13). ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა არა ბაკურის, არამედ მირიანის დროს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს პრობლემა საკამათო არაა.

ბ) „პეტრე იბერი დაიბადა დაახლოებით 411 წელს, მისი იმპერიის კარზე გამგზავრება მოხდა 423 წლის ახლოს“ (იქვე, გვ. 134). მაგრამ ირან-ბიზანტიის ომი დასრულდა 422 წელს, რომლის შემდეგ პეტრეს იმპერიაში (იგულისხმება ბიზანტია. — ა. გ.) გამგზავრება უაზრო იქნებოდა. მურმანი (შემდეგში პეტრე. — ა. გ.) კონსტანტინოპოლში ჩავიდა 422 წლის ზაფხულში. შ. ხიდაშელმა ეს უნდა იცოდეს, თუ „ბიზანტია-ირანის ომის“ საკითხებში ვარკვეულია.

გ) „სირიაში ვადასახლების დროიდან (დაახლ. 430 წ.) ახალი პერიოდი დაიწყო პეტრე იბერის ცხოვრებაში“ (იქვე, გვ. 135). არა, მურმანი პალესტინაში ჩავიდა 437 წლის შემდეგ. ეს საკითხი საბოლოოდ ვარკვია სწორედ იმ პოლ დევომ, რომლის სახელის სწორ დაწერილობას გვიხსნის ავტორი (პოლ დევოს ნაშრომი მითითებული გვაქვს „რეპლიკებში“).

შ. ხიდაშელის აზრით ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებანი („კორპუსი“) თურმე „არ გამოდგებოდა ორთოდოქსალური ქრისტიანობის თეორიულ საფუძვლად“ (იქვე, გვ. 138). არა, ფსევდო-არეოპაგელის „კორპუსი“ მართლმადიდებლური ორთოდოქსიის ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქნა აღიარებული უკვე VII საუკუნეიდან (მაქსიმე აღმსარებელი).

დ) „არეოპაგეტიკა და ნეოპლატონიზმი წარმოადგენდნენ შუა საუკუნეების(?) პანთეისტური კონცეპციების ძირითად წყაროს“ (იქვე, გვ. 139). გაუგებრობაა — წარმართული ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანული არეოპაგეტიკის ერთ სიბრტყეზე მოთავსება არ შეიძლება (ერცლად — ქვემოთ). მათ შორის ღრმა უფსკრულია.

ე) შ. ხიდაშელი იზიარებს ზოგიერთი ქართველი მკვლევრის მოსაზრებას, რომ „არეოპაგეტიკული კორპუსი ეკუთვნის არა ერთს, არამედ ორ თანა-
12. მაკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 1



ავტორს — პეტრე იბერსა და იოანე ლაზს“ (იქვე, ნვ. 140). თუ ფსევდოდონისეს ტრაქტატში „სადმართო სახელთათვის“ შეტანილია იეროთეოსის (ე. ჰონიგმანის აზრით იგი პეტრეს ნათლია და სულიერი აღმზრდელი მითრიდატე ლაზია) სახელით „სატრფიალო ქებანი“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფსევდოდონისეს „კორპუსის“ ავტორად უეჭველად ორი პირი გამოვაცხადოთ. მაგ., „მისტიკურ თეოლოგიაში“ (ფსევდოდონისეს ყველაზე ცნობილ აპოფატკურ ტრაქტატში) მითრიდატე ლაზის იდეების უშუალო ანარეკლის ძიება ძალიან ძნელია, რადგან ამის დოკუმენტური საფუძველი არ არსებობს.

სხვა დანარჩენ, ანალოგიურ შეცდომებს მისი პატარა სტატიიდან არ გამოვეკიდებით. ფილოლოგიის სფეროს ისინი იმდენად ვანეკუთვნებიან, რამდენადაც ფილოსოფიური აზროვნების სფეროს.

დაბოლოს, შ. ხიდაშელი რომ სავსებით დარწმუნდეს, რომ სწორია ჩვენი ფორმულა („ფილოლოგიური დილექტანტიზმი განაპირობებს ფილოსოფიურ დილექტანტიზმს“), აქ მოვიყვანთ მისთვის შთამაგონებელ მაგალითს და ისიც მისსავე სტატიიდან.

ეს-ესა გამოვიდა შ. ნუცუბიძის ნაწერების I ტომი შ. ხიდაშელის წინასიტყვაობით, რომელშიაც ნათქვამია: „უდავოა, წერს ე. ჰონიგმანი, რომ ქ. გაზა(?) წარმოადგენს ამ დროს (იგულისხმება V ს. ა. წ. — ა. გ.) „ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრს“, სადაც „ყოველივე ისეა“ ატიციზირებული, რომ თვით ათინელები(?) მოდიოდნენ აქ, რომ შეესწავლათ პლატონის ენა(?). პეტრე იბერსა და იოანე ლაზს შეეძლოთ ეწერათ ატიკურ ენაზე თავისი თხზულებანი ისე, რომ არ დაძრულიყვნენ ადგილიდან“ (გვ. 38. ხაზგასმები ჩვენია. — ა. გ.).

მაგრამ არავითარი „ატიკური ენა“ არასოდეს არ არსებულა, არსებობდა ატიკური დიალექტი!

საიდან მომდინარეობს ასეთი უმძიმესი შეცდომა? აი საიდან.

ე. ჰონიგმანის შრომის (პეტრე იბერზე) რუსულ თარგმანში ნათქვამია ფსევდოდონისეს ნაწერებზე: „Прибавим к этому, что Ареопагитские книги написаны „аттическим“ языком, несомненно искусственным, но это свидетельствует о том, что автором внимательно изучен диалект, мертвый за много времени до пятого века после Р. Х.“ (თსუ შრომები, 1955, ტ. 59, გვ. 20. ხაზგასმა ჩვენია! — ა. გ.).

მაგრამ ე. ჰონიგმანის ორიგინალში, ფრანგულ ტექსტში (და ხიდაშელი მხოლოდ ამ ორიგინალზე მიუთითებს წამდაუწუმ, მოჩვენებით და ისიც რუსული თარგმანის მიხედვით) შეუძლებელია ყოფილიყო გამოთქმა „ატიკურ ენაზე“, ასეთი უმეცრება ე. ჰონიგმანს, დიდ მეცნიერს, რა თქმა უნდა, არ გაეპარებოდა. ელინურ პერიოდში, საკუთრივ V—IV საუკუნეებში ძვ. წ-ით, ატიკურ დიალექტზე შეიქმნა ტრავედია და კომედია, ფილოსოფიური, ისტორიული და რიტორიკული პროზა (ეს დიალექტი იყო შენაზავი ორი დიალექტისა — იონურისა და ატიკურ-დორიულისა). საერთოდ ელინურ პერიოდში (IX—IV სს. ძ. წ.) არსებობდა ოთხი თანაბარუფლებიანი დიალექტი: იონური, ეოლიური, დორიული და, ბოლოს, იონურ-ატიკური, საერთო ბერძნული ენა კი ისევე არ არსებობდა ელინურ პერიოდში, როგორც არ არსებობდა მთლიანი საბერძნეთი, როგორც სახელმწიფო (იგი დანაწევრებულ პოლისურ ერთეულთა პირობითი „გაერთიანება“ იყო).

ე. წ. „კონინე“ ანუ „საერთო ენა“ ბერძნულში ჩამოყალიბდა ალექსანდრე პეტრიწის დონელის მიერ საბერძნეთის დაპყრობის (IV ს-ის დასასრული ძვ. წ.) შემდეგ. ე. ჰონიგმანის ორიგინალში სწერია:

„Ajoutons que les Areopagitica sont écrits dans un „attique“, artificiel sans doute, mais qui atteste une étude attentive d'un dialecte mort depuis longtemps au cinquième siècle après J.-C.“ (Ernest Honigmann, Pierre l'Iberien et les écrits du pseudo-Denis l'Aréopagite, Bruxelles, 1952, გვ. 4. ბოლო. ხაზგასმები ჩვენია.—ა. გ.).

„ატიკური ენა“ აქ არ ჩანს და არც შეიძლება ამგვარი შეცდომა ე. ჰონიგმანს დაეშვა, რადგან ეს ჰემმარიტება კლასიკური ფილოლოგიის ფაქულტეტის I კურსის სტუდენტებისათვისაც კარგად ცნობილია. ე. ი. შ. ხიდაშელმა არ იცის, პლატონი ან არისტოტელე „ატიკურ დიალექტზე“ წერდნენ, თუ არარსებულ „ატიკურ ენაზე“.

ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ შემდეგი. 1972 წელს გამოვიდა შ. ხიდაშელის წინასიტყვაობით ა. ლოსვეის მიერ რუსულად თარგმნილი პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის ელემენტები“ (იხ. Прокл, Первоосновы теологии, пер. и комм. А. Ф. Лосева). მე-მ გვერდზე შ. ხიდაშელს მოჰყავს ანგელოზთა სახელწოდებანი მათი ბერძნული პარალელებით (ფრჩხილებში). მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მან ზედმიწევნით იცის ბერძნული, კერძოდ ატიკური დიალექტი („ატიკური ენა“), რადგან იგი ჰონიგმან-ნუსცუბიძის კვალობაზე საერთოს ნახულობს მითრიდატე ლაზის ჩვენებაში მოხსენებულ ანგელოზთა ტრიადასა (რომელიც აღწერილი აქვს ბერძნულად — და შემონახულია სირიულში — იოანე რუფუსს „პეტრეს ცხოვრებაში“) და ანგელოზთა ამ იერარქიას შორის, რომელიც წარმოდგენილია ფსევდო-დიონისეს ტრაქტატში „ზეციური იერარქიის შესახებ“ (ანგელოზთა სამი ტრიადის ანუ 9 ჯგუფის სახით). საიდან იცის დიონისისეულ ანგელოზთა ბერძნული სახელწოდებანი შ. ხიდაშელმა? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მან იგი უშუალოდ ამოიკითხა ფსევდო-დიონისესთან. მაგრამ ეს ასე არაა. რუსული სახელწოდებანი მან ალბათ აიღო ფსევდო-დიონისეს ტრაქტატის რუსული თარგმანიდან, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა გასული საუკუნის 30—40-იან წლებში (იხ. ჩვენი წერილი: „ზეცის მხატვრული მოდელი რუსთაველთან და დანტესთან. II. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი და რუსთაველი“. ჟ. „მნათობი“, 1970, № 1, სადაც ეს სახელწოდებანი რუსულადაცაა მოყვანილი, პირველად ქართულ ფილოლოგიაში). რაც შეეხება ზოგი მათგანის ბერძნულ შესატყვისებს, რომლებიც შ. ხიდაშელს მოჰყავს, ისინი ნაჩვენებია აქვს რუფუსის თხზულების „პეტრეს ცხოვრების“ სირიული ტექსტის გერმანულ მთარგმნელს (იხ. „პეტრუს დერ იბერერ“, ლაიპციგი, 1895 წ. რააბეს გამოც., გვ. 44, შენიშვნებში). ასე შედგა ხიდაშელისეული „კონტამინაცია“. შთაბეჭდილება კი ისეთი რჩება, თითქოს ფსევდო-დიონისეს ტრაქტატი „ატიკურ ენაზე“ აქვს უშუალოდ წაკითხული და იქიდან იცის ანგელოზთა ბერძნული სახელწოდებანი. ყოველივე ეს, უეჭველია, რუსი მკითხველისთვისაა გაკეთებული.

10. მაინც რა „ცილი დაწვამეთ“ ჩვენ შ. ხიდაშელს და რაში გამოიხატა ჩვენი „შემთხველობითი მუშაობა“? თურმე იმაში, რომ მას მივაწერეთ აზრი, რომ ფსევდო-დიონისე „გაქრისტიანებული ნეოპლატონიკოსია“ (გამოთქმა, რომელიც არაერთ ავტორთან გვხვდება, მაგ., ჰუგო კოხთან). ხიდაშელი წერს:



„... ეს მართლაც ზღაპარია, მაგრამ ზღაპარი, რომელსაც არაფერი აქვს ჩემთან საერთო და თავიდან ბოლომდე გაწერელის მიერაა შეთხზული. რა არის მიზეზი გაწერელის შემთხვევლობითი მუშაობისა: სრული გაურკვეველობა(?) იმ საკითხებში, რომლებსაც წარმოდგენილი მსჯელობანი ეხება, თუ შეგნებული ფაქტობრივობა. და რატომ არ უთითებს გაწერელი ადგილს, სად ამოიკითხა მან ხიდაშელის შეხედულებებზე დასაბუთებული დებულებანი, — ამის გარკვევაში არ შევდივარ. აღენიშნავ მხოლოდ, რომ არც დებულება (რომელიც მეტი დამაჯერებლობისათვის გაწერელის წინწკლებში აუღია), თითქოს ფსევდოდონისე გაქრისტიანებული ნეოპლატონიკოსი იყოს, და არც დებულება (მით უმეტეს მისი „მტიცება“), თითქოს „პეტრე-დიონისე თავის ნაწერებში ღმერთის უარყოფამდე მივიდა“ — მე არ მეკუთვნის. ერთი განმარტება იქნება აქაც საჭირო იყვეს: ფსევდოდონისე კი არაა „გაქრისტიანებული ნეოპლატონიკოსი“, მისი მოძღვრებაა ნეოპლატონიზმის ქრისტიანული გადამუშავება! არეოპაგიტული მოძღვრება („დიონისე-პეტრე“) კი არ მიდის ღმერთის არსებობის უარყოფამდე, აპოფატია მიდის ამ დასკვნამდე. ეს კი სულ სხვა ამბავია! (გაკვირვების ნიშნები ჩვენს ავტორს აქ დასჭირდა. — ა. გ.). აპოფატის დასკვნა არაა მოძღვრების საბოლოო დასკვნა(?), ის მხოლოდ საფუძველია ღმერთის წევდომის, არეოპაგიტის ავტორის მიხედვით, უფრო შესაფერი გზების ძიებისათვის, რაც, რა თქმა უნდა, შორსაა ღმერთის „უარყოფის“ აზრისგან. არ ვიცი რას დასწერს გაწერელი „მონოგრაფიაში“, რომლითაც იმუქრება(?), მაგრამ თუ იქაც ამ „დონეზე“ განხილული არეოპაგიტის საკითხები და ხიდაშელის „შეხედულებანი“, იქნება („ვინდლო“) მან ეს გაუგებრობანი ამ თავითვე გამოასწოროს“ (გვ. 170).

როგორც ვთქვით, გამოთქმა „გაქრისტიანებული ნეოპლატონიკოსი“ ფსევდოდონისეს მიმართ შ. ხიდაშელამდე არაერთ ფილოსოფიის ისტორიკოსს უხმარია XIX ს-ში და ხიდაშელს სათანადო ლიტერატურის გვერდებზე არ მიეუთითებთ. გავახსენებთ მხოლოდ უახლეს მასალას, შესანიშნავი საბჭოთა მეცნიერის ა. ლოსევის აზრს (ჩვენთვის მიუღებელს): „X[ристианский] Н[еоплатонизм] в наиболее яркой форме проявился в Ареопагитиках“ („ფილ. ენციკლ.“, ტ. IV, გვ. 46). შ. ხიდაშელი აცტირებს (ზოგჯერ დაუსახელებლად) ა. ლოსევის და ალბათ ამ საკითხშიც უთანხმება იგი მას, ხოლო თვითონ კი წერილში „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილი არეოპაგიტის თვალსაზრისით“ („მაცნე“, 1965, № 6) ღმერთის შესახებ ფსევდოდონისეს ნეგატიური თეოლოგიის (აპოფატის) ფორმულის (რომ ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ არა ის, თუ „რამ იგი არს, არამედ რამ იგი არა არს“) განმარტების შემდეგ ასკვნის: „საბოლოოდ... აპოფატია მიდის ღმერთის დეტალობის და არსებობის უარყოფამდე“ (ვრცლად იხ. წერილის გვ. 98—99). მანანა გიგინეიშვილმა საესებით ზუსტად და ვრცლად დაუსაბუთა მას ეს შეცდომა (იხ. მისი: «„მზიანი ღამე“ ვეფხისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი», „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, III, გვ. 18—19) და საესებით სწორად დაასკვნა, რომ „დიონისე არეოპაგელის ნათქვამი: „არცა ცხობრება არს, არცა არსება არს... არცა ჭეშმარიტება არს, ... არცა ღმრთეება გინა სახიერება“ — არ ნიშნავს ღმერთის არსებობის უარყოფას. აქ გამოთქმულია

აზრი, რომ მისთვის შეუფერებელი ყოველგვარი განსაზღვრა, თუნდაც — „ღმერთება“ და სხვ.“ (დას. ნაშრ., გვ. 19).

დიონისეს მოძღვრება აპოფატიკას თვლის ღმერთის, როგორც პიროვნული აბსოლუტის (სამების), წვდომის უფრო სწორ მეთოდად კატაფატიკასთან (პოზიტიური ატრიბუტებით პირველმიზეზის დახასიათება) შედარებით. და თუ შ. ხიდაშელის აზრით ფსევდო-დიონისეს მოძღვრების ძირითადი ბირთვი და მეთოდი ღმერთის არსებობის უარყოფამდე მიდის, მაშინ მეთოდი და მისი ავტორი როგორ დავაშოროთ ერთმანეთს? ფსევდო-დიონისემ არ იცოდა თავისი ნეგატიური თეოლოგიით რას ასაბუთებდა? ჩვენ ვერ დავწამებთ „მისტიკური თეოლოგიის“ ავტორს ვერც მიაპიტობას, ვერც შენიღბულ ერეტიკოსობას.

ფსევდო-დიონისესა და კერძოდ ნეობლატონიკოს პროკლეს ურთიერთობაზე ბევრს უწერია, აგრეთვე სხვა ნეობლატონიკოსებთან ურთიერთობაზე იმავე პუგო კოხს (თვით ე. პონიგმანის სიტყვითაც, ფსევდო-დიონისეს წარმოდგენა ამ მოდელის (პროკლეს) გარეშე თითქოს შეუძლებელია). მაგრამ გასაზიარებელია იგი? შ. ხიდაშელი მსჯელობს ჩვენი შეხედულებების „ღონეზე“ (წინწყლებში), თუმცა „ატიკურმა ენამ“ კარგად გვიჩვენა, თუ ვის შეუფერება ასეთ კონტექსტში ხმარებული წინწყლები. მაინც შევეცდებით უდავო დებულებების წამოყენებას.

ფსევდო-დიონისეს აპოფატიზმი არასოდეს არ მისულა ღმერთის არსებობის უარყოფამდე, მეტიც — ამ თეოლოგიის (ფსევდო-დიონისეს) აპოფატიზმი ერთ-ერთი საფუძველია მთელი აღმოსავლური (მართლმადიდებლური) ქრისტიანული ეკლესიისა. სავსებით მართებულად აღნიშნავს თვითონ შ. ხიდაშელი „არეოპაგიტული კორპუსის ავტორი უნდა ყოფილიყო წარჩინებული საეკლესიო პირი, ეპისკოპოსი“ (შ. ნუცუბიძე, თხზ., I, გვ. 37). და ამ ეპისკოპოსმა, რომელსაც „ნეციური იერარქიისა“ (ანგელოსთა გუნდების ტრიადის) და „საეკლესიო იერარქიის“ შესახებ ტრაქტატები ეკუთვნის, არ იცოდა (გაუცნობიერებლად?), რომ მისი ნეგატიური თეოლოგია ღმერთის უარყოფამდე მიდიოდა? თუ პირიქით: ეს ნეგატიური თეოლოგია (აპოფატიკა) სწორედ ტრანსცედენტური და თანაც პიროვნული აბსოლუტის, შეუცნობელი და გამოუთქმელი ღმერთი-სამების არსებობას ასაბუთებდა? და ყოველივე ამის საწინააღმდეგოს ასწავლიდა (შეუგნებლად?) ეპისკოპოსი ფსევდო-დიონისე თავის მრევლს და ქრისტიანულ სამყაროს საერთოდ? ასეთი რამ სწორედ მაშინ უნდა გვეფიქრა, თუ იგი „გაქრისტიანებული ნეობლატონიკოსი“ იქნებოდა (ჯერ უნდა გვამდეს ის, რასაც შემდეგ „გადაამუშავებ“).

ნეობლატონიზმის სახეცვლილი ელემენტების არსებობა არეოპაგიტკიაში არ გულისხმობს მასში ნეობლატონისტური შინაარსის არსებობას (ეპიფანოვიჩი, ვლ. ლსკი...).

უკვე 1973 წელს შ. ხიდაშელი წერს: „კვლევა-ძიებამ, რომელმაც უფრო ნათელი გახადა პროკლეს გავლენა არეოპაგიტკიაზე, განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი XIX ს. და XX ს-ის დასაწყისში მიიღო“ (შ. ნუცუბიძე,

თხზ. I, გვ. 36). ერთი სიტყვით, არეოპაგიტის სწორი გაგება თურმე შეიძლება მხოლოდ პროკლეს ნეოპლატონიზმის ფონზე, — ასეთია არსებითად შ. ხიდაშელის დასკვნა. მგონი არ ვცდებით.

ჩვენს ავტორს, რასაკვირველია, შეუძლია ამ საკითხში დაიმოწმოს ფილოსოფიის ისტორიკოსთაგან არაერთი ავტორიტეტი. მაგრამ დასაშვებია ეკლესიის მამების („ეპისკოპოსების“) მოძღვრებათა ინტერპრეტაცია ელინისტური ეპოქის წარმართი ნეოპლატონიკოსების მოძღვრების ფონზე, მაგ., ტრამინოლოგიურ მსგავსებათა და სხვა ანალოგიების (ვთქვათ, ტრიადიზმის) მოყვანის გზით? არა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ქრისტიანი თეოლოგების ნაზრევთა ზუსტი და ღრმა ანალიზი ისევ თეოლოგიური შინაარსის მქონე დეფინიციების ფარგლებშია შესაძლებელი. ბოლოს და ბოლოს არც ერთი თეოლოგი საშუალო საუკუნეებისა ფილოსოფოსი არ ყოფილა ამ სიტყვის ელინური თუ ელინისტური გაგებით. კერძოდ ფსევდო-დიონისეს მოძღვრების ყველა ძირითადი პუნქტი ბიბლიაშია მოცემული და იქიდან მომდინარეობს, ნეოპლატონისტური გამოთქმები ან ცალკეული ცნებები კი აბსოლუტურად მოდიფიცირებული (ქრისტიანული შინაარსით შევსებული) სახით გვხვდება მის თხზულებებში. აი როგორი ინტერპრეტაციის საფუძველზე იქნება ეს საკითხები განხილული იმ მონოგრაფიაში, რომლითაც თურმე ჩვენ „ვიმუქრებით“. მუქარა აქ არაფერ შუაშია, მაგრამ ზოგიერთ მცდარ მოსაზრებასა და გაუგებრობას რომ გაფანტავთ, ამაში შ. ხიდაშელი ნუ დაეჭვდება. და თუ ყოველივე ამასთან ერთად ბევრი რამ სრულიად ახალი ცნობა იქნება გამოტანილი პეტრე იბერიელის პიროვნებისა და ფსევდო-დიონისეს მოძღვრების ვარაუდით, ეს საწყენად არავის არ უნდა დაჩივს.

მეცნიერული თუ ლიტერატურული კამათი სხვა საქმეა. მაგ., შ. ხიდაშელი ფიქრობს, რომ ფსევდო-დიონისეს „თეოზისი“ (ადამიანის „გალმართობა“, обожение) „ჩვეყნის გამთლიანების იდეაა“. ეს ასე არაა. თეოზისი — წმინდა მისტიკური და პიროვნული ცდაა ღმერთთან (აბსოლუტთან) მიახლოებისა; კერძოდ ფსევდო-დიონისესთან — „არცოდნით“ და „არხილვით“ (რადგან ქრისტიანული ღმერთი — „უხილავია“ და მისი არც „შეცნობა“ შეიძლება). „თეოზისი“ ხორციელდება საკუთრივ ეკლესიაში სულწმიდის მეშვეობით („Θεωσις совершается силою Святого духа в Церкви и может быть предвосхищен в состоянии экстаза“, — წერს ვ. ლოსკი. ახ. Seminarium Kondacovianum, 1929, III, 143). ეს მომენტი კი რადიკალურად ეწინააღმდეგება ყოველგვარ პანთეიზმს. ფსევდო-დიონისე იყო ტრინიტარისტი (სამების აღმსარებელი), რომლის უნივერსი — პიროვნული აბსოლუტია, რომელმაც არარაობისგან შექმნა სამყარო (რუსთაველის „რომელმან შექმნა სამყარო...“). ნეოპლატონიზმს კი პიროვნული („სამყაროს შემქმნელ“) აბსოლუტისა არაფერი სწამს, ამასთან, ფსევდო-დიონისეს მოძღვრება „ბოროტების არა სუბსტანციონალობაზე“ არაა ანალოგი პლოტინის ან პროკლეს მოძღვრებისა „ბოროტებაზე“, როგორც „წყვიდიადზე“ (პლოტინი), კეთილის თანხლებ „ატრიბუტზე“ (პროკლე) და ა. შ. ფსევდო-დიონისეს გაგებით ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროში ყველაფერი კეთილია, თვით ეშმაკშიაც არაა ბოროტი. ნეოპლატონიკოსებთან ეს საკითხი სხვადასხვაგვარად დგას. ჯერ კიდევ ბლონსკი პლოტინთან დაკავშირებით

წერდა: „Материя-мрак, телесный мир — нечто затемненное“ (Философия Плотина, М., 1918, გვ. 51). „Основная мысль телеологии Плотина-победоносная борьба логоса с материей“ (იქვე, 134). თანაც პლოტინის მოძღვრება სულზე, „როგორც ინტელიგიბელურ მატერიაზე, არაა ორიგინალური“ (იქვე, გვ. 220).

შ. ნუცუბიძის ნაწერების I ტომის წინასიტყვაობაში შ. ხიდაშელს დამოწმებული აქვს (ა ვ ტ ო რ ი ს დ ა უ ს ა ხ ე ლ ე ბ ლ ა დ) ა. ლოსევის სიტყვებში „ფილოსოფიური ენციკლოპედიის“ IV ტომიდან ნეოპლატონიზმის გავლენის შესახებ საშ. საუკუნეების აზროვნებაზე, თავის თარგმანით და წინწკლებში შეტანილი. რუსულად იგი ასე აქვს გამოთქმული ა. ლოსევს: „Увлечение Н[еоплатонизмом] дальше известной границы всегда приводило монотеистические построения либо к существу деформации, либо к катастрофе“ (IV,46. — ხაზგასმა ჩვენია. — ა. გ.). მაგრამ ლოსევი იმას როდი გულისხმობს, თითქოს ასეთი „კატასტროფები“ ნიმუშებს წარმოადგენდნენ მონოთეისტური (საკუთრივ ქრისტიანული) რელიგიისათვის, მაგ, ფსევდოდიონისეს მისტიკა (იქვე), ხოლო ამავე ავტორის მიერ პეტრიწის გამოცხადება ნეოპლატონიკოსად (იქვე) — უბრალოდ ჭეშმარიტებას არ შეეფერება. ნეოპლატონისტური „კატასტროფები“ არ უნდა გავიგოთ ქრისტიანობაზე საბოლოო გამარჯვებად საშუალო საუკუნეების რომელიმე ეტაპზე. ასეთი რამ შეუძლებელია მომხდარიყო, ისტორიაში ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია.

ამასთან, შ. ხიდაშელი მშვენიერად იცნობს, მაგრამ არ აღნიშნავს იმავე ა. ლოსევის შეხედულებას ნეოპლატონიზმის არსისა და მისი კულტურული-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ გარკვეულ ისტორიულ კონტექსტში. ა. ლოსევი აცხადებს იმავე წერილში: „То что материя для П[лотина] является злом, а весь материальный мир „украшенным трупом“, есть яркое свидетельство упадочного характера П[лотина]“ („ფილ. ენც.“, IV, გვ. 276).

„დაცემულობის ხასიათის“ ამრეკლავი მოძღვრება არ შეიძლება ყოფილიყო საფუძველი იმ პოეტის მხატვრული მსოფლმხედველობისა, რომლისათვის „მატერიალური სამყარო“ „ტურფა საბადნაროს“ წარმოდგენდა და არა „მოხატულ ლეშს“.

სრულიად მართებულია აგრეთვე ა. ლოსევის ის შეხედულება, რომ „В целом Н[еоплатонизм] явился... весьма интенсивной попыткой сконцентрировать все достижения антич. философии для борьбы с неуклонно возростающим монотеизмом. Но борьба эта кончилась для него поражением, для побеждавшего тогда феодализма антич. космологизм оказывался недостаточным и ему было необходимо учение о личном абсолюте, к-рое только и могло удовлетворить его потребности как системы общ. иерархии“ („ფილ. ენც.“, IV,46. ხაზგასმები ჩვენია. — ა. გ.).

მაშასადამე, მონოთეისტური (კერძოდ — ქრისტიანული) რელიგიის გამარჯვებისა და ნეოპლატონიზმის ტოტალური მასშტაბით შემუსვრის პირობებში მარტოოდენ XI—XII საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში ბოვა ნეოპლატონიზმმა აყვავება? ეს ანაქრონიზმია და არაფერ მსგავსს ჩვენში ადგილი არ ჰქონია. ნეოპლატონიზმით ანუ სიკვდილის



ფილოსოფიით კი არ იკვებებოდნენ XI—XII საუკუნის საქართველოში მკვლამედ, უწინარეს ყოვლისა, ბიბლიური კოსმოლოგიებით და უფრო ვვიანდელი დოგმატიკით. და ეს პროგრესული მოვლენა იყო იმდენად, რამდენადაც ფეოდალიზმი, როგორც სოციალური სტრუქტურა, პროგრესული იყო ანტიკურ მონათმფლობელობასთან შედარებით.

როგორი იყო სპეციფიკური ნიშნები თვითონ ნეოპლატონისტური აზროვნებისა? შ. ხიდაშელი ალბათ ბევრ საკითხში ეთანხმება მის მიერ დატუსაჩელებლად ციტირებულ ა. ლოსევს, რომელიც იმავე სტატიაში წერს: „... весьма напряжонное стремление избавиться от материальных оков“ იყო ნიშანი და ანარეკლი მონათმფლობელური ფორმაციის კრიზისისა. და ასეთი კრიზისის ამსახველი მოძღვრება ედო საფუძვლად XI—XII სს-ის ქართული განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის აზროვნებას?

„Диалектика и мифология, безвыходное отчаяние и острейшие вос-торги, любовь и смерть — вот те символы гибели рабовладельческой Рим[ской] империи, которые лежат в основе философии П[лотина]“ („ფილ. ენც.“, IV, გვ. 277).

ამ სიტყვებით ამთავრებს ვ. ლოსევი თავის წერილს. ასეთია საბჭოთა, მარქსისტული თვალსაზრისი პლოტინზე და ეს სიმბოლოები ედო საფუძვლად თამარისა და რუსთაველის ეპოქის მხატვრულ მსოფლგაგებას? ვფიქრობთ, რომ ჭეშმარიტების ნათამალიც კი არ მოიპოვება ასეთ შეხედულებაში.

შ. ხიდაშელს პეტრიწი მიაჩნია რუსთაველის ერთ-ერთ წინაპრად ფილოსოფიური აზროვნების სფეროში (თუმცა რუსთაველის პოემა არაა „ფილოსოფიური პოემა“, როგორც შ. ხიდაშელი ფიქრობს და არც მისი ავტორი ყოფილა ფილოსოფოსი ამ სიტყვის ელინური, ელინისტური ან სხვა გაგებით!). პეტრიწს კი შ. ხიდაშელი შემდეგნაირად ახასიათებს რუსთაველის მკითხველთა წინაშე: „В своих философских воззрениях Петрици исходил из основного положения неоплатонизма, согласно которому высшее и абсолютное начало — единое — посредством эманации порождает многоступенчатый мир бытия“ და რომ „Петрици высказывал характерное для неоплатонизма пантейстическое положение о вечности мира, враждебное догме христианского учения“ („ფილ. ენც.“, გვ. 664).

მასასაღამე, პეტრიწს სწამდა არა პიროვნული აბსოლუტი, ღმერთი-სამება, არამედ ნეოპლატონიკოსების ზეკოსმიური და უპიროვნო „ერთი“, რომლისაგან მომავალი ემანაცია „წარმოშობს მრავალსაფეხურიან სამყაროს“ და ამიტომ „მისი მოძღვრება“ ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი „დოგმატისადმი მტრულად“ განწყობილი მსოფლმხედველობა იყო: და ყოველივე ეს თქმულია ქრისტიან-თეოლოგ პეტრიწზე, როგორც ვითომდა „ნეოპლატონისტურ პანთეისტზე“. და ეს „პანთეისტი“ და „ქრისტიანული მოძღვრების მტერი“ მოღვაწეობდა პეტრიწონის თუ გელათის მონასტერში?

გვეპატიოს, როგორც არა ფილოსოფოსს: ასეთ პეტრიწს ჩვენ არ ვიცნობთ. ყოველ შემთხვევაში: ასეთი რამ ჩვენი ცოდნის თანამედროვე დონეს სრულიად არ შეეფერება.

კიდევ: ფსევდო-დიონისეს ეკუთვნის აპოფატეკური გამოთქმა (სავსებით ანტი-ნეოპლატონისტური), რომ ღმერთი არაა „არცა ერთ, არცა ერთობა“ (ავერინცევის თარგმანში „ни единое, ни единство“ (იხ. „მსოფლიო ფილოსოფ. ანთოლოგია“, ტ. I, ნაწ. II, გვ. 609. ქარ-

თული გამოთქმა კი ეფერემ მციორისეულია). და ასეთი, ფსევდო-დიონისეული ანტინეოპლატონიზმია სათავე რუსთაველის „ფილოსოფიური აზროვნებისა“? აკი ნეოპლატონიკოსებისათვის „ერთი“ არის განყენებული უმადლესი იდეა „სიკეთე“ („სახიერება“), ხოლო ეს წმინდა პლატონისტური და ნეოპლატონისტური ცნებაც დიონისეს მოხსნილი აქვს ღმერთის მიმართ. მისი აზრით, ღმერთის მიმართ ზედმეტია ამ სიტყვის თქმაც კი (ფსევდო-დიონისეს „მისტიკური თეოლოგიის“ მიხედვით ღმერთი „სიკეთეც“ არაა, ავერინცევის თარგმანში: „...ни блага“. იხ. დასახ. „ანთოლ.“, გვ. 609. შდრ. ეფერემ მციორის თარგმანი: „... გინა სახიერება“). ფსევდო-დიონისეს ღმერთი ყველა განმარტებაზე და დახასიათებაზე აღმატებული აბსოლუტია, როგორც ბიბლიური პიროვნული ღმერთი, რომელსაც სახელი არა აქვს — იგი „საკურველ არს“.

ფსევდო-დიონისეს წმინდა ქრისტიანული აპოფატიზმი პრინციპულად უპირისპირდება ნეოპლატონისტურ აპოფატიზმს.

შეიძლება ხიდაშელმა გაგვახსენოს ბიზანტიაში „ნეოპლატონიზმის“ გამოვლინების ფაქტები, მაგ., იოანე იტალის ან მიქელ ფსელოსის მავალითებზე. მაგრამ ასეთი „აღორძინება“ არასოდეს არ გასცილებიან ინდივიდუალური „ამბოხის“ უშედეგო ცდებს, ეპოქალური და საშ. საუკუნეების აზროვნების განვითარების რომელიმე საფეხურზე ყოვლისმომცველი ფაქტორის როლი მათ არ შეუსრულებიათ (თვით ბიზანტიაშიც). ისინი სპორადულ ხასიათს ატარებდნენ და სამართლიანად იყვნენ მიჩნეული გაბატონებული ეკლესიის მიერ ერთკიკულ გადახვევებად. ამ ეპოქებში მრევლი“ არ იზიარებდა იმას, რასაც ეკლესია და ხელისუფლება ებრძოდა (მაგ., კარგადაა ცნობილი, თუ რა ბედი ეწია ასეთ ცდებს ბიზანტიაში, კერძოდ კომნენების დროს, საკუთრივ ალექსი კომნენის მკაცრ ღონისძიებათა შედეგად).

ვფიქრობთ, რომ სამუდამოდ უნდა შევუბრუნდეთ იმ ფაქტს, რომ XI—XIII სს-ის ქრისტიანულ საქართველოში, კერძოდ თამარისა და რუსთაველის ეპოქაში (არც ადრე, არც შემდეგ), არავითარი ნეოპლატონიზმი (თავისი „პანთეიზმით“), როგორც რაიმე მნიშვნელოვანი ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც თითქოს ოფიციალურ „დოგმებს“ უპირისპირდებოდა, — არ არსებობდა. ძალიან რბილად რომ ვთქვათ, აღნიშნული ეპოქის „ელინისტურ მოდერნიზაციას“ ისტორიულ სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს.

მაგრამ ხიდაშელს შეუძლია გვითხრას, რომ მას მხედველობაში აქვს ნეოპლატონიზმის პროკლესეული სახეობა, რამდენადაც ჩვენში პეტრიწმა სწორედ ამ უკანასკნელის ძირითადი თხზულება („კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“) თარგმნა, რომელსაც რუსთაველი კარგად იცნობდა. მაგრამ ეს ფაქტი a priori გულისხმობს, რომ პროკლეს ტრაქტატი არ იყო შეხამებული ქრისტიანულ დოგმებთან და იგი, ასე ვთქვათ, „ხელშეუხებლად“ იქნა გაზიარებული ქართული აზროვნების მიერ XI—XII საუკუნეებში? ასე არ ყოფილა. პროკლეს ტრაქტატი ქრისტიანულ ასპექტში იქნა გააზრებული. ცენტრალური, პირველი იპოსტასი პროკლეს ტრიადისა უპირიონო „ერთი“ (Единое, იგივე „სიკეთე“, „Благо“) არც



ერთ ქართველ მოაზროვნეს არ მიუღია პიროვნულ-ეკლესიო-სამშენებლის ნაცვლად, უკეთ — პიროვნული აბსოლუტი ქრისტიანული რელიგიისა (ერთი-სამშენებელი) არავის გამოუცხადებია ჩვენში ზეკოსმიურ და უპიროვნო პრინციპად. რუსთაველის პოემის პირველივე სიტყვები — „რომელმან შექმნა სამყარო“ და „ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შექმენ“... რადიკალურად უპირისპირდება პლატონისეული თუ პროკლესეული ტრიადის პირველ იპოსტასს, რომელიც „სამყაროს არ ქმნის“. რუსთაველი კრეაციონისტია, პროკლესთან კი ამგვარი რამის ძიება — სრული გაუგებრობაა.

პროკლეს მოძღვრების დალაგება (თუნდაც ლოსევისეული) კმარა, რომ ამ საკითხზე არ ვიდაოთ. არ იქნება ზედმეტი ისიც აღვნიშნოთ, რომ ვეგეტერიანელი, ეგვიპტური რელიგიით გატაცებული და კიბელეს კულტის თაყვანისმცემელი პროკლე ბორატების მიზეზს ხედავდა ადამიანის მხრით გრძნობადი საგნებისადმი გადაჭარბებულ და „ჭკუას მოკლებულ“ დამოკიდებულებაში. ამგვარი დამოკიდებულების ხუნდებისაგან ადამიანის განთავისუფლების პირობა პროკლეს ესახებოდა გონების უნარში — მისტიკური ენთუზიაზმით ანუ „წმინდა სიგიჟით“ („მანია“) აბსოლუტთან (უპიროვნო „ერთთან“ ანუ ღვთაებრივ „სიკეთესთან“) მიახლოებაში.

ძნელი არაა ამ მხრივ გარეგნული, ფორმალური ანალოგიების მოძებნა პროკლესა და ფსევდო-დიონისეს შორის, მაგრამ საკმაო საკითხში ჩაღრმავება, რომ წარმართ პროკლეს „წმინდა სიგიჟესა“ ანუ „მანიის“ პრინციპსა და ქრისტიან-ტრინიტარისტ ფსევდო-დიონისეს ექსტაზს! შორის კოლოსალური განსხვავება დაინახოთ.

ვიტოვებთ იმის უფლებას, რომ ამ თვალსაზრისით განვიხილოთ მომავალში თვითონ პეტრიწის „განმარტებანი“, რომლებიც მან დაურთო პროკლეს ძირითადი ნაშრომის მისივე ქართულ თარგმანს.

პაპი ბაწერელია

P. S. თუ ეს „პასუხი“ დაიწერა, მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველს არ შეეკმნას ყალბი შეხედულება რუსთაველის აზროვნების ძირებზე. რუსთაველის პრობლემა კი მთელი ქართული კულტურის ცენტრალური პრობლემაა.

1 არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ, პროკლეს აზრით, ექსტაზის საშუალებით „ერთთან“ „სრული გაერთიანება“ შესაძლებელია მხოლოდ სიკვდილის შემდეგ. ფსევდო-დიონისესთან კი ექსტაზი არაა ფორმა პიროვნულ აბსოლუტთან (ღმერთ-სამშენებელთან) ისეთი „გაერთიანებისა“, როცა სუბიექტი და ობიექტი ერთმანეთში ილღეება. ამასთან, „თეოზისი“ ფსევდო-დიონისესთან (და ქრისტიანულ მისტიკაში საერთოდ) ხდება ადამიანის სიცოცხლეშივე და ღმერთთან „აღრვეის“ გარეშე. თუ ამას არ დაეჭვებოთ, ყოველგვარი კამათი აზრს კარგავს.

ქ რ ო ნ ი კ ა დ ა ინ ფ ო რ მ ა ც ი ა

პ ე ფ ს ი ს ტ ყ ო ს ნ ის ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ტ მ ა ს ტ ის დ ა მ დ გ ე ნ კ ო მ ი ს ი ა უ მ *

1974 წ. 18 დეკემბერი

ს ლ ო მ ა ს დ ა ე წ რ ე ნ ე ნ : ა . ბ ა რ ა მ ი ძ ე , ი . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი , გ . კ ა რ ტ ო ზ ი ა , ც . კ ი ვ ი ძ ე , ე . მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი , ს . ც ა ი შ ვ ი ლ ი .

გ ა ნ ი ხ ი ლ ე ს ს ტ რ ო ფ ე ბ ი : 329 (პ რ ო ე კ ტ ი მ ო ა მ ზ ა დ ე ს გ . კ ა რ ტ ო ზ ი ა მ , ე . ბ ი ლ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა , ლ . კ ი ვ ა ძ ე მ , ბ . მ ა ს ხ ა რ ა შ ვ ი ლ მ ა , ე . ტ უ რ ა ბ ე ლ ი ძ ე მ) ; 330 ; 331 ; 331,1 ; 332 ; 333 ; 334 (პ რ ო ე კ ტ ი მ ო ა მ ზ ა დ ე ს ც . კ ი ვ ი ძ ე მ , ნ . ა ე ა ლ ი შ ვ ი ლ მ ა , ლ . გ უ გ უ შ ვ ი ლ მ ა , ლ . თ ე შ მ ა ლ ი შ ვ ი ლ მ ა , ნ . ც ე ი ტ ი შ ვ ი ლ მ ა) .

329 რ ა მ ი ნ დ ო რ ს შ ე ე ჯ დ ი . ზ ა რ ი თ ა კ მ ა ი ე ვ ი ს ბ უ ჯ თ ა ც ე მ ი ს ა ;
თ ა ნ ა მ ყ ე ი ს ს პ ი ს ა ს ი მ რ ა ვ ლ ე . მ ს გ ა ვ ს ი ფ უ ჯ რ ო მ ა ს რ ე მ ი ს ა ;
ჰ უ ტ რ ე ტ ა დ ქ ა ლ - ყ მ ე ბ ი დ ა ჯ რ ი ა ლ ი დ გ ი ს თ ე მ ი ს ა დ ა თ ე მ ი ს ა ;
დ ა ვ ი ნ ც მ ნ ა ხ ის , ე ვ ე ი ს ე რ თ წ ლ ა მ დ ის კ უ ჯ ა ნ ა ხ ე ს ა ჩ ე მ ი ს ა .

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო გ ა მ ო ც ე მ ი ს თ ა ნ გ ა ნ ს ხ ვ ა ე ე ბ ი თ პ რ ო ე კ ტ უ ი ს ტ რ ო ფ ი მ ი რ ი თ ა დ ა დ ა რ ა ის ჩ ა თ ე ლ ი - ლ ი . 1956 წ . გ ა მ ო ც ე მ ი ს თ ა ნ (ს ტ რ . 450) შ ე დ ა რ ე ბ ი თ პ რ ო ე კ ტ უ ი შ ე მ დ ე გ ი ც ე ლ ი ლ ე ბ ა : ს ი მ რ ა ვ - ლ ე , მ ს გ ა ვ ს ი (ს ი მ რ ა ვ ლ ე მ ს გ ა ვ ს ი) , დ ა ჯ რ ი ლ ი დ გ ი ს (დ ა ჯ რ ი ლ ა , დ გ ა ს) , ვ ი ნ ც (ვ ე ნ) .

გ . კ ა რ ტ ო ზ ი ა მ ა ღ ნ ი შ ნ ა , რ ო მ ს ტ რ ო ფ ი ა რ ის ყ ე ვ ლ ა (ა რ ა ნ ა ე კ ლ ე ლ) ხ ე ლ ნ ა წ რ ო შ ი . მ ა ს ა რ ი ც ნ ო ბ ს მ ხ ო ლ დ ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ე ლ ი დ ა ზ ო გ ი მ ო მ დ ე ვ ე ნ ო გ ა მ ო ც ე მ ა . ე ნ ო ბ რ ი ვ ა დ დ ა მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი თ ე ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ს ტ რ ო ფ ი გ ა მ ა რ თ უ ლ ი ა . ა მ დ ე ნ ა დ ა რ ა რ ის ს ა ფ უ ძ ე ვ ე ლ ი , რ ო მ ს ტ რ ო ფ ი ჩ ა ნ ა რ - თ ა დ მ ი ე ი ჩ ნ ი თ ო .

ა . ბ ა რ ა მ ი ძ ე მ დ ა ი . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა ა ღ ნ ი შ ნ ე ს , რ ო მ ს ტ რ ო ფ ის მ ი რ ი თ ა დ ტ ე კ ს ტ უ ი შ ე ტ ა ნ ა მ ა რ თ ე ბ ლ ა . ს პ ე ც ი დ ი კ უ რ ი რ უ ს თ ე ვ ე ლ უ რ ი გ ა მ ო თ ქ ე მ ა მ ი ნ დ ო რ ს შ ე ჯ დ ო მ ა . ს ა ი ნ ტ ე - რ ე ს ო მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ს ა ხ ე ა ფ უ ტ რ ა ის რ ე მ ა . ი . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა , ა მ ა ს თ ა ნ ა ე ე , შ ე ნ ი შ ნ ა , რ ო მ ს ა უ ი რ ო ა ტ ე კ ს ტ უ ი ა ღ დ გ ე ს წ ა ყ ი თ ხ ე ა : ჰ უ ტ რ ე ტ ა დ ქ ა ლ - ყ მ ე ბ ი დ ა ჯ რ ი ლ ა , დ გ ა ს თ ე მ ი ს ა დ ა თ ე მ ი ს ა . დ ა ჯ რ ი ლ ა ა მ კ ო ნ ტ ე კ ს ტ უ ი ს ტ ი ლ ის ტ ი კ უ რ ა დ უ ღ რ ო გ ა მ ა რ თ უ ლ ი ა . დ ა ჯ რ ი ლ ა > > დ ა ჯ რ ი ლ ი გ ა ს ა გ ე ბ ი პ რ ო ც ე ს ი ა ; პ ა რ ი ჟ ი თ კ ი ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ვ ი ვ ა რ ა უ ღ რ ო . დ გ ა ს > დ გ ი ს პ რ ო ც ე ს ი ე გ ა ს ა გ ე ბ ი : ს ხ ე ა ზ მ ა ნ ა თ პ ე რ მ ა ნ ს ი ე ი ს ფ ო რ მ ე ბ ის ა ნ ა ლ ო გ ი თ ა ე ა ც პ ე რ მ ა ნ ს ი ე ი თ შ ე - უ ც ე ლ ი ა თ ა წ მ ე ო .

ც . კ ი ვ ი ძ ე : ის ფ ა კ ტ ი , რ ო მ რ ო გ ო რ ც წ ი ნ ა , ის ე მ ო მ დ ე ვ ე ს ს ტ რ ო ფ ი მ ყ ე ვ ლ ა ზ მ ა პ ე რ მ ა ნ - ს ი ე უ ი დ გ ა ს , ს წ ო რ ე დ დ გ ი ს ფ ო რ მ ა ს უ ქ ე რ ს მ ხ ა რ ს . ა მ კ ო ნ ტ ე კ ს ტ უ ი ს ტ ი ლ ის ტ ი კ უ რ ა დ გ ა - მ ა რ თ ე ბ ლ ე ლ ი ს წ ო რ ე დ ე ს ფ ო რ მ ა . დ გ ა ს ა ე შ ე უ ფ ე რ ე ბ ე ლ ი ა , დ რ ო უ ლ ა ღ რ ე ვ ა ს ი წ ე ვ ე ს .

გ . კ ა რ ტ ო ზ ი ა : წ ა ყ ი თ ხ ე ა ს დ ა ჯ რ ი ლ ი დ გ ა ს რ ე დ ა ე კ ი ა თ ა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა უ ქ ე რ ს მ ხ ა რ ს . ი გ ი ს ა მ რ ე დ ა ე კ ი ა თ ი გ ე ა ქ ე ს . დ ა ჯ რ ი ლ ა , დ გ ა ს მ ხ ო ლ დ C რ ე დ ა ე კ ი ე ი ს ნ უ ს ხ ე ბ უ ი დ ა B²- შ ი გ ე ა ქ ე ს (რ ო გ ო რ ც ე ნ ო ბ ი ლ ი ა , B² წ ა ყ ი თ ხ ე ბ ე ბ ი თ C რ ე დ ა ე კ ი ე ი ს ნ უ ს ხ ე ბ ს ე მ ხ რ ო ბ ა) .

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მ ი ღ ე ბ ლ ი ე ნ ე ს წ ა ყ ი თ ხ ე ა : ჰ უ ტ რ ე ტ ა დ ქ ა ლ - ყ მ ე ბ ი დ ა ჯ რ ი ლ ა , დ გ ა ს თ ე - მ ი ს ა დ ა თ ე მ ი ს ა .

330 მ ო ს რ ნ ის მ ე ვ ც ნ ი დ ა ნ ა დ ი რ ნ ი ს ა რ მ ა ნ ჩ ე მ გ ა ნ ს რ ე უ ლ მ ა ნ :

მ ე რ მ ე ვ ი ბ უ რ თ ი მ ო ე დ ა ნ ს , მ ი ნ დ ო რ ი თ შ ე მ ო ც ე კ ე ლ მ ა ნ :

შ ე ე დ ი , შ ე ე კ მ ნ ი ნ ა დ ი მ ი , ნ ი ა დ ა გ ლ ხ ი ნ ს ა ჩ ე უ ლ მ ა ნ :

დ ა ა წ ს ა წ უ თ რ ო ს გ ა მ ყ ა რ ა პ ი რ მ ა ნ ბ რ ო ლ ბ ა ლ ა ნ შ ე უ ლ მ ა ნ

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო გ ა მ ო ც ე მ ი ს თ ა ნ (ს ტ რ . 326) შ ე დ ა რ ე ბ ი თ პ რ ო ე კ ტ უ ი შ ე მ დ ე გ ი ც ე ლ ი ლ ე ბ ა : ჩ ე მ - გ ა ნ (ჩ ე მ მ ა ნ) . პ რ ო ე კ ტ ი მ ი ღ ე ბ ლ ი ე ნ ა , ო ლ ო ნ დ , ი . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ის წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი თ , ა ღ დ გ ე ნ ი ლ ი ე ნ ა წ ა ყ ი თ ხ ე ა ჩ ე მ მ ა ნ .

331 მ ა მ ა მ ო მ ი კ უ დ ა , მ ო ვ ი დ ა დ ლ ე ს ი კ უ დ ი ლ ის ა , ვ ი შ ის ა ;

ქ მ ნ ა გ ა უ ც უ დ ა ფ ა რ ს ა დ ა ნ ს ნ ი შ ა ტ ის ა დ ა ნ ი შ ის ა ;

მ ა თ გ ა ე ხ ა რ ნ ე ს , ვ ი ს ზ ა რ ი დ ა ლ ე ვ ე დ ის მ ის გ ა ნ შ ი შ ის ა ;

დ ა ე რ თ გ უ ლ თ ა შ ე კ მ ნ ე ს ვ ა ე ბ ა . მ ტ ვ რ თ ა — კ ს ე ნ ე ბ ა ი შ ის ა .

* გ ა გ რ ო მ ლ ე ბ ა . დ ა ს ა წ ყ ი ს ი ო ბ . „ მ ა ც ე ე “ , 1974 , № № 3 , 4 ; 1975 , № № 1 , 3, 4 .



საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 327) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ბარამიძე: პირველი ტაევის სართომო სიტყვად ყველა ხელნაწერში იკითხება მისისა. ვიშისა კონიექტურაა. რითმის თვალსაზრისით მისისა ყოველმხრივ გამართული ფორმაა. ს და შ მსგავსი ბგერებია.

ი. გიგინეიშვილი: მართლაც, არავითარი საფუძველი არ არსებობს კონიექტურის მოხმობისა.

ც. კიკვიძე: ერთადერთი საფუძველი კონიექტურისათვის აქ რითმის გამართვის საქირობაა. მისისა/ვიშისა არაიდენტური რითმაა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: დღე სიკუდილისა მისისა.

- 331.1 აქ გლოვა ტარიელისგან, სიკუდილი სარიდანისა;
- იგ სრულ შავითა შემოსა მის ღომნაკეთის ტანისა;
- იგ გლოვით გამოსასულელად პატივი ფარსადანისა;
- და აწ დაბადება ქალისა მთვარულე მონავანისა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 452!) შედარებით პროექტში ცვლილებაა: ტარიელისგან, სიკუდილი (ტარიელისგან სიკუდილი). პროექტი მიღებულ იქნა.

- 332 მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე საწუთროგაცუდებული,
- დღისით და ღამით ვაებდი, ვერვისგან სულდაღებული;
- ვაყვანად ხასნი მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნებული,
- და ებრძანა: «შვილო ტარიელ, ნუ სარ შავითა ღებული.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 328) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვაებდი (ვევაებდი).

ი. გიგინეიშვილი: საქიროა აღვადგინოთ წაკითხვა ვვაებდი. S₁ ვ საქიროა პირთა აღრევის ასაცილებლად. მართალია, ძველ ქართულში S₁ ვ უ და ვ-ს წინ, ჩვეულებრივ, არ იხმარებოდა, მაგრამ ფუძისეული ვ-ს წინ S₁ ვ უფრო იყო შემონახული, ვიდრე უ-ს წინ.

ც. კიკვიძე: პირთა აღრევის საშიშროება მაშინაც არის, როცა ზმნის ფუძე უ-თი იწყება, მაგრამ, ძველი ნორმების თანახმად, ჩვენ ამ შემთხვევაში S₁ ვ-ს არ ვწერთ. ასევე უნდა მოვიქცეთ ვ-თი დაწყებულ ფუძეებთანაც.

დაადგინეს: შემოწმდეს ძველ ძეგლებში S₁ ვ-ს ხმარების სიხშირე ფუძისეული ვ თანხმოვნის წინ და ამის შედეგად გადაწყვიტოთ მისი ხმარების საკითხი «ვეფხისტყაოსანში». სტროფის ბოლოს წერტილის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

- 333 ჩქენ უფრო გუტიკვის იგი, ვინ დაგუაჟლდა სწორად თავისა.
- ასი ებოძა საჭურჭლე, ებრძანა აჯდა შავისა,
- ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა;
- და «შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 329) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

- 334 ავენთი, დამწუეს მამისა საქმილთა დაურტობელთა;
- უკანის გამომიყვანეს ხასთა მათ წინამდგომელთა;
- გამოსლვისათვის ზეიმი შექმნეს ინდოეთს მფლობელთა,
- და შორს მომგებნეს, მაკოცეს პატივით ვითა მშობელთა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 330) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეორე ტაეპში უკანის (=შემდეგ) კონტექსტის მიხედვით გაუპართლებელია. უფრო მართებული ჩანს რიგ ხელნაწერში დაცული წაკითხვა უკუნით.

ა. ბარამიძე: უკუნით > უკანის მოულოდნელია, საწინააღმდეგო პროცესი კი დასაშვებია. A²-ში გვაქვს წაკითხვა ბნელეთით, საწინააღმდეგო პროცესი კი დასაშვებია. A²-ში გვაქვს წაკითხვა ბნელეთით, საწინააღმდეგო პროცესი კი დასაშვებია. A²-ში გვაქვს წაკითხვა ბნელეთით, საწინააღმდეგო პროცესი კი დასაშვებია.

ე. მეტრეველი: უკუნით ფორმას უნდა მივცეთ უპირატეობა, რადგან უკანის სხვაგან არ დასტურდება «ვეფხისტყაოსანში».

გ. კარტოზია: უკანის ისევეა ნაწარმოები, როგორც წინას (=წინას), რომელიც «ვეფხისტყაოსანში» ხშირად იხმარება.

ც. კიკვიძე: უკანის ფორმა ძველ ტექსტებში საკმაოდ დასტურდება.

ს. ცაიშვილი: უკანის (=შემდეგ) ამ კონტექსტში საკვებით შესაფერია: ტარიელ მამის გლოვის შემდეგ გამოიყვანეს ხასებმა.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა უკანის (წინააღმდეგნი: ი. გიგინეიშვილი და ე. მეტრეველი).

ო. გიგინეიშვილი: ამავე ტაეპში ნაცვლად წაიკითხვისა ხასთა მათ წინამდგომელთა უნდა იყოს ხასთა და წინამდგომელთა. ხასი დიდებულს, მეფესთან დაახლოებულ პირს ნიშნავს, წინამდგომელები კი დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები იყვნენ. წინამდგომელი ხასი შეუძლებელი გამოთქმაა.

რედაქციის წევრებმა არ გაიზიარეს ეს ვარაუდი. ტექსტში ღარჩა წაიკითხვა: ხასთა მათ წინამდგომელთა (=წინამდგომელმა ხასებმა).

1974 წ. 27 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განისილეს სტროფები: 334,1; 335; 335,1; 335,2; 335,3; 335,4 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმშალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა); 335,5; 335,6; 335,7; 335,8; 336 (პროექტი მოამზადეს ს. ცაიშვილმა, გ. არაბულმა, ნ. კოტეტიშვილმა, თ. ცქიტიშვილმა, ნ. წაქაძემ).

334,1 თუალთა ჩემთა ცხელი ცრემლი აწინდლისა უფრო დიან;

წლისა ჭამა გარდევიადე, სიმძიმელსა მითხრობდიან;

ასრუ გავექ, ჩემი ჯარი: «არ დარჩების». — იცყოდიან;

და ზოგნი ტირან მამისათუის, ზოგნი ჩემთუის ტიროდიან.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 456) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: გავექ (გავექვე). პროექტი მიღებულ იქნა.

335 მათ საჯდომთა ახლოს დამსუქეს, პატივს მცემდეს მისა დაარად,

მის ქელისა საურავი მათ ორთავე მითხრეს წყნარად;

ურჩ ვექმენ და მისეულთა წესთა ქცევა მიჩნდა ზარად.

და არ მომეშუნეს, დაფშორილდი, თაყუანის-ვეც ამირბარად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 331) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: თაყუანის-ვეც (თაყვანის-მცეს).

ც. კიკვიძე: პროექტის მომზადებელმა ჩკუფმა თაყუანის-ვეც ირჩია, რადგან ამით უფროს-უმცროსობის წესი, ეტიკეტი დაცულია.

რედაქციის წევრებმა უპრადლება მიაქციეს აგრეთვე იმასაც, რომ ტაეპში დავმორჩილდი ზმნასთან თაყუანის-ვეც უფრო ბუნებრივია, ვიდრე თაყუანის-მცეს. პროექტი მიღებულ იქნა.

335,1 თავადობა ინდოთა და მრავალთაცა მჭონდა სსუათა;

ენაბირობდი, თუ ვინ იყვის მანებელი ჩემთა სპათა.

სალვად ვჯდი და ვინარბდი, ზემი შექენი მღერა-სმათა;

და სპათა ვმოსდი, ვნადირობდი, ქება თქუიან ჩემთა ქნათა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 458) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: თავადობა (პატრონობა), ინდოთა (პინდოთა), ზემი (ზამი). პროექტი მიღებულ იქნა.

335,2 ავთანდილ ყურსა უგდებდა ამბავსა საამებელსა,

ეჭუტის, თუ: „ლომო, ნეტარძი ყოველსა შენსა მსლებელსა!

მე ვგავახრო, რა ვჰკადრო ჩემთა საქმილთა მდებელსა;

და ღმერთი არ მამკლავს, მგონია, თქუენზედ ვაღდაუდებელსა“.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 458) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: უგდებდა (უპყრობდა); მეორე ტაეპის ბოლოს წერტილის ნაცვლად ძახილის ნიშანია. პროექტი მიღებულ იქნა.

335,3 რაღა იგი სიცოცხლე, ვინ არ ა შენდა ყოფილი!

ღვარი გამრავლდა ცრემლისა, ბაღს არ აშენდა ყოფილი;

გულსა ქვაქნილსა დანისა ვით არა შენდა ყოფილი;

და შეიდთა მნათობთა სინათლე გაქუს არა შენ დაყოფილი.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 458) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ქვაქნილსა (ქვა-მქნილსა), შენ დაყოფილი (შენდა ყოფილი). პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციას მაჟამათა აზრი ასე ემსის: ა) ვინც არ არის შენთვის გაჩენილი; ბ) ზღუდი არ აშენდა გამყოფი, ზღუდე, ჭებირი; გ) ყოფილი=შეყოფილი; დ) დაყოფილი=დაბნელებული, დაესებული.



335,4 კულავ ასმათ ჰკადრა: „ვიციმცა, გული ცეცხლითაგან მუტავალია“
 მაგრამ სრულუქმენ ამბავნი, ესე ყმა მონასურია;
 ამასცა სვირან პატიენი, ვერ არის აქა მდგმურია;
 და ადრე წავიდეს, გარგოს რა, ქნას საქმე მომპურია“.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 458^ბ) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: პირველი ტაეპის ბოლოს მიიმეა წერტილ-მიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

335,5 ტარიელ დენად ცრემლისა კულავ გაამრავლა მილები;
 რა მოაგონდის მოყუარე და დღენი წაქდომილები;
 ვარდსა ასველებს, ინდოთა რაზმი ჩანს უნდომილები;
 და ეგრევე შენ ხარ, სიცოცხლე, გული რაზომცა მილები.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 458^ა) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციამ მესამე ტაეპის ბოლოს წერტილ-მიმის ნაცვლად წერტილი დასვა; მეოთხე ტაეპი, როგორც ტარიელის სიტყვები, ბრჭყალებში ჩაისვა; ამავე ტაეპში მიიმე ამოღებულ იქნა ხ არ ზმნის შემდეგ.

335,6 ტარიელს თუალნი სისხლისა ცრემლითა დაღამებანი,
 თქუა: „ნახვისაცა უღირსსა ვისგან საკმილნი მდებიან,
 უმისოდ მმანი რად მმომბენ, ანუ რად დანი მდებიანი
 და აწყა ვაქსენებ დღესა მას, ოდითგან ცეცხლი მდებიან.“

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 459) შედარებით პროექტში ცვლილებაა: ოდითგან (ოდიდგან). პროექტი მიღებულ იქნა.

335,7 აპა, მშაო, რადგან მეითხე, ცხელი ცეცხლი მიახლია;
 ჩემთა ჭირთა მაქარვებლად მისი მზრდელი მიახლია;
 მუდმით მწუქედის ცეცხლი ცხელი, მეტად ველარ ვიახლია,
 და შენად შეყრად არ მომკუდარვარ, ჭირი ასრე ვიახლია.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 460) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვიახლია (ვეახლია) [მესამე ტაეპში]; ჭირი (ჭირნი). პროექტი მიღებულ იქნა.

335,8 ღმრთისა კაცთა სიყუარული ჩუენზედ ოდეს გამოჩნდების,
 ჩუენ სიკუდილი ღხინად მოგუტეს, შემოქმედსა რა აკლდების.
 ზოგთა შეკარავს წამისყოფად, ზოგნი ცადმდე ამალდდების.
 და მით ერთთა შეგუიბრალოს, წყალობანი ჩუენ მოგუტუდების“.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 461) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ღმრთისა (ღმერთსა), ოდეს (ოდის), წამისყოფად (წამის ყოფად), წყალობანი (წყალობითა), მოგუტუდების (მოგხედების).

რედაქციამ პირველი ტაეპის ბოლოს დასვა კითხვის ნიშანი, მეორე ტაეპის ბოლოს — ძახილის ნიშანი.

336 აღარა ვიცი, დამვიწყდეს, თუცა დიადი წელია;
 გაამო ჩემი ამბავი, განა რაზომცა ძნელია!
 ცრუ და მუნთალი სოფელი მიწყვი ავისა მქმნელია,
 და მისთა ნაკუთსთა წინწალი დამეცა ხანგრძლად მწუქელია“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 332) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციის წევრებს განსხვავებული აზრი აქვთ სტროფის ნამდვილობის თაობაზე. განსხვავებულად ესმით პირველი ტაეპის შინაარსიც.

დაადგინეს: რედაქციის თითოეულმა წევრმა წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი ამ სტროფზე.

1975 წ. 17 იანვარი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ი. მეტრეველი, შ. ძიძიგური.

რედაქციის წევრები დაუბრუნდნენ 316 სტროფის („ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა ჩემგან ამბობა ცილისა“) განხილვას (იხ. 1974 წ. 15 ნოემბრის ოქმი).

რედაქციამ სტროფი შეიტანა ძირითად ტექსტში (მომხრენი: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური; წინააღმდეგნი: გ. კარტოზია, ც. კიკვიძე). მეორე ტაეპში შევიქმენ შეიცვალა შევიქმენ ფორმით.

შემდეგ განიხილეს სტროფები: 337; 337,1; 338; 339; 339,1; 340; 341 (პროექტი მოამზადეს ს. ცაიშვილმა, გ. არაბულმა, ნ. კოტეტიშვილმა, თ. ცქიტიშვილმა, ნ. წაქაძემ); 341,1;

342; 343 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, ე. ბილანიშვილმა, ლ. კენჭამ, ბ. მასხარა-შვილმა, ე. ტურაბელიძემ).

337 კულა დაიწყო თქმა ამბისა მან, რა ხანი მოიჭირა:
 „ღღესა ერთსა მე და მეფე მოვიდოდით, გუენადირა;
 მიბრძანა. თუ: «ქალი ვნახით», კელი ქელსა დამიჭირა.

და მის ჟამისა მკვნებელი მე სულდგმული არ გიკუთირა?!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 333) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის, იმის ვარდა, რომ სტროფის ბოლოს კითხვის ნიშნის ნაცვლად კითხვისა და ძახილის ნიშნებია დასმული. პროექტი მიღებულ იქნა. მესამე ტაეპში შეიცვალა პუნქტუაცია: «ქალი ვნახით» — კელი ქელსა დამიჭირა.

337,1 ველს გავედით ნადირობად, უცხო რამე ქარი ქროდა;
 მეფე ბრძანებს: «ვინადიროთ», ჯარა გარე ეხუიოდა;
 ჩუენ ვიარეთ, ქუთითებსა ჰალა გარე მოესწროდა,

და რა ესე თქუა, ყმა ატირდა, ცრემლი ცხელი ჩამოსწოთდა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 464) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ნადირობად (სანადიროთ); მესამე ტაეპი არ არის ჩასმული კუთხოვან ბრჭყალეებში. რედაქციამ მეორე ტაეპში შეცვალა პუნქტუაცია: «ვინადიროთ!» — ჯარი გარე ეხუიოდა; მესამე ტაეპის ბოლოს დაიხურა ჩვეულებრივი ბრჭყალები და დაისვა წერტილი.

338 მეფემან ასმა დურაჯთა მითხრა მიტანად ქალისა,
 გამოუხუენ და წავედით ჩემად სადებლად აღისა;
 მაშინ დაეციყე გარდაჭდა მე საწუთროსა ვალისა.

და აღმასისა კამს ლახუარი დახუტად გულისა სალისა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 334) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გამოუხუენ (გამოუხუენ). პროექტი მიღებულ იქნა.

339 ბაღრა ვნახე უტურფესი ყოვლისავე საღხინოსა;
 მფრინველთაგან კმა ისმოდა უამესი სირინოსა;
 მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა.

და კარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდავები ოქსინოსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 335) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

გ. კარტოზიამ შენიშნა, რომ არ არის სწორი ლიტერატურაში ბოლო ხანებში გამოთქმული ვარაუდი, თითქოს სირინოსა = ს ი რ ი ნ ო ს ს ა (ე. ი. ერთი ს დაკლებული იყოს სირინოსათვის). ს ი რ ი ნ ო ს ს ა ნათესაობითი ბრუნვაა ს ი რ ი ნ ო ს ხელისა, რომელიც ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში დადასტურებულია.

339,1 ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი, ხე ალვა დარიგებითა;
 მეფე გარდაჭდა მუნ, სადა კოშკი დგა ფაზარგებითა;
 შიგნით შევედით, სრა დაგუხუდა, მოცული ფარდავებითა.
 და მაშინ ნასობთა ლახუართა, სულნო, ვით დაუღვებითა!

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 467) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: კოშკი დგა ფაზარგებითა (კოშკად ფაზარი გებით ა), მოცული (მოცეული). პროექტი მიღებულ იქნა.

340 ვიცოდო, სწადდა არვისგან ნახვა მის მზისა დარისა,
 მე გარე ვდეგ და მეფემან შეველო ფარდაგი კარისა;
 ვერას ვხედვედი, ოდენ კმა მესმოდა საუბარისა.
 და ასმათს უბრძანა გამოსმა დურაჯთა ამირბარისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 336) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

341 ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარეთ ვდეგ მოფარდაგულსა;
 ქალსა შევხედენ, ლახუარი მეცა ცნობასა და გულსა.
 მოვიდა, მივსვენ დურაჯნი, მთხოვა ცეცხლითა დაგულსა.
 და ვამე, მას აქათ საქმილსა დაუწუავ ნიადაგულსა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 337) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გარეთ (ვარე), მივსვენ (მივსენე), დაუწუავ (დაუწუავე).

რედაქციამ აღადგინა წაკითხვა გ ა რ ე. მეოთხე ტაეპში დაიწერა ვ ა მ ე.



341,1 ქალი მოდგა დურაჯთათის, ტანად სარო, ლამაზუნა,
 მაღლი ჰკადრა კელმწიფესა: «სახლი შენი ააშენა»
 კელთა მივსცენ წასახმელად, ააყებდა ტკბილი ენა:

და «მაღლი მისსა შემოქმედსა, ვინ შენებრი დააშენა»

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 470) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: დურაჯ-
 თათის (დურეჯთათეს), სარო, ლამაზუნა (სარო ლამაზენი), კელმწიფესა (ხელმწიფემან),
 ააშენა (ააშენი), წასახმელად (წასახმელად), ააყებდა (ააყებენდა), ტკბილი (ტკბილად), ენა
 (ენი), დააშენა (დააშენი); პირველი ტაების ბოლოს წერტილ-მიმის ნაცვლად დასმულია ში-
 მე, მეორის ბოლოს — წერტილის ნაცვლად ძახილის ნიშანი; მესამე ტაების ბოლოს —
 წერტილ-მიმის ნაცვლად ოწერტილი. მეოთხე ტაები ჩასმულია კუთხოვან ბრქვალეში და
 ბოლოს წერტილის ნაცვლად დასმულია ძახილას ნიშანი.

პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის წევრებს განსხვავებულად ესმით პირველი ტაების სარიტმო სიტყვის მნიშვნე-
 ლობა.

ი. გიგინეიშვილი: ლამაზუნა კომპოზიტი უნდა იყოს (=ენალამაზი). ამგვარი წარ-
 მოება რუსთაველისათვის დამახასიათებელია.

გ. კარტოზია: ენა სარიტმოდ მესამე ტაებში გამოყენებული, ამიტომ პირველ ტაებში
 მისი არსებობა საეჭვოა. ლამაზუნა ხელოვნური ფორმა ჩანს (=ლამაზი). საყურადღებოა,
 რომ ხელნაწერებში იგი ყველგან ერთ სიტყვად არის ჩათვლილი.

342 აწ წაქდეს იგი ნათელნი, მზისაცა მოწუნარენი"

მისი ვერ გასძლო კსენება, დაბნდა და სულთქუნა მწარენი;

ვმა და ასმათი ტიროდეს, კმას სცემდეს იგი არენი,

და ჭმუნვით თქუეს: „მკლავნი ცუდ ქმნილან, ვაჲ, გმირთა მემუჭარენი"

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 338) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ვაჲ
 (ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

343 ასმათიან წყალი დაასსა, ცნობად მოვიდა ტარია,

დიდხან ვერა თქუა, სევდამან გული შეუყრა, დარია;

დაჯდა და მწარედ სულთ-ითქუნა, ცრემლი მიწასა გარია,

და თქუა: „ჩემგან მისი კსენება, ვაჲმე, რა დიდი ზარია!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 339) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ვაჲმე
 (ვაჲმე). პროექტი მიღებულ იქნა.

1975 წ. 31 იანვარი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, ს. ცაი-
 შვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 344; 344,1; 344,2; 345; 346; 347; 348; 349; 350 (პროექტი მოამზა-
 დეს გ. კარტოზიამ, ე. ბილიანიშვილმა, ლ. კვიციანი, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 351;
 352; 353 (პროექტი მოამზადეს ც. კვიციანი, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალო-
 შვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

344 მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,

იშებენ, მაგრა უმუნთლოდ ბოლიდ ვერ მოურჩებიან;

ვაჭებ ჰკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან.

და ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შე-ლა-მრჩებიან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 340) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-
 ექტი მიღებულ იქნა.

344,1 რომ მნათი

გამოჰკრთის მუნით სინათლე მწერას[ა],

ეს ქუე ძეს მისთუის უცნობო, იგი ტახტ[ს]ე ზის ზე რასა.

და წიგნსა უკითხვენ, სწამლობენ, სინჯვენ მავისა ძვერასა.

სტროფი არის მხოლოდ B² ნუსხაში (მიწერილია აშიაზე). დაბეჭდილია წიგნში: ვეფხის-
 ტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები. ნაკვეთი მეოთხე. გამოსაცემად მოამზადა ივანე ლოლა-
 შვილმა. თბ., 1963, გვ. 1227. აქ დაბეჭდილ ტექსტთან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლი-
 ლებაა: ... რომ მნათი... (იგი უებტრო მნათი რა იქს სარ...), ტახტ[ს]ე (ტახტ[ს]ია), უკითხვენ
 (იკითხვენ).

პროექტი მიღებულ იქნა.

344.2

ივ ზაფრან ლალ
და მტერდაცე ვის რას მიიკვალ

სტროფი არის მხოლოდ B² ნუსხაში (აშიაზეა მიწერილი). დაბეჭდილია წიგნში: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები. ნავეთი მეოთხე. თბ., 1963, გვ. 1228. აქ დაბეჭდილ ტექსტთან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მეორე ტაგის დასაწყისში „ვარიანტები“ კითხულობენ დიდი სიტყვას; მესამე ტაგში ღალ-ის წინ კი ... სრბებენს. პროექტი მიღებულ იქნა.

345 დურაჯნი მივსცენ, გავიღე სხუა ვერა გზადა თავისა,
დავეცი, დავბნდი, წამიქდა ძალი მკართა და მკლავისა,
რა სულად მოვე, შემესმა კმა ტირილისა და ვისა;

და ვარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა წამსხდომნი ნავისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 341) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

346 შიგან ვწვე დიდთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა,
ზედ დამტიროდეს მეუენი ცრემლითა უშრობელითა,
პირსა იხოვდეს ქელითა, დაწვისა გამაბულითა.

და მუყრნი მოასხნეს, სენითა მთქუეს გამაბულშებელითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 342) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

347 მე რა მნახა თუალასმული, მეფე ყელსა მომეხუთა,
ცრემლით მითხრა: «შვილო, შვილო, ცოცხალ ხარ-ღა? სიტყუა თქუთია!»
მე პასუსი ვერა გავეც, ვითა შმაგი შეეკრთი დია,

და კულა დავეცი დაბნედილი, გულსა სისხლი გარდმეთისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 343) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

348 სრულნი მუყრნი და მულიმნი მე ვარე შემომცვიდიან;
მათ ქელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან;
მტერდაცემული ვეგონე, არ ვიცე, რას წმახვიდიან.

და სამ დღემდის ვიყავ უსულოდ. ცეცხლნი უშრეტნი მწუტიდიან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 344) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

349 აქიმიცა იკუთრებდეს: «ესე სენი რაგუარია?
სამყურნალო არა სჭირს რა, სედა რამე შემოპყრია».
ზოგჯერ შმაგად წამოვიჭრი, სიტყუა მცთარი წამერია.

და დედოფალი, ზღუასა შეიქს, მას რომ ცრემლი დაულტრია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 345) შედარებით პროექტში ცვლილებაა: შეიქს (შეიქმს). ა. ბარამიძე: სწორია, რომ მეოთხე ტაგში დე დო ფ ა ლ ი სასვენი ნიშნით არის გამოყოფილი მომდევნო ფრაზისაგან. ვუკ. ბერიძე მართებულად მიუთითებდა, რომ არ ვარცა გამოთქმა = დედოფალი ზღუასა შეიქს“.

შ. ძიძიგური: ვუკ. ბერიძე აღნიშნული სიტყვის შემდეგ ძახილის ნიშანს სვამდა და ეს უფრო მართებულია, ვიდრე ძიძიძე.

დაადგინეს: დარჩეს ძიძიძე. პროექტი დამტკიცდეს.

350 სამსა დღესა დარბაზს ვიყავ არ ცოცხალი, არცა მკუდარი;
მერმე ცნობა მომივიდა, მივხუდი რასმე მიუმხუდარი;
ვთქუი, თუ: «ჰაი-ჰაი, რაშიგან ვარ მე სიცოცხლეგარდამკდარი!»

და თობა ვსთხოვე შემოქმედსა, ვკადრე სიტყუა სამუდარი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 346) შედარებით პროექტში ცვლილებაა: ჰაი-ჰაი (ჰაი). პროექტი მიღებულ იქნა.

351 ვთქუი, თუ: «ღმერთო, ნუ გამწირავ, აჯა ჩემი შეისმინე,
მომეც ძალი დათმობისა, ცოტად ვითა აღმადგინე,
აქა ყოფა გამამეღავნებს, სახლსა ჩემსა მიმაწვინე!»

და მანვე ქმნა და მო-რე-ვეჯობდი, გული წყლული გაეარკინე.



საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 347) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.
 ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეპის სართიმო სიტყვად მიმავნიენ-ს ნაცვლად უნდა მივიღოთ მიმავნიენ (=მიმავნიე), რომელიც შინაარსობრივად უფრო უხდება კონტექსტს. ამ წაკითხვასთან ახლოს დგას A³-ის მიმავნიენ და B¹¹-ის მიმავნიენ. ძველ ქართულში ევ-სუფიქსიანი ზმნები აორისტიის მრავლობითში ზოგჯერ ორ ნარს წარმოაჩენდნენ: მიმავნიენა. ლიტერატურაში (ი. იმნაიშვილი) ორი ნ-ს არსებობა ახსნილია მრავლობითობის წესუფიქსთან ევ-სუფიქსისეული ვ თანხმოვნის ასიმილაციით, როგორც უნდა აიხსნას ასეთი ფორმების მიღება, ორნარიანი ფორმები საკმაოდ დასტურდება ძველ ქართულში. მრავლობითში ორი ნარის არსებობა ქმნიდა საფუძველს, რომ მხოლოდობითში გადასულიყო ნ, როგორც ზმნის სუფიქსისეული ელემენტი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პოემის ერთ ჩანართ-სტროფში მთელი რიგი ხელნაწერი კითხულობს მოგავნიენა ფორმას მოგავნიენ-ს მნიშვნელობით: „ნუ დაგვზოცო, მისსა ძალსა, ვინცა აქა მოგავნიენა“ (1612). სტროფის სათვალავი 1937 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით).

გ. კარტოზია: მრავლობითის წესუფიქსის წარმოჩენა მხოლოდობითის ფორმაში მოულოდნელია. ქართულში ანალოგიური ფორმების არარსებობა აძენლებს ამ წაკითხვის (მიმავნიენ) გაზიარებას. ერთადერთი პარალელი ჩანართი სტროფიდან, ვფიქრობ, საკმარისი არ არის. ამასთან მიმავნიენ ამ კონტექსტში საეხებით დამაკმაყოფილებელი სიტყვაა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა მიმავნიენ.

352 ზე წამოვჯე. მეფისასა კაცი დია მოვიდოდა.
 ახარებდეს: «წამოვჯდაო», დედოფალი გამორბოდა;
 მეფე შორბის თავშიშეული, არ იცოდა, რას იქმოდა,
 და იგი დმერთსა ადიდებდა, სხუა ყუბლავი უჩუმოდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 348) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.
 რედაქციამ პირველი ტაეპის ბოლოს წერტილის ნაცვლად მძიმე დასვა.

გ. კარტოზია: მეოთხე ტაეპის სართიმო სიტყვა უჩუმოდა ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, გაგებულია სასხვისო ქცევის ფორმად (უჩუმოდა ის მას). სინამდვილეში აქ უნდა გვექონდეს უჩუმო სიტყვიდან ნაწარმოები ერთპირიანი ზმნა. შტრ. მსგავსი წარმოება „ვეფხისტყაოსანში“: უმხნეო — უმხნეოდა, უდილო — უდილოდა, მიდამო — მიდამოდა.

ი. გიგინეიშვილი: ნასახელარ ზმნათა ამგვარი წარმოება სათანადო პარალელებით არ არის შემგვრებული. უჩუმოდა, ისევე როგორც უმხნეოდა, უდილოდა, მიდამოდა, შეიძლება გაეგოთ, როგორც შედგენილი შემსმენელი: უჩუმოდა (ასევე: უმხნეოდა, უდილოდა, მიდამოდა).

გ. კარტოზია: ნასახელარ ზმნათა ამგვარივე წარმოება უნდა გვექონდეს თანხმოვანფუძიან ეჭ სახელიდან წარმოქმნილ ეჭდა ზმნაშიც (მის მოყმისა წესი იყო, მეტსა თურე არა ეჭდა).

353 იქით და აქათ მომისხდეს, მასურტიგს სახურტეულია;
 მე მოვაკუნე: აბატრონო, გული აწ უფრო მრთელია;
 ცხენსა შეჯდომა მწადიან, ვნახნე წყალნი და ველია.
 და ცხენი მომჭარეს, შეცა-ვჯე, მეფე ჩემთანა მელეღია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 349) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

1975 წ. 14 თებერვალი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 354; 354,1; 355; 355,1; 356; 356,1; 357; 358, 359 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმშალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა), 360; 361; 362; 363; 364; 365 (პროექტი მოამზადეს ს. ცაიშვილმა, მ. ანთაძემ, გ. არაბულმა, ნ. კოტეტიშვილმა, თ. ცქიტიშვილმა, ნ. წაჭაძემ).

354 გამოკვდით, მოვიარეთ მოედანს და წყლისა პირსა;
 ჩემსა მივე, დაგაბრუნვე, მეფე მომყვა სასლთა ძირსა.
 შინა მოვე, უარ გაკე, სხუა დამერთო ჳირი ჳირსა;
 და ვთქუი, თუ: «მოკვლდე, ბედი ჩემი ამის მეტსა რასლა ღირს-ას»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 350) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: რასლა (არას).

ი. გიგინეიშვილის აზრით, მე-3 სტრიქონში მოვეს-ნაცვლად უნდა იყოს მივე-რედაქციაში პროექტი მიიღო უცვლელად.

354,1 ფარსადან ღმერთისა შესწირა, რაცა აქუს მოგებულა;
ყოველი მადლსა შესწირვენ, მცირე და დიდებულა;
დედოფალი ტირს, ცხელითა ცრემლითა მიღებულა,
და წამწამ მოვიდის, მნახვიდის ტან-საროდ აგებულა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 484) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ტან-საროდ (ტან-საროდ).

მე-4 სტრიქონში წამწამ დაიწერა დეფისით (წამწამ) და ტან-საროდ — ერთად (ტანსაროდ).

355 ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან,
გული უფროვე დამიჭრა ათიათასმან დანამან.

საწოლის მეკრე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან;
და ვთქვი, თუ: «რა იცის ამბავი, ნეტარ, ან იმან, ან ამან?»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 351) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

355,1 ქალი მოვიდა, იეთსა ამბავი რამზთა მფრეწისა,
ტანად აღვა და ლომგული, პირად მზე მინა რეწისა;
მისთა შუქთაგან მთუარესა არ ძალ-აქუ გარდახტეწისა;
და მიქმეს, მიბრძანეს ამბავი, მე მივეგებე, მე წისა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 486) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: პი-ვეგებე, მე წისა (მივეგებე მეწისა).

მე-2 სტრიქონში მზე-ს შემდეგ დაიწერა მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

356 «მონათა ასმათისი». — «რა იცისთ, — ვარქუი, — ჰკითხუ».

შემოვიდა; სააშიყო წიგნი მომცა, წაიკითხე;
გამიკუირდა, სხუად ვითამცა ვქმენ გულისა მწუტელთა სითხე?
და მისგან ეჭუი არა მწონდა, სვედად მარეა გულსა მით ხე.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 352) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

356,1 წიგნი მომცა ასმათისი: «გული შენი ნუ დაბნდების;
ენახთ, ამა მუსთალთაგან ჩტენსა თავსა რა მოტდების!
მას მიჯნური არა ჰქუიან, ვინცა დღისა წინ მოკუდების;
და რასთუის უშობ, რასთუის ბნდები, სული რასთუის ამოგდების?»

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 488) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ენა-ხოთ, ამა (ენახოთ ამა), მოკდების (მოხხდების), ჰქუიან, ვინცა (ჰქვიან ვინცა), მოკუდების; (მოჰკვედების), ამოგდების (ამოგხვდების). პროექტი მიღებულ იქნა.

357 მე გამიკუირდა: «სით უუჰარ ანუ ვით მკადრებს თსრობასა?
მიუყოლობა არ ვარგა, დამწამებს ურახობასა,
ჩემგან იმედსა გარდასწყუედს, მერმე დამიწყებს გმობასა».

და დავწერე, რაცა პასუხად მართებდა აშიობასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 353) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: უუჰარ (გუყვარ). პროექტი მიღებულ იქნა.

358 დღენი გამოტდეს, მე გული უფროვე დამწუქეს კულავ ალთა,
ველარ უჭურტდი ლაშქართა, მინდორს თამაშად მავალთა;
დარბაზს ვერ მივე; მკურნალთა დაიწყეს მოსლვა მრავალთა,
და მაშინ დაიწყე გარდაცა სოფლისა ღხინთა და ვალთა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 354) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: უჭურტდი (უჭურტდი). პროექტი მიღებულ იქნა.

359 მათ ვერა მარგეს, მე გულსა ბინდი დამეცა ბნელისა,
სხუამან ვერავინ შემატყო დება ცეცხლისა ცხელისა;
სისხლი დამწამეს; მფემან ბრძანა გაკნევა კელისა.
და გვიცქენ ფარვად პატიჟთა, არვისგან საეპტელისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 355) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

- 360 კვლგაკსნილი, სევდიანი, საწოლს ვიყავ თავის წინა;
 ჩემი მონა შემოვიდა, შევხედენ, თუ თქვას რა-ძინა?
 «მონაათ ასმათისი», შემოყვანა უთხარ შინა.

და გულსა შინა დაუზრახე: «რა მზოვით ანუ ვინ-ა?»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 356) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: თქვას რა-ძინა? (თქვას, რა შინა-), უთხარ (ვუთხარ), დაუზრახე (დავუზრახე).

ი. გვიგინევილი: მე-2 სტრიქონში -ძინა არის -ში ნაწილაკის პარალელური ფორმა, რომელიც ხშირია ქართულში, რა ძინა ერთად უნდა დაიწეროს.

რედაქციამ მიიღო ეს შესწორება.

გარდა ამისა, რედაქციამ «მონაათ ასმათისი»-ს წინ დასვა ტირე, ბოლოს კი — მძიმე.

- 361 მონამან წიგნი მომართუა, მე წაეკითხე ნებასა;
 წიგნსა შევატყუე, ლამოდა შეყრისა მოსწრაფებასა;
 პასუსად ვავეცე: «ჟამია, მართალ ხარ გაკუთრებებასა;
 და მოვალ, თუ მივმობ, მე ნუ მეტყე მოსლვისა დაზარებასა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 357) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

- 362 გულსა ვარქუი, თუ: «ლახუარნი ვგრე ვით დაგაღონებენ?
 ამირბარი ვარ, ქედმწიფე, სრულად ინდონი მშონებენ;
 აზრად შეიქმან, საქმესა ათასჯერ შეაწონებენ.

და თუ შევიტევენ, მე მათთა არეთა არ მართებენ».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 358) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

- 363 კაცი მოვიდა მეფისა: «სწადსო ამბისა სმინება».
 მოყვანა უთხარ: ებრძანა: «ქმნაცა სისხლისა დინება?»
 მე ვაკადრე: «ჭელი გავიქსენ, დამიწყო მოჯობინება,

და წინაშე მოვალ, ამისთუის კჳლა უფრო მმართვეს ლხინება».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 359) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: უთხარ (ვუთხარ).

ა. ბარამიძე: მე-2 სტრიქონში ქ მ ნ ა ც ა კ ი არა, ქ მ ნ ა ა უნდა იყოს.

ს. ციციშვილი: -ცა აქ განა-ს მნიშვნელობით არის ნახმარი და ეს წაკითხვა უნდა დარჩეს.

ი. გვიგინევილი: ქ მ ნ ა ა კონიექტურაა, მაგრამ მისაღები ჩანს.

ც. კვიციანი: ეგებ მოხერხდეს ქ მ ნ ა ც ა ფორმის გაზრება სხვაგვარად და დავტოვოთ ეს წაკითხვა, რადგან ყველა ხელნაწერში ასეა.

ე. მეტრეველი: უნდა დაზუსტდეს -ცა-ს მნიშვნელობა.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა ქ მ ნ ა ც ა; დაზუსტდეს -ცა-ს მნიშვნელობა. პროექტი მიღებულ იქნა.

- 364 დარბაზს მივე, მეფე ბრძანებს: «ამის მეტსა ნუ იქ, აბა!»
 ცხენსა შემსუა უკაპარჭო, წელთა არა არ შემაბა.

შეჯდა, ქორნი მოუტიგნა, დურაჯები დაინაბა.

და მშუილდოსანიანი გასაგანნა, იტყოდიან: «შაბა, შაბა!»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 360) შედარებით შემდეგი ცვლილება: იქ, (იქმ).

ა. ბარამიძე: მე-4 სტრიქონში უნდა იყოს: შ ა ბ ა შ, შ ა ბ ა.

ი. გვიგინევილი: სხვაგან გვაქვს შ ა ბ ა შ, ამიტომ აქაც უნდა მივიღოთ ეს წაკითხვა. მიღებულ იქნა წაკითხვა: შ ა ბ ა შ, შ ა ბ ა!

- 365 შინა დავსხედით ნადიმად მას დღესა მინდორს რებულნი;
 მომლერალნი და მუტრიბნი არ იყენეს სულდაღებულნი;
 მეფემან გასცნა მრავალნი თუალნი, ღარიბად ქებულნი.

და აუვსებელნი არ დარჩეს მას დღესა მათნი ხლებულნი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 361) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

0 81/09

ფანა 1 666

ინდექსი 26 198

